

შინაარსი

უჩუველო რაკურსით	2	თამაზ ნატროშვილი პირველი და უკანასკნელი რომანი ჩარჩილისა
არი და გადისწარა	6	ნინო ჯაველიძე მახალონ-მაკრონთა ტომის საკითხის შესწავლისათვის
მსარას-ინტერვიუ	10	გია არგანაშვილი მოსწავლის ჩინით
პროზა	11	დავით კიკნაძე ლურჯი მელანი
	19	მაია ბათიაშვილი შამტვრეული ჭიშკარი
პოეზია	22	სოფიკო კვანტალიანი სიყვარულის მუხანსიგი და სხვა ლექსები
	24	ვაჟა ოთარაშვილი ლოცვა რუსთაველზე და სხვა ლექსები
უსწოთის სხოვრეპიდან	26	მოულოდნელი წერილები
ღიალოგი	27	მა ვნახე რამალა... (ინტერვიუ მურიდ ალ-ბარლუთისთან)
ქინო	30	ეკა ბუჯიაშვილი იღბლიანი დასაწყისი (რუსუდან შაიშმელაშვილი)
მოგონებათა სივრტი	32	ცისანა გენძეხაძე „ასე მიღის ეს ზამთარი სიზმარივით მღვპარი...“ (მანანა გვეტაძის გახსენება)
ჩემი პატარა ქალაქი	34	ნინო ვახანია ეს წიგნი უნდა გაგრძელდეს (შეხვედრა ტყიბულის სკოლაში)
ქივა	37	ლეილა ნანიტაშვილი ეპიგრაფა „ქვენს და მარიას“ (ბეჭდვის ისტორია)
დღიურის ფურცლებიდან	46	როსტომ ჩხეიძე მზინანი ღამის ჩრდილქვეშ
იხარდა მწვანე ჯაჯილო	47	ნინო სადღობელაშვილი „ბავშვების რჩეული — 2009“ (ერთი ახალი კონკურსის შესახებ)
კრიტიკა	49	ეთერ ბერიაშვილი ანიდან ჰამლეტ (ზვიად კვარაცხელიას ნოველები)
ლიტერატურული სხოვრეპა	52	ნინო დეკანოიძე სეზონი დასურული — კარი ღია (შეხვედრა ირმა შიოლაშვილთან)
	53	სოფიო ჯაფარიძე „იქნებ სიზმარია ან ლეგენდა?!“ (ზურაბ ჯაფარიძის ხსოვნის საღამო)
ახალი წიგნები	55	ივანე ამირხანაშვილი სამი მოტივი ორ წიგნად
პოეზიის მერიდიანები	56	ვლადიმერ ვისოცკი ჩემი ჰამლეტი
ახლისტია	57	უილიამ ბატლერ იეიტსი სიტყვა, წარმოთქმული ნობელის პრემიის მიღების შემდეგ
დრამატურგია	57	უილიამ ბატლერ იეიტსი კატა და მთვარე
ნაქვესები	61	მასვილსიტყვაობის ნიმუშები
მოზაიკა	63	გადალი ხმელეთისაო

ორკვირული ჟურნალი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96_20_62

რეკლამა – (995 93) 65_93_68

გავრცელება – (995 77) 11_24_30

ფაქსი: (995 32) 96_20_62

E_mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილი საბეჭდო „ომეგა ტეგი“
საბეჭდო, თბილისი, სარაიშვილის 17
ატელფონი +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAIHVILI STREET
TELEPHONE +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი

სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: რუსუდან შაიშმელაშვილი

ზაბუა ალუდაურის ფოტოგრაფი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 3 სექტემბერს

თამაზ ნატროშვილი

პირველი და უკანასკნელი რომანი ჩერჩილისა

თუკი თვალს გადაავლებთ სიტყვაკაზმულ მწერლობაში ნობელის პრემიის ლაურეატთა სიას, არ არის გამორიცხული, რომ ოდნავი შეცბუნება დაგეუფლოთ, ვინაიდან ამ სიაში შემოგვფეთებათ არაერთი ჩვენთვის (და ეგებ სხვებისთვისაც) საესებით უცნობი ავტორი, ვისი სახელი თუ თხზულებანი, ალბათ, მარტოდენ მის შთამომავალთ ანდა კარის მეზობლებს ეხსომებათ და, იმავდროულად, არაერთი ღირსეული პრეტენდენტი გაგახსენდებათ, იქ რომ ვერსად ნახვდებით, რამდენჯერაც არ უნდა გადაიკითხოთ.

მაგრამ ამ ვრცელ სიას, უდავოდ, ამშვენებს ერთი სახელგანთქმული კაცის სახელი, რომელიც, თავის ნიჭთა და ღირსებათა მიუხედავად, თითქოს არ უნდა ბინადრობდეს შვედეთის აკადემიის მიერ მირონცხებულ პანთეონში. მართალია, მას ერთი ანალოგია, თუ არ ვცდები, ერთადერთი ანალოგია მოეპოვება, მაგრამ დღეს ვიღას ახსოვს ერთი საუკუნის წინანდელი ნობელიანტები? (ვგულისხმობ ისტორიკოს თეოდორ მომზენს).

ნახევარი საუკუნის წინათ კი, სახელდობრ 1953 წელს, ნობელის პრემია სიტყვაკაზმულ მწერლობაში მიენიჭა სერ უინსტონ ჩერჩილს. დიახ, დიახ, თვალი არ გატყუებთ და სმენაც არ გლალატობთ, ნამდვილად უინსტონ ჩერჩილს-მეთქი. მაგრამ გსმენიათ ოდესმე მწერალი უინსტონ ჩერჩილი? ამქვეყნად ვინმე იცნობს მწერალ ჩერჩილს, ინგლისური ლიტერატურის ისტორიის გარდა? (ესეც სათუთა).

გამოცდილსა და დაუზარებელ მკითხველს შესაძლოა ნაკითხული ჰქონდეს ანდა სიზმრად მაინც ენახოს ნანერი ისეთი ეგზოტიკური კალმოსნებისა, როგორცაა, ვთქვათ ბენედიქტ ეროფევი ანდა მარეკ ხლასკო, მაგრამ უინსტონ ჩერჩილის მწერლობას მილიონში ერთი კაცი თუ დაიჯერებს. არადა, ეს მამაცხოვრებული ჰემინგუეისე ერთი წლით ადრე გამხდარა ამ სანატრელი პრემიის ლაურეატი. კამიუზე ადრე დააჯილდოვეს სტოკჰოლმში, პასტერნაკზე ადრე, სარტრზე ადრე, სტაინბეკზე ადრე, შოლოხოვზე ადრე, ბიოლზე ადრე... და ა.შ.

გამოუცდელ მკითხველს ისიც კი შეიძლება ეგონოს, აქ რაღაც გაუგებრობაა და ნობელის პრემიას, ალბათ, მშვიდობის დაცვისათვის მიანიჭებდნენო. მშვიდობის დაცვისათვის?! ეს ხომ კურიოზი იქნებოდა არნახული და გაუგონარი. ჯერ კიდევ ბოლი ასდიოდა მეორე მსოფლიო ომის ნაკვერჩხლებს, პოტსდამის კონფერენციაზე ჩერჩილმა ამერიკული ატომური ბომბის კაჩენა რომ შეიტყო და კმაყოფილი ხელებს იფშენტა, ჩვენს ძვირფას ომისდროინდელ მოკავშირეს დღეს თუ ხვალ დავახიროსიმებთო. „ცივი ომის“ მედროშე პირდაპირ „ცხელი ომის“ გამჩალებლად შერაცხეს საბჭოთა კავშირში და კარიკატურისტთა მუდმივი საკბილო გახდა — ბურთივით მრგვალი გამელოტებული

კაცი, პირში გაჩრილი განუყრელი სიგარით, ცეცხლს რომ უკიდებდა გლობუსს ანუ მთელ დედამიწას.

როგორც ცნობილია, ნობელის პრემიის მინიჭებისას ითვალისწინებენ მავანი ავტორის მთელ შემოქმედებას და მის გავლენას მსოფლიო ლიტერატურის მსვლელობაზე, მაგრამ საკმაოდ ხშირად, დეტონატორის როლს ასრულებს რომელიღაც გამორჩეული თხზულება. ასეთი იყო, მაგალითად, ჰემინგუეის „მოხუცი და ზღვა“, პასტერნაკის „ექიმი ჟივაგო“, სტაინბეკის „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა“...

ხოლო ჩერჩილმა სწორედ 1953 წელს წელს გაასრულა თავისი ექვსტომიანი თხზულება „მეორე მსოფლიო ომი“ და... ნობელის პრემიაც გაირტყა.

ამ ვეებერთელა ნაშრომის ფურცლებზე, არცთუ იშვიათად, მწერლის ნიჭით დაჯილდოებული კაცი ენაცვლება ხოლმე პროფესიონალ პოლიტიკოსსა და განაფულ ისტორიკოსს („მეორე მსოფლიო ომი“ ჩერჩილის დებიუტი როდი გახლდათ). აბა, გამომშრალი ტექსტისთვის ვინ გაიმეტებდა პრემიას?!

ბელეტრისტული ნიათი გალაღებული პასაჟები განუმეორებელ შარმს ანიჭებენ თხრობას. საამისოდ არაერთი მაგალითი შეიძლება დავიმომნოთ ექვსტომიანი თხზულებიდან, მაგრამ ეს ერთობ შორს ნაგვიყვანდა. ნათქვამის ხაზგასასმელად უფრო თვალსაჩინო იქნება, ერთი და იმავე საკითხისადმი ორგვარი დამოკიდებულება ალენიშნო — ისტორიკოსისა (აღწერილ მოვლენათა თვითმხილველი პოლიტიკოსიც რომ არის) და მწერლისა, რომელიც თვლემს ავტორის სულში და დროდადრო თავს წამოყოფს ხოლმე, მზად ვარ, ერთგულად გემსახუროთო. ამ გაორებას ძალზე პირობითად შეიძლება ვუნოდოთ გონებისმიერი და გრძნობისმიერი განსჯანი. ნიჭიერი ოსტატის კალამქვეშ რაციონალიზმი და ემოციურობა ერთიმეორის მეზობლად, ლამის გვერდიგვერდ, ერთსა და იმავე წიგნში მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობას ღალადებენ.

აი, ერთი სანიშნო მაგალითი: ე.წ. მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტთან (1939 წლის აგვისტო) დაკავშირებით ჩერჩილი წერს: „საბჭოეთის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მისთვის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა, რაც შეიძლება შორს, დასავლეთისაკენ, გადაენია გერმანული არმიების სანყისი პოზიციები, რათა რუსებს ჰქონოდათ დრო ძალებს მოსაგროვებლად თავიანთი კოლოსალური იმპერიის ყოველი კუთხიდან... მათ ძალმომრეობით ან მოტყუებით უნდა მოეხდინათ ბალტიკის სახელმწიფოთა და პოლონეთის დიდი ნაწილის ოკუპაცია გერმანელთა თავდასხმამდე. თუკი მათი პოლიტიკა გულცივად ანგარიშიანი იყო, იმხანად ეს იყო უაღრესად რეალისტური პოლიტიკა“.

ახლა ვნახოთ, რას მოგვითხრობს ჩერჩილი 1941 წლის გაზაფხულზე მომხდარის შესახებ: „6 აპრილს დილით ბელგრადის თავზე გამოჩნდნენ გერმანული ბომბდამშენები. ტალღებად მოფრინავდნენ რუმინეთში ოკუპირებული აეროდრომებიდან და სამი დღის განმავლობაში ბომბებს მეთოდურად აყრიდნენ იუგოსლავიის დედაქალაქს. გერმანელებმა ამ ოპერაციას უწოდეს „სასჯელი“. 8 აპრილს, როდესაც ბოლოს და ბოლოს, სიჩუმე ჩამოვარდა, ბელგრადის ჩვიდმეტი ათასზე მეტი მკვიდრი დახოცილი ეყარა ქალაქის ქუჩებში და ნანგრევებქვეშ. ცეცხლსა და კვამლში გახვეული ქალაქის ამ კომპარული სურათის ფონზე თვალს მოჰკრავდით გამძვინვარებულ მხეცებს, რომლებიც ზოოპარკის დამსხვრეული

გალებიდან გამოპარულიყვნენ. დაჭრილმა ყარყატმა კოჭლობით ჩაუარა ქალაქის ყველაზე დიდ სასტუმროს, ცეცხლის ზღვად რომ გადაქცეულიყო. გაოგნებული, თავზარდაცემული დათვი ბაჯბაჯით მიიკვლევდა გზას ამ ჯოჯოხეთში მდინარე დუნაისკენ. ოღონდ ეს არ ყოფილა ერთადერთი დათვი, რომელსაც განსჯის უნარი დაჰკარგოდა“.

როგორ მოგწონთ? სამ დღეში ჩვიდმეტი ათასი სული გამოუსალმებია ნუთისოფლისათვის გერინგის ავიაციას, მთხრობელი კი ყურადღებას ამახვილებს დაჭრილ ყარყატსა და გაოგნებულ, თავზარდაცემულ დათვზე. ეს ხომ მწერლის მიერ დახატული სურათი უფროა, ვიდრე ისტორიკოსისა. დაჭრილი ყარყატი და გაოგნებული, თავზარდაცემული დათვი ოდესმე შეგხვედრიათ რომელიმე საისტორიო ნაშრომში?

გონიერი პოლიტიკოს-ისტორიკოსი თავისი სამრეკლოდან ერთგვარად ამართლებს კიდეც გულცივად ანგარიშიან პოლიტიკას, უაღრესად რეალისტური იყო, მაგრამ მწერალი გულისტკივილით აღწერს ბელგრადის ვაებას და მის მომსრველთა დროებით მოკავშირედ ქცეული უზარმაზარი სახელმწიფო, დასავლური ტრადიციისამებრ, გზაბნეულ დათვად ეჩვენება (ესეც მწერლისეული ხედვაა).

ცხოვრებისეული სინამდვილის ერთი შემადრწუნებელი ებიზოდი ოსტატის დალოცვილ მარჯვენას გარდაუსახავს მხატვრული სინამდვილის შედევრად და მკითხველის სულში აღძრულმა ესთეტიკურმა სიამემ ლამის გადასწონოს გლოვის გამოძახილი, ისევე როგორც ბეთჰოვენის, ვოქვათ, მეხუთე სიმფონიის მოსმენისას ველარ გაგიჩევიდა, თვალეზში მომდგარი ცრემლი ტკბილია თუ მწარე, ლხენა ღვთაებრივი მუსიკით მთვრალისა ეგებ ჩრდილავდეს კიდეც ადამიანური მწუხარების ექოს.

ხომ არ ვაზვიადებ ჩერჩილთან დაკავშირებით? მაგრამ სად გაექცევი ამ წარუშლელ ზმანებას — დაჭრილი ყარყატი და გაოგნებული, თავზარდაცემული დათვი დაბორილობენ დაბომბულ ქალაქში და თავბედს იწყევლიან.

ერთი სიტყვით, აღარ უნდა გაგიკვირდეს, რომ ზემოთ დამონმებული მალამხატვრული პასაჟის ავტორს თავისი ხანგრძლივი და ფრიად შინაარსიანი ცხოვრების გარიჟრაჟზე ბელეტრისტიკაშიც მოუსინჯავს კალამი.

დიდი ბრიტანეთის, ალბათ, ყველაზე სახელოვანი პრემიერ-მინისტრის ბიოგრაფები მოგვითხრობენ, რომ 1896 წელს, როდესაც მეოთხე ჰუსართა პოლკი, რომელშიც ლეიტენანტი უინსტონ ჩერჩილი სამხედრო სამსახურს გადიოდა, ინდოეთში გაამწესეს. გარნიზონი დაბინავდა ბანგალორში, სადაც საუცხოო კლიმატი იყო. ახალგაზრდა ჩერჩილი ცალკე კო-

ტეჯში ცხოვრობდა, პოლოს სათამაშოდ ჰყავდა რამდენიმე ცხენი, რომელთაც გრუმი უწვიდა. თავად მასზე კი ზრუნავდნენ მოურავი და ყმანვილი მსახური. პოლოთი ჩერჩილიც იყო გატაცებული, ოღონდ მთელ დანარჩენ დროს უთმობდა კითხვას. დედა ლონდონიდან განუწყვეტილვ ამარაგებდა წიგნებით — გიბონი და მაკოლეი, პლატონი და შოპენჰაუერი, დარვინი და მალთუსი...

პოლო — პოლოდ, კითხვა — კითხვად, მაგრამ უინსტონის ბუნება უფრო მღელვარე ცხოვრებას ელტვოდა. და აი, ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარზე, მაკალანდის ულელტენილის მახლობლად, აჯანყდა პატანთა ტომი. საექსპედიციო ძალები, სამი ბრიგადის შემადგენლობითა და გენერალ ზლადის მეთაურობით, გაემზადა აჯანყების ჩასახშობად. უინსტონი ითხოვს ჩარიცხვას, მაგრამ შტატები უკვე შევსებულია. სთავაზობენ მონაწილეობას ლაშქრობაში სამხედრო კორესპონდენტად.

ექსპედიცია მძიმე გამოდგა. ამბოხებულნი გააფთრებით იბრძოდნენ და ინგლისელებმა საგრძნობი ზარალი განიცადეს. ჩერჩილს მოუწია მონაწილეობა ბრძოლაში, სადაც თავი გამოიჩინა მამაც მეომრად და გონიერ მეთაურად.

ინგლისელი მკითხველი ინტერესით ეცნობოდა უინსტონის კორესპონდენტობას, რომლებიც იბეჭდებოდა გაზეთ „დეილი ტელეგრაფის“ ფურცლებზე „ახალგაზრდა ოფიცერის“ ხელმოწერით. ამან გადააწყვეტინა ჩერჩილს, რომ ლაშქრობაში შეგროვილი მასალებით „აეგო პატარა ლიტერატურული სახლი“. და ორ თვეში ააგო კიდეც. მისი პირველი წიგნი ასეთი სათაურით: „ამბავი მაკალანდის საველე არმიისა. 1897. სასაზღვრო ომის ეპიზოდი“ გამოცემა 1898 წლის მარტში და მას წარმატება ხვდა. მომდევნო წელს განხორციელდა მეორე გამოცემა.

სხვათა შორის, დაინტერესებულ მკითხველთან ერთად მტრებიც შეიძინა. თავის წიგნში აკრიტიკებდა ინდოეთში გამწესებულ უმაღლეს ოფიცერთა მოქმედებას და შენიშვნები ჰქონდა გამოთქმული ნაციონალური თავდაცვის სისტემის მოსამართით. ეს არც ინდოეთში მოეწონებოდათ და არც ლონდონში.

ახალ სადამსჯელო ექსპედიციაში მონაწილეობაზე უარი უთხრეს.

პირველი წიგნის შემდეგ, თურმე, „წერას შეეჩვია“.

ბანგალორში ზამთარი დადგა.

და აი, ერთ მშვენიერ დღეს ჩერჩილმა უეცრად გადაწყვიტა, რომ დაენერა რომანი, ნამდვილი რომანი, სადაც ამბოხებულ პატანთა ტომთან შერკინება კი არ იქნებოდა აღწერილი, არამედ — ახალგაზრდა კაცის შემოქმედებით



უინსტონ ჩერჩილი



ფანტაზიები იმ ამბების ირგვლივ, რომლებიც ჯერ არ ენახა და არც განეცადა. ნაკითხული და გაგონილი უნდა შეეზავებინა თავის წარმოსახვასთან. მწირი საბრძოლო გამოცდილებაც, რა თქმა უნდა, გამოადგებოდა საკმაზად.

არც მაშინ და არც შემდგომში არასოდეს უფიქრია, რომ პროფესიონალი მწერალი გამხდარიყო. გეგმები და მიზნები გაცილებით დიდი ჰქონდა, პოლიტიკური კარიერა ედო გულში, მაგრამ ისიც ახსოვდა, რომ კონსერვატიული პარტიის კერპად შერაცხული დიზრაველი სწორედ ლიტერატურიდან მოვიდა პოლიტიკაში. უფრო მეტიც: დიზრავლის იდეები, „დემოკრატიული კონსერვატიზმი“ რომ შეარქვეს, თავდაპირველად აისახა მისსავე ლიტერატურულ ნაწარმოებებში. შესაძლოა, ამ გარემოებამაც უბიძგა ჩერჩილს, რომ ხელი მოეკიდა კაი საკითხავი რომანის შექმნისათვის.

სწრაფი და ნაყოფიერი მუშაობა სჩვეოდა. მისი თანამშრომელი ოფიცრები რომ ისვენებდნენ და ერთობოდნენ, იმ დროს ჩერჩილი წერდა, წერდა და წერდა.

ორი თვეც არ გასულა და გაასრულა რომანი, სათაურად „სავროლა“ (ასე ჰქვია მთავარ გმირს).

იდეა 1897 წელი. ჩერჩილი ოცდასამი წლისა ხდებოდა.

სიუჟეტი რომანისა საკმაოდ უჩვეულო იყო იმ დროისათვის. მართალია იქ სასიყვარულო ისტორიასაც წააწყდებოდა, რომელიც თითქოსდა თავისი დეიდის შემწეობით შეთხზა, მაგრამ, საერთო ალიარებით, ეს არ ყოფილა ნიგნის დამამშვენებელი მონაკვეთი.

მთავარი თემა გახლავთ ხალხის რევოლუციური მოძრაობა გამოწვევით, რომელსაც უწოდებდა „რურიტანია“ და სადღაც, ხმელთაშუაზღვეთში მოათავსა.

ხალხი, სავროლას ხელმძღვანელობით, იწყებს გამოსვლებს დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ და დაამბობს მას. მაგრამ ხალხის მონაპოვარს ემუქრება ახალი რევოლუცია, სოციალისტებსა და კომუნისტებს რომ წამოუწყიათ. თხრობა აღწევს დაძაბულობის პიკს, როდესაც რურიტანიის დედაქალაქს ბომბავენ სამხედრო ხომალდებიდან, რათა ბოლო მოუღონ აღვირახსნილ მემარცხენე ძალებს.

ჩერჩილმა თავისი რომანი ჯერ ნაწილ-ნაწილ დაბეჭდა ლიტერატურულ ჟურნალში, მერე კი 1900 წელს 345-გვერდიან ნიგნად გამოსცა. შემოსავალმა 700 გირვანქა სტერლინგს მიაღწია, რასაც განაფული რომანისტებიც კი ვერ იხვეჭდნენ. ეს იყო პირველი და უკანასკნელი რომანი ჩერჩილისა.

ანონიმი რეცენზენტი გახვთ „ტაიმსის“ ფურცლებზე წერდა: „ჩერჩილი ჩინებული სამხედრო კორესპონდენცია, მაგრამ რომანისტად არ გამოდგება. მის ნაწარმოებში ძალზე ცოტაა მკაფიო ხასიათები. ნიგნის პირველი ნაწილი ერთობ მოსაწყენია. როდესაც ჩერჩილი მომდევნო რომანის წერას შეუდგება, შესავალი თავები უნდა ამოყაროს და მაშინვე საბრძოლო პერიპეტეიებს მიადგეს“.

კრიტიკოსები ამუნათებდნენ ავტორს, რომ მისი პერსონაჟები უსიცოცხლონი და უფერულნი იყვნენ, ბრძოლისა და სისხლისღვრის აღწერილობა კარგად გამოგდის, მაგრამ სასიყვარულო სცენებში მოიკოჭლებო.

და მიუხედავად მკაცრი კრიტიკული შენიშვნებისა, „სავროლას“ მიიჩნევდნენ საინტერესო რომანად, რომელიც ახალგაზრდა მწერლის არცთუ მცირე შემოქმედებით პოტენციალს მოასწავებდა.

ჩერჩილის ბიოგრაფთა აზრით, მან მარტოოდენ ერთი რომანი რომ დაწერა, დიდი უბედურება არ არის, მაგრამ

მის რომანს დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრემიერის ბიოგრაფიისათვის, უამისოდ ახალგაზრდა ჩერჩილის სულიერი სამყარო ძნელი გასაგები იქნებოდაო.

ერთხმად აღნიშნავენ, რომ „სავროლა“ არის ავტობიოგრაფიული ნაწარმოები და, იმავდროულად, ავტორის პოლიტიკური მანიფესტიც. რურიტანია შემკულია ინგლისის თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების ნიშნებით.

სავროლა, მთავარი მოქმედი პირი, კეთილშობილი რევოლუციონერი, ბელადი რურიტანიის ხალხისა, დაჯილდოებულია თავად ჩერჩილის ნიშან-თვისებებით.

სავროლას კაბინეტში — ჩერჩილის საყვარელი ისტორიკოსების გიბონისა და მაკოლეის პორტრეტები ჰკიდია.

პრეზიდენტის სასახლის წინ მდებარე მოედანზე დემონსტრანტთა დახვრეტას რომ აღწერს, ავტორი ასე გვიხატავს სავროლას რეაქციას მომხდარზე: „მისი ნერვული ტემპერამენტი არ შეიძლება უკიდურესად არ აღგზნებულიყო კაშკაშა სცენებით, რომელთა მოწმე ამასწინათ გახდა. ხოლო დათრგუნული მდგომარეობა მხოლოდ აძლიერებდა შინაგან ცეცხლს. ღირს ჩიტი ბღღუნად? ბრძოლა, შრომა, სხვადასხვა მოვლენათა უწყვეტი ნაკადი, უარის თქმა უამრავ რამეზე, რაც ახალისებს და ალამაზებს ცხოვრებას. და რის გულისთვისაა ყოველივე ეს? ხალხის კეთილდღეობა?! ეს ნაკლებად აინტერესებდა... მან მშვენივრად იცოდა, რომ მთელი მისი საქმიანობის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა პატივმოყვარეობა და იგი უძღური იყო, რომ წინააღმდეგობა გაენია მისთვის. მას შეეძლო გაგება და შეფასება ხელოვანის ტკობისა, რომელიც ეწევა ცხოვრებას, აღსავსეს მშვენიერების ძიებით ანდა სპორტმენისა, რომელიც ასევე უზომოდ ტკბება თავისი გატაცებით. იცხოვრო წყნარად, ფილოსოფიური სიმშვიდით შემოსილმა, რომელიმე თვალწარმტაც ბაღში, შორს ადამიანთა გნიაისიგან და სრულიად განდგომილმა საქმეთაგან, ისუნთქო ხელოვნებისა და ინტელექტუალური ცხოვრების ჰაერით, განა უფრო მიმზიდველი და საამო არ იქნებოდა? და მაინც ხვდებოდა, რომ ამგვარ ცხოვრებას ვერ აიტანდა. მისი გონების წყობა იყო შმაგი, დაუდეგარი და ძალმოსილი. ცხოვრება, აღსავსე მღელვარებით, განგაშითა და მისწრაფებებით, მისთვის იყო ერთადერთი სანუკვარი რამ. და ბოლომდე უნდა გაჰყვეს ამ გზას“.

ასეთი იყო თავად ჩერჩილიც, ოცდასამი წლისა (როცა ამერებდა თავის პოლიტიკურ კარიერას. სავროლას უსაზღვრო პატივმოყვარეობა, რომლის დასაკმაყოფილებლად ის უარს ამბობს ცხოვრებისეულ სიამეებზე და მზად არის, რომ ბოლომდე იაროს მძიმე გზით — აი, ეს ამოძრავებდა ჩერჩილსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე.

კეთილდღეობა ხალხისა სავროლასა და ჩერჩილისათვის მხოლოდ საფარია საკუთარი პატივმოყვარეობისა და ძალაუფლების წყურვილის დასაოკებლად.

კეთილგანწყობილი ბიოგრაფებიც კი აღიარებენ, რომ ჩერჩილის პოლიტიკური მოღვაწეობის მთავარი სტიმული იყო პატივმოყვარეობა.

ცნობილი ინგლისელი პუბლიცისტი და სახელმწიფო მოღვაწე ჩარლზ დილკი XX საუკუნის დამდეგს წერდა: „როზბერი (დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი XIX საუკუნის დამდეგს) იყო ყველაზე პატივმოყვარე კაცი, ვინც კი ოდესმე შემხვედრია“ და რამდენიმე წლის შემდეგ განაცხადა: „მერე გავიცანი უინსტონ ჩერჩილი...“

გადმოგვცემენ, რომ „სავროლას“ შექმნიდან უკვე ორმოცდაათი წელიწადი რომ იქნებოდა გასული, ერთხელაც ჩერჩილი შესულა თემთა პალატის თამბაქოს მოსაწევ ოთახში. პარლამენტში ახლად არჩეულ ახალგაზრდა დეპუტატს მიუჯდა გვერდით და უცებ მიმართა: „ყმანვილო, მე მგონი, თქვენ ზოგჯერ შეიძლება გაგიჩნდეთ კითხვა: რა ჭირმა მაიძულა პოლიტიკაში ჩაბმა?“ ახალგაზრდამ მოკრძალებით მიუგო, მოხარული ვიქნები, თუკი ამ კითხვაზე პასუხს გამცემთო. და მიიღო კიდევ პასუხი: „პატივმოყვარეობამ, ყმანვილო! მარტოდენ პატივმოყვარეობამ, შიშველმა პატივმოყვარეობამ!“

ზემოთქმული ზოგს ანეკდოტი ჰგონია, მაგრამ ანეკდოტიც ხომ თავისებურად ასახავს სინამდვილეს.

ერთი ლირიკული პასაჟი მიგვანიშნებს, თუ რაოდენ დიდი წვლილი მიუძღვის ავტობიოგრაფიულ ნაკადს „სავროლას“ შექმნაში. პრემიერის ვაჟი რენდოლფ ჩერჩილი თავის წიგნში „უინსტონ ჩერჩილი“ გარკვეულ ადგილს უთმობს სახელოვანი მამის გამდელს — მისის ევერეტს, რომელიც თავის სიკვდილამდე (1895 წ.), როდესაც უინსტონი უკვე ოცი წლისა იყო, მისი ლხინისა და ჭირის მთავარი მესაიდუმლე ყოფილა.

და აი, როგორი ხელთუქმნელი ძეგლი დაუდგა ჩერჩილმა თავის გამდელს:

სავროლას ფიქრს გაანყვევინებს ოთახში შემოსული ხანდაზმული ქალბატონი ხელში ლანგრიტო. სავროლა უზომოდ ქანცგანყვევტილია, მაგრამ ზრდილობა აიძულებს, რომ ნამოდგეს, მეორე ოთახში გავიდეს, ტანსაცმელი გამოიცვალოს და როცა შემობრუნდება, სუფრა უკვე განყოფილია. მსუბუქ საუბრეს ერთვის რომანის მთავარი გმირის შინაგანი მონოლოგი: გამდელი დაბადებიდანვე უვლიდა სავროლას ისეთი ერთგულებით, რომელსაც არასდროს გასჩენია ბზარი. უცნაურია ამ ქალბატონის სიყვარული, მისდევს ფიქრს სავროლა, მგონი, ეს არის ყველაზე უანგარო სიყვარული ამქვეყნად. დედას უყვარს თავისი შვილი და ეს ბუნებრივია. ჭაბუკს უყვარს თავისი სატრფო, ესეც შეიძლება იოლად აიხსნას. ძალს უყვარს თავისი პატრონი — იგი ხომ აპურებს მას. ადამიანს უყვარს თავისი მეგობარი, გასაჭირში მხარში რომ ამოუდგება. ამქვეყნად ყველაფერს მოეპოვება მიზეზი. მაგრამ გამდელის სიყვარული აბსოლუტურად ირაციონალური არისო, გაცივებით დასკვნის სავროლა, „ალტერ ეგო“ ჩერჩილისა.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი:

ჩერჩილის რომანში უარყოფითი ნიშნები ადამიანური ბუნებისა ხორცშესხმულია სოციალისტთა და კომუნისტთა სახეებში. როგორც ჩანს, სწორედ მაშინ წარმოქმნილა ჩერჩილის ანტიპათია ყველა ჯურის მემარცხენეთა მიმართ, რაც სიცოცხლის ბოლომდე გაჰყოლია. საბჭოთა ბიოგრაფი ჩერჩილისა ვ. ტრუხანოვსკი შენიშნავს, რომ „სავროლა“ ინერებოდა XIX საუკუნის დამლევს და, ალბათ, ამიტომაც სოციალისტთა და კომუნისტთა ლიდერებს გერმანული გვარები აქვთ. ცოტა მოგვიანებით რომ დაენერა, ავტორი თავის საძულველ პერსონაჟებს, რასაკვირველია, რუსული გვარებით დააჯილდოებდაო.

„სავროლას“ სიცოცხლე არ შეწყვეტილა. 1965 წელს, ჩანს, ჩერჩილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ჟურნალ „ინკაუნტერის“ ფურცლებზე დაიბეჭდა ბრაიან მეგის ვრცელი რეცენზია ჩერჩილის პირველსა და უკანასკნელ რომანზე.

რეცენზენტი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „სავროლას“ შეეძლო ეცოცხლა მისი ავტორის გაუთვალისწინებლადაც. იქვე დასძენდა, რომ მოზარდს გაიტაცებს სათავგადასავ-

ლო სიუჟეტი, მაგრამ მოზრდილ ადამიანს გაუჭირდება მისი ამორჩევა წასაკითხად, თუკი რომანის ავტორი უფრო მეტად არ აინტერესებს, ვიდრე თავად წიგნი. ასეა თუ ისე, ლამის სამოცდაათი წლის წინათ გამოცემული რომანი დღეს თითქმის უგულვებელყოფილია მოზრდილი მკითხველის მიერ, რაც ძალზე სამწუხარო არისო.

ბრაიან მეგის აზრით, ეს რომანი მოზარდებისთვის როდია დაწერილი და, ბოლოს და ბოლოს, გარდა იმისა, რომ საუცხოო სათავგადასავლო ამბავს გადმოგვცემს, მასში მიმზიდველად არის გაშუქებული ავტორის ადრინდელი იდეები და მრწამსი, რასაც გემოს გაუტებს მხოლოდ მოზრდილი მკითხველიო.

ბრაიან მეგის მტკიცებით, ნებისმიერი მწერალი, რა თემაც არ უნდა წერდეს, თავის ნაწერში იმაზე მეტად ამყენებს თავს, ვიდრე განზრახული ექნებოდაო. რაგინდოსტატურად შეძლოს შექმნა თავისი გარკვეული იმიჯისა, საკუთარ ჩრდილს ვერ გადაახტებაო.

ბრაიან მეგი გვაუწყებს, რომ ავტორის გაიგივება მისი ნაწარმოების რომელიმე პერსონაჟთან, ჩვეულებრივ, წინდაუხედობაა, მაგრამ „სავროლას“ ყოველ მკითხველს, ვისაც შევხვედრივარ, დარჩენია შთაბეჭდილება ავტორის სრული იდენტიფიკაციისა თავის მთავარ გმირთანო.

რეცენზენტის დაკვირვებით, უამრავი რამ სავროლას შესახებ, დაწყებული ნაკითხული წიგნებით და დამთავრებული იმით, თუ როგორ ამზადებს იგი საჯარო გამოსვლის ტექსტს, ზუსტად ემთხვევა ინფორმაციას ჩერჩილის ბიოგრაფიიდან.

რომანში ვრცლად არის გაშუქებული ჩერჩილის დამოკიდებულება პოლიტიკის, ძალაუფლების, ჯარის ცხოვრების, სიკვდილ-სიცოცხლისა თუ სიყვარულის მიმართ.

სავროლას აქვს იგივე ნიჭი და ნიშან-თვისებანი, რაც ჰქონდა ჩერჩილს; ფიქრობს, რასაც ჩერჩილი ფიქრობდა; აკეთებს იმას, რისი კეთებაც მოეწონებოდა ჩერჩილს.

ჩერჩილის რომანში მისი მეობის აურაცხელი ვინიეტები მიმოფანტულა, განსაკუთრებით — როგორც სამხედრო ლიდერისა. „ამ შეცბუნებისა და ჭოჭმანის სცენაზე იგი დიდებულად გამოიყურებოდა. მისი არსებობა ნდობას უნერგავდა მის მომხრებს“ (თითქოს მეორე მსოფლიო ომის წლებში დაინერაო).

რეცენზენტი ცოცხლად აღწერს იგივეობათა ნაკადს: „ჩვენ ვხედავთ მას, ყოველ დილით სანოლში რომ კითხულობს გაზეთებს, ვიდრე წამოდგებოდეს. ჩვენ ვხედავთ მას, როგორ აწერს მწვავე შენიშვნებს ოფიციალურ ქალაქებზე, მისთვის რომ წარუდგენიათ. ვხედავთ ომის უკიდურესად კრიტიკულ მომენტში, როდესაც სამშობლოს ბედი სასწორზე ძევს, მას კი მშვიდად ჩასთვლემია სავარძელში“.

რეცენზენტის სიტყვით, უზენაესი ნიჭია, რომ სავროლა ანსახიერებს და ახმოვანებს ხალხის ფიქრებსა და ემოციებს (ისევე პარალელი მეორე მსოფლიო ომის დროინდელ ჩერჩილთან): „მათი მბრძანებელი ვარ თუ მონა? მერწმუნეთ, მე არ გამაჩნია ილუზიები“.

XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე რეცენზენტებთან შედარებით ბრაიან მეგის უდიდესი უპირატესობა მოეპოვება — მას ხელისგულზე უდევს მთელი განვლილი ცხოვრება უინსტონ ჩერჩილისა და არ უჭირს პარალელების გაკლება.

ახალგაზრდა ოფიცერს, თავისი პირველი და უკანასკნელი რომანის წერისას, თითქოს ჯადოსნური სარკე დაუდგეს წინ, შეჰყურებს და ხედავს მომავალ ჩერჩილს, ჩასუქე-

ბულს, თმაშეთხლებულსა და დაბრძენებულს. ერთი სიტყვით, სავროლა ხნიერ პრემიერს უფრო წააგავს, ვიდრე ინდოეთში გამწესებულ ახალგაზრდა ინგლისელ ოფიცერს.

დებიუტანტი მწერალმა თითქოს სახელმძღვანელო დაუნერა საკუთარ თავს ანუ მომავალ პოლიტიკოსს, რომელიც სათავეში ჩაუდგება ინგლისის მისი ისტორიის ყველაზე საგანგაშო ფაქსს, როდესაც ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა.

1940 წლის მაისში სამოცდახუთი წლის ჩერჩილმა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის პოსტი დაიკავა. უკვე გიზგიზებდა მეორე მსოფლიო ომის ხანძარი. მთელი ევროპის ბედი ბენეზე ეკიდა.

ჩერჩილი ამბობდა: „ძალაუფლება სხვათა დასაკინებლად და შენთვის ზარ-ზეიმის ასატეხად, უდავოდ, დასაძრახია. მაგრამ ძალაუფლება ნაციონალური კრიზისის ფაქსს, როდესაც დარწმუნებული ხარ საკუთარ ძალებში, როდესაც იცი, რომელი ბრძანებანი უნდა გასცე, ამგვარი ძალაუფლება ნიშნავს ღვთივკურთხეულ ჯილდოს“.

ხოლო უდიდესი განსაცდელისა და გამოცდის წინაშე მდგომ ინგლისელ ხალხს ამქვეყნიურ სამოთხეს როდი შეჰპირებია, არამედ გულახდილად ამცნო: „მე ვერაფერს შემოგთავაზებთ, გარდა შრომისა, ოფლისა, ცრემლისა და სისხლისა“.

როდესაც რომენ როლანი წერდა, ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიას რომელი აუსტერლიცი შეედრებაო, მის სულში მუსიკის ტრფიალი, ჩანს, სძლედა ისტორიის მოყვარულსა და შემფასებელს. ალბათ ანაბანაა, თუკი ვიტყვით, რომ მეცხრე სიმფონიას თავისი ადგილი უჭირავს კაცობრიობის ცხოვრებაში და აუსტერლიცს — თავისი.

აბა, რომელი რომანი შეედრება ჩერჩილის ბობოქარ ბიოგრაფიას?! უკვე ხანდაზმულს, ლიტერატურული დებიუტისგან განსხვავებით, ელოდა არნახული და გაუგონარი ტრიუმფი ომში გამარჯვებისა. ინგლისმა დაკარგა ერთი საშუალო ნიჭის რომანისტი და შეიძინა უნიჭიერესი ლიდერი.

P.S. მწერლად არ იყო დაბადებული, მაგრამ მწერლობის ეშხი და მულამი ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი და სიკვდილამდე გაჰყვა.

უინსტონ ჩერჩილი, სხვათა შორის, ახლოს იცნობდა ინგლისური პოეზიის ამომავალ ვარსკვლავსა და „დაკარგულ ბიჭს“ — რუპერტ ბრუკს, რომელიც დაიღუპა ჩერჩილისათვის უიღბლო პირველ მსოფლიო ომში და ვერ მოესწრო მის ტრიუმფს მეორე მსოფლიო ომში.

1915 წელს სამხედრო-საზღვაო მინისტრი დიდი ბრიტანეთისა ჩერჩილი, გაზეთ „ტაიმის“ ფურცლებზე, ასე ეთხოვებოდა რუპერტ ბრუკს: „მას ჰქონდა ძალზე მკაფიო ხმა, უდროოდ რომ ჩაუნყდა. და დარჩა მარტოდენ ექო და ხსოვნა, რომელსაც დასასრული არ უნერია... ის ელოდა სიკვდილს. ის მზად იყო, რომ მომკვდარიყო თავისი ძვირფასი ინგლისისათვის, რომლის მშვენება და დიდება კარგად იცოდა“.

და ოცდაათი წლის შემდეგ, 1945 წლის თებერვალში, იალტის კონფერენციიდან შინ რომ ბრუნდებოდა თვითმფრინავით, ჩერჩილმა გზად შეუხვია კუნძულ სკიროსზე (ეგეოსის ზღვაში), რათა მოენახულებინა რუპერტ ბრუკის საფლავი (ამისთვის სცხელოდა?!).

ჩერჩილმა, რომელსაც ზეპირად ახსოვდა ინგლისელ მეფეთა მონოლოგები შექსპირიდან, კარგად იცოდა ფასი მწერლობისა, ნებისმიერი ცივილიზებული, ნორმალური ქვეყნის მშვენებად და სიამაყედ რომ ითვლება.

სიტყვას მოჰყვა და ბარემ შეგახსენებთ ილია ჭავჭავაძის ნათქვამსაც: „როცა ადამიანს სურს შეიტყოს ღირსება და დიდება ერისა, ყოვლთ უწინარეს ამას იკითხავს, — რამდენი მთქმელი და მწერალი ჰყავსო. ღირსებას და სიდიადეს ერისას მარტო ამ საწყაოთი სწყავს ადამიანი“.

მართალია თუ მტყუანი ავტორი ამ ტექსტისა, ეს ღმერთმა განსაჯოს, მაგრამ, როგორც ქართული ანდაზა ბრძანებს, კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო.

ნინო ჯაველიძე

მახელონ-მაკრონთა ტომის საკითხის შესწავლისათვის

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული აზრის თანახმად, ბერძნულ-ლათინური წყაროების ტერმინები „მახელონი“ („მახორონი“) და „მაკრონი“ („მაკერონი“) ერთი და იმავე ქართველი ტომის სახელწოდებებია. ამასთან, აღნიშნულია ისიც, რომ სახელი „მაკრონი“ ძლიერ ემსგავსება „მეგრელი“-ს თავდაპირველ ფორმა „მაგრალ“-ს და ამ უკანასკნელის ეკვივალენტი უნდა იყოს, რომელიც ჭანური „ონ“ სუფიქსითაა ნაწარმოები. მახელონ-მაკრონთა ეთნიკური იგივეობის, ისტორიული განსახლების ქრონოლოგიის შესწავლას მკვლევარმა მ. ინაძემ რამდენიმე ათეული წლის წინათ ცალკე სტატია მიუძღვნა, სადაც გაანალიზებულია წყაროთა მონაცემები და საკითხის შესახებ არაერთი თვალსაზრისია მიმოხილული. თუმცა იმის გამო, რომ ხსენებული ტომის თაობაზე არსებული ყველა ცნობა ჯერ კიდევ სრულად არ არის გათვალისწინებული და, ვფიქრობთ, არც საკითხია საბოლოოდ შესწავლილი, საჭიროდ მიგვაჩნია ამ თემას კვლავაც მივუბრუნდეთ.

მ. ინაძე თავის სტატიაში აღნიშნავს, რომ „მახელონები“ პირველად ფლავიუს არიანესთან (ახ. II ს.) არიან დადასტურებულნი, რომლებიც ჰენიოხებთან ერთად მდ. ოფისსა და მდ. არქაბეს შორის, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირო ადგილებში ცხოვრობდნენ. მისივე თქმით, არიანეს „მახელონები“ და პლინიუს უფროსის (ახ. I ს.) „მახორონები“ ერთი და იგივე ტომებია, რაც ჯერ კიდევ ვლმ-ს კომენტატორებს ჰქონიათ აღნიშნული. ამას გარდა, ავტორი ეთანხმება ჰერშერის, ვ. ლატიშევისა და ს. ჯანაშიას აზრს იმის შესახებ, რომ მახელონები იგივე მაკრონებია, რომლებიც ასევე შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროსთან ბინადრობდნენ. თავის მხრივ მ. ინაძე პლინიუს უფროსის ცნობის საფუძველზე ასკვნის, რომ მახელონ-მაკრონები არა მხოლოდ ქ. ტრაპეზუნტის მახლობლად, არამედ უფრო ზემოთ, მდ. ოფისსა და მდ. აბსაროსის შორის სახლობდნენ და, რაც მთავარია, მათი ბინადრობა უკვე ძვ. წ. VI ს-დან არის სავარაუდებელი [1]. ამრიგად, მკვლევარის აზრით, მახელონ-მაკრონები

სხვა ქართველ ტომებთან ერთად ქ. ტრაპეზუნტსა და მდ. ჭოროხს შორის განთავსებულ არეალში ცხოვრობდნენ და სამხრეთელ ტომად არიან მიჩნეულნი.

ჩვენს ხელთ არსებულ წყაროებს თუკი გადავხედავთ, დავინახავთ, რომ მათი ავტორები უმეტესწილად მართლაც პონტოს ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირო მიწებზე მოსახლე მახელონ-მაკრონებს ახსენებენ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მახელონ-მაკრონთა სამკვიდრო ადგილებს სხვაგანაც უთითებს. მაგრამ, სანამ საკითხის განხილვას შევუდგებოდეთ, უპირველესად გვსურს აღვნიშნოთ, რომ ბერძენი ავტორებისთვის „მაკრონები“ იგივე „სანნები“ და ისინი ამ ორი სახელის ტომებს ერთმანეთთან აიგივებენ. მეტიც შეიძლება ითქვას, ზოგიერთისთვის „სანნები“ და „სანნიგებიც“ ერთი და იგივე ტომია. ასე მაგ.: სტრაბონის (ძვ. I ს. — ახ. I ს.) თანახმად, „ტრაპეზუნტის და ფარნაკიის ზევით ცხოვრობენ... სანნები, რომელთაც ადრე მაკრონებს ეძახდნენ“. [II, 158]. ამასვე იმეორებს თავის ნაშრომში სტეფანე ბიზანტიელიც [III, 158]. მეორე მხრივ, იპოლიტე პორტელი (ახ. III ს.) „ნარმომაველობის წიგნში“ სანებს სანნიგებთან აიგივებს, რომლებიც „განფენილნი არიან პონტომდე, სადაც არს აფსარის გასასვლელი, სებასტოპოლი, ისულიმანის ყურე და მდ. ფაზისი“ [IV, 447]. ასეთივე აზრი აქვს გამოთქმული ევსევი კესარიელსაც (ახ. III-IV სს.), რომელიც წერს: „სანნები იგივე სანნიგები ვრცელდებიან პონტომდე, სადაც არის ბანაკი აფსაროსი, სებასტოპოლისი (კაუსილიმანი) და მდ. ფაზისი“ [V, 32].

უძველესი ხანის მაკრონთა ამსახველი ცნობა „არგონავტიკის“ თქმულებამ შემოგვინახა, ძვ. წ. XIII-XII ს.ს.-ით დათარიღებულ მოვლენებს რომ მოიცავს. მასში ფილირებისა და ბეხიერების გვერდით მაკრონებიც არიან ნახსენები [VI, 413-16]. ძველბერძენ ავტორთაგან მაკრონთა ტომი პირველად ჰესიოდეს (ძვ. VIII-VII ს.ს.) სკოლის ერთ-ერთმა პოეტმა მოიხსენია პოემაში „ქალთა კატალოგი“ [VII, 126]. მაკრონებს ჰეკატე მილეთელიც (ძვ. VI ს.) ახსენებს თავის „აზია“-ში [II, 3]. ჰეროდოტეს (ძვ. V ს.) თქმით, ისინი სირიელების მეზობლად ცხოვრობენ [II, 9,57]. ჰეროდორე ჰერაკლელის (ძვ. V-IV ს.ს.) თანახმად მაკრონები ბეხიერთა ტომისანი იყვნენ და დოლიონების სიახლოვეს ცხოვრობდნენ [VIII]. ფსევდო-სკილაქს კარიანდელი (ძვ. IV ს.) მაკრონებს „მაკროკეფალებს“ სახელით მოიხსენიებს, რომელნიც ნავსადგურ ფსორონთან და ქ. ტრაპეზუნტთან, ბეხიერებისა და მოსინიკების შორის სახლობდნენ [II, 86]. შკვითინების მეზობლად ასახელებს მაკრონებს ქსენოფონტი (ძვ. V-IV ს.ს.) და შენიშნავს, რომ მათ მიწებს ერთმანეთისგან მდინარე ჰყოფდა [II, 74-5]. მაკრონთა წეს-ჩვეულებებს, სამხედრო გამოცდილებასა და ბრძოლისუნარიანობას აღწერენ ეფორე (ძვ. IV ს.), ნიმფოდორე, ფილოსტეფანე და სხვ. [VI, 425-6]. ხოლო პალაიფატე აბიდოსელი (ძვ. IV ს.) თავის თხზულებაში „ტროიკა“ ამბობს, რომ „მაკროკეფალები“ ე.წ. ლიბიაში, კოლხების ზემოთ ცხოვრობდნენ“ [VI, 388]. მაკრონების და კოლხების საცხოვრისებს ერთმანეთის მეზობლად ახსენებს დიოდორე სიცილიელიც (ძვ. II ს.), ვინც ქსენოფონტის მონაყოლს იმონებს [VI, 471]. ხსენებული ბერძენი ავტორები მაკრონებს ხან ბეხიერების, ხან დოლიონების, ხან მოსინიკების, ხან შკვითინების და ხანაც კოლხების მეზობლად ასახელებენ, მაგრამ მთავარი ისაა, რომ

ამ წყაროებში მაკრონთა საცხოვრისი ყოველთვის შავი ზღვის სამხრეთით არის მითითებული.

შემდგომი საუკუნეების ავტორთაგან (სტრაბონი, დიონისე პერიეგეტი (ძვ. I — ახ. I ს.ს.), პლინიუს უფროსი, მენიპე პერგამონელი, პომპონიუს მელა, ვალერიუს ფლაკუსი (I ს.), დიონ კასიუსი, არიანე (II ს.), ამიანე მარცელინე, ავიენუსი (IV ს.), პრისციანუსი (IV-V ს.ს.), ანონიმი ავტორი (V ს.) და სხვ.), რომლებიც მაკრონებს იცნობენ, გვსურს ცალკე გამოვყოთ სტრაბონის, მენიპეს, პლინიუს უფროსის და კლავდიოს პტოლემეოსის ცნობები, რადგანაც ისინი მახელონ-მაკრონთა ტომების სამკვიდრო ადგილებს არა მხოლოდ ეგრისის სამხრეთში, არამედ უფრო ჩრდილოეთითაც უთითებენ.



მაკრონთა მკვიდრობა ეგრისის შიდა მიწებზე, უპირველესად პლინიუს უფროსის ნაამბობით წარმოჩინდება. იგი სხვადასხვა საუკუნეებში შექმნილ ნაშრომებს ყურდობოდა და ამიტომ მაკრონთა ტომს რამდენიმე სახელით მოიხსენიებს. სამხრეთელ მაკრონებს ავტორი უწოდებს გრძელთავიანებს (მაკროკეფალები), მახორონებს, სანებს და მაკრონებს. სანებად მოიხსენიებს პლინიუსი ეგრისის სამეფოს ცენტრალურ ადგილებში მოსახლე მაკრონთა ტომსაც: „მდ. ქარიენტი, სალტიების ხალხი, მათ ძველები გირჩიჭამიებს ეძახდნენ და სხვა ხალხი — სანნები“ [IX, 179]. სანები რომ იგივე მაკრონთა ტომია, ამის შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, პლინიუსთან ისინი სალტიების, იგივე ფთიროფაგების შემდეგ მკვიდრობენ, რომლებიც, თავის მხრივ, მდ. ქარიენტის (ხობის) მერე არიან დასახლებულნი. ფთიროფაგების ტომთა ერთი ნაწილი, ცნობილია, ეგრისის სამეფოს შიდა მიწებზე ცხოვრობდა, რასაც პლინიუსის ხსენებული ცნობაც ადასტურებს. ასე რომ, აქ სანები (იგივე მაკრონები) ცენტრალური ეგრისის ზემო ნაწილში ჩანან დასახლებულნი. ამასთან დაკავშირებით შეგვიძლია კლავდიოს პტოლემეოსის (II ს.) „გეოგრაფიულ აღწერაში“ დაცული ერთი ცნობაც მოვიხილოთ. კერძოდ, თხზულების IX თავში, „კოლხიდის მდებარეობას“ რომ ეძღვნება, ვკითხულობთ: „კოლხიდის სანაპირო ნაწილში სახლობენ ლაზები, ზემოთ მდებარე ადგილებში — მანრალები და ხალხები, რომლებიც ეკრიკტიკეს ქვეყანაში ცხოვრობენ“ [III, 241]. ბერძენი გეოგრაფი მანრალებს ასახელებს ლაზების „ზემოთ მდებარე ადგილებში“ — ეგრისის ცენტრალურ რაიონში. ცხადია, სახელი „მანრალი“ „მაგრალი“-ს სახეცვლილი ვარიანტია და პტოლემე ბერძენთაგან პირველი ავტორი ჩანს, ვინც სახელწოდებას ამ ფორმით ახსენებს. აქვე, თუკი გავიხსენებთ, რომ ქართველი მკვლევარები სიტყვებს „მაკრონი“ და „მაგრალი“ ერთი და იგივე ტომის აღმნიშვნელ ტერმინებად მიიჩნევენ, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ კლ. პტო-

ლემაიოსი ეგრისის სამეფოს შიდა მიწებზე მაკრონთა ტომს უთითებს.

ერთი სიტყვით, პლინიუს უფროსისა და კლავდიოს პტოლემეაიოსის თანახმად ჩანს, რომ მაკრონები ეგრისის სამეფოს შიდა მიწებზეც ბინადრობდნენ.

მაკრონების მკვიდრობა ეგრისის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილშიც დასტურდება. ამის ამსახველ წყაროთა შორის ერთობ ღირებულთა სტრაბონის თხზულება. მაკრონთა თაობაზე მისი სხვადასხვაგვარი ცნობებიდან საგულსხმო ის გახლავთ, რომ იგი ხსენებული ტომის მსგავსი სახელწოდების ხალხს ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ სექტორში ასახელებს: „ზღვასთან მდებარეობს ბოსფორის საზღვრის აზიური ნაწილი და სინდიკა, მათ შემდეგ კი ცხოვრობენ აქეები, ზიგები, ჰენიოხები, კერკეტები და მაკროპოგონები (გრძელწვერიანები). მათ ზემოთ მდებარეობს გირჩიჭამიათა საბინადროები“ [II, 130]. ჩვენი აზრით, სტრაბონის მაკროპოგონები, ისევე, როგორც სხვა ავტორების მაკროკეფალები, რომლებსაც ისინი მახელონ-მაკრონთა აღსანიშნავად იყენებენ, მაკრონებს უნდა ნიშნავდეს. ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს, ჯერ ერთი, ამ ტერმინების მსგავსი შემადგენელი ნაწილის არსებობა, და მეორეც, ამ თვალსაზრისის სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ სტრაბონის მიერ ლოკალიზებულ მაკროპოგონთა საბინადრო სივრცეში სხვა ავტორები მაკრონთა ტომს განათავსებენ, ანუ გეოგრაფიულადაც მაკროპოგონებისა და მაქელონ-მაკრონების საბინადროები ერთმანეთს ემთხვევა. თვალსაჩინოებისთვის, უპირველესად მენიპე პერგამონელის ცნობას მოვიხმობთ: „ძველი აქაიიდან“ ვიდრე „ძველ ლაზიკამდე“ და შემდეგ წინათ ცხოვრობდნენ ტომები, რომელთაც ენოდებოდათ ჰენიოხები, მელანქლენები, მაქელონები, კოლხები და ლაზები, ამჟამად კი ცხოვრობენ ჯიქები“ [X, 11; XIII, 232]. როგორც ზემოთ დავინახეთ, სტრაბონი მაკროპოგონებს სხვა ტომებთან ერთად სინდიკადან სამხრეთისკენ, სანაპიროს გაყოფებით ასახელებს. მენიპე პერგამონელი მაქელონებს „ძვ. აქაიიდან ძვ. ლაზიკამდე და შემდეგ“ მდებარე სივრცეში მიუჩენს ადგილს, რაც სანაპიროზე სინდიკას შემდგომი მონაცვეთია. ცხადია, რომ მაკროპოგონები და მაქელონები (მაკრონები) დაახლოებით ერთსა და იმავე ადგილას იგულისხმებიან, ეს კი, თავის მხრივ, ამ ტომების მსგავს სახელწოდებებთან ერთად მათ იგივეობას მეტყველებს. ეგრისის ჩრდილო-დასავლეთით მცხოვრებ მაკრონთა ტომს უნდა უკავშირდებოდეს აგრეთვე პლინიუს უფროსის „ბუნების ისტორიაში“ დაცული ერთი ცნობა, რომელიც ასეთი შინაარსისაა: „იგი (ქ. ჰერაკლეა) სებასტოპოლისიდან 70.000 ნაბიჯზეა. აქ ცხოვრობენ აქელები, მარდები, კერკეტები, მათ იქით — სერები, კეფალოტომები, ამ სივრცის შიგნით უმდიდრესი ქალაქია პიტინტი, რომელიც ჰენიოხებმა გაძარცვეს“ [IX, 179]. როგორც ვხედავთ, კეფალოტომები და სხვა ტომები ჰერაკლეს „იქით“ არიან მოხსენიებული და იქვე „შიგნით“ ქ. პიტინტიც სახელდება. ჰერაკლეს და პიტინტს შორის მდებარე ეს სივრცე სტრაბონისეული მაკროპოგონებისა და მენიპეს მიერ ნახსენები მაქელონების საბინადროების სიახლოვესაა ჩრდილოეთის მხრიდან. ამიტომ, ვფიქრობთ, პლინიუს უფროსის მიერ ეგრისის ჩრდილო-დასავლეთ იმიერ ნაწილში აღნიშნული კეფალო-

ტომებიც იგივე მაკრონები არიან, რომელთაც სტრაბონი მაკროპოგონებს, მენიპე პერგამონელი კი მაქელონებს ეძახის. ერთი სიტყვით, ჩვენი აზრით, სამივე ავტორის მიერ ნახსენები ტომები მაკრონები ჩანან და ისინი ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ. სტრაბონი მაკროპოგონებს პუნქტ სინდიკადან სამხრეთით, სანაპიროს გაყოფებაზე უთითებს. მენიპე პერგამონელი მაქელონების მკვიდრობას „ძვ. აქაიიდან ძვ. ლაზიკამდე და შემდეგ“ ასახელებს, რაც სინდიკას მომდევნო სანაპირო მონაცვეთია, ხოლო პლინიუს უფროსი კეფალოტომებს ქ. ჰერაკლეს „იქით“ ახსენებს, რომელი ადგილიც „ძვ. ლაზიკას“ კავკასიონის მხრიდან ემიჯნება.

ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მაკრონთა ტომები ეგრისის სამეფოს სხვადასხვა ნაწილში ბინადრობდნენ და მათი სამკვიდრო ადგილები ეგრისის შიდა ტერიტორიასა და მის ჩრდილო-დასავლეთ რაიონშიც არის დადასტურებული.

მოგვიანო საუკუნეების წყაროთა მონაცემებიდან ასევე ირკვევა, რომ მაკრონები კავკასიონის დასავლეთი კალთების იმიერ მიწებზე ცხოვრობდნენ. VII ს-ის „სომხური გეოგრაფიის“ ძირითად ტექსტსა და ე.წ. „ახალ სიაშიც“ მაკრონები („მარგოლების“ სახეცვლილი ფორმით) იმ 53 დასახელების ხალხს შორის არიან ჩამოთვლილი, რომლებიც კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ მხარეს ცხოვრობენ [XI, 37, 28]. „მეგრელთა“ ტომი ჩრდილოკავკასიონის დასავლეთ ნაწილში ნახსენები ჰყავს XV ს-ის ბიზანტიელ ავტორს ლაონიკე ხალკოკონდილესაც. იგი მათ „ბოსფორის მხარის მეზობლად“, ჩერქეზებთან ერთად ახსენებს [XII, 105]. ამდენად, ადრეული და გვიანი შუასაუკუნეების უცხოური წყაროები ადასტურებენ გვიანანტიკური ხანის ავტორთა ცნობებს იმის თაობაზე, რომ მაკრონთა ტომები ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ სექტორში მკვიდრობდნენ, რაც კავკასიონის დასავლეთი კალთების იმიერ და იმიერ მიწებს მოიცავდა.

მაკრონთა ტომის თაობაზე მსჯელობის დასასრულს გვსურს კიდევ ორი წყარო მოვიხმოთ. ესაა ლუკიანე სამოსატელის (II ს.) „ტოქსარისი და მეგობრობა“ და კლავდიუს ელიანუსის (II-III ს.ს.) ერთი შრომა, რომლის ნაწყვეტი „სვიდას ლექსიკონშია“ მოთავსებული. ორივე ნაწარმოებში დასახელებული არიან მახლიები, რომელთა საცხოვრისი ადგილები მეოტიდის ტბასთანაა მითითებული. მ.წ.მ.— თარგმანის კომენტარში მახლიების ტომი მახლონებთან არიან დაკავშირებულნი, თუმცა მკვლევარ მ. ინაძის აზრით, ეს შეცდომაა, რადგანაც: 1) მახლიებით აღნიშნავდნენ სულ სხვა, ჩრდილო აფრიკაში მოსახლე ლიბიურ ტომს და 2) მახლიების და მახლონების საცხოვრებლები გეოგრაფიულად არ ემთხვევა ერთმანეთს, რადგანაც მახლიები სავარაუდებელი არიან მეოტიდის ტბასთან, ხოლო მახლონ-მაკრონები, მკვლევარის აზრით, მხოლოდ პონტოს ზღვის სამხრეთით მოსახლეობდნენ. ჩვენი აზრით, მახლონ-მაკრონების შესახებ ზემო-მოხმობილი ცნობები, რომლებიც მათ განსახლებას ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში უთითებენ, იმის საფუძველს იძლევა, რომ ხსენებული თვალსაზრისი გადაიხედოს და მახლიებისა და მახლონ-მაკრონების იგივეობის საკითხი განვიხილოთ.

ცნობილია, რომ ბერძნულ-რომაულ სამყაროში სხვადასხვა ტომის აღსანიშნავად ხშირად ერთსა და იმავე სახელწოდებას იყენებდნენ. თვალსაჩინოებისთვის დასახელებულია საბერძნეთის აქაიები და შავი ზღვისპირეთის აქაიები, ალბანიის მთის მცხოვრებლები, კავკასიის ალბანელები და თესალიის ალბანელები, პირინეის იბერები და კავკასიის იბერები და მისთ. მსგავსად ამ ხალხებისა სპეციალურ ლიტერატურაში აფრიკული და მეოტიდის მახლიელებიც ორ სხვადასხვა ხალხადაა მიჩნეული [XIII, 14]. აქედან გამომდინარე, მახლიებისა და მახელონების (მაკრონების) ერთმანეთთან გაიგივების ხელისშემშლელი ფაქტორი, ამ მხრივ, ვფიქრობთ, არ არსებობს. ამას გარდა, მახელონ-მაკრონები და მახლიები დასახელებების ადგილმდებარეობითა და თავად ტერმინების აგებულებითაც ერთმანეთის მსგავსი ცნებები ჩანან. გავიხსენოთ, მახლიების სამეკიდრო ადგილებს ლუკიანე როგორ აღწერს: ბოსფორის სამეფოში მყოფმა მახლიელმა სასიძო ადიმარხოსმა პატარძალი მეოტიდის ქვეყნისკენ, მახლიებთან წაიყვანა. ამის შემდეგ მისი მეტოქე სასიძოს ერთი მეგობარი ჩადის მახლიებთან და ბოსფორელი პატარძალი უკან მიყავს, ოღონდ არა მეოტიდის სანაპიროს მიმართულებით, არამედ მან შიდა მიწებისკენ გასწავს, „მიტრეის მთები“ მარჯვნივ მოიტოვა და მახლიების ქვეყნიდან მესამე დღეს სკვითეთში ჩააღწია. დადევნებული მახლიელი ადიმარხოსი გადალახავს მთებს და ასევე სკვითეთში შეიჭრება [VI, 560-1]. მეორე ავტორის, კლ. ელიანუსის თანახმად, ვინმე ვაჭარ დიონისეს, რომელიც „მეოტიდის იქითაც ასულა“, უყვია ერთი კოლხი გოგო, ვინც „იქაურ ბარბაროს“ მახლიებს მოტაცებული ჰყოლიათ [XIV, 324]. ერთი სიტყვით, ორივე წყაროში მახლიების ტომი იმიერ მიწებზე, მეოტიდის ტბასთან და სკვითეთის სამხრეთითაა საგულვებელი. თუკი მახლიების სამოსახლო ადგილებს შევადარებთ კავკასიონის დასავლეთი კალთების „პირიქითა“ მიწებზე მცხოვრებ მახელონ-მაკრონების ადგილსამყოფელს, მაშინ დავინახავთ, რომ ეს ტერიტორიები ძალზე ახლოსაა ერთმანეთთან. აქედან ჩანს, რომ მახლიებისა და მახელონ-მაკრონების საცხოვრისები გეოგრაფიულად ერთსა და იგივე სივრცეში თავსდება. რაც შეეხება ამ ორი ტერმინის გარეგნულ მსგავსებას, ეს ჯერ კიდევ ვლმ-ს თარგმანის კომენტატორებს აღუნიშნავთ და, ჩვენი აზრითაც, მახლიენ-მახელონის სახელების ფორმალური იგივეობა იმის მაუწყებელია, რომ სახელწოდებას „მაგრალი“ უცხოელი ავტორები სახეცვლილი ფორმებით (მაკრონი, მაკრონი, მანრალი, მარგოლი, მახორონი, მახელონი, მახლიენი) წარმოთქვამდნენ. ვფიქრობთ, მახლიები სახელის ფორმალური მსგავსების გამოც შეიძლება მაკრონ-მახელონებთან გავაიგივოთ. ერთი სიტყვით, ზემოთ მსჯელობას მივყავართ დასკვნამდე, რომ მახლიების სახელით წყაროებში იგივე მახელონები უნდა იგულისხმებოდნენ, რომლებიც ეგრისის სამეფოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში — კავკასიონის წვერისა და მდ. ყუბანის შესართავის სიახლოვეს ძველთაგანვე მკვიდრობდნენ.

ამრიგად, მახელონ-მაკრონთა თაობაზე დღემდე არსებული თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც ეს ტომი შავი ზღვის სამხრეთ—აღმოსავლეთ სანაპიროსთან მოსახლე ხალხად მოიაზრებოდა, ვფიქრობთ, გადახედვას საჭიროებს. სტატიაში განხილულ წყაროთა მიხედვით წარმო-

ჩინდება, რომ გვიანანტიკური ხანიდან მოყოლებული, მახელონ-მაკრონები მკვიდრობდნენ არა მხოლოდ ეგრისის სამეფოს სამხრეთ ნაწილში, არამედ მათი საცხოვრისები არსებობდა სამეფოს შიდა მიწებზე და მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, აწინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე. აქ მახელონ-მაკრონები ბინადრობდნენ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს ერთ მონაკვეთზე, დაახლოვებით „ძვ. ლაზიკას“ შემოგარენში და მის მომიჯნავე იმიერ მიწაზე. ამას გარდა, მაკრონთა ტომით ჩანს დასახლებული კავკასიონის ქედის დაბოლოვებასა და მდ. ყუბანის შესართავს შორის მოქცეული ადგილებიც. ამდენად, მახელონ-მაკრონთა ტომები, რომლებსაც სხვადასხვა საუკუნეების ავტორები არაერთი სახეცვლილი ტერმინით მოიხსენიებენ, ეგრისის სამეფოს მთელ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, დაწყებული შავი ზღვის სამხრეთით მდებარე მიწებიდან, შემდეგ სამეფოს შიდა ადგილებში და ბოლოს კავკასიონის ქედის ამიერ თუ იმიერ მიწებზე, ქვეყნის ისტორიული საზღვრის ფარგლებში რომ იყო მოქცეული.

წინამდებარე სტატიას ლირიკული წიაღსვლით დავასრულებთ. ანტიკური ხანის ავტორი, „არგონავტების“ თქმულების ჩამწერი აპოლონიოს როდოსელი ეგრისის სამხრეთში მოსახლე მაკრონთა ტომს ახსენებს და მათ „პელაზგური ლაშქრის მაკრისელ ვაჟკაცებს“ უწოდებს. უახლესი ხანის ფრანგი მკვლევარი ი. მორგანი კი ჩრდილოეთ ეგრისში მცხოვრებ მაკრონებს ახასიათებს, როგორც „კავკასიაში უძლევამოსილეს და ულამაზეს ხალხს, რომელიც პონტოს ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ცხოვრობდა“.

„ეგრისის ანუ აფხაზეთის ანუ იმერეთის“ სამეფოს ვრცელ მიწა-წყალზე განსახლებულმა მაკრონებმა ჟამთაველისას სხვა ქართველ ტომებთან ერთად ქართველი ერი ჩამოაყალიბეს. მათმა სახელმა საუკუნეებს გაუძლო და ჩვენ ეროვნულ სულს ციაგი მანაც შეჰმატა.

ლიტერატურა

- I. მ. იანძე, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ტომთა ისტორიისათვის (მახელონები), ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვ. 2, 1959.
- II. Латышев В.В., Известия древних писателей о Скифии и Кавказе, т. I, вып.1, С-Пб., 1893.
- III. გეორგიკა, ტ. III, თბილისი, 1936.
- IV. Латышев В.В., Известия. . . , т. II, вып. 2, 1906.
- V. გეორგიკა, ტ. I, თბილისი, 1961.
- VI. Латышев В.В., Известия. . . , т. I, вып. 2, 1896.
- VII. აკ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბილისი, 1964.
- VIII. ნ. ლომოური, ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისთვის, თბილისი, 1963, ნაკვ. 35.
- IX. Латышев В.В., Известия. . . , т. II, вып. 1, 1904.
- X. გეორგიკა, ტ. II, თბილისი, 1965.
- XI. Армянская География VII века по Р.Х., изд. К.П. Патканов, С-Пб., 1877. ЖМНП, март, 1883, ч. ССХХVI.
- XII. გეორგიკა, ტ. VIII, თბილისი, 1970.
- XIII. გრ. ვიორგაძე, ხეთური ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) ტომთა ეთნიკური წარმომავლობისთვის, „არტანუჯი“, თბილისი, 2000.
- XIV. გეორგიკა, ნაკვ. IV, ნიგნი 2, თბილისი, 1952.

გია არგანაშვილი

მოსწავლის ჩინით



— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

- როცა სირცხვილი მოვა და სიკვდილს მოგანატრებს.
- სად ისურვებდით ცხოვრებას?
- ნუცუბიძის ფერდობზე, მეოთხე მიკრორაიონში...
- რა არის უმაღლესი ბედნიერება?
- უსახელო დიდება.
- თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?
- პექტორი, დონ კისოტი, გულივერი, ჯოყოლა, ვანო და ნიკო, ჩომბახა პაპა.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— ნიკოლოზ ბარათაშვილის სოლომონ ლიონიძე, აკაკი წერეთლის თორნიკე ერისთავი, ილია ჭავჭავაძის დიმიტრი თავდადებული.

- თქვენი საყვარელი მხატვარი?
- დავით კაკაბაძე, ირაკლი ფარჯიანი.
- თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?
- რევაზ ლალიძე, ნინო როტა.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?
- სულგრძელობას, სიმშვიდეს.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?
- ერთგულება, სათნოება, გონიერება.
- რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

- რწმენა, სიყვარული, სასოება.
- თქვენი საყვარელი საქმიანობა?
- მოგზაურობა მიყვარს, მაგრამ ვერ ვახერხებ.
- თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— ასეთ ადამიანად უფრო ზოგად სახეს ვხედავ. ერთის შრომისმოყვარეობა, მეორის სიმშვიდე, მესამის გონიერება...

- თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?
- მიჭირს გამორჩევა. ცუდად ვიცილობ საკუთარ თავს.
- რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?
- თანაგრძნობის უნარს.
- თქვენი მთავარი ნაკლი?
- ბევრი ნაკლი მაქვს, ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს...
- თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?
- ბედნიერება მდგომარეობათა მონაცვლეობაა.
- რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?
- უიმედობა.
- როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?
- უკეთესი, ვიდრე ვარ.
- თქვენი საყვარელი ფერი?
- ყველაფერი მიყვარს.
- ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?
- თეთრი გვირილა, იასამანი.
- თქვენი საყვარელი ფრინველი?
- ბედელურა-ბედურა.
- თქვენი საყვარელი მწერალი?
- მიგელ დე სერვანტესი, ჯონათან სვიფტი, ვიქტორ

პიუგო, ანტონ ჩეხოვი, ალექსანდრე ყაზბეგი, დავით კლდიაშვილი, ჩინგიზ ათმათოვი, ხორხე ლუის ბორხესი, ოთარ ჩხეიძე, გურამ რჩეულიშვილი, ერლომ ახვლედიანი.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

- გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

- პენელოპე, ალაზა.
- საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?
- ნერსე ერისთავი, იოთამ ზედგენიძე, ზაად ერისთავი.
- საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?
- ნინო, თამარი და ქეთევანი.
- საყვარელი სახელი?
- თომა, მათე, გაბრიელი.
- რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?
- ქალების ჩხუბს.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზილი დაიმსახურა.

— ზიზლს არ ვგრძნობ, მაგრამ სტატუს-ინსპექტორი გიორგი კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი არ მიყვარს.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტეკლები ალტაცებისა?

— ის ბრძოლა ნაკლებად ცნობილია. როდესაც ქეთევან დედოფალი კახეთის უფლისწულ დავითზე გაათხოვეს, მუხრანიდან კახეთისკენ მიმავალ მაყრებს, ლეკთა მრავალრიცხოვანი რაზმი დაესხა თავს. წარმოდგენაც კი მიჭირს, რას ჩაიდენდნენ ღვინით შეზარხოშებული, თავმომხონე, ქართლ-კახეთის რჩეული ჭაბუკები, რომ ამოთან მუხრანბატონის უღამაზესი ქალის ქება დამსახურებინათ...

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— რეფორმა, რომლის ფარგლებშიც ფარნავაზმა განავრცო ენა ქართული და არ-ლა-რა იზრახებოდა სხვა ენა ქართლში ქართულის გარდა.

— ნიჭი, რომელსაც გინდაც ფლობდეთ?

— ნიჭი, რომლის აღმოჩენაც ცხოვრების მიზნად იქცევა.

— როგორ გინდოდათ რომ მომკვდარიყავით?

— ლოგინში. სიბერისგან მოუძღურებული, საღი გონებით.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— განონასწორებული.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— უნებლიე შეცდომა.

— თქვენი დევიზი?

— „მოსული ვარ მოსწავლის ჩინით და ვეძებ მასწავლებელს“.

— თუკი ოდესმე შეხვდებით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— შეგენდოს ცოდვანი ნებსითი თუ უნებლიეთი.

ალარ იწერება ასეთი მოთხრობები — სტიქიურად წრფელი, უშუალო, ნაივური. ერთ დროს პოპულარული მოტივი მიივიწყა მწერლობამ, დრომ, ალბათ მკითხველმაც.

რა მოტივზეა ლაპარაკი?

ეს არის ყმაწვილი და საზოგადოება, გზის დასაწყისი, გამოღვიძება, თვალის ახელა თუ რაღაც მსგავსი თემა, რასაც საბავშვო ლიტერატურის ნაწილად მიიჩნევენ, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ასეთი რამეები დიდებისთვის უფრო იწერება.

ამ მოთხრობაში სხვა დეტალიც იქცევა ყურადღებას. კერძოდ, ის, თუ რა საინტერესოდ ვლინდება ქართული პროზის ფსიქოლოგიური არქეტიპი. დავით კიკნაძე, მინაგანი განწყობით, პირდაპირი მემკვიდრეა ქართული საყმაწვილო ლიტერატურის იმ ნაკადისა, რომლის სახასიათო წარმომადგენლად ედიშერ ყიფიანს მივიჩნევთ. უცნაური კიდეც ის არის, რომ ნაწარმოებს გავლენის კვალი არ ეტყობა, ყოველ შემთხვევაში, ავტორი არ ცდილობს წინამორბედებს მიბაძოს ან მათგან წამოიღოს ისეთი რამ, რაც „მაშველ რგოლად“ გამოადგებოდა. წერს თავისთვის, თავის ნებაზე და, მიუხედავად ამისა, ვლემულობთ ტიპოლოგიურ პარალელს. მსგავსების მიზეზად, რა თქმა უნდა, ქართული ხასიათი და მისი სტერეოტიპები უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ ანგარიში უნდა გავუწიოთ ავტორსაც, მის ალღოს, უნარს, ოსტატობას.

დავით კიკნაძე ლიტერატურაში ცხოვრების შუაგულიდან მოვიდა. კარგად იცნობს ადამიანის ბუნებას, თავის თავზე აქვს გამოცდილი ყოფიერების ამაოებანი, უშუალოდ განუცდია სიკეთისა და ბოროტების, სიყვარულისა და სიძულვილის საბედისწერო ბრძოლა და იცის, რა არის საჭირო იმისათვის, რომ ადამიანი დაინახო შიგნიდან, შინაყოფიერებდან, შინა-არსიდან.

დავით კიკნაძე

ლურჯი მელანი

I თაპი

დაუღლებელი და მოქნილი ცამეტი-თოთხმეტი წლის ბიჭები, გამარჯვების იტაზე მოსულები, თავდავიწყებით თამაშობდნენ ფეხბურთს. შეუსვენებლად დარბოდნენ სტადიონად მიჩნეულ ოღროჩოღრო მინდორსა და ფერდობზე ისე, როგორც ვაკეზე. აზარტით დასდევდნენ ბურთს, მაღლა გორავდა თუ დაბლა.

— ბათო! — გაისმა ხმა და არცერთ ბიჭს არ გაუხედავს ღელის მეორე მხარეს, — ვის ვეძახი?! — ამჯერად წყრომით იკითხა ჯინსებსა და მაისურში ჩაცმულმა, ქოშებში ფენაყოფილმა შუახნის ქალმა.

— მაცადე რა!.. — ითხოვა ჟღალთმიანმა ბიჭმა და ქროლა თვალეები თხოვნით მიაჭდო დედას.

- გავდივართ, დროა!
- კარგი რაა!..
- მამა გელოდება!
- მერე რა.
- იცოდე, ვეძახი!

უხმოდ, მაგრამ ჯიუტად აგრძელებდა ბიჭი თამაშს. ნაწყენი ქალი შებრუნდა და წავიდა. ბიჭები არ ეპუებოდნენ სიცხეს, დალღას თუ ანგარიშს. ბურთი და გოლი იყო მათი ანი, ბანი და ჰაე.

— ბათო! — გაისმა ამჯერად კაცის ხმა და ბიჭი შედგა. ღელის იქით საშუალო სიმაღლის, ჩასკვნილი, ბეჭებში გაშლილი კაცი იდგა. მკაცრი მზერით უყურებდა შვილს. „ვიყოთ“, თუ რაღაც ასეთი ნაიბურტყუნა ბიჭმა და თავჩაღუნული წავიდა მამისკენ. ძლივს ამოთქვა: მე წავედი! — ბიჭებმაც გახედეს კაცს და ღმილიანი მზერით გააცილეს ბათო.

- დედას რატომ აწყენინე?!
- რა ვაწყენინე?
- ვეძახდა და პასუხი არ გავეცი!

ბათოს ხმა არ ამოჟღერდა.

— კაცი არასდროს არ დაამცირებს ქალს, დედას და თან — სხვების წინაშე!

ჩუმად მიჰყვებოდა გვერდში ბიჭი მამას. ფერდობი ჩაიარეს, რკინიგზის ხილით მდინარე ჩხერიმელაზე გადავიდნენ და მოაჯირზე მინოლილი, დიდმუცლიანი მთვრალი კაცი მიესალმა გიგის. ისიც გაეპასუხა. გრძელცხვირა ფეხსაცმელი ეცვა ლოთს და მის მოკლე გაბერილ ტანს ჯამბაზის იერს აძლევდა.

- ეს ვინ არის?
- ლოთი ვასიკე და თუ არ ისწავლი, შენც მასეთი გახდები!
- რატო?
- თუ არ სწავლობ, რა რჩება?! უსაქმოდ ყოფნა. ასეთი კაცის ბოლო კი სასამელი და ხიდის თავში დგომაა.
- სადგურის წინ მატარებლის მოლოდინში დაღლილ ხალხს ჩაუარეს, ქვის კიბეზე ავიდნენ და ხის ჭიშკარი შეაღეს...
- მოხვედი, შვილო! — მიეხალისა ბებია ბიჭს.
- ეჰ, მიყვავართ!
- შემდეგ არდადეგებზე ჩამოხვალ, შვილო! ხარაგაული არსად წავა, სულ აქ იქნება.
- ეჰ, ლიზა ბებო!
- დაიბანე, — უთხრა მამამ და ბიჭი ხის აბანოში შევიდა. მზით გამთბარ წყალში დაიბანა და ზღაზვნით ავიდა სახლში. სამოსი გამოიცვალა და გაშლილ სუფრასთან დაჯდა. ღიმილით უყურებდა და ძმას. ბათომ თეას ქორფლიან და დამცინავ სახეს შეხედა და ჰკითხა:
- გიხარია არა, რო რჩები?
- ქართულ ენას ისწავლი.
- ახლა ფრანგულად ვლაპარაკობ?
- საშემოდგომო ფრანგულში გამოგყვა თუ?..
- ბექქემის ინგლისურ ენას ცსწავლობ სამაგიეროდ!
- მშობლიური ენის გრამატიკა არ იცი.
- შე რო იცი, რაა! მინაზე არ დადიხარ და ცაში ფრენ?
- რეპეტიტორი მაინც არ მჭირდება.
- ბიჭმა დას შეხედა. ორი წლით უფროსი იყო თეა და შხამი მუდამ ენის წვერზე ჰქონდა მზად ძმისთვის.
- ქალაღდის ჭია! — შეამკო თეა ბათომ.



მაგიდასთან ოჯახი შეიკრიბა და სადილი დაიწყო.

— ხაჭაპური აიღე, ქათმის ბარკალი, — იძახდა ბებია და ბათოს აწვდიდა, რაც, მისი აზრით, კარგი და გემრიელი იყო. ისადილეს და კაცმა დედას უთხრა:

— ლიზა, თეას ათამდე გიტოვებ, გოგოა, არ გაგანვალე. ამას კი იცი, რაც სჭირს სკოლაში!

— ისწავლის, შვილო, აბა რას იზამს! — იმედი მისცა ქალმა შვილს.

საბარგულში ყველაფერი ჩაწყობილი იყო. ერთიმეორეს აკოცეს და დაიშალნენ. შვილი, რძალი და შვილიშვილი მანქანაში ჩასხდნენ და „ოპელი“ ეზოდან გავიდა.

— მშვიდობით მგზავრობა! — მიაძახა ოჯახს ქალმა და პირველად გადასახა გზაზე მდგარ მანქანას.

ხარაგაულის ვინრო, აღმართიანი და დახვეული გზა გაიარეს. თბილისის ტრასაზე გავიდნენ და მძღოლმა სიჩქარეს უმატა. ერთხანს ფანჯარაში ყურებით სცადა ბიჭმა თავის გართობა. მალე მობეზრდა მორბენალი ხეების მზერა და მამას რადიოს ჩართვა სთხოვა. სალონი უცებ აივსო მუსიკის ხმით და ბიჭიც ფიქრში გაერთო. აღარ გრძნობდა თავს ერთ ადგილზე დაბმულად და აღარც გრძელი გზა ანუხებდა.

ორასი კოლომეტრი გაიარეს, თბილისში შევიდნენ და დიღმის რაიონში ჩაუხვიეს, ნაცნობი ეზო იმედის თვალით დაზერა ბიჭმა. არავინ იყო არც სტადიონზე და არც ჭადრის ხის ქვეშ. სწავლა თხუთმეტში იწყება. ნახევარი თვე მარტო უნდა ვიყო, — გაიფიქრა და წყენით გაიხსენა ჯერ კიდევ არდადეგებზე მყოფი ამხანაგები.

მშობლებს მიეხმარა და ბებუის გამოტანებული სანოვანე შინ აიტანეს. ბათო თავის ოთახში შევიდა და ბექჰემის პლაკატს შეხედა. დიდი ხანია, რაც არ ენახა კერპის სურათი და, როგორც აქ მყოფს, ისე მიმართა: შენც ასე განვალეზდნენ ბავშვობაში, ინგლისურის სწავლასა თუ წვრთნაში გხდინდნენ სულს?

კითხვას პასუხიც გასცა:

— ნაღია, მამაშენს ფეხბურთი უყვარს და შენიც ესმის. მამაჩემი კი ჭიდაობაზე დადიოდა და ფეხბურთი შტანგა ჰგონია, ალბათ — ბექჰემი ღიმილით იყურებოდა პლაკატიდან, — რა გაცინებს! — გაბრაზდა ბიჭი და მუშტი მოუღერა. თავისი ქცევა არ მოიწონა და ახლა თვალის ჩაუკრა პლაკატს, გაიცინა და ოთახში ქალმა შეიხედა:

— რა ხდება?

— არაფერი.

— ვის ელაპარაკებოდი და რატომ იცინოდი?

— ტელეფონზე ვლაპარაკობდი.

— რაღაც ხდება შენს თავს!

— ეკა, თავი დამანებე თორემ!..

— მემუქრები?!

— მიდი, მამას უთხარი!

ქალს ეწყინა და კარები გაიკეტა. ბიჭმა ერთხანს ოთახში იწრიალა. მერე ტელეფონზე დარეკა. არცერთი ამხანაგი თბილისში არა იყო. მუსიკა ჩართო. სალამოს ივანშმა და მოწყენას რომ გაქცეოდა, ადრე დანვა.

II თაზი

ცხელოდა. წინა დღით ადრე დაძინებულ ბიჭს დილით ადრე გაეღვიძა. ხარაგაულში ახლა გრილა, — გაიფიქრა და ფეხზე ადგა. მშობლებს ეძინათ, დაიბანა და ჩხერიმელა გა-

იხსენა. სალამოს ბიჭები საბანაოდ წავლენ. დილიდან კი ფეხბურთი! „კედელს“ ვითამაშებ, — იაზრა და გუნებაზე მოვიდა. ჩანთიდან კედები და ბურთი ამოიღო, ჩაიცვა და ეზოში ჩავიდა. ავტოფარების კედელზე მიხატული კარის წინ დადგა. ბურთს ფეხი დაარტყა და თამაში დაიწყო, ანასხლექტ ბურთს ისევე ურტყამდა და ცდილობდა, მონიშნული ადგილისთვის არ აეცილებინა. კარის ყველა კუთხე და კუნჭული დანომრა. მიზანს ადვილად ახვედრებდა და უკან დაიხია. არც შორ მანძილზე გასჭირვებია ბურთის მიზანში გარტყმა.

— გამარჯობა, ბათურიკა! — მოესმა ხმა და უკან მიიხედა. მაღალი კაცი მოდიოდა ეზოში.

— გამარჯობა, ძია ვანო! — მიესალმა და იქვე ჰკითხა, — მალხაზი როდის ჩამოვა?

— გაისად.

— რატომ?

— გერმანიაში წავიდა გაცვლითი პროგრამით.

— აბა, ჩვენ?

— რა, თქვენ?

— ეზოს გუნდი...

ვანომ გაიღიმა და ბიჭს უთხრა:

— წამო!

ისიც მიჰყვა და ორივე მოედანზე შევიდა.

— ორნი ვართ და და ორამდე ვთამაშობთ.

ბათოს გაეცინა.

— რას იცინი? აბა, დაიწყე!

პატარა სტადიონზე მართლა შეძლო სირბილი და თამაში ორმოცდაათი წლის კაცმა. მოზრდილი მუცელი კი უთახთახებდა, მაგრამ გრძელი ფეხების ხარჯზე სირბილს მაინც ახერხებდა. თამაში ორით ერთი წააგო და იმედინად თქვა:

— შემდეგ თამაშს შექველად მე ვივებ!

გაეცინათ და ერთიმეორეს გაშორდნენ. ჯგირ, — გაიფიქრა ბათომ და ისევე კედელთან დაბრუნდა. ბურთს ფეხი დაარტყა და გემო ვერ ჩაატანა. ფეხბურთი მაინც გუნდური თამაშია, — იაზრა და ცარიელ ეზოს მოავლო თვალი.

— ბათო! — გაისმა ხმა და ბიჭმა მესამე სართულზე აიხედა. დედა იდგა აივანზე.

— ამოდი, — უთხრა ქალმა და ისიც შინ დაბრუნდა. ლოჯში სუფრა იყო გაშლილი. ისაუზმეს.

მამამ შვილს ჰკითხა:

— რას აპირებ?

— ეზოში ჩავალ.

— გაკვეთილი?

— ვისწავლი.

— მისმინე! მარტო ფეხბურთით ვერას გახდები, პროფესია უნდა გქონდეს. ჩემს მაგალითს ხედავ, არა?

— რა მაგალითს?

— მწვრთნელი ვიყავი. იმ ხელფასით ოჯახს კი არა, თავს ვერ მოუვლი, დროა პროფესიაზე იფიქრო.

— აბა, ახლა როგორ ვცხოვრობთ?

— იცი, სადაც ვმუშაობ!

— ვიცი.

— მისმინე, ყოველდღე მთვრალი ხალხის ყურება და მოსმენა ძნელი ასატანია, ტვინში რომ სისხლი არ ჩამექცეს, სამსახურში წასვლის წინ წამალს ვსვამ. შენ კი მინდა, ჩემზე უკეთ იცხოვრო.

— მაინც?
 — პროფესია უნდა შეიძინო!
 — ფეხბურთში ბევრი ფულია.
 — მისმინე! ის ბექჰემია თუ ბურთის კაცი, გამონაკლი-სია. რეალობას უნდა შეხედო, უნდა ისწავლო! მოკლედ, დღეს ქართული ენის რეპეტიტორთან წახვალ! სწავლა რომ დაიწყება, უნარებს ისწავლი, თუ არადა, ფეხბურთის სექცია შეგიძლია დაივიწყო!
 — ვანო ძია ფეხბურთს მეთამაშა.
 — ეგ არ მიკითხავს!..
 — შენ რატომ არ თამაშობ ფეხბურთს?
 — მე რესტორანში ადმინისტრატორი ვარ და არა ფეხბურთელი.

— ძია ვანო ექიმია.
 — გაიგე თუ არა, რაც გითხარი?!

— არის!
 — პირველ საათზე გელოდება ის ქალი. ახლა კი შხაპი მიიღე. ცხელა და ოფლის სუნი გაქვს! — კაცი ოჯახს დაემშვიდობა და სამსახურში წავიდა.

— რა იქნებოდა, გიგი რომ ფეხბურთის მწვრთნელი იყოს, ა? — ჰკითხა ბიჭმა დედას.

— ხო გიხდის ვარჯიშის ფულს!

— ეგ კი, მარა... არც ფეხბურთი უყვარს და ვერც ბექჰემის დიად სულს ხედავს.

— იცი, რას გეტყვი? უმადურ კაცს ოქრო ნაგავი ეგონაო, შენზეა ნათქვამი.

— არა, გიგი კარგი კაცია, მარა...

— მარა მარად არ ილევას! ახლა კი დაიბანე!

ბიჭმა შხაპი გადაივლო და თავის ოთახში შევიდა. სიცხემ შეაწუხა და კონდიციონერი ჩართო. სავარძელში ჩაჯდა და ფიქრი დაიწყო: რა გაუძლებს თხუთმეტი დღე ვილაც სათვალთან დედაბერს. ნერვები აეშალა, მუსიკა ჩართო. ბექჰემის პლაკატს შეხედა და ხმამაღლ მიმართა:

— ბეთ, აუხსენი რა გიგის, რო ფეხბურთი მეტია, ვიდრე სპორტი.

ბექჰემის პოზაში გაყინულ ლიმილზე გაეცინა. თვალები დახუჭა და თავს უთხრა: ერთი ამასთან მათამაშა და ნაღდად კაცი ვარ!

პირველს თხუთმეტი წუთი აკლდა, დედამ დაუძახა. ბათომ ჩაიცვა და დედა-შვილი ერთი ეზოდან მეორე ეზოში გადავიდა და შვიდსართულიანი სახლის მეორე სართულზე ავიდნენ. კარი ხნიერმა ქალმა გააღო და მის დანახვაზე ბათომ „ოჰო“, ამოიხსრა.

ქალები ერთიმეორეს მიესალმნენ და ეკამ თავი წარუდგინა.

— მე, ქალბატონო, ეთერმა რომ გთხოვათ, იმ საქმის გამო განუხებთ!

— მობრძანდით! — ღიმილით მიიპატიჟა ქალმა სტუმრები და ხმამაღლა დაიძახა: — თამრიკო, შენთან არიან!

საშუალოზე მაღალი, ასე, ოცდახუთი წლის, მოკლე კაბასა და მოტმასნილ მაისურში გამოკვართული ქალი გამოვიდა წინკარში. ბიჭის დანახვაზე მოსვლის მიზეზს მიხვდა და ოთახში მიიწვია დედა-შვილი. მრგვალი მკერდი აქვს,

— გაიფიქრა ბიჭმა და გაიხარა, ხნიერ ქალს რომ გადაურჩა.

— დაბრძანდით, — მიიწვია ქალმა სტუმრები.

უხდებოდა თამრიკოს ხორბლისფერი კანი. ლამაზი ღიმილი კი საოცრად კეთილ იერს აძლევდა მის ბუშტალოყევიან სახეს.

ქალი მიხვდა ბიჭის მზერას, სერიოზული გამომეტყველება მიიღო და საქმიანად იწყო ლაპარაკი. ბათომ უცებ

იცნო ხმაში პედაგოგის ტონი. ეს არ მოეწონა და იქვე გაიბუტა.

— მაინც რატომ ვერ მიიღო გამსვლელი ქულა?

— ფეხბურთს გადაყვა.

— კლასგარეშე ლიტერატურას თუ კითხულობ?

გაბერილი იჯდა ბიჭი სკამზე.

— სპორტულ გაზეთს... ა, არა...

— მოკლედ, კითხვა არ გიყვარს!

უხმოდ იჯდა სკამზე მოსწავლე.

— კარგი, სკოლის პროგრამიდან რა გახსოვს?

არ უპასუხია.

— შენი სიტყვებით

თუ შეგიძლია ამიხსნა — რას გეუბნება ილია ჭავჭავაძის მოთხრობის სათაური „კაცია-ადამიანი?“

ისევ ჩუმად იჯდა ფეხბურთელი.

— გასაგებია! — თქვა პედაგოგმა და ბავშვის დედას შეხედა, — ესე იგი, საშემოდგომომ გაგახსენათ, ქართული ენა და ლიტერატურა რომ არსებობს და ისწავლება!

ეკა განითლდა.

— თქვენ რა პროფესიის ბრძანდებით?

— სტომატოლოგი ვარ.

— ათ დღეში პროგრამის სწავლა გავგიჭირდება.

— თავს დამანებებენ, — გაეხარდა ბათოს.

— მაგრამ თუ თქვენ დამენმარებით და ბავშვიც აგყვება, შეიძლება კლასში არ დარჩეს, მერვე კლასი კი უფრო რთული იქნება!

— ეკონომიკური პრობლემა არა გვაქვს.

— ეთო დეიდაჩემია, ასე რომ...

ეკა მიხვდა, აქ ფულზე ლაპარაკი უხერხული იყო: თქვენი იმედი გვაქვს...

— თუ ბავშვი მოინდომებს და სახლშიც ყურადღებას მიაქცევთ, იქნება ჩათვლა მაინც მივიღოთ. ოღონდ, „თუ“ და „ეგებ“...



მხატვარი ნინო ზალიშვილი

— გარანტია არა გვაქვს?
 — ცოტა დრო გვაქვს. ცუდი კი ის არის, რომ ბათო საერთოდ არ კითხულობს.
 — რა ვქნა? — წყენით იკითხა ეკამ.
 — დღეს ერთ არასაპროგრამო ნიგნს მივცემ ნასაკითხად, კითხვა რომ გაიხსენოს, — თქვა თამარიკომ და სხვა ოთახში გავიდა. წუთში უკან დაბრუნდა. ხელში ვაჟა-ფშაველას მოთხრობების კრებული ეჭირა. ბიჭს მიაწოდა და ქალს უთხრა:
 — რასაც დღეს წაიკითხავს, ამჯერად ის გვეყოფა. ხვალ კი პროგრამის სწავლას დავინწყებთ.
 მადლობა ძლივს თქვა საკუთარ თავსა და შვილზე ნაწყენმა ეკამ. პედაგოგს დაემშვიდობა და უბრად დაბრუნდა დედა-შვილი შინ. ნერვიულობით პირგამშრალმა ქალმა ჯერ წყალი დალია, სული მოითქვა და შვილს უთხრა:
 — გრცხვენოდეს!
 — რატო?
 — დამცინი?!
 — ფეხბურთზე ყველაფერიც წაკითხული მაქვს!
 — მერე იქ რატომ არ თქვი?
 — ბევრ დავალებას მომცემდა.
 — ესე იგი, იეშმაკე?!
 — ვიხუმრე!
 — მაშ მე ვიქნები სერიოზული, შენი ფეხბურთი დამთავრდა და სანამ ნიგნს არ წაიკითხავ, არც ტელევიზორი გვაქვს სახლში და არც ინტერნეტი! ეს სასჯელია!
 — მე კი ხუმრობა მგონია და...
 ბიჭი მიხვდა, დედა ნაწყენი იყო. ნიგნს დახედა და თავს უთხრა: „ვნახოთ, ეს ვაჟა-ფშაველა რა ბიჭი და ბექჰემია!“ თავის ოთახში გავიდა და ნიგნი გადაფურცლა. „შელის ნუკრის ნაამბობი“ — მოთხრობის სათაური გაგონილი ჰქონდა და კითხვა დაიწყო. ბუნებით აზარტული ბიჭი მალე გაერთო კითხვაში და მოთხრობაც მალე დასრულდა. სევდიანი ეჩვენა ამბავი და მულტფილში გაახსენდა. ბემბი?! — იკითხა თავში და ახალი მოთხრობის კითხვა დაიწყო. „დათვი“ წაიკითხა და რაღაც ენიშნა. მე მგონი, ეს ოხერი დათვი რუსია, — გაიფიქრა და დედასთან გავიდა ლოჯში.
 — დე, დათვი რუსია!
 — თხა?
 — რომელი თხა?
 — აბა, რომელი დათვი?
 — აი, სულ რომ წართმევაზე და ყველას ხოცავს.
 — მერე?
 — ტახებმა მოკლეს.
 ქალს გაეცინა:
 — შენ რა, არ მოგეწონა?
 — არ მომეწონა, რომ დათვს ორი ტახი კლავს და არა ერთი.
 — ოო, შენ ამაყი ხარ.
 — თედიანშვილს ჰყავს დათვი ნაქცეული, ერთი ერთზე.
 — ის ოლიმპიური ჩემპიონი იყო.
 — კარგი სპორტსმენი კი იყო და... გიგიც ხო იყო ჩემპიონი?
 — იყო.
 — მეც ვიქნები!
 — ეჰ, გრამატიკა ისწავლე თორემ, კლასში მეორე წლით ჩარჩები და ოროსნების ჩემპიონი გახდები!

კიდევ ნიგნი! — გაიფიქრა ბათომ და ფანჯრაში გაიხედა. არავინ იყო ეზოში და ისიც ოთახის კედლებზეა მონაწყენ ყოფნას შეეგუა. მიბრუნდა და კითხვა განაგრძო.

III თავი

გაიღვიძა, ადგა. ხელ-პირი დაიბანა, ჩაიცვა, ბურთით ხელში ეზოში ჩავიდა და კედელზე მიხატულ კარში თამაში დაიწყო. მზერით მონიშნულ ადგილს ზუსტად არტყამდა ბურთს და ანასხლეტს ისევ მიზანში აბრუნებდა.
 — კიდევ ვითამაშოთ ორამდე, — მოესმა ხმა და ბათომ ძია ვანო დაინახა.
 — ვითამაშოთ, — ხალისით დაეთანხმა ბიჭი და ორივე მოედანზე შევიდა. ცალ კარში თამაშობდნენ. კაცმა მოახერხა და პირველი გოლი გაიტანა.
 — დღეს ნოლზე გტოვებ! — ღიმილით „დაემუქრა“ ბიჭს და თამაში განაგრძეს.
 — ბათო! — გაისმა კაცის ხმა კორპუსიდან.
 — გისმენ!
 — ამოდი! ბატონო ვანო, თქვენ კი ბოდიშს გიხდით. სამემოდგომო გამოჰყვა ყმანვილს და თამაში ნიშნის მიღებაამდე აკრძალული აქვს, — აივანზე იდგა გიგი და იქიდან უხსნიდა მეზობელს თავისი ქცევის მიზეზს.
 — თუ შეიძლება, მეც რომ ამოვიდე? — იკითხა ვანომ.
 — რა თქმა უნდა, მობრძანდით!
 ბიჭთან ერთად ავიდა ვანო მეზობელთან და საღმის მეორე ცალკე საუბარი ითხოვა.
 — კი, ბატონო, — დათანხმდა მასპინძელი და მისაღებ ოთახში შეუძღვა სტუმარს.
 — ყავა? — იკითხა გიგის.
 — არა უკვე დავლიე.
 — კონიაკი?
 — არა, სამსახურში მივდივარ.
 მასპინძელი გაჩუმდა.
 — საქმეზე გადავალ.
 — კი ბატონო!
 — მაშინ, თქვენთან საუბარი მინდა, როგორც ექიმს და არა, როგორც მეზობელს.
 — კი, ბატონო!
 — ბათო გარდატეხის ასაკშია. ბავშვი ბიჭი ხდება და მისი ეს დაბნევაც ბუნებრივია. თუ სწავლის ხარისხმაც იკლო, ეს არა იმიტომ, რომ ზარმაცია. ეს პერიოდი ყველას გამოვლილი გვაქვს, მაგრამ იშვიათად, ვინმეს რომ ახსოვდეს. ახლა კი ერთს გთხოვთ, იყავით შვილის თანამოაზრე და აკრძალვას ან შენიშვნას, რომელიც ბათოს, მისი აზრით, დაამცირებს, მოერიდეთ მასთან საუბრის დროსაც კი, თუნდ იმ წუთას ცუდად იქცეოდეს. სხვანაირად ახლა დაშვებული შეცდომა ცუდად აისახება შემდგომში მის ხასიათსა და ცხოვრებაზე. მერე კი გვიანდა იქნება რამის გამოსწორება! ამას გთხოვთ, როგორც ექიმი და არა როგორც უბრალოდ, კეთილმოსურნე.
 — რა, არ ისწავლოს?
 — წელს ნაკლები ეცოდინება, გაისად ისწავლის.
 — შეიძლება მეორე წლით დატოვონ!
 — მშვიდი, მეგობრული საუბრით სცადეთ, რომ სწავლის სურვილი გაუჩნდეს, მაგრამ ამ ასაკში ბევრის იმედი ნუ გექნებათ.

გიგი დაფიქრდა.

— თქვენ მწვრთნელი ხართ, არა?
 — ვიყავი. ახლა რესტორანში ვმუშაობ.
 — ფსიქოლოგია, ალბათ, მაინც ნაცნობია თქვენთვის?
 — ხო, გვყავდა ფსიქოლოგი ნაკრებში.
 — დანარჩენს უჩემოდ მიხვდებით. ახლა კი ბოდიშს გიხდით, სამსახურში დავიგვიანე!
 — მალხაზი რას შერება? — იკითხა ეკამ.
 — გერმანიაშია გაცვლითი პროგრამით.
 — ასაკთან დაკავშირებით გეკითხებით.
 — ცოტა აირია, მაგრამ იმედია, უცხო გარემოში რაიმე ახალს ნახავს, მიზანსაც თვითონ მოძებნის და ასე მონეს-რიგდება. — კართან მდგარ მეზობლებს ექიმი დაემშვიდობა და კიბეზე ჩაირბინა.
 — რალაც გამომრჩა, — აღიარა ცოდვა გიგიმ.
 — ფსიქოლოგია.
 — ასეა.
 — მერე?
 — „განწყობის თეორიაში“ გვიკითხავდა სემინარს ფსიქოლოგი.
 — მერე, როგორ უნდა განვეწყოთ?
 — თვითონ ვეთამაშები ბათოს ფეხბურთს.
 — ახლა კი სწავლა! — დაუმატა ქმრის ნათქვამს ეკამ და ბიჭთან შევიდა ოთახში.
 — თორმეტზე გაკვეთილი გაქვს.
 ბიჭმა ჩაიცვა, წიგნი ილღიაში ამოიღო და გაკვეთილზე გასწია. რეპეტიტორი მინდა ახლა მე?! — ფიქრობდა და შუადღის სიცხის მიზეზის დასანახად ზეცას ახედა. ნათელი და მჭვირვალი იყო ცის თალი და სამყარო, სადამდეც თვალი სწვდებოდა. ბიჭი ეზოდან ეზოში გადავიდა და ნაცნობ ბინას მიადგა. ხნიერმა ქალმა გაუღო კარი და შინ მიიღო. სასადილო ოთახში მიუსვეს მაგიდას და იმავე წუთში ღიმილიანი სახით შევიდა ოთახში თამრიკო. ვარდისფრად ღვიოდა მომღიმარი ტუჩები. სავსე მკერდი ორი პატარა ბირთვით იკვეთებოდა გულამოჭრილ მაისურში. ლამაზია, — გაიფიქრა ბიჭმა და გუნებაზე მოვიდა.
 — წაიკითხე? — იკითხა ქალმა.
 — ჰო.
 — მართებულია „დიას“! ახლა კი მითხარი, მოგწონს ვაჟა?
 — ისე რა.
 — რატომ „ისე რა“?
 — ბემბი უფრო კარგია.
 — ნახატი ფილმები გიყვარს?
 — ჩხუბიც არ იყო კაცური.
 — რა ჩხუბი?
 — აი, ორი ტახი რომ ებრძვის ერთ დათვს და მერე დაჭრილს ვითომ ერთი ერთზე რომ ეჩხუბება.
 — ესე იგი, ჩხუბი შეიძლება სამართლიანი იყოს?
 — კი, აი, თეთრი ეშვი სულ ერთი ერთზე იბრძვის!
 — ჯეკ ლონდონი გაქვს წაკითხული?
 — ჰო, წვიმდა და...
 — როგორ?
 — წვიმდა. ფეხბურთს ვერ ვთამაშობდი. შინ ვიყავი. ჩემს დას კი სულ წიგნი აქვს ხელში. ვთხოვე. „თეთრი ეშვი“ მომცა, შენი გმირი ეს არისო. რა გმირი, რის გმირი-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ გამოვართვი.

— გმირი არ გყავს?
 — ბექჰემი მიყვარს!
 — ფეხბურთელი.
 — ფეხბურთელი კი არა, ბურთის სულია!
 აზრის გადმოცემა და მსჯელობა შეუძლია. შეიძლება პროგრამაც დაეძლიოთ, — გაიფიქრა მასწავლებელმა და ღიმილით უთხრა:
 — ახლა მე შენ ერთ საოცარ კაცს გაგაცნობ.
 — საოცარს?
 — ჰო, ბექჰემს ჰგავდა ის კაცი.
 — ბექჰემს?
 — მისმინე, თუ ბექჰემია ბურთის სული, ამ ადამიანს პოეტის სული ჰქონდა. ძლიერ უყვარდა ამ კაცს ლიტერატურა. ვასიკო კუფერაძემ სხვა ადამიანიც კი დაიხსნა მონყენი-ლობისგან. თან ის კაცი პროფესიით სოციოლოგი იყო და ქალაქში მცხოვრებთა ყოფის შესწავლა ევალებოდა.
 — სოციოლოგია რა არის?
 — საზოგადოებრივი მეცნიერებაა და ხალხის ყოფაცხოვრებას სწავლობს. მართლა კარგი კითხვა დამისვი. კაცი, რომელიც სწავლობდა სხვის ცხოვრებას და მონყენილი ჰქონდა ეს საქმე, ვასიკო კუფერაძემ გადაარჩინა ერთფეროვან პალიტრას, ასწავლა პოეზიის სულის ხედვა, განაცდევინა პოეზია, როგორც არის სიყვარულისა, ანუ დაანახა ის მშვენიერი სამყარო, რომელიც თავისთავად დევს კაცში. ეს ყოველივე მნიშვნელოვანია, მაგრამ კიდევ არის რალაც...
 — რა?
 — ამას შენ თვითონ უნდა მიაგნო!
 — მე?
 — რის გამო ვართ ჩვენ აქ?
 ბიჭი დაფიქრდა. თამრიკომ გაიღიმა. ლამაზია, — გაიფიქრა ბიჭმა და უნებურად თქვა:
 — სიყვარულის გამო...
 — თვითონ ეს სიტყვა იდუმალ არსს შეიცავს. ამ საკითხზე მწერალი მხატვრული ენით ფიქრობს. ესე იგი, ლიტერატურა მსჯელობს თანაგანცდით ადამიანის შესახებ და ეს უნარი თვითონ სიყვარულია.
 — ამას სკოლაში გვასწავლიან, მარა ასეთი სიტყვები არ უთქვამთ...
 — მარა კი არა, მაგრამ! და კიდევ ერთი: სკოლაში შენ გაკვეთილს არ უსმენდი!
 — რატომ?
 — არ იცი, რომ ბექჰემმა ინგლისური კარგად იცის და ბევრსაც კითხულობს?
 — მაინც რას კითხულობს?
 — ბაირონი უყვარს.
 — ეგ პოეტი ჩვენი ინგლისურის მასწავლებელსაც უყვარს.
 — მე ვფიქრობ, რომ სწავლასა და თამაშს მსგავსი ნიშან-თვისებები აქვს.
 ბათოს გაეცინა.
 — ერთი რამ უნდა გთხვოვ.
 — დიას.
 — წაიკითხე „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ და შენი აზრი მითხარი. იქნებ მე რალაც ვერ გავიგე, რაც შეიძლება, ფეხბურთელს ამოეცნო ამ მოთხრობაში.

— რა, ფეხბურთელებს უკეთესი ხედვა აქვთ პოეზიის, ვიდრე ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს?!

— როგორც ყველა თამაში, ფეხბურთი სხეულით აზროვნების ფორმაა და როგორც აზროვნების ნებისმიერ ფორმა, ისიც ძიების ნიშანს ატარებს. ამ ნიგნში, რომელსაც ახლა გატან, სოციოლოგი და ფოტოგრაფი ხედებიან ერთიმეორეს. ერთს უმაღლესი განათლება აქვს. ფოტოგრაფი კი თვითგანათლებულია. ერთგვარი დავა იკვეთება და, ვფიქრობ, რომ ამ დავასა თუ მსჯელობაში აკადემიურ განათლებას ლიტერატურის ცოდნაში უბრალო კაცის სიყვარულმა აჯობა და თვით დამარცხებული სოციოლოგის სასარგებლოდ. ასეთია სიყვარულისა და სიკეთის ძალა. მას დამარცხებული მხარე არ ჰყავს.

— ფეხბურთში კი ასე არ არის.

— რატომ?

— ვილაც აუცილებლად მარცხდება.

— ვინც ფეხბურთს თამაშობს, ცხოვრების ჯანსაღ წესს მისდევს და ის უკვე გამარჯვებულია! — ბათოს გაეცინა. თამრიკოს გაელიმა და თბილად უთხრა ბიჭს:

— დღეს აღარ დაგვლი, დანარჩენს თვითონ წიგნი მოგიყვება. ხვალ გელოდები! რაც მოგეწონება ან არ მოგეწონება, ამოიწერე! ვნახოთ, რა მოხდა ან შეიცვალა სოციოლოგის აზროვნებასა და ცხოვრებაში.

— მოვალ, — დააიშვია ბიჭმა მასწავლებელი და ბინიდან გავიდა. კიბეზე გასული წამით შეჩერდა, დაკეტილ კარს შეხედა და თავს უთხრა:

— კარგია აქ ყოფნა!..

შინ მისული თავის ოთახში შევიდა.

— ისადილე! — შესთავაზა დედამ.

— მერე!.. — თქვა ბიჭმა და წიგნი და რვეული აიღო. ერთხანს წიგნი იკითხა. უცებ შეწყვიტა კითხვა და ავტოკალმით რვეულის ყდაზე ხატვა დაიწყო. კარგა ხანს იმუშავა და ისე გულდასმით, თითქოს დაკარგულ ნივთს ეძებდა კალამის წვერსა და ქალაღს შორის. ცოტა ხანს ნახატს უყურა, ვერც „ხო“ უთხრა თავს და ვერც „არა“. კარგად რომ დაენახა ის, რაც გააკეთა, ბექქემის პლაკატის გვერდით მიაკრა სურათი. ერთხანს ორივეს უყურა და ბოლოს დაასკვნა: ბექქემი კაცია, თამრიკო კი — ქალი.

— ბათო, ისადილე! — გაისმა დედის ხმა ღია კარში.

— კარგი! — უპასუხა ბიჭმა და ლოჯში გავიდა.

გემრიელად ისადილა და ფანჯარაში გაიხედა. ცარიელი იყო ეზო. თხუთმეტ სექტემბრამდე ასე იქნება, — გაიფიქრა და ისევ ოთახში დაბრუნდა, წიგნი აიღო და კითხვა განაგრძო.

IV ტახი

— ბათო! — გაისმა ხმა და ბიჭმა თვალი გაახილა. მამა იდგა ოთახის კარში.

— რა ხდება?

— რა ხდება და, უნდა გაირკვეს, ვინ არის ამ ოჯახში ნამდვილი ფეხბურთელი.

ბათომ ბექქემის პლაკატს შეხედა და თამრიკოს სურათზე დარჩა თვალი.

— რაო, ხომ არ გეშინია ჩემთან თამაში?

ბიჭს გაეცინა და მამა-შვილი სტადიონზე ჩავიდა.

— ცალ კარში არა.

— ჰო, ორნი ვართ.

— სამამდე.

— ასე იყოს.

თამაში დაიწყო. მსუბუქი, მარდი და მოქნილი იყო ნავარჯიშევი ბიჭი. ლონიერი, ამტანი, მაგრამ მაინც მძიმე იყო კაცი, მედგრად დასდევდა ბურთს, მაგრამ ბიჭმა მალე შეაგდო კარში სამი ბურთი. გიგი მართლა არ ელოდა ასეთ მარცხს.

— კიდევ ვითამაშოთ! — აზარტით თქვა მან და შვილიც დაეთანხმა. თამაში განაგრძეს. ამჯერად ფიზიკური ძალის გამოყენება სცადა კაცმა.

— არ დანებდე, ბებერო, — გაისმა შეძახილი და მამა-შვილმა ვანო დაინახა. ერთმანეთს მიესალმნენ და თამაში გაგრძელდა. ვანო თავის გზას გაუყვა. როგორც იყო გიგიმ მოახერხა ერთი ბურთის გატანა და გაიხარა მცირე ხნით. ხუთ წუთში სამით ერთი დამთავრდა მეორე ტაიმი.

— კიდევ ვითამაშოთ? — იკითხა ბათომ.

— არა, სამსახურში ვავიანებ. ლოთები ადრე მოდიან ნაბახუსევეზე გამოსასვლელად და ხანდახან ჩხუბიც იციან.

— ციტრამონი დალიე!

— ოხ, შე ქარიყლაპია!

შინ დაბრუნდნენ, რიგრიგობით შხაპი გადაივლეს და ისაუბრეს. გიგი სამსახურში წავიდა. ბიჭმა საათს შეხედა. ათი იყო. ახლა რა ვაკეთო? — იკითხა თავისთვის და მოიწყინა. გაკვეთილი გაიხსენა, თამრიკო და... თავი იხსნა უქმად ყოფნისგან, ტანთ გამოიცვალა და გაკვეთილზე წავიდა.

— საით? — ჰკითხა დედამ.

— გაკვეთილზე.

— ადრე არ არის?

— თამრიკო სულ სახლშია.

ქუჩა გადაიარა და ეზოში შევიდა. სასურველ ბინას მიადგა და კარზე ზარი დარეკა. სათვალთვლოდან დაზვერეს და ხნიერი ქალის ხმა გაისმა:

— შენა ხარ, შვილო? ახლავე!

წუთში კარი გაიღო. ბათო შინ მიიღეს, სასადილო ოთახში დასვეს და ბიჭმა ოთახი ისე დაათვალიერა, თითქოს აქ პირველად იყო. ახლა შეამჩნია ქოთანში ყვავილები, აუზში — თევზები. ძველი შავი პიანო და მონითალო ფარდები. ლამაზი ერვენა ოთახი და აზრიც გაუჩნდა: კარგია აქ! ცოტა ხანში ხალათში ჩაცმული „მასნ“ შემოვიდა და ღიმილიანი სალმის შემდეგ შაბათ დღეს გამოჩენილი სიბუჯითეც შეუქო მოსწავლეს.

— არ ვიცოდი, თუ დღეს შაბათი იყო.

— ყველა დღე კარგია, თუ სწავლა გინდა.

ბათო დაფიქრდა.

— აბა, მითხარი, რა ხდება ბატონ გურამთან?

— ვასიკო კეფერაძესთან?

— მართალია, ჩვენ ხომ მოთხრობაზე უნდა ვიმსჯელოთ!

— აი, ბავშვის მიწაზე ნაქცევა გულგრილად შეაფასა იმ კაცმა და ვასიკო გაბრაზდა და მერე თვითონ ვასიკომ მოიგონა, რომ თითქოს კლიმს მანქანა დაეჯახა... რა ლიტერატურაა, შემთხვევით და ცუდ ამბებზეა აგებული!..

— მოთხრობა ბოლომდე წაიკითხე?

— დიახ.

— ერთ დღეში?

— დიას.

— კარგი! — თქვა მან და ახსნა დაინყო, — ლოგიკა თან-მიმდევრული, გონივრული და მიზანშეწონილია. თუმცა მას ერთი საპირისპირო თვისებაც აქვს, ის გონებისთვის მიუწვდომელსა და აუხსენელსაც შეიცავს. ირაციონალური, ლოგიკის ენაზე, შემთხვევა იქნება. ეს კი მხოლოდ ნაწილია მთელისა. ის ხშირად ამოუცნობ ხასიათს ქმნის. ასეთ დროს გონებას თითქოს საღებო რეზინი ეძლევა. მართალია, ასეთი მსჯელობა ყოველთვის ნაყოფიერი არ არის, მაგრამ ეს ადამიანის ბუნებაში დევს და ამიტომ ერთსა და იმავე ფაქტს ყველა სხვადასხვანაირად ხსნის.

უცებ იგრძნო ქალმა, მოსწავლე დაჟინებით უყურებდა და არ უსმენდა. მის მზერას თვალი მიაყოლა და ახლა დაინახა, ღილი გახსნოდა, ხალათის ცალი კალთა ძირს ჩასრი-ალებოდა და შიშველი ფეხი უჩანდა. ბათო სწორედ ამ სიშველეს მოეწონებოდა და აღარ უსმენდა.

თამრიკო დაიბნა, აღარ იცოდა, რა ექნა. თავისდაუნებურად წამოიძახა:

— ახლავე მოვალ, წიგნს მოვიტან! — ფეხზე წამოხტა და სხვა ოთახში გავიდა.

ბათო მიხვდა, რაც მოხდა.

ყავისფერ კაბაში გადაცმული, ცხვირზე სათვალით და ხელში წიგნით შემოვიდა მასწავლებელი ოთახში.

— აი, სწორედ შემთხვევის ახსნას აღწერს სულხან-საბა „გლახაკსა და ქილა ერბოში“, — დაჯდომამდე დაინყო თემის ახსნა. ბათო კი ქალს უყურებდა და იგრძნო, უყვარდა.

თამრიკო მიხვდა, არ იყო ბიჭი ახლა აქ მის გაკვეთილზე და ხვალისთვის დაიბარა, თან ხაზგასმით — თორმეტ საათზე. დრო ისე დაუბეჯითა, ბიჭი მიხვდა, დროც გაკვეთილის ნაწილი იყო. არეული მივიდა შინ, ხატვა დაინყო. ძველი ნახატის გვერდზე ახალი, ამჯერად თამრიკოს ახალი სახე გაჩნდა. ბიჭი სავარძელში ჩაჯდა და აქედან დააკვირდა კედელზე გაკრულ სურათს. დიდხანს იყო ასე. მხოლოდ ვახშამზე დაძახებამ გამოაფხიზლა, მაგრამ მაინც მხოლოდ თამრიკოზე ფიქრობდა.

ივანშმა. ტელევიზორის ხმა არ ეამა და თავის ოთახში დაბრუნდა. სავარძელში ჩაჯდა და ისევ თამრიკოზე დაინყო ფიქრი. თუ პოეზიას დაუჯერებ, სიყვარულს საზღვარი არა აქვს. აბა, რაღა ჩემთვის ექნება ფარი და მახვილი?! მე რა, ადამიანი არ ვარ, თუ რა?! ასე ოცნებასა თუ დავაში მიეჭრა და უარი მიიღო სატრფოსგან. დაილალა, ჩანვა და დიდხანს ვერც ლოგინში მოისვენა.

V თავი

ვით აფეთქების ტალღას, სული და სხეული ერთად გაჰყვა განცდას. გამქრალი ქალი მოიძია ბიჭმა. მიხვდა, ლოგინში ინვა და ბალიშზე ედო თავი. თვალი გაახილა და ოთახს მოავლო მზერა. პლაკატზე მიკრულ ნახატს შეხედა და სიზმარში ჩახვეული ქალი ამოიცნო — თამრიკო იყო.

ფეხზე ადგა. ახლა საცვალში იგრძნო სისველე. აბაზანის ოთახში გავიდა და გაიხადა. შხაპი გადაივლო და შიშველი სირბილით დაბრუნდა ოთახში, ახალი ტრუსი ჩაიცვა და მამის ხმა გაისმა.

— აბა, ფეხბურთი!

ბათომ ჩაიცვა და გიგის გაჰყვა. კიბეზე გასულმა კი რიდით ჰკითხა მამას:

— რაღაც რო გკითხო, ხომ არ გაბრაზდები?

— არა, ჩვენ მეგობრები ვართ, რაც გინდა მკითხე!

— რაღაც გადმომივიდა...

— რა?

— ძილში ქალი ვნახე, „იქიდან“ კი რაღაც გამომივიდა და დავისვარე.

გიგის გაელიმა და თანადგომის გამომხატველი მშვიდი ხმით უთხრა:

— აქამდე ლლაპი იყავი, ახლა კი ბიჭი ხარ, კაცი!

— აქამდე ვინ ვიყავი?

— ლლაპი!

— ლლაპი?

— ასე იყო.

— ან რა ვქნა?

— გაიზრდები, ცოლს მოიყვან და შვილები გეყოლება.

მამა-შვილი სტადიონზე შევიდა და თამაში დაიწყეს. ორივე მატჩი ისევ ბათომ მოიგო.

— ვალიარებ, დღეიდან ორი კაცი ვართ ოჯახში! — განაცხადა გიგიმ და შინ მიბრუნდნენ. ოფლი ჩამოირეცხეს, ისაუზმეს და შინიდან გასვლისას გიგიმ ბიჭს ათი ლარი მისცა და უთხრა:

— კაცს ფული უნდა ჰქონდეს. სანამ შრომას და შოვნას ისწავლი, მე ვაგიყოფ, სიბერეში კი შენი იმედი მაქვს!

გიგი სამსახურში წავიდა. ბათო ოთახში დაბრუნდა და პლაკატზე გაკრულ ნახატებს შეავლო თვალი. არ მოეწონა და ფურცლები მოხსნა კედლიდან. ახლიდან დახატა თამრიკო. სურათი კედელს მიაკრა და თავს უთხრა: თამრიკო ლექსის ქალია. მისი ნახვა მოუნდა და დროსთან დაკავშირებული შენიშვნა გაახსენდა. სავარძელში ჩაჯდა და მოინწყინა. თორმეტ საათამდე რა გაძლებს?! — იკითხა გუნებაში და ეზოში გავლა არჩია ოთახში ყოფნას.

— ნავედი! — დაუძახა დედას და გარეთ გავიდა. მზე შუბის ტარზე იყო და ცხელოდა. ჭადრის ქვეშ დაჯდა სკამზე და ისევ თამრიკოზე დაინყო ფიქრი.

— ბათო, „ზღრასტი“! — გაისმა ზურგს უკან და მის წინ იმავე წამს ვართანა აღმოცენდა.

— როდის „პრიეხალ“? — იკითხა ბიჭმა რუსულ-ქართულად.

— სამი დღეა.

— სად „ბილ“?

— ხარაგაულში ბებიასთან.

— მეც ერევანში ვიყავი სონა ბაბოსთან. „ტამ“ კარგია.

— მაინც?

— ტოლმა „იელ“... ქაბაბ, „მაროჟინ“...

— ჭამა გიყვარს.

— შენ არა?

— მე ერთი ქალი მომწონს.

— მე კიდევ ბევრი.

ბათოს გაეცინა.

— რას „სმიოშა“? იქ „ტოტა“ ვერა იყო. „დვანიო“ კლაუდია შიფერ.

— „დვანიო“, ეგ როგორ?

— ისეთი „ტოლსტი“ იყო, რო კანი სუ „ჟოლტი მასლასავით“ ჰქონდა.

— მაგარი ყოფილა.

— ე, რას ამბობ, რუსი „ტოტა“ ყველასა სჯობია!
 — მერე?
 — ტიტვეელიც ვნახე!
 — ეგ როგორ?
 — ძია ხაჩიკ „ნა რაბოტე ბილ“. „ტოტა“ ტუალეტში შევიდა, მე კი „დირკა“ მაქ „ზარანიე“ გაკეთებული და თავიდან ბოლომდე ვნახე.
 — უნიტაზზე?
 — ჰო, „ჟოფა“.
 ბათოს სიცილი აუტყდა.
 ვართანა მიხვდა, დამცინისო.
 — შენი ქალი როგორია.
 — ლამაზი.
 — „ა, ვსიო ტაკი“?
 — არ ვიცი
 — ცოლად მოიყვანე.
 — როგორ?
 — ეხლა „ნაუჩუ“. თვალებს დახუჭავ, „იმას“ ხელში დაიჭერ და იტყვი, ვერა! და ჩამოკრავ კიდევ და კიდევ... „პო-ნიალ“?
 — ჭუჭყიანი სომეხი ხარ.
 — შენ კიდევ „პიდარ-ქართველი“!
 სწრაფი იყო ბათო და ტერფის წვერი მუხლის თავში მისცხო ვართანას. ტკივილისგან მუხლს ჩაეხვია ბიჭი. ორად მოხრილს ახლა ნიკაპში ამოარტყა ფეხი ბათომ და ვართანა ძირს დაეცა.
 — გინდა კიდევ?
 ხმა არ გაუღია ძირს დაგდებულ ბიჭს და ბათო ეზოდან გავიდა. ერთხანს ქუჩაში ისეირნა. გამვლელთან დრო იკითხა და გაკვეთილზე წავიდა. კარი თამრიკომ გაუღო. თმა უკან გადაეწია და მრგვალ ხვეულად შეეკრა კეფაზე. მკაცრი ხასიათის საჩვენებლად არ გაუღიმია, ისე მიიღო მოსწავლე. ტანზე ყავისფერი კაბა ეცვა და მრგვალი სათვალისგან ქუსლზე შემდგარი ქალი ზემოდან უყურებდა ბიჭს. მაგიდას მიუსხდნენ და „მასწმა“ გაკვეთილის მოყოლა ითხოვა.
 — მეოცნებე გლახაკის გატეხილი ერბოს ქილა მკვდარი იმეღია, არა? — იკითხა ბათომ, — სიხარბით ოცნებამი დაკარგული რეალობა... ესე იგი, ოცნება ცუდია?! ...
 — მიზნის გათავისების პროცესში ოცნება გონების ერთგვარი თანდაყოლილი საპოხია.
 თამრიკო მიხვდა, „სხვაგან“ ქროდა ბიჭის გონება და ამის მიზეზი უნებურად თვითონ იყო... ასე კი დღეს გაკვეთილი არ გამოვიდოდა.
 — ლექსები თუ გიყვარს?
 — არა.
 — მარტო ჯექ ლონდონი გაქვს წაკითხული?
 — ბოლომდე არ წამიკითხავს.
 — რატომ?
 — კარგი ამინდი გამოვიდა და ფეხბურთის სათამაშოდ წავედი.
 — ლადო ასათიანის ლექსებს მოგცემ და წაკითხე!
 — საბა მოსაწყენია.
 ქალს გაეცინა და ბათოს თავზე ხელი გადაუსვა. თითქოს ელექტროშოკმა დაუარა ბიჭს ტანში.
 — წავიდე?
 — ჰო, — დაეთანხმა ქალი ბიჭს და იქვე გაიფიქრა, —

დღეს ძალიან მოკლე გაკვეთილი გვაქვს, მაგრამ იქნება და ასეც სჯობდეს!
 ბათო კარამდე მიაცილა და ბიჭი კიბეზე დაეშვა. შინ მისვლა ან ლადო ასათიანის წაკითხვა არ უფიქრია. ერთხანს უბანში იარა. ბაზართან გარეთ გამოტანილი ყვავილები დაინახა და აზრი გაუჩნდა: ქალს ყვავილი უყვარს, მოდი, მივუტან, — იფიქრა და სურვილს ენდო. წითელი ვარდები იყიდა და ჩქარი ნაბიჯით გაიარა ქუჩა და უბანი. ეზოში შევიდა და უცხო სისუსტე იგრძნო მუხლში. ორი კაცი ვართ ოჯახში, — გაახსენდა მამის ნათქვამი და გზა განაგრძო. სადარბაზოში შევიდა. ლაპარაკი და ნაბიჯის ხმა მოესმა ზედა სართულიდან. გულმა რეჩხი უყო და ცუდიც იგრძნო... კიბეზე თამრიკო და ათლეტური აღნაგობის კაცი გამოჩნდნენ. ბიჭის ნერვების ასაშლელად ქალ-გაფი მალა-ლი და ლამაზი ჩანდა ქვევიდან ზედა კიბეზე. თაიგულიანი ბიჭის დანახვისთანავე ქალი მიხვდა, ბათო გაკვეთილზე არ მოდიოდა.
 ბათომ კაცს შეხედა. ნაბიჯს აწყობილ რიტმში მოჰყვებოდა ქალი ვაჟს.
 — ეს ვინ არის? — იკითხა ბიჭმა.
 — რატომ კითხულობ?
 ბათო გაჩუმდა.
 კაცი ყველაფერს მიხვდა. ბიჭის ასაკი იქვე გაიაზრა და ღიმილით თქვა:
 — თამრიკო, ყვავილები მოგართვეს, უნდა მიიღო!
 — შენ ვინ გეკითხება? — შეუბღვირა ბიჭმა.
 კაცს გაეცინა.
 აჯაგრული ბიჭი ავი მზერით უცქერდა მასზე უფროს და ერთი თავით მალალ კაცს.
 ეს მზერა ხუმრობის გუნებაზე აყენებდა კავალერს.
 — მე ვახტანგი მქვია, — უთხრა ბიჭს და ხელი გაუწოდა.
 — ვიჩნუბოთ! — უცებ თქვა ბათომ.
 — ლონიერი ბიჭი ჩანხარ, მაგრამ არ გამოვა!.. მე და შენ სხვადასხვა ასაკისა და წონისანი ვართ!
 თაიგული მკერდზე დასცხო ბათომ და... ქალი შუაში ჩადგა.
 — არაფერია, — თქვა კაცმა და ბიჭს მხარზე ხელი მოუთათუნა.
 — ვაგვიანებთ! — უთხრა ქალს და კარისკენ წაიყვანა.
 ბათო წინ გადაუდგა. უცებ, როგორც აბეზარი ლეკვი, გვერდზე გადასვა კაცმა
 ბიჭი. უხერხულად მომღიმარი ქალი სადარბაზოსთან მდგარ მანქანაში ჩასვა და წაიყვანა.
 ბათო მიხვდა, აქ ველარასოდეს მოვიდოდა. მოვიტაცებ, — გაიფიქრა და ცრემლი მოადგა თვალზე. მიხვდა, ვერც მოიტაცებდა და ვეღარც ნახავდა ამ ქალს. მთელი დღე ქუჩაში იარა. ფიქრითა და წყენით ქანცვამწყდარმა და ბრაზით დამხრჩვალმა ბოროტად შერაცხა ყველა, ვინც წიგნს ნერდა ან კითხულობდა. გვიან საღამოს მივიდა შინ და მის დანახვაზე კარებშივე აყვირდა ეკა:
 — ეს რა იკადრე!
 — მაცალე! — უთხრა ცოლს გიგიმ.
 შვილი ოთახში შეიყვანა და ორივე სავარძელში ჩაჯდა.
 — კაცებმა კაცურად უნდა ვილაპარაკოთ, არა?!
 ბიჭს ხმა არ ამოუღია.

დასასრული შემდეგ ნომერში

მაია ბათიაშვილი

შემტკრეული ჭიშკარი

გვიანი შემოდგომა იდგა. ზამთრის სუსხი ნისლთან ერთად ეპარებოდა ჩაძინებულ სოფელს. უეცრად ღამის სიჩუმე ჭიშკრის ლანანმა გაარღვია.

— ნინო, ნინო.

ახალგაზრდა კაცი ჩუმად ჩასჩურჩულებდა მის მკერდზე ტკბილად მთვლემარე მეულლეს. აღელვებული ჩანდა.

— ნინო.

— რა მოხდა ლევან. ბავშვმა გაიღვიძა?

— არა, რალაც ხმაურია. მანქანების ხმა.

ნინომ ყური მიუგდო. ფანჯრების მიღმა მართლაც ძრავის ხმა ისმოდა.

— რა უნდა იყოს ნეტავი ამ შუალამისას?

— სატვირთო მანქანების ხმა.

ცოტა ხანში ძრავის ხმაური შეწყდა და შორიდან ხმა-მალაი კამათისა და მოთქმის ხმა შემოესმა.

ახალგაზრდა კაცი ლოგინიდან წამოდგა, იქვე პატარა მაგიდაზე მდგარ ლამფას შუქი აუწია და ფანჯარას მიუახლოვდა. გარეთ მეზობლის ეზოდან ყრუდ მოისმოდა ქალის კივილი: “დამიბრუნეთ, ბავშვი დამიბრუნეთ თქვე მხეცებო...” “ერთად გვამყოფეთ...”

“ჩქარა! დროზე! ეს რა არის?! ეს არ დაგჭირდებათ!.. ესენი აქეთ!” — უცნობი მამაკაცის ღრიალი ყველა დანარჩენის ხმას ჰფარავდა.

“თქვე ოხერძალებო. რას შვრებით, რას სჩადით?!” — ეს დავითის ხმა იყო. მართალია, მეზობლის სახლ-კარი მოშორებით იდგა, მაგრამ სამოცდაათობმეტი წლის მოხუცის ლანძღვა ლევანის სახლამდე აღწევდა. — “თქვე უწმინდურებო, ქალებმა და ბავშვებმა რა დაგიშავათ?! თქვე სისხლისმსმელებო, მტარვალეებო. ხელი გამიშვით!..”

ლევანს გული ძალუმად უცემდა.

— ლევან, რა ხდება, ვინ ყვირის? დავითის ხმა, მე მგონი. ლევან.

ნინომ ლოგინიდან წამოდგომა დააპირა. დაძაბული უსმენდა შორიდან მოსულ ხმაურს. უეცრად ბავშვების ტირილის ხმა და კესოს წყევლა შემოესმა. თვალგაფართოებულმა ფანჯრისკენ გაიხედა. — ლევან, რა ხდება ჩვენს თავს? რატომ მაშინებ, ხმას რატომ არ მცემ? — ფანჯრისკენ დააპირა ნასვლა.

— არა, ფანჯარას ნუ მიუახლოვდები.

ლევანმა ფანჯარას ზურგი შეაქცია და საყვარელ მეულლეს შეხედა. ცდილობდა, ნერვიულობა არ დასტყობოდა, მაგრამ ლამფის შუქიც კი ვერ მალავდა მის შემოიღვინებულ და ქაღალდივით ფურცელივით გაფითრებულ სახეს.

— ლევან, — ნინოს ხმა აუკანკალდა — დავიღუპეთ?

— მაპატიე, ნინო — ჩუმად, ძლივს გასაგონად წარმოთქვა. ახალგაზრდა კაცი სრულიად განადგურებული

იყო. აკი ეუბნებოდნენ, ესვენებოდნენ: “ლევან, უნდა წამოხვიდეთ. აქ დიდი საფრთხე გელოდებათ. შენ ვერც კი წარმოიდგენ, ესენი ვინ არიან. ხომ გაიგე, რა მოხდა იქ...” “ოჯახს ნუ გაიმეტებ. ესენი არავის დაინდობენ, როგორ არ გესმის?!” თვალწინ დაუდგა თავისი ბიძაშვილი. “მე არაფერი დამიშავებია. რატომ უნდა

მერჩოდნენ? მე ჩემ მინა-წყალს ვერ დავტოვებ. სად წავიდე? უცხო მინაზე რა მინდა?! სანდრო, შენი გამკვირვებია, ასე როგორ შეგიძლია მოიქცე? არ მესმის...” “არა წარმოუდგენელია, შეუძლებელია რამე დაგვიშავონ. ბარბაროსები ხომ არ არიან, შე კაცო, ქართველები არიან...” რამდენჯერ გაუხსენებია ეს სიტყვები ლევანს და თავის გულუბრყვილობაზე მწარედ გაღიმებია. მთელი მისი ოჯახი შიშში ათენებდა და ალამებდა. “როგორ არ დაგიჯერე, ჩემო სანდრო, ჩემო ერთგულო მეგობარო.” თვალზე ხელი აიფარა. რამდენი ხანია მისგან წერილიც კი არ მიუღია. “ეჰ, ჩემო მეგობარო, რომ შეიძლებოდა დროის უკან დაბრუნება.” — გაიფიქრა და ნინო გულში ჩაიკრა.

— მაპატიე ჩემო სიცოცხლე, ეს რა დღეა ჩაგაგდეთ. ეს რა გავაკეთე. — ჩურჩულით ბოდიშს უხდოდა მეულლეს.

— ნუ, ჩემო სანუკვარო, თავს ნუ იდანაშაულებ — ნინოს გრძელი შავი წამწამები ცრემლებით დაენამა.

ლევანმა მეულლე ლოგინზე დასვა, ძველ, მოჩუქურთმებულ კარადასთან მდგარ სკივრთან მივიდა და საგულდაგულად გადამალული წერილი ამოიღო.

— ეჰ, ჩემო მეგობარო, რომ შეიძლებოდა დროის უკან დაბრუნება. — წერილი გადაიკითხა ლანგარზე დაღო და ცეცხლი წაუკიდა.

“ვაიმე, სად, სად მიგვერეკებით?! ჩემ შვილებთან დამტოვეთ...”

განწირული ყვირილი ისევ შემოესმა. ნინო ერთიანად კანკალებდა, სულ უფრო ეკვროდა ლევანს.

— ღმერთო, რა იქნება ახლა?! ვაიმე, შვილებო. — ნინო ცრემლებს ვერ იკავებდა და ჩუმად ქვითინებდა.

ამის გაფიქრებაზე ორივეს სუნთქვა შეეკრა. ერთმანეთს გაქვავებულები შეჰყურებდნენ.

— ღმერთო! — არაადამიანური ხმით ძლივს ამოთქვა ლევანმა და ხელები თავზე შემოირტყა — ჩემი შვილები. ჩემი ელისაბედი, ჩემი გიორგი, ჩემი პატარები.

ლევანი ბავშვების ოთახისკენ გაემართა. დაბნეული ნინო ქვითინით მიჰყვებოდა უკან. ლამაზ პირსახეზე მძიმე, მზინავი თმა ჩამოშლოდა.

ლევანმა ოთახის კარები ფრთხილად შეაღო. სანოლში გოგონას უდრტვინველად ეძინა.

— ბატონო ლევან, — სამოცდარვა წლის ქალბატონი გაცელებული წამოინია გვერდით მდგარ სანოლიდან. ლე-



ვანს ღამით არასოდეს შეუღია ბავშვების საწოლი ოთახის კარი და თან, დაუკითხავად. მაგრამ ლევანისა და მის უკან მდგარი ნინოს შეშლილი სახე რომ დაინახა, გული გადაუქანდა. — ხომ მშვიდობაა, ბატონო? — მხოლოდ ამის თქმალა მოახერხა.

— თინა, ჩაიცვით — სთხოვა შემცბარმა თავადმა. ისეთი აღელვებული იყო, სულ გადაავინყდა, რომ ბავშვებთან ძიძას ეძინა და თავისი უსაქციელობისა შერცხვა. — მომიტევეთ. — დასძინა დაბნეულმა და ოთახიდან გავიდა.

— ნინო, რა მოხდა, სახეზე ფერი არ გადევთ. — ძიძა ლოგინიდან ფრთხილად წამოდგა. წლინახევრის ბიჭუნას საბანი შეუსწორა, კაბა ნაჩქარევად გადაიცვა და ნინოს მიუახლოვდა.

ერთ ადგილას გაშეშებული ახალგაზრდა ქალი თვალცრემლიანი დაჰყურებდა შვილებს. ხელებს ინვდიდა მათკენ და პირზე იფარებდა, ძლივს იკავებდა თავს. თითქოს არც ესმოდა ძიძის ხმა.

— ნინო, ნინო, რა მოგდით? — თინა თავის ქალბატონთან ახლოს მივიდა და ხელი მორიდებით შეახო. — ნინიკო, რა მოხდა? მითხარით, რა დაგემართათ.

ერთგული თინა დიდი ხანია რაც მათ ოჯახში იმყოფებოდა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, თავადს ოჯახში რომ მიუყვანეს. ყმანვილქალობა იქ გაატარა. ძალიან უყვარდა თავადის ოჯახი. ლევანიც და მისი უფროსი ძმაც გიორგი, ნათელში ამყოფოს მისი სული, მისი გაზრდილი იყო. გიორგის ტრაგედიამ დალი დაასვა მთელ ოჯახს. ჯერ დიდი ქალბატონი გარდაიცვალა, ორ წელიწადში კი — ბატონი. თინა თავს ვალდებულად თვლიდა, ბოლომდე დედობა გაენია ლევანისა და მისი ოჯახისთვის. მათ გარდა არც არავინ ჰყავდა.

— ნინო, ჩემო კარგო, შემომხედე, ნინო.

ნინომ არეული მზერა მიაპყრო შეშინებულ ქალს და აცახცახებული ტუჩებით ძლივს წარმოთქვა:

— მოვიდნენ, თინა, მოვიდნენ. გესმის?! ვაიმე, შვილებო! თინამ უკან დაიხია, ფერნასულმა მძინარე ბავშვებს გადახედა, შემდეგ ნინოს შეხედა და პირზე ხელი აიფარა. სიჩუმე ისევ მანქანის ძრავის ხმამ დაარღვია. მომარტული მანქანების ხმა მათ კარმიდამოს უახლოვდებოდა.

ძიძა გონს მოვიდა. სახეზე ეტყობოდა, რა სისწრაფით ეცვლებოდა ფიქრები.

— ნინო, გონს მოდი. რალაც უნდა ვილონოთ.

ახალგაზრდა ქალი ძიძის მონოდებამ გამოაფხიზლა. ადგილიდან მოწყდა და ქალიშვილის ლოგინთან მიიჭრა. მძინარე ბავშვი გულში ჩაიხუტა და ნაზი ხმით შეეცადა გამოფხიზლებას.

— ელისაბედ, ჩემო ტკბილო, ჩემო პატარავ, ღიზი, გაიღვიძე დედიკო. — სახეზე ეფერებოდა და ყოველ ნაკვთს უპოცნიდა. — ღიზიკო.

გოგონამ თვალები გაახილა და გემრიელად გაიზმორა.

— დედიკო, უკვე გათენდა? — სახეზე ხელით მოეფერა და თვალების სისველე იგრძნო. თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, უცბად გამოფხიზლდა. — დედა, რატომ ტირი? — თვალებში შიში ჩაუდგა.

— არაფერია, დედა შემოგველოს. ჩაიცვი, საყვარელო. წურაფერს მკითხავ. — ძიძის მონოდებულ ტანსაცმელს სწრაფად აცმევდა.

— დედიკო, — ფანჯრისკენ გაიხედა — ჯერ ხომ ღამეა? — ბავშვის თვალები ნინოს სასონარკვეთილ მზერას შეეფეთა. გოგონას ხმა აღარ ამოუღია. მორჩილად იცვამდა. გული დამფრთხალი ჩიტივით უფრთხილდება. მიუხედავად იმისა, რომ მის ოჯახში სიამტკბილობა სუფევდა და ყველას ერთმანეთი საოცარი სინაზით უყვარდათ, მთელი ბავშვობა გაურკვეველ დაძაბულობას გრძნობდა. თითქოს მათ სახლში შიში ჩასახლებულიყო და კუნჭულებში შემალული ყურადღებით უთვალთვალებდა, ყველგან თან სდევდა. პატარა გოგონა ისე მიეჩვია ამას, რომ ველარც კი ამჩნევდა. ზოგჯერ უსიამოვნო გრძნობა თუ დაეუფლებოდა. — დედიკო, უნდა წავიდეთ?

ბავშვის მიერ სრული სიზუსტით ნათქვამი სიტყვა განაჩენივით გაისმა საძინებელ ოთახში.

ნინოს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ გოდება არ ამოსვლოდა პირიდან. ეს მართლაც გამირობის ტოლფასი იყო.

პატარა ღიზიმ დაინახა, როგორ უკანკალებდა განანამები სახე დედას და მიხვდა, რომ ყოველი მისი სიტყვა ხანჯალივით ესობოდა.

— ერთი კვირის წინათ ჩვენ მახლობელ სოფელში მისულან სატვირთოებით. მთელი სოფელი აუსხავთ და გაუყვანიათ. იოსებს მოუსწრია გაქცევა. გაღმა სოფლისთვის შეუფარებია თავი და იქიდან გორში გადასულა. თურმე სად არ ეძება თავისიანები და ვერსად უპოვია. ვილაკებს უთქვამთ, გაუსახლებიათო იქ — თინამ ბოლო სიტყვები ჩუმად წარმოთქვა, თითქოს ეშინოდა ვინმეს არ გაეგო. — საწყალი იოსები. ამათ ვინ დაემალება.

ნინო კარადიდან ბავშვის ტანსაცმელს და საცვლებს ჩანთაში ალაგებდა. მექანიკურად მოძრაობდა.

— ქალებმა და ბავშვებმა რა დაუშავათ. წლინახევრის ბავშვმა რა უნდა დაუშავოს. ეს რა ხდება ამ ქვეყანაში?!

— საერთოდ უნდა აყარონ ყველა და ეს ადგილი ჩაკეტონ. მოლალატეთა ბუდეა აქო.

— ვინ არის მოლალატე? ღმერთო ჩემო, ესენი არიან მოლალატეები?!? თორმეტი წლის ელისაბედი და წლინახევრის გიორგი? თინა, ესენი არიან მოლალატეები?!? არა, სულ გაგიჟდნენ. შეჩენილი ჰყავთ. უფლის არ ეშინიათ?! ღმერთო, გვაკმარე განსაცდელი. შენ დაგვიფარე, წმიდაო გიორგი!

— შეჩენილი კი არა, უწმინდურები არიან. უსულგულოები. ბაბუცამ იოსების ამბავი რომ მითხრა, ისიც თქვა, რომ იქამდე ბევრი ვერც აღწევს, გზაში იღუპებიან. პატარა ბავშვებს უფრო უჭირთო. — თინამ ენა მოიკვნია. მიხვდა, რომ ბოლო სიტყვები არ უნდა ეთქვა.

გიორგის საწოლთან მდგარი ნინო თინასკენ შემოტრიალდა. ანთებული თვალებით შეჰყურებდა ძიძას. მოცელივით დაემეფა ლოგინზე და ტკბილად მძინარე ბავშვი გულში ჩაიკრა. ასე იჯდა ჩუმად და არწევდა პირმშოს. მოხუცი ძიძის დამჭკნარ ღანვებზე ცრემლების ნაკადი უწყვეტად მოედინებოდა. სინამდვილე და მწარე მომავალი ორივე მანდილოსანს მთელი სიცხადით თვალწინ დაუდგა.

— თინა, — ნინოს უღონო ხმა ვედრებასავით გაისმა ღამის სიჩუმეში. ახალგაზრდა ქალის სათნო და ღამაზ სახეზე ქარტყილები ბობოქრობდა. — გიორგი ვერ გაუძლებს ამხელა გზას. შენ უნდა უპატრონო. შენ ხელს არ

გახლებენ. — თინას თვალეში უყურებდა. მიღებული გადანყვეტილება სახის ყოველ ნაკვეთში უძრავად ჩაბეჭდილიყო. — მიმიხედე ჩვენს გიორგის. მაღალ ღმერთს გაფიცებ, თინა, უარი არ მითხრა. გვევდ...

ნინომ სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო. უეცრად ღამის სიჩუმე საშინელი დარტყმის ხმამ დაფარა. ეზოს ბოლოში მდგარი კარიბჭე გრუხუნით მძიმედ დაენარცხა მინაზე. ეზოში მანქანების ხმაური გაისმა.

ნინო გველნაკბენივით წამოხტა საწოლიდან. მძინარე ბავშვი ისევე ხელში ეჭირა. ისარივით გასწორდა. თვალეებით ოთახის ყოველ კუნჭულს ათვალიერებდა.

— თინა, მომყევი. — კარებში გაიჭრა. თავზარდაცემული მოხუცი მორჩილად გაჰყვა.

ნინომ ისე ჩაუქროლა ოთახებს, რომ ოთახიდან გამოსული ლევანი ვერც კი შენიშნა, კიბის ქვეშ დატანებულ კედელს მიუახლოვდა. კიბეს მეორე მხრიდან პატარა კარი ჰქონდა, ოთახის მხარეს კი სწორი კედლით იყო ამოშენებული. ვერც კი იფიქრებდით, რომ აქ შეიძლება საკუჭნაო ყოფილიყო. თუ არ იცოდი და ძალიან არ მიუახლოვდებოდი, ვერც კი შენიშნავდი, რომ კიბის მეორე მხარეს ნიშასავით სიცარიელე იყო. სწორედ ამ მხარეს ჰქონდა კარი კიბისქვეშა პატარა ოთახს, სადაც ლევანის ოჯახი საჭირო ნივთებს, შოთის პურებს, ჩურჩხელებს, თხილს, წნილს და მურაბით სავსე ქილებს ინახავდა, იმ შემთხვევისთვის, თუ დასჭირდებოდათ, სახელდახელოდ, სწრაფად გამოეღოთ მურაბა იქნებოდა ეს თუ წნილი ან კიდევ სხვა რამ და ამისთვის სარდაფში არ ჩასულიყვნენ. ერთ-ერთ გრძელ, საკმაოდ ფართო თაროზე ცარიელი

ქილები ელაგა. ნინომ სწრაფად გადმოალაგა ქილები და პლედში გახვეული პატარა გიორგი თაროზე ფრთხილად დაანვინა, თავქვეშ პატარა ბალიში ამოუღო და შუბლზე ეამბორა. შემდეგ პირჯვარი გადაწერა, უფალს მიანდო თავისი თვალისჩინი, ფქვილით სავსე ტომრები დაალაგა გვერდით ისე, რომ ბავშვი არ გამოჩენილიყო.

— თინა.

ქალი გაფართოებული თვალეებით შეჰყურებდა თავის ქალბატონს.

— ნინიკო, შვილო...

— არ დაგავინყდეს, რაც გთხოვე — სიტყვა გაანყვეტინა და გადაეხვია.

სახლის კარების მტვრევის ხმამ იქაურობა გააყრუა. ნინიკომ საკუჭნაოს კარი მიხურა და გარედან გადაკეტა. სასწრაფოდ მოწყდა იმ ადგილს და სახენაშლილ ლევანს და ელისაბედს მიუახლოვდა. ისინი გაუნძრევლად უყურებდნენ ნინოს ქცევას და, თითქოს ერთ ადგილზე მიაჭედესო, ნაბიჯის გადადგმასაც ვერ ბედავდნენ.

— ლევან, ის ძალიან პატარაა, ვერ გაუძლებს, ვერა. ვაიმე, დედა. — ნინომ თვალეები ზევით ალაპყრო, მუშტებ-

ბად შეკრულ ხელეებს გულზე იჭერდა — გვევდრები, დედა ღვთისმშობელო, შენც ხომ დედა ხარ და იცი, რა სიმწარეა ეს, დაიფარე ჩემი გიორგი, გემუდარები. — ახალგაზრდა ქალის ჩურჩული გულიდან ამოხეთქილი კვიცილის ტოლფასი იყო. შეშინებული ელისაბედი გულში ჩაკვროდა მამას, თვალს არ ამორებდა კიბის ქვეშ დამალულ საკუჭნაოს, უხმოდ ყლაპავდა გაფითრებულ ლოყაზე ჩამოგორებულ ცრემლებს, გული მობუზული ბელურასავით უფრთხილდებდა.

მძიმე ფეხსაცმელების ხმა სწრაფად უახლოვდებოდა ოთახს. დერეფნის ბოლოს ავტომატებიანი მცირე რაზმი გამოჩნდა. წინ შავი ტყავის ქურთუკში და ტყავის ქუდში გამოწყობილი მამაკაცი მოუძლოდათ.

ლევანმა ნაბიჯი გადადგა და რალაცის თქმას აპირებდა, მაგრამ მამაკაცმა პირში მიახალა:

— აბა, ახლა ყვირილი და კვიცილი არ დაიწყეთ. სწრაფად გაახვიეთ რაც აუცილებელია და წამოიყევი.

ნინომ კუთხეში თინას მიერ საჩქაროდ გამონასკული ბოხჩა დაინახა. მწარე ღიმილი ბაგეების კუთხეში ჩამალა. “ჩემო კეთილო, ამაზეც გიზრუნია” — გაიფიქრა. ცოლ-ქმარი პატარა ლიზისთან ერთად უხმოდ გაჰყვა უკან გა-

ვებულ მამაკაცს. სასწრაფო კვეთილი ლევანი მძიმედ მიაბიჯებდა, ისე ძალუმად მოეკუმა მუშტები, რომ ხელისგულეში სისხლი აღარ უმოძრავებდა. მთელი ძალით ითმენდა, თავს იკავებდა, რომ პირში არ მიეხალა, არ მივარდნილიყო, მაგრამ ეშინოდა, რომ ცოლ-შვილისთვის უარესი უბედურება არ დაეტეხა თავზე. გასასვლელ კარებთან იყვნენ მისული, რომ უეცრად ქვითინის ხმა შემოესმათ. დერეფნის ბოლოდან მოდიოდა. ლევანს ფეხები მოეკვეთა.

— სდექ!

გაისმა მამაკაცის ხრინინიანი ხმა. ყველა გაჩერდა. მამაკაცმა გამომცდელი თვალით შეხედა ლევანს და გვერდზე მდგომ ფორმაში გამოწყობილ ახალგაზრდას მიმართა:



მხატვარი ავთანდილ პოპიაშვილი

— აბა, ერთი ნახე, რა არის მანდი!
 ლევანი წინ გადაელობა. წამში სახეზე იარაღის კონდა-
 ხი იგრძნო. სისხლი წასკდა.

— არ გაინძრე! — დაუყვირა სახეშეშლილ ნინოს ფორ-
 მიანმა. — ჰა, ეშმაკობაც გცოდნიათ? არ გეკადრებათ, ბა-
 ტონო ლევან. — მიუბრუნდა ლევანს. “ბატონო ლევან”
 ისეთი ცინიზმით და ამრეზით წარმოთქვა, რომ სიტყვებ-
 თან ერთად მთელი ზიზლი ამოანთხია. — აბა, აბა, ვნა-
 ხოთ. სოროში ვირთხები გყოლიათ? — სიამოვნებისაგან
 სახე ულაპლაპებდა. ნიშა გულდასმით დაათვალიერა. სა-
 კეტი შენიშნა და კარები გააღო. საკუჭნაოდან გამეხებუ-
 ლი ქალი გამოვარდა.

— დეიდა თინა, თქვენ? — ახალგაზრდა კაცი შეცბა.
 პატარა რომ იყო, რამდენჯერ დაუპურებია დეიდა თინას,
 რამდენჯერ გამოქომაგებია. დედაქალაქში წასვლის წინ
 თავისი დანაზოგი სულ ძალით ჩაუდო დეიდა თინამ ხელ-
 ში, “შენგან კარგი კაცი დადგება, შვილო, სწორად მოიხმა-
 რეო” — ასე უთხრა. თითქოს მდულარე წყალი გადაასხე-
 სო, გაშეშებული იდგა. არ იცოდა რა ექნა.

— ჰა, რა მოხდა, რას გაშეშებულხარ! არ გესმის! წამო-
 იყვანე! — დაულრიალა შავცეცხოსანმა.

თინა სასწრაფოდ გაეცალა საკუჭნაოს. ერთ რამეზე
 ფიქრობდა მხოლოდ, საკუჭნაო არ გაეჩხრიკათ და ფქვი-
 ლით სავსე ტომრებს იქით დამალული მძინარე გიორგი არ
 ეპოვებოდა. საკუთარი ხელებით საკუთარი გულის ამოგლეჯვა
 უნდოდა იმისთვის, რომ ვერ შეაჩერა ნიაღვრად ქცეული
 ცრემლები. საწყალი, ნინოსკენ გახედვას ვერც კი ბედავდა.
 გამწარებული მის წინ მდგარ კაცს თვალებით ბურღავდა.

ახალგაზრდა კაცი ისე დააბნია თინას გამგმირავმა
 მზერამ, რომ საკუჭნაოში არც კი შეუხედავს, ისე ჩაილა-
 პარაკა:

— ეს არის სულ. — შემდეგ თინას მიუბრუნდა — მობ-
 რძანდით, დეიდა თინა.

დერეფანში ახალგაზრდა ქალის სიმღერის ხმა გაისმა.
 ნინო თავის საყვარელ სიმღერას მღეროდა, იმას, ბავშ-
 ვებს რომ უმღეროდა ძილის წინ. სპეცფორმებში თავმო-
 ნონედ გაჯგიმული შავრაზმელები გაცხებულეები შეჰყუ-
 რებდნენ ნინოს. მარტო ლევანმა და დეიდა თინამ იცოდ-
 ნენ, ხმამაღლა რატომ მღეროდა ნინო. ის თავის გულის
 ნაწილს, თავის პატარას უმღეროდა უტკბესი ხმით, ხმა-
 მაღლა მღეროდა, სიმღერით უნდოდა გადაეფარა ხმაური.
 რწმენით სავსე ნათელი გადაფარებოდა სახეზე. ფრესკას
 მოგაგონებდა ახალგაზრდა ქალი. ტაძრის კედელზე ამ-
 ლერებულ ფრესკას.

— “მობრძანდით”. ჰმ. რა ბრინჯივით დაიბენი, ბიჭო.
 მაღლიერების გრძნობა ცუდი მრჩეველია, დაიმახსოვრე.
 — დამცინავად გადახედა დანარჩენებს შავცეცხოსანმა და
 მკვახედ გამოსცრა — “მობრძანდით” კი არა, ფეხი გამო-
 ადგით! ჩქარა! — ისეთი ძალით ჰკრა კარს ფეხი, რომ ის
 მთელი ძალით მიეხეთქა კედელს და შუშების მტვრევის
 ხმა ნინოს ძლიერ და საოცრად რბილ ხმაში ჩაიკარგა —
 ფუჰ, შენი... შეიკურთხა და ენერგიულად ჩაირბინა მაღალ
 “ბელეტაჟზე” საუკუნეებით მდგარი სახლის კიბეები.

პატარა საკუჭნაოში კი პატარა გიორგის პანია ფუმ-
 ფულა ხელი ლოყისქვეშ ამოედო და ტკბილად, უდრტვინ-
 ველად ეძინა.



სოფიკო კვანტალიანი

სიტკბოს მუნასიბი

ჩემი კაბის
 ქამხა-ატლასის გონებას
 კარგად ახსოვს
 შენი ხელის შემოცურება
 ბარძაყებს შორის
 და შეფრფენა ისე მკვეთრი,
 უსხეულო, კრიალა ნაღებს
 კარაქის ვარდი რომ გამოეყოს!..
 ასე ვტკბებოდი — ფენა-ფენა,
 შაქრის სიროფში თიმთიმებდა
 ჩემი ძვალ-ხორცი,
 ერბოთინაზელ ტკბილ ქადის ცომში
 მენყო სიზმრები.
 ვიყავით მშვიდად მტკბარნი
 „ერთ ხორც და ერთ სულ“,
 მსუქან მუცლებით შეზრდილ
 ტყუპ ქლიავივით.
 ვისურვე
 სიღრმეში ფრენა,
 ვემალეობოდი უცვლელ კანონს —
 ხრწნადობის,
 სულთგამონვლილვის...
 სიტკბოსგან დაბერილი ჩემი ბოლქვები
 ლურჯ მინაში ფაჩუნობდნენ,
 სუფთა დინების,
 ღმერთის ღიმილის მომლოდინემ კი —
 აღმოვაჩინე საიდუმლო —
 მურაბადქცევის!
 სიტკბოთი უკვდავებაში გადასვლის.

იისფერი მუნასიბი

ფშუტეა ეს კაბაც,
 მაგრამ მტკივნეული —
 ჩემი კანიდან შეიზარდა
 სუსტი სისხლძარღვი:
 ერთად ვფეთქავთ ახლა,

ერთად ავეხორცობთ.
 ტკრციალებდა ადრე იგი მხიარულად,
 უბეში ჩაზრდილ
 სარაინდე,
 ვარდკოკობ ძუძუს იმაღავდა
 და როცა ქაცვის ნაშვერი ბრჭყალისგან
 შვებით გაეხსნა ნაწიბური,
 გამოჩნდა —
 ბულულა კაბის
 ტკბილ-ვარდისფერი ხორცი.
 ზოგან ტიულის კანი
 მსუბუქ ჩენჩოდ ჩამოეკიდა,
 ტკბილი რბილობი შეიჭამა,
 დარჩა მხოლოდ ხრტილები
 და კაცთა საცდუნებლად დაფენილი
 მოჩვენებითი სიმსუბუქე,
 რომლის ქვეშაც თვლემენ უფსკრულები,
 ზედაპირზე კი,
 სადაც ფრთოვნულად ფრენენ ფრინველები,
 ისევ თავიდან,
 კენკროვანი ტკაცუნით სკდება
 სიქალწულე რიშქალასი
 და ისე ნაზად იხსება მისი გული,
 თითქოს ღვთაებრივად მწიფე ბრონეული
 უსისხლოდ გაგეხლიჩოს...
 მე კი —
 ყელის ზამბახისღეროვნებით
 თავს ვინონებ და
 იისფერ ნერწყვს ვყლაპავ დროდრო!

უზუნდარა

როგორ შევებრძოლო ნაკადულებს
 ჩემკენ რომ მოედინებიან??
 სხვანაირი გაღვიძება მქონდა დღეს
 ცეკვასავით —
 მთელი ღამე კაცთან მძინებია თითქოს,
 არადა ზრდასრული მზესუმზირა იწვა
 ჩემ გვერდით!
 მერამდენედ მივიღე ყვავილი
 როგორც კაცი და
 დავენეი მასთან!
 შაქრისგან გაცისკროვნებული ვწევარ
 და მთლად ვკამკამებ,
 ჰე, მომადრეთ გამსკდარი ფატას აპკი
 და ამომიყარეთ თავიდან
 საპატარძლო თეთრი ვარდები.
 იები უნდა ამომივიდნენ ჭრილობაზე —
 ჩემი თრომბული ყვავილები.
 როგორ შევებრძოლო ნაკადულებს
 ჩემკენ რომ მოედინებიან?
 არეულ-დარეული თუ ვიქნები,
 აუცილებლად ამაფრიალებენ,
 ამიტომ
 მოჩვენებითად უნდა ვიელვარო;

ტყე გადმოვაბრუნო
 და დავინახო,
 როგორ გამომწვევად ხასხასაა
 მისი სარჩული.
 ჩემი ფეხები თუა, ასე ჩქარ-ჩქარა რომ ცეკვავენ
 უზუნდარას?
 პირშიც აღმოსავლური ენა მიდევს —
 მოქარგული იის ფოთოლი
 და ვმღერი საკონცერტო ხმით:
 ჰე, ფრინველისკარტიანებო!
 როგორ შევებრძოლო-მეთქი ნაკადულებს
 ჩემკენ რომ მოედინებიან?
 ან რა გავაუჩინარო გულში?
 პირიქით,
 ლამის ჩამოვიბერტყო
 კაბაზე მიქარგული ატამი
 და მზეს ტყუპისცალი გავუჩინო...

სიყვარულის მუნასიზი

ლაზარეს

ჩემი ტვინი
 ისეთივე სურნელოვანია,
 როგორც
 იასამნის მოგრძო მტევანი,
 ჩემი სიყვარული კი
 აიფშრუკა,
 ვნება გაიწოვა და
 აღარ მილიტინებს!
 უკანასკნელად ვთქვი:
 „ოჰ! სიყვარული...“
 და ნება დაგრთე
 გეცდუნებინე,
 რომ მეგრძნო, კიდეც ერთხელ,
 იისფერ ლეღვს
 ზედმეტი სიტკბოსგან,
 როგორ ეხსნება ჭრილობა,
 როგორ ივსება მენამულ ხორციით
 და ბიბლიურ სისხლით.
 ამის მერე კი
 მალე ვიგრძენი —
 მეკვირტებოდა შიგნით რალაც,
 მხიარული, ანგელოზური
 და სქელი სიზმრიდან
 გამოვედი ხელვარდიანი —
 ჩვილ ლაზარეთი!
 ამ პატარა, მარწყვისგულა
 შვილიკოს გამო
 უეცრად გადავიხარე
 იის სინოორჩისკენ
 და არა სიკეკლუცის მიზნით,
 არამედ რალაც
 ღვთაებრივი შეგრძნების გამო,
 ხელით მოვისინჯე
 ორი, ზომიერად მოზრდილი
 ძუძუ!



ლექსი, ყველაფერთან ერთად, ამქვეყნად გაძლები საშუალებაც არის. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის ასეა, ასე იყო და ასე იქნება. ვაჟა ოთარაშვილის ამ ციკლშიც ყველაფერი ისეა, როგორც ქართულ პოეტურ ტრადიციაში, აქ ერთი რეალობაა წარსული და აწმყო, სიზმარი და ცხადი, ოცნება და სინამდვილე. ამავე დროს ეს ხომ ქართული ხასიათი, ქართველი კაცის სულიერი კონსტიტუცია და გაძლების ფილოსოფიაა, რომელშიც ისევე ცოტაა გამონაკონი, როგორც გულით მოთქმაში.

სამშობლოს ტრაგედიის განცდა ყველა ქართველში მძაფრზე მძაფრია, მაგრამ ვაჟა ოთარაშვილისთვის ეს განცდა კიდევ უფრო მძიმეა, რადგან ეგრეთწოდებული მტრის ხატი მისთვის იდეის სახით კი არ არსებობს, არამედ ემპირიული, საგნობრივი, ვიზუალური ფორმით. ოკუპანტის ჩექმამ მის მშობლიურ სოფელზეც გადაიარა, მასაც შეურყვნა წინაპართა საფლავები, მასაც წაუბილნა სინძინდის კულტი.

„ჩემი პაპის პაპის საფლავებთან ორ კილომეტრში რუსის ჯარია. ეს თეთრი ღრუბლებია, თუ შენი ფრთებია, დედათა დიდებავ, წმინდაო მარიამ!“ – ასე მთავრდება ეს ციკლი, 2008 წლის აგვისტოს ტრაგედიის პოეტური ქრონიკა, რეკვიემი სასონარკვეთილათვის, რომელნიც უფალს მოუხმობენ შველად.

ვაჟა ოთარაშვილი

სადარდებელს უკვე ველარ დათვლი,
გულთან ასი მობჯენილა დანა...
მე ამ ბარათს ანგელოზებს ვატან
უფლისა და ქართულ სიტყვის მონა...
ერთიანი იბერიის ხატი
მინდა ვნახო, სანამ შენთან მოვალ...

* * *

უმადურობის და ღალატის
ვხედავ მე სცენებს,
პირში გაქებენ,
რომ ზურგსუკან
ჩუმად გაგნირონ...
როგორ მინდოდა,
შე მურდალო,
ისე მეცემე,
რომ ველარ შესძლო
ეგ ცბიერი თავი ასწიო...
შენ შეგიძლია ორშაურად
გაყიდო ქართლი
და აფხაზეთის კვნესაც
შენთვის
მხოლოდ ფულია...
ამ მიწის ნაჭრებს
ჯვარზე გაკრულ იესოს ათლი...
ივერთ აღდგომა —
მომავალის სასწაულია!..

საქართველო ქრისტიანი?!

იესო ერთმა იუდამ გასცა
ჩემს საქართველოს გასცემს მრავალი...
რად უნდა დილა, იყივლებს ისეც
მოღალატეთა ფერმა მამალის...
აქ საბუდარშიც მამალი ჯდება,
დედლებს პეპლავენ ვნებით დედლები...
საყურებად ჰკიდიათ ჯვრები,
ფარისევლური ისმის ვედრება...
აღარ სჭირდებათ დედლებს კრუხობა,
რადგან არსებობს ინკუბატორი,
თეთრი კვერცხების არის უხვობა
და კმაყოფილი ყივის ბატონი...

ლოცვა რუსთაველზე

ვიცი, ღამე ცუდად გძინავს, შფოთავ,
ხან საკუთარ თავს უწყრები ბრაზით...
რუსთაველზე ვნახე ნუხელ შოთა,
გვერდით ედგა მეფე ფარნავაზი...
ილიას და წერეთლის ძეგლთან
თერგდალეულ ერის მამებს შევხვდი,
„ვაჟა არ ჩანს“... — დავაპირე მეთქვა
და შეირხა მთაკაცივით ვერხვი...
გურამიშვილს მხარში ედგნენ ლეკნი,
უფიცავდნენ ერთგულებას ყონალს...
სჭექდნენ სამას არაგველთა ლეკვნი:
„არ ვიქნებით არავეისი მონა!“
აქ სრულიად საქართველო იდგა,
წმინდანები ირგვლივ ჰფენდნენ ნათელს...
დავით მეფე დიდგორულად, მედგრად,
კვლავ ბრძოლისკენ მოუხმობდა
ქართველს!
გაბრწყინებულ ივერიას ვხედავ!
თეთრ გიორგის ქაშუეთის კართან,
ქრისტეს ლამქრის სწორუპოვარ მხედარს,
კვლავ იფარავს ღვთისმშობელის კალთა...
ვიცი, ღამე ცუდად გძინავს, შფოთავ,
ხან საკუთარ თავს უწყრები ბრაზით...
სვეტიცხოველს ჯანლი გადაშორდა,
საქართველოს ღვთის ბეჭედი აზის!

ნარილი დედას

ისევე ისე მენატრები, დედი,
თითქოს შენი კაბის კალთას ვება...
კასპის რუხი სასაფლაოს ხედი,
თებერვალში თოვლმა გადალება...
არაფერი არ იცვლება თურმე,
მხოლოდ დრო წნავს ტკივილების
გვირგვინს...
მიაგორებს ქარი ღრუბლის ურმებს
და გათოშილ კლდეებს ზომავს ირგვლივ...
დედაჩემო, დაიჩეხა ქართლი
და რუსები ყაჩაღებად დგანან...

ყივის ბატონი, ღამდება როცა,
როცა კნენინას კვერცხებს მიუტანს...
ცას შელეკია ამაო ლოცვა
თუ გათენებას ელის იუდა?!

* * *

გაგონდება თუ არა
კარალეთის დღეები...
გალაკტიონი

გახსენდება ძვირფასო,
კარალეთის ბაღები...
ერთ სალამოს დაბომბეს
უცბად და ხელაღებით...
გადამწვარი სახლები,
გამურული თახჩები...
რუსის ჯარი — ახვრები,
არ მოვიდვიარ — აქ ვრჩები...
საომარი პიარი,
და გამშრალი ცრემლები...
ქართლო, ცეცხლში ბრიალებ,
შენ კი შემოგეველები!..
ყველა შენ შეგესია,
ივერიავე, რას იზამ?!
ეხლა გინდა მესიად
ჯარი სააკაძისა!..
გახსენდება ძვირფასო,
კარალეთის ბაღები...
რა მხეცურად გადაწვეს
უცბად და ხელაღებით...
2008წ.

პახუშტი კოტატიშვილის ხსოვნას

ნავიდა დიდი ფოლკლორისტი,
დიდი მაესტრო...
როგორ უნდოდა სიკვდილითაც
დროსთვის გაესწრო...
ასე მგონია,
„ვეფხისა და მოყმის“ ბალადა,
მან გადანერა მყინვარწვერთან —
უფლის კარადა...
არ ავიწყდებათ ქალბატონებს
მასთან ვალსები...
ხალხური ლექსის
და თარგმანის მასტერკლასები...
კასპს და კავთისხევეს
როცა რუსის ტანკი ბულრავედა...
კელაპტრიშვილის სალამური
დაისს უკრავდა...
თბილისს ბომბავდენენ...
პანთეონის შერჩი ამალას...
მანდ ველარც ტკივილს,
ველარც ცრემლებს
ველარ დამალავ...
2008წ.

პოლან ნადირაძის პოლო მონოლოგი

ვიცი, უნდა დაგიტიროთ ყველა,
ვიცი, უნდა დაგიტიროთ მარტომ...
სადღაც ჩემი ბალდახინიც ელავს
და ქარონიც ინყებს თავის კანტურს...
მაჩაბელზე კვლავ გვინგრევენ ტაძარს,
აპრილდა პიარების ბუმი...
მთანმინდაზე ველარ ვხედავ ანძას,
შენობების მოჩანს ყარაყუმი...
ეკრანიდან მიკითხავენ მორალს,
მე კი ცრემლით ვავსებ ცისფერ ყანწებს...
საქართველო ისევ სისხლში ბოლავს
და მიხაკებს ტყვიის ჯერი არწევს...
რა ძნელია დაგიტიროთ ყველა,
რა ძნელია დაგიტიროთ მარტომ...
ჩქარა! ჩემი ბალდახინიც ელავს
და ქარონი ინყებს თავის კანტურს...

იპერიას

როგორც ადრე ოსმალს და ირანი —
ეხლა რუსეთ-ამერიკა გიყოფს...
ივერიავე, შე ობოლო ირემო,
ღვთისნიერო, მაგრამ მაინც ბრიყვო...
ვისი რა გჭირს მიბაძვა და სწავლება,
ან ლაქუცი ღვთისმშობელის წილხვედრს...
„ჭირსა შიგან, ჭირსა შიგან“, თავნებავე,
საქართველოვ, უკვე დროა მიხვდე!

* * *

ჩემი პაპის პაპის საფლავებთან
ორ კილომეტრში რუსის ჯარია!
საქართველო ვინ, ვინ გაყიდა,
(უკვე მერამდენედ!),
წმინდაო მარიაამ!
ჩემი პაპის პაპის საფლავებთან
ორ კილომეტრში
რუსის ჯარია.
ევროპას ფეხებზე ვკიდივართ,
ამერიკა რა მოსატანია!
იმედი?
უფლისლა! სხვა არავისი!
ალარც ტრაქტორი,
ალარც სახნისი...
დიზელი (სანვავე) 1,80 ლარი,
მოუხვენელ მინდვრებზე
მოთარეშე ქარი...
საქართველოს ოთხივ-კუთხივ
მოღებული კარი...
ჩემი პაპის პაპის საფლავებთან
ორ კილომეტრში რუსის ჯარია.
ეს თეთრი ღრუბლებია, თუ შენი ფრთებია,
დედათა დიდებავე, წმინდაო მარიაამ!

მოულოდნელი წერილები

გადაცემა France Culture-ის წამყვანია ბ. ერვე ლე ტელიერი, რომელიც ეპისტოლური ფორმით გვანვდის ნაწარმოებთა თავისებურ სახალისო ინტერპრეტაციას.

წერილი ბ. პრევერს

პასუხის უფლება ბარბარასათვის



ძვირფასო, ბ. პრევერ, ამ წერილით თავს უფლებას ვაძლევ, გთხოვოთ ზოგი რამ შეცვალოთ თქვენს პოემაში, რომელმაც, ვერც კი წარმოიდგენთ, რარიგ მავნო სამსახურსა თუ ოჯახში.

დავინწყით ნაკლებად სერიოზულით, იმ ტურისტული სააგენტოთი, სადაც მე ვმუშაობ. ჩემი უფროსი ბ. მუშე ისურვებდა, რომ პატივი დაგედოთ და შეგეცვალოთ შესავალი ნაწილი, რადგანაც გაზ-

ვიადება საჭირო არ არის, გადაუღებლად არ აწვიმს ბრესტს, მსგავსი სურათი, ვერ წარმოიდგენთ, რარიგ ვნებს ბრეტონელებს. ასე რომ, ემჯობინებოდა „ჟინჟ-ლავს“ დაგეწერათ.

კიდევ უფრო გამაღიზიანებელი კი ის არის, რომ ჩემს მეუღლეს, ლუსიენს, როგორც წყალქვეშა ფლოტის ყველა მეზღვაურს, მიაჩნია, რომ როგორც კი პერისკოპი წყალში აღმოჩნდება, ჩვენ, წყალქვეშა ფლოტის მეზღვაურთა ცოლები, გალანტურ თავგადასავალთა ძიებას ვინწყებთ. ასე რომ, წარმოიდგინეთ რა დღეები უნდა ჩავარდნილიყო ჩემი ქმარი, როცა თქვენი ლექსს ნაიკითხავდა წყალქვეშა ნავის ბიბლიოთეკაში. შინ გამძვინვარებული დაბრუნდა. მითუმეტეს, მეგობრებმაც არ მოასვენეს. განუწყვეტლივ უმეორებდნენ: „გაიხსენე ბარბარა. გაიხსენე ბარბარა“. თქვენი პოემა წყალქვეშა ნავში უკვე ყველამ ზეპირად იცის.

კი ბატონო, ბარბარა ბრესტში უკვე არც ისე ხშირია, ბევრად ნაკლებია, ვიდრე ჟოსელინი, მარი-ჟანი ან მადლენი, სხვათა შორის, მე მონტელიმარიდან ვარ და არა ბრესტიდან. არც იქ არის ბევრი ბარბარა. ყოველშემთხვევაში „და მე შენ შეგხვდი სიამის ქუჩაზე“, თუ გავითვალისწინებთ, რომ 10 ნომერში ვცხოვრობთ, ეჭვს არ ბადებს. ეს ჩემი მეუღლის მშობლების კუთვნილი სახლია, რომელიც ქორწინების დღეს დაგვიტოვეს.

სამაგიეროდ, მართლაც არ ვიცი, რომელ დღეზეა ლაპარაკი, რადგან „შენ მოდიოდი წვიმაში მომღიმარი, გაბადრული, ალტაცებული, გაბრწყინებული“. მსგავსი რამ შეიძლება ხშირად ხდებოდეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქოლგა ყოველთვის თან დამაქვს. ამინდი აქ ელვისე-

ბურად იცვლება, დილას არ იცი, რა ჩაიცვა. გარდა ამისა თქვენ წერთ: „ოჰ, ბარბარა! რა სისაძაგლეა ეს ომი“. გულწრფელად ვამბობ, მსგავსი რამ ბრესტში მიუღებელია. მე ხომ არ გეუბნებით: „რა სისაძაგლეა პოეზია“. სამხედროები ყოველთვის შეუძლიათ აკრიტიკონ, მაგრამ მათი არსებობით ძალიანაც კმაყოფილი არიან, მაშინ, როცა პოეტები ქირის გადახდას აგვიანებენ, თუკი იხდიან და არც არჩევნებზე სიარულით იკლავენ თავს. აი, ის, რისი თქმაც მინდოდა თქვენთვის, ბ. პრევერ. კმაყოფილი დაგრჩებით, თუ პოემას ხელახლა დაწერთ, სხვა სახელებს გამოიგონებთ. მაგ: ჟანიანი ან ლუსი, ჩემზე რომ არ იფიქრონ, თანაც ქალაქსაც შეუცვალოთ, ვთქვათ, სტრასბურგით ან ორლანით.

წინასწარ გიხდით მადლობას.

პატივისცემით

ბარბარა

წერილი რამზოს

ნაპოენი მეზიერის საშუალო სკოლის კონსიერჟის მიერ 1871 წლის 12 დეკემბერი



ძვირფასო ჟან-ნიკოლა-არტურ, ეს-ესაა ნავიკითხე შენი ლამაზი პოემა „ხმოვნებად“ რომ მონათლეს, და რომელიც ჩემთვის გინდოდა გამოგეგზავნა, ვიდრე გამოაქვეყნებდი.

რასაკვირველია, ამოვიცანი აქ მოხსენიებული ყოველი ნივთი, ყოველი ადგილი.

შავი A: რა თქმა უნდა, პირუტყია, ჩვენი პატარა, ლამაზი, შავი კატა, რომელსაც ხშირად ქაჩავდი კუდს, და რომლის წვეტიანი ყურებიც ასე ძლიერ გაგონებდა „ა“ ასოს. მუდამ ბინძური პირუტყი წა-

რამაზა ბუზების მოგერიებას რომ ითხოვდა.

თეთრი E: როგორ, ესტელას ვერ ვიცნობდი, ჩვენი თავზიანი ექთანის, მთელი დღე კარვის ქვეშ სტერილური კომპრესებისთვის წყლის ადუღებით რომ იყო დაკავებული? ესტელას, მზის გასაშლელ ქოლგას გვერდიდან რომ არ იშორებდა? ესტელას, გრეჟის ტვიდის ტანსაცმელში გამოწყობილ შავგვრემან ლამაზ ქალს?

ნითელ უ-ს რაც შეეხება, რასაკვირველია, მაშინვე მივხვდი. როგორ ვერ დაივინწყე იზამბასთან ჩხუბი შარლევლის კოლეჯში. ჟორჟი ყოველთვის ნანობდა ამ ჩხუბს, მაგრამ აღიარე, რომ ორივენი ცოტა არ იყოს ნასვაძები იყავით.

U-მწვანე: ეს უთუოდ სკოლის საბრალო კაკლის ხეა, რომლის შეფოთილი ღერო ამ ასობგერის ფეხებს ხაზავს, და რომელიც ასე ეული ჩანდა, ასე მიტოვებული შუაგულ ეზოში, რომელსაც შენ ერთადერთს ეძახდი.

O-ლურჯი: გამოგიტყდები, არ ვიცი, რა არის. გახსოვს, ოლგა, ჩვენი მზარეული? ან ოდეტი, ახალგაზრდა ფერმერი, რომელსაც სასადილოში დილაობით რძე მოჰქონდა ხოლმე. თუმცა, არც ერთს, არც მეორეს არ ჰქონდა

იასამნისფერი თვალეები. ეს პოემა, ხედავ, ზოგჯერ ცოტა არ იყოს ბუნდოვანია ჩემთვის. თუმცა ჩემს გრძნობას ეს ვერ ასუსტებს.

P.S. უნდა გააუქმო „ყვითელი ყ“. ელემენტურად არ ჟღერს: ყვითელი იგრეკი, ხედავ, რალაც ვერ ჯდება. თანაც ყ ხმოვანიც არ არის, ნახევრადხმოვანია. მეტიც, ამ ორი ლექსით შეიძლება სონეტიც გამოგვსვლოდა ოთხტაე-პოვანი ლექსის ნაცვლად.

P.P.S. მინდოდა ასევე მეთქვა, რომ შენ მიერ გამოგზავნილი პოემა „თანხმონები“ უფრო ლამაზია, ვიდრე „ხმონები“. ძალიან მომწონს, ნ-ზე და ბავშვობის მოგონებებზე რასაც ამბობ. სამწუხაროდ, ჩვენმა მოხუცმა პირუტყმა ის ნაკუნებად აქცია. ვიმედოვნებ, მეორე პირიც გექნება შემონახული.

ფრანგულიდან თარგმნა შორენა გვილაჟაძე

დიალოგი

მე ვნახე რამალა...

□

ინტერვიუ მურიდ ალ-ბარლუთისთან

ეს ინტერვიუ 2004 წლის აგვისტოში ამანში, იორდანიაში ჩაინერა სტიუარტ რეიგელუთმა, რომელიც ემიგრაციაში მცხოვრებ პალესტინელ პოეტთა — მაჰმუდ დარვიშისა და მურიდ ალ-ბარლუთის — შემოქმედებაზე მუშაობდა. ამ უკანასკნელმა განსაკუთრებული პოპულარობა მას შემდეგ მოიპოვა, რაც თავისი ერთადერთი პროზაული ქმნილება „მე ვნახე რამალა“ გამოაქვეყნა, ქართველი მკითხველისთვისაც უკვე კარგად ცნობილი. ინტერვიუ დაბეჭდილია ჟურნალში „Palestine-Israel Journal“ (2004, №11), რომელიც გამოიცემა აღმოსავლეთ იერუსალიმში.

— თქვენ ემიგრაციაში ცხოვრობთ...

— ამჟამად ხან კაიროში ვარ, ხან ამანში... კაიროში მეუღლესა და ვაჟიშვილთან, ხოლო ამანში — დედაჩემთან. ახლა აქ, როგორც ვხუმრობ ხოლმე, „პალესტინურ ზაფხულს“ ვატარებთ. ამანში ყველანი ოჯახებით ჩამოვდივართ იმ ქვეყნებიდან, სადაც ვმუშაობთ. დედა თითქმის მთელი წელი მარტოა და საზღვარგარეთ მცხოვრები ხან ერთი, ხან მეორე შვილის სატელეფონო ზარს ელოდება, ელოდება ზაფხულს, როდესაც ტრადიციულად ყველანი აქ ვიკრიბებით...

— ფიქრობთ, რომ მხოლოდ პალესტინელთა შემთხვევაში ხდება ასე?

— დიახ, ასე ვფიქრობ. მე არ ვიცნობ პალესტინურ ოჯახს, რომლის ყველა წევრი ერთად, ერთ ქალაქში ცხოვრობდეს. თითოეულ ოჯახს ჰყავს ვინმე სხვა ქვეყანაში ან სამუშაოდ, ან სასწავლებლად, ან ციხეში... დიასპორა იმდენად რეალურია, რომ ჩვენ ამ ტერმინს ბოლომდე ვერც კი ვაცნობიერებთ. ადამიანები, როგორც წესი, იმას კი არ არქმევენ სახელს, თუ რა სტილის ცხოვრებით ცხოვრობენ, არამედ იმას, თუ რა ვითარებაში ცხოვრობენ. სად აღარ მიმოფანტულან დიასპორის პალესტინე-

ლები — კანადიდან მაროკომდე, ბაჰრეინამდე, აფრიკამდე. მაგალითად, ალ-ბარლუთის გვარის წარმომადგენლებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით შეხვედებით.

— თქვენს წიგნში „მე ვნახე რამალა“ ახსენებთ, რომ ბარლუთი არაბულად „რწყილს“ ნიშნავს...

— დიახ, ამ მოსაზრებას ბევრმა დაურთო კომენტარი. თავის წინასიტყვაობაში („მე ვნახე რამალა“ ინგლისური გამოცემისთვის – ნ. დ.) ედვარდ საიდმაც გაამაზვილა ყურადღება იმაზე, თუ რამდენად ღიად და გამჭვირვალედ ვსაუბრობ ჩემი გვარის წარმომავლობაზე. თუმცა ჩემთვის ეს უბრალოდ რეალობის შეგრძნებაა და მეტი არაფერი. მინაზე მყარად ვდგავარ და არ ვებლაუტები წარმოსახვებს. არასოდეს ვემხრობოდი გვარის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც ცდილობდნენ ალ-ბარლუთი განსაკუთრებულად წარმოეჩინათ და რალაც ლეგენდარულობა მიენიჭებინათ მისთვის მაშინ, როცა ცნობილია, რომ არაერთ კულტურაში გვარი სწორედ მწერების, ცხოველების ან ფრინველების სახელწოდებიდან მომდინარეობდა და ეს ჩვეულებრივი რამაა.

— „მე ვნახე რამალა“ ძალიან პოპულარული გახდა.

— უკვე გამოვიდა ინგლისური, გერმანული, ესპანური და ჰოლანდიური თარგმანები. მალე ფრანგული თარგმანი გამოვა. ის წარმომოხმობს ეგვიპტელმა, საფრანგეთში მცხოვრებმა ზეინა ბზაზამ და მაჰა ფრანცეზმა შესარულებს.

— ლიტერატურის ზოგიერთმა კრიტიკოსმა აღნიშნა, რომ თქვენ მებრძოლი სულისკვეთებითა და ერთგვარი აგრესიითაც ხართ გამსჭვალული ისრაელის წინააღმდეგ.

— დიახ, ზოგი ამბობს, რომ ზედმეტად კრიტიკული ვარ ისრაელის მიმართ, ზოგი კი წიგნს სწორედ მისი განონასწორებულობის, საკითხისადმი ადამიანური, ჰუმანური, გულითადი დამოკიდებულებისთვის აქებს და აფასებს. ისრაელის მომხრეთაგან ბევრი არც კითხულობს და ისე მსჯელობს. ჯერ განიკითხავენ და მერე კითხულობენ. ერთ-ერთმა დანერა, რომ მე მარჯან ალ-ბარლუთის ძმა ვარ, იმ მარჯანისა, ებრაელთა მკვლელობაში რომ მიუძღვის წვლილი. წიგნი რომ წაეკითხა, ამას არ იტყოდა. მე ვიცნობ მარჯანს. ის ჩემი მეგობარია. ძალიან მიყვარს, თუმცა ძმა არ არის.

— სად დაწერეთ ეს წიგნი?

— რამალაში თორმეტდღიანი ვიზიტის შემდეგ ამანში გავემგზავრე. პირველი 15 გვერდი სწორედ იქ დაწერე. შემდეგ კაიროში უნდა წავსულიყავი. მეუღლეს, რადვას, რომელიც საკმაოდ კარგ მწერლად ითვლება, გავუძილე,

ჩემი მოგზაურობის აღწერას რომ ვაპირებდი. შემდეგ მან და ჩემმა ვაჟმა თამიმმა, რომელიც პოეტი და ჟურნალისტი გახლავთ, მითხრეს: „შენ სტატიას კი არა, წიგნს წერ.“ არასოდეს მიწერია პროზა. დაახლოებით ცამეტი პოეტური კრებულის ავტორი ვარ, მაგრამ პროზაიკოსი არ ვყოფილვარ. რადგამ მითხრა, რომ უნდა განმეგრძო წერა და წიგნი გამომივიდოდა. ორივე მამხნევებდა. მეც ყოველ საღამოს, ძილის წინ რამდენიმე ფურცელს ვწერდი. დილობით კი ისინი კითხულობდნენ და სიხარულით აღნიშნავდნენ, თუ რა მშვენიერი ფრაზა თუ პასაჟი დამიწერია. პირველი თავი რომ ჩავთავებ, ვიგრძენი, ვერ ვწყვეტი წერას. მართალია, ვიზიტის ხანგრძლივობა თორმეტ დღეს არ აღემატებოდა, მაგრამ მას წინ ოცდაათწლიანი ემიგრაცია უძლოდა და ამ წლებს უკვალოდ არ ჩაუვლია.

— **თქვენ ქრონოლოგიურად არც გახსოვთ და ზუსტი თანმიმდევრობით არ აღწერთ ამ ვიზიტს, გზას უხსნით ბუნებრივად ამოტივტივებულ მოგონებებს და თხრობისას მუდმივად წარსულსა და აწმყოს შორის მონაცვლეობთ.**

— ეს არ გახლავთ მშრალი, ტაბელარული ავტობიოგრაფია, არც დღიური მინარმოებია ოდესმე...

— ხშირად იყენებთ გამეორებას, როგორც ლიტერატურულ ხერხს, განსაკუთრებით როდესაც არაბებსა და ისრაელს შორის მიმდინარე კონფლიქტთან დაკავშირებულ მოვლენებს აღწერთ. ომების, შერიგებათა, ცეცხლის შეწყვეტის, ოკუპაციისა და კიდევ უფრო მეტი მიწის კონფლიქციის გამეორება... ამბობთ, რომ შეიძლება ყველაფერი წაგართვან, მაგრამ შეკითხვების დასმის უნარს ვერ წაგართმევენ.

— არ მიყვარს ისინი, ვინც პასუხობენ, არც საკუთარი თავით კმაყოფილები მიყვარს. მე უფრო შეკითხვების დასმისკენ მიდრეკილი კაცი ვარ. საერთოდ, კრიტიკულად ვუდგები საზოგადოებას, ურთიერთობებს, ენას, დეფინიციას, აბსტრაქტულ სახელებს. არ მიყვარს აბსტრაქცია, განზოგადება. რაც შეეხება სიტუაციების განმეორებას, იმედგაცრუების განმეორება — აი, არ ხდება გამუდმებით. არასოდეს მიწანია, რომ რომელიმე პოლიტიკურ დაჯგუფებას არ ვეკუთვნოდი, რომ მათთან დისტანციას ვიცავდი. ვფიქრობ, შესანიშნავია დისტანციის არსებობა ინტელექტუალსა და აღმასრულებლებს ან გადაწყვეტილების მიმღებთ შორის. აუცილებელია დისტანცია მწერალსა და პოლიტიკოსებს შორის. არ შემიძლია პოლიტიკოსობა. ვერ ვუვებ მათ. ვერ ვთანამშრომლობ მათთან, ვერ ვემორჩილები. პალესტინის ლიდერებთან ყოფნისას არასოდეს მიგრძენია თავი ბენდირად. მე დამოუკიდებელი ადამიანი ვარ. მაგალითად, მაჰმუდ დარვიში იყო ლიდერთა წარმომადგენელი — აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. ახლა დატოვა პოსტი, მაგრამ ჩემგან განსხ-



მურიდ ალ-პარლუთი

ვავებით ყოველთვის შეეძლო საერთო ენა გამოენახა პოლიტიკოსებთან. ახლაც შეუძლია. მე კი არასოდეს შეეძლო მათთან ასე დაახლოება. თუ ჩემი დახმარება დაჭირდებოდათ, სიამოვნებით ვეხმარებოდი, მაგრამ იმ პირობით, რომ ჩემს ინდივიდუალობას შევინარჩუნებდი. „კი“-ს არ ვიტყვოდი მხოლოდ იმიტომ, რომ ვილაცამ მიმითითა, ასე თქვიო. ამრიგად, ვცდილობდი თავისუფალი ვყოფილიყავი, თუმცა ყოველდღე ვიხდიდი ამის საფასურს... ჩემს მეგობართა უმრავლესობას ახლა დაცვა და ავტოკორექტივი დაყვება...

— **გაქვთ თუ არ პალესტინის ნოსტალგია?**

— არა, ეს ნოსტალგია არ არის. ნოსტალგია ჩაანაცვლა გატეხილი სურვილის შეგრძნებამ. შენ ეუბნები საკუთარ თავს: “მე მიწა ამა და ამ ადგილას წასვლა.” მაგრამ შენი სურვილი ოკუპაციის, არაბული რეჟიმებისა და არსებული

კანონმდებლობის მიერაა გატეხილი, ასევე პასპორტის უქონლობის, საზღვრებზე მუდმივი მუქარისა და დაპატიმრების მიერ... ეს ყველაფერი კი გაბრაზებას იწვევს და არა ნოსტალგიას. გაბრაზებული ვარ ადგილების, სახეებისა და დროების დაკარგვის გამო.

— **განა ეს სამშობლოს მონატრება არ არის?**

— არა. მე ვგრძნობ მხოლოდ სევდასა და გაბრაზებას.

— **რას ნიშნავს თქვენთვის ნოსტალგია? რა კავშირშია ეს იმასთან, რომ პირადად თქვენ ხართ გაუცხოებული თქვენი მიწისგან?**

— ნოსტალგია ჩემთვის პასიური, უსარგებლო, ზარმაცი, ნეგატიური შეგრძნებაა, ფუფუნების გარკვეული ფორმაა რომან-

ტიკული განწყობის ადამიანებისთვის. როდესაც ხელს გკრავენ, გადასახლება გაიძულებენ, დაკარგული ადგილისკენ უკან ნოსტალგიით კი არ იყურები, არამედ გაბრაზებით. შენ გადასახლებული ხარ, რადგან შენი სურვილია გატეხილი. ამ შემთხვევაში მე ემიგრაციაში იმიტომ აღმოვჩნდი, რომ ჩემი მტრის სურვილმა აჯობა ჩემს სურვილს. ჩემი ნების აღსრულების განუხორციელებელი სურვილი კი უფრო ბრაზს იწვევს, ვიდრე ნოსტალგიას.

— **ძალიან სიმბოლურია თქვენი და მაჰმუდ დარვიშის „გადასახლებიდან დაბრუნება“, როცა ერთმანეთს რამალას სასტუმროში ხვდებით. რაზე ისაუბრეთ იქ ურნალ „ალ-ქარმალის“ ხელახლა გამოცემის გარდა?**

— ჩვენ ყოველთვის პოლიტიკაზე ვსაუბრობთ, მაგრამ ხშირად მოკლე შენიშვნებსა და სარკასტულ რეპლიკებს ვკმარობთ.

— **რაც შეეხება არაერთხელ განმეორებულ რეციდივებს არაბულ-ისრაელის კონფლიქტში, რა შეგიძლიათ თქვათ 1948 და 1967 წლების მოვლენებზე? „მე ვხედავ რამალაში“ ამ თარიღებს არაერთხელ უბრუნდებით.**

— ოთხი წლის ვიყავი, როცა ან-ნაბქას მოვლენები განვითარდა (1948), თუმცა 1967 წლამდე ჩვეულებრივად

ვცხოვრობდი დირ ლასანასა და რამალაში. 1948 წლის ტრაგედიაზე თანდათანობით, მონაცოლით შემექმნა შთაბეჭდილება მაშინ, როცა 1967 წლის ამბების თითოეული დეტალი საკუთარ თავზე გამოვცადა.

— **თქვენს წიგნში ერთ-ერთი პერსონაჟი, აბუ მუჰამადი ამბობს: „აიშენეთ სახლები თქვენს სოფლებში, თუ შეგიძლიათ. ააშენეთ პალესტინაში პალესტინური დასახლებები. როგორ მეკითხები, სწორად მოვიქცეოთ თუ არა? ჩამოდი, მეგობარო, ჩამოდი“. ამ პერსონაჟის სახელით თქვენ ხომ არ ლაპარაკობთ?**

— ჩემი წიგნის ამა თუ იმ პერსონაჟს სინამდვილეში, რეალურად ეკუთვნის ესა თუ ის აზრი. მხოლოდ სახელებს ვცვლიდი ზოგიერთ შემთხვევაში, რადგან ბევრი ცოცხალია და არ მსურდა, რაიმე საფრთხის წინაშე დამეყენებინა ისინი. მაგრამ, დიას, რა თქმა უნდა, ყველა უნდა ჩამოვიდეს, აიშენოს სახლი, შექმნას სახელმწიფო. დარჩით, ნუ მიდიხართ! მოვიდეს შარონი, ნებისმიერი მოვიდეს, მაგრამ თქვენ ნუ ნახვალთ.

— **როგორც პალესტინელი მწერალი, ძალაუფლებით თქვენი ხალხის წარმომადგენელი გამოდიხართ. ასე არ არის?**

— არა. ჩემთვის მთავარია გადმოვცე ის, რასაც თვითონ განვიცდი. პირველ რიგში საკუთარი მიკროკოსმოსის მწამს, შინაგან ხმას ვენდობი, მას აღწერ. აღმოვაჩინე, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებზედაც როგორც პოეზიის, ისე პროზის წერის მომენტში საერთოდ არ ვფიქრობ, მაგრამ მერე ისინი მოდიან და მეუბნებიან, რომ მათაც მსგავსი რამ გადაიტანეს, რომ მათ გრძნობებთან ყოფილა ჩემი ნაწერი ახლოს. მე კი მხოლოდ ჩემს სამყაროს ვუდგებ ყურს და მას ვწერ. თუმცა ეს თავისთავად ხდება. არც ისტორიკოსი ვარ, არც პოლიტიკოსი, არც რომელიმე პარტიის ან ფრაქციის აპოლოგეტი. გარე სამყაროს მოვლენებთან შეხებისას ვცდილობ პირველ რიგში საკუთარ თავთან ვიყო მართალი. მაგალითად, პალესტინელი მწერლების დიდმა უმრავლესობამ ისრაელის შეჭრა ბეირუთში 1982 წელს პალესტინელთა გამარჯვებად აღიქვა. ჩვენ გავყარეს ტუნისში და ექვს თუ შვიდ სხვა ქვეყანაში. ლიბანში ჩასახლებული ლტოლვილები სრულიად მარტო აღმოჩნდნენ. არავინ იცავდა მათ. ათასობით მათგანი დაუნდობლად გაჟლიტეს საბრასა და შათილაში. და როცა ყოველივე ამის შემდეგ მწერლები კვლავ შევიკრიბეთ, ზოგიერთი მათგანი ხოტბას ასხამდა ჩვენს გამარჯვებას, გამძლეობასა და შეუვალობას.

— **ამაყად ასწიეს თავები?**

— 88 დღე ამაყები ვიყავით. მერე? კაცს უნდოდა შენი გადგება და გაგადგო. სურდა შენი განიარაღება და ასეც მოიქცა. ერთი ბავშვის სიცოცხლეც კი ვერ დაიცავი ლტოლვილთა ბანაკში! ვფიქრობ, უმცირესობაში აღმოვჩნდი, როცა იმას ვამბობდი, რასაც ვგრძნობდი შიგნიდან. ეს არ იყო გამარჯვება. ისტორიამ გვასწავლა, რომ შენ შეგიძლია დამარცხებას გამარჯვება უწოდო, შეგიძლია ეს გააკეთო, მაგრამ ისტორიის გაკვეთილებიდან ისიც ვიცი, რომ ეს დიდხანს არ გაგრძელდება. ტყუილი დღემოკლეა. მალე გამოაშკარავდება, რომ სინამდვილეში შენ არ ყოფილხარ გამარჯვებული.

— **ისრაელიც ასევე იქცევა.**

— შეუძლებელია მაგალითად გაიხადო ისინი. სიონიზმი მართლა იმდენ ტყუილზეა აგებული, ხრიკზე, თეოლო-

გიურ მტკიცებულებებზე, ალოგიკურ მტკიცებულებებზე რჩეული ხალხისა და ალტერნატიული მიწის შესახებ...

— **თუმცა, ამავე დროს, სიონისტები ძალიან წარმატებულად წარმოადგენენ ისტორიის თავიანთ ვერსიას.**

— ეს იმიტომ ხდება, რომ ძლიერები არიან. ჩვენზე სუსტები რომ ყოფილიყვნენ, ისრაელის მთელი ეს ლინგვისტური არქიტექტურა ქვიშის გორაკივით დაიშლებოდა. როცა ძლიერი ხარ, ნებისმიერი რამ შეგიძლია თქვა და გააკეთო. შეხედე ბუშსა და ტონი ბლერს. მათი ენის არქიტექტურა სასაცილოა და ზედაპირული. მაგრამ ესაა მათი ტექნოლოგია, რომლის საშუალებითაც კაპიტალიზმს ამკვიდრებენ ამა თუ ქვეყანაში, რათა შემდეგ დაიპყრონ იგი.

— **ისრაელი კვლავ ახერხებს მსოფლიოს წინაშე თავისი კოლექტიური მახსოვრობა წარმოაჩინოს. მსოფლიოც იღებს მას. სად არის ძალა, რომელიც ყოველივე ამას უნდა დაუპირისპირდეს?**

— ჩვენ არ გავგაჩნია ასეთი ძალა. არ ვფლობთ მას.

— **განა თქვენი წიგნი არ შეიძლება დასაწყისად ჩაითვალოს?**

— ამბობენ, რომ „მე ვნახე რამალა“ სარგებლობის მომტანია ამ თვალსაზრისით. თუმცა სულაც არ ვაპირებდი, ისრაელის ძალის საპირწონე გავმხდარიყავი. ამის მიუხედავად წიგნმა მაინც შეასრულა თავისი როლი. როგორც მითხრეს, ბრიტანეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში მისი წაკითხვის შემდეგ ზოგიერთს აზრი შეუცვლია კონფლიქტთან დაკავშირებით. თუმცა ეს სულაც არ ყოფილა ჩემი განზრახვა.

— **აბა, ის განსხვავებულ ხედვას გვთავაზობს?**

— ჩვენ, პალესტინელი არაბები, არ ვჩანვართ. ახლა ერთი კაცი მაინც ჩანს. ამ წიგნში პალესტინელის ცხოვრება ანი-დან ჰოე-მდეა აღწერილი. აქ ის გარკვეული დროით იკავებს სცენას. და ვინც კითხულობს ამ წიგნს, მე ან ჩემ ხალხს — ისრაელის ოკუპაციის მსხვერპლს ხედავს სცენაზე. ვფიქრობ, სასარგებლო იყო, რომ ერთ ადამიანს მაინც მიეცა ხმა.

— **განა ეს ნოსტალგია არ არის?**

— არა, ეს გაბრაზებაა, საკუთარ ხალხზე გაბრაზება, მტერზე გაბრაზება, არაბულ სამყაროზე გაბრაზება. დიას, ყველას და ყველაფერს კრიტიკულად ვუდგები. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე პირადად უშეცდომო ვარ, მაგრამ ჩემი ტვინია კრიტიკული, როცა ვწერ. ის ვერ იტანს აბსტრაქციას. არ ვიყენებ აბსტრაქტულ სახელებს. ვიყენებ ფიზიკურ, კონკრეტულ ენას. ნაგიკითხავთ მაჰმუდ დარვიშის ანგარიში 1982 წელს ლიბანში ისრაელის შეჭრის შესახებ?

— **„სსოვნა დავინყებისთვის“?**

— დიას.

— **იხსენებ დავინყებულს და არ ივიწყებ მას. ამგვარად თქვენ შეგიძლიათ აღადგინოთ, უკან მოითხოვოთ, რაც თქვენი იყო.**

— დიას, დიას.

— **სსოვნა იმისთვის, რომ გახსოვდეს და არ დაივიწყო.**

— დიას, რომ არ დაივიწყო.

ინგლისურიდან თარგმნა
ნინო ღოლიძე

ეკა ბუჯიაშვილი

იღვლიანი დასაწყისი

□

რუსუდან შაიშაშვილი

ყველაფერი სადიპლომო ნაშრომზე მუშაობით დაიწყო. მაშინ რეზო ჩხეიძისთვის შეუთავაზებია: მამა გაბრიელზე გადავიღებ ფილმსო. ბატონ რეზოს იდეა მოსწონებია, მაგრამ ამ ყველაფერს პატრიარქის კურთხევა სჭირდებოდა და მის მისაღებად საპატრიარქოს კარს მისდგომიან. რაკი მამა გაბრიელი წმინდანად ჯერ არ იყო შერაცხული, ურჩევიათ, თავი შეეკავებინათ და ისინიც უკან გამობრუნებულან.

მეორე ღამით კი ასეთი რამ მომხდარა: გვიან საღამოს ბატონ რეზოს დაურეკავს მისთვის და უთქვამს: საპატრიარქოდან შემეხმინან და მითხრეს: მამა გაბრიელის თემას გრიგოლ ხანძთელით ხომ არ შეცვლიდითო.

ასე დაიწყო მუშაობა გრიგოლ ხანძთელზე. უამრავ მასალას გაეცნო, პარალელურად, სადაც კი მიესვლებოდა, ყველგან მიდიოდა დაფინანსების მოსაძიებლად. იმ პერიოდში საპატრიარქოს ტელევიზიაც იხსნებოდა, გიორგი ანდრიაძის თაოსნობით და ამ ტელევიზიის სახელითაც მიდიოდა, პატრიარქის ლოცვა-კურთხევითაც... ასე მიაღდა სამშენებლო კომპანია „ოლიმპიური ვარსკვლავის“ კარსაც, რომლის მიღმაც ვაჟა-ფშაველას შთამომავალი დახვედრიან.

დახვედრიან თბილად და გულლიად. ვაჟას ძმის, ბაჩანას შვილთაშვილს, ლელა რაზიკაშვილს დახმარებაც ალუთქვია, უთქვამს, რომ გარკვეული თანხით შეეწეოდა ამ საქმეს, თუმცა მერე ისე მომხდარა, რომ გრიგოლ ხანძთელის გამო მისულს, „რაზიკაშვილი“ შერჩენია ხელთ. ეს მერე, ჯერ კი ბევრი სხვა რამ უნდა მომხდარიყო:

ლელა რაზიკაშვილი ვაჟა-ფშაველას მუზეუმის დირექტორად დაუნიშნავთ და კიდევ წამოუწვია ამ საქმეს. ვაჟა-ობის დღესასწაული დაუწესებიათ და, საერთოდ, თუკი სადმე მიუწვდებოდათ ხმა, ყველგან დაუტრიალებიათ რაზიკაშვილების სახელი. მერე ლელას რუსუდანისთვის რაზიკაშვილების მემკვიდრეობის გამოფენის მოწყობა დაუვალებია, რუსუდანს პატარა სპექტაკლიც მოუმზადებია და იგი ცნობილი მსახიობების ელგუჯა ბურდულის, ზურაბ გენაძის, გეგი ფალიანის, გიორგი რევაზიშვილის და რამაზ ხომასურის მონაწილეობით საჯარო ბიბლიოთეკაში გაუმართავთ. მერე ერთობლივად ისიც მოუფიქრებიათ თბილისში იმ ქუჩას, სადაც ვაჟას ძმა სანდრო ცხოვრობდა და სადაც ხშირად იკრიბებოდნენ რაზიკაშვილები და მისი მეგობრები, რაზიკაშვილების სახელი დარქმეოდა და კიდევ მიუღწევიათ სანადელოსთვის — დღეს-დღეობით ხორავას ქუჩის ნაწილი სწორედ ამ სახელს ატარებს. მარტო საამისოდ რუსუდანს 120 საზოგადო მოღვა-

ნის ხელმონერა მოუგროვებია და იმასაც გეგმავდა, იქნებ როგორმე რაზიკაშვილების ქუჩაზე გათამაშებულიყო სპექტაკლი, მაგრამ საბოლოოდ ჭადრაკის სასახლის სცენაზე გაუმართავთ და ძალიან შთამბეჭდავიც აღმოჩნდა თურმე.

ამ პერიოდში უამრავი საინტერესო მასალა დაუგროვდა და ასე გასჩენია იდეა, გადაეღო ფილმი რაზიკაშვილებზე.

* * *

— სპექტაკლის შემდეგ სიტუაცია თავისთავად მომნიჭდა ფილმისთვის. გარკვეული მასალები თავად მოვიძიე. მივედი ლელა რაზიკაშვილთან და ჩემი იდეა გაეუზიარე. მაშინვე ამიბა მხარი და დავინყე მუშაობა. სახელმწიფო არქივით დავინყე, გამოვიყენე კინოარქივი — უნიკალური ხმები, რომელზეც ავანყე ფილმი. მერე შთამომავლების ძებნა დავინყე და გავიგე, რომ გორში ცხოვრობდა ვაჟა-ფშაველას შვილიშვილის „ლევანის ლუკას“ ქალიშვილი თამარი. შინ ვეწვიე. მან თბილად მიმიღო და რადგან გვიანი იყო, ღამით თავისთან დამტოვა. იგი თავიდან სიტყვაძუნწი მომეჩვენა, მაგრამ მერე შევძელი მისი ნდობის მოპოვება და მეტად მძიმე მოსასმენი, ტკივილიანი ამბებიც გავიგე. ნამოსვლისას კი ისეთი დოკუმენტური მასალები გადმომცა, რომელიც აქამდე არავისთვის უჩვენებია.

ფილმზე მუშაობისას, მოვიძიე სახელმწიფო უშიშროების მასალებიც და აღმოჩნდა, რომ ვახტანგ რაზიკაშვილი, ვინც ვაჟას ერთადერთ ვაჟ მემკვიდრედ ასაღებდა თავს, სულაც არ ყოფილა მისი შთამომავალი. თამარ დიდებაშვილს თურმე ექვსი თვის მუცელი მოჰყოლია, როცა ვაჟას შეურთავს მეორე ცოლად. ბავშვისთვის გვარიც ვაჟას მიუცია. არადა, ამქვეყნად დადიოდა მისი ნამდვილი მემკვიდრე, ლევანის შვილი, ლუკა რაზიკაშვილი, რომელსაც მთელი ცხოვრება დევნიდნენ, როგორც მტრის შვილს და ამ დევნით დათრგუნული ისე გარდაიცვალა, არავინ იცოდა, რომ რეალურად ის იყო ვაჟას ნამდვილი მემკვიდრე.

ეს ამბები ბურუსით არის მოცული და ცალკე თემია. საერთოდ, მგონია, რომ თამარმა, და შემდეგ უკვე მისმა შვილმა ვახტანგმაც, საბედისწეროდ შეაბრუნეს ვაჟა-ფშაველას ცხოვრების ჩარხი, მაგრამ ამაზე სხვა დროს. იქნებ ფილმშიც გადავიღო ამ ყველაფრის შესახებო, — მიაბობს რუსუდანი და ისევ „რაზიკაშვილებს“ უბრუნდება:

* * *

მამ ასე, მასალები შეგროვილიყო...

მასალები, რომელსაც მთლიანად თავდაყირა დაეყენებინა მისი ფიქრები.

იმდენი უცნაური რამ წარმოჩენილიყო, იმდენი რამ ამოსულიყო ზედაპირზე, ამ ყველაფერს დალაგება სჭირდებოდა. დახმარება დედისთვის უთხოვია — გულსუნდა ტყეზუჩავა 30 წლის განმავლობაში I არხზე მუშაობდა.

ვაჟას სიყვარულიც დედისგან მოსდევს და თუკი რამ ღირებული გაუკეთებია, ყველაფერს დედას უმადლის. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ფილმზე მუშაობისას სცენარის დაწერა სწორედ მას სთხოვა.

ერთ თვეში სცენარი მზად იყო.

თავად რუსუდანი მიიჩნევს, რომ ფილმის დიდი წარმატება განსაზღვრა სცენარმა და მუსიკამ, რომელიც ძალზე

ნიჭიერმა კომპოზიტორმა, მერაბ მამულაშვილმა შექმნა — ჯერ სპექტაკლისთვის, შემდეგ კი უკვე „რაზიკაშვილების-თვისაც“.

მერე ფილმი წმინდა ანდრიას ჯვარზეც წარუდგენიათ. სიგელ-გუჯარი და II ადგილი მიუღიათ... შემდეგ კი „რაზიკაშვილებს“ ქვეყნის ფარგლებს გარეთაც გაუღწევია და მოუვლია ამერიკის, რუსეთისა და გერმანიის ქართული სათვისტომოები.

თავის პირველ დამოუკიდებელ დოკუმენტურ ფილმზე მუშაობას და დაგროვილ საინტერესო მასალას რუსუდანი კიდევ ერთ თემამდე მიუყვანია:

გადაწყვიტა ფილმი გადაეღო მიხა ხელაშვილზე. ლელა რაზიკაშვილის იგი მიხას ქალიშვილთან, 88 წლის თამარ ხელაშვილთან გაუგზავნა ქვემო ქედში. მანამდე კი მიხას ხელნაწერები და მისი ნაქონი „დავითნი“ და სახარება სანდრო შავიძეს გაუცვანია. მისი წყალობით ისევე მისულა ქალბატონ თამართან, მაგრამ, სამწუხაროდ, გარკვეული მიზეზების გამო ფილმის გადაღება შეწყვეტილა. სულ ახლახან კი ოცნება აუსრულდა და უფლის წყალობითა და კეთილი ადამიანების დახმარებით ფილმზე მუშაობა განახლდა. სცენარი შესანიშნავმა დრამატურგმა თამარ ბართიამ დაწერა. თანაცენარისტი რუსუდანი, რედაქტორი კი კვლავ გულსუნდა ტყებუჩავა იქნება. მისი თქმით, ეს იქნება მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი, განსხვავებით „რაზიკაშვილებისგან“, რომელიც პირწმინდად დოკუმენტური ჟანრისაა, თუ არ ჩავთვლით პატარ-პატარა რეკონსტრუქციებს. ინსცენირებული ლექსები, გრანდიოზული, მასშტაბური სცენებით, ერთგვარ ხიდეზად წარმოგვიდგება ერთი ტექსტიდან მეორეზე გადასასვლელად. ტექსტებიც დადგმული კადრებით გაცოცხლდება და ფილმი მთლიანად სანახაობრივი იქნება.

ფილმში რამდენიმე საზი გაიხსნება და ბევრ საინტერესო რამეს გაცნობით — ფშაველების წეს-ჩვეულებებს (გარკვეული წესები მათ შენარჩუნებული აქვთ და ვეცდები, ეს ყველაფერი მაყურებელსაც ვაჩვენო); ფშავ-ხევსურების ისტორიას — როგორ იშლება ამ მხარის ბედისწერა მაშინდელი ეპოქის ფონზე; ქაქუცა ჩოლოყაშვილის ამბებს და ასევე, პოეტ მიხა ხელაშვილს, რომელმაც 25 წელი იცხოვრა და 1925 წლის 25 იანვარს, 25 წლისა რომ გახდა, მეგობრების ხელით მოკლეს. მთელი მისი ცხოვრება — სად დაიბადა, ვინ უყვარდა, დედა როგორ მოუკლეს ნამებით ჩეკისტებმა... ყველაფერი ლექსებშია მოთხრობილი. სწორედ მის ლექსებზე აიგება ფილმი.



ფილმის „რაზიკაშვილები“ შემოქმედებითი ჯგუფი

ამ პროექტსაც საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“ და „ოლიმპიური ვარსკვლავი“ დააფინანსებენ, მაგრამ რაკი ფილმი უფრო მასშტაბურია, გვინდა ამ საქმეში სახელმწიფო (კულტურის სამინისტრო) და ეროვნული კინემატოგრაფიის ცენტრიც ჩაერთოთ.

სპექტაკლმა ფილმი „რაზიკაშვილები“ მოიტანა, „რაზიკაშვილებმა“ — მიხა ხელაშვილი, თუმცა რუსუდანი კიდევ ერთ პროექტზე მუშაობს — ეს იქნება ფილმი პავლე ინგოროყვას შესახებ.

— ხანძელზე მასალების შეგროვებისას, გავიცანი ერთი არაჩვეულებრივი ადამიანი, რომელიც ბევრ კარგ საქმეს აკეთებს, მაგრამ არ ჩნდება, ჩრდილში დგომას ამჯობინებს. სწორედ მისი იდეა იყო ფილმის გადაღება პავლე ინგოროყვას შესახებ. ეს დოკუმენტური ფილმი მთლიანად დაეყრდნობა როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანს „ბედი პავლე ინგოროყვასი“. აქაც ზღვა მასალაა და ჯერჯერობით ვმუშაობ. საერთოდ, ვფიქრობ, რომ დოკუმენტური კინო დღეს ყველაზე საჭიროა, მართალი და აქტუალური ჟანრია, ამიტომ ვცდილობ, ეს საქმე გავაგრძელო.

პარალელურად საპატრიარქოს ტელევიზიაში მუშაობს, საკვირაო ტელეჟურნალ „კვირიაკეში“ და თვლის, რომ აქ მუშაობამ მას, როგორც პროფესიონალს, დიდი გამოცდილება შესძინა.

— იმის შემდეგ, რაც საპატრიარქოს ტელევიზიაში ხელმძღვანელად ჭყონდიდელი მიტროპოლიტი პეტრე მობრძანდა, იმდენი რამ გაკეთდა, ამ წელიწადნახევრის წინ ვერც ვიოცნებებდი. ახლა იმედით ვმუშაობ, რადგან მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

— რალაცნაირად ისე აენყო ჩემი ყოფა, ერთ საქმეს დავინწყებ, რალაც იღბლით მეორე გამოიმდის და მერე პირველს ვუბრუნდები... და ასე ტრიალებს ჩემი ცხოვრებაო.

აბა, რა მნიშვნელობა აქვს, რით დაინწყებს და როგორ გააგრძელებს, მთავარია, რომ რასაც აკეთებს, ყველაფერი კარგად გამოსდის და ქართულ კულტურულ ცხოვრებას, მისი ძალისხმევით, ბევრი საინტერესო რამ ემატება.

რუსუდანის გეგმებიდან გამომდინარე, ჩანს, უახლოეს მომავალში კიდევ ბევრი საინტერესო რამ გვექნება მოსათხრობი, თუმცა ამაზე მერე, ახლა კი... ამ ყველაფერს რომ მიამბობს, თან დასძენს:

— ინტერვიუს მხოლოდ იმიტომ დავთანხმდი, რომ ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ყველას ნდობისა და თანადგომისათვის. ამ ადამიანების გარეშე ხომ ვერაფერს შევძლებდიო.

ცისანა გენძეხაძე

„ასე მიღის ეს ზამთარი სიზმარივით მღევარი...“

1999 წლის 25 თებერვალს საზარელი ამბავი დაგვატყდა თავს – ჩვენი უახლოესი მეგობარი, შესანიშნავი ლიტერატორი, განათლებული, უჩვეულოდ კეთილშობილი მანანა გვეტაძე შეუერთდა ზეციურ საქართველოს.

ათი წელი, მართლაც, სიზმარივით მიილია. მისი სახელი კი ინსტიტუტის ცხოვრებიდან ბევრ საინტერესო ფურცელს გადაშლის ხოლმე ჩვენ თვალწინ.

საქართველოს აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მამინდელი საბჭოთა განყოფილების თანამშრომლები, ქართული (საერთოდ, ზოგადად კლასიკური) პოეზიის მეჯავარდენენი ნოდარ ალანია და ქიცა (გრიგოლ) ხერხეულიძე უამრავ ლექსს ამბობდნენ ხოლმე ზეპირად (უმეტესად გალაკტიონს, გოგლას, სიმონს და ა.შ.) სხდომებზე, დერეფნებში, თავყრილობებზე, სამ-ოთხ მეგობართა შორის და ისეთი ფანტასმაგორიული ჯადოსნობით, რომ ზოგჯერ გოცებასაც კი იწვევდა.

რეზი თვარაძე ხშირად ამბობდა და ამტკიცებდა, გალაკტიონს 300 შედევი აქვსო. ნოდარსა და ქიცას რომ ვუსმენდით, ვრწმუნდებოდით, რატომ 500 არ იყო გალაკტიონისა შედევი? ასეა გოგლაც. აქეთ ქიცა იტყვოდა: ლადოს ყველა ლექსი ქრესტომათიულია, ყველა ქართველმა ბავშვმა, ახალგაზრდამ და ზრდასრულმა ზეპირად უნდა იცოდესო. რომელი ერთი ჩამოვთვალო... არ გაგიკვირდეთ და ანდრეი ბელი, მარინა ცვეტაევა, ანა ახმატოვა, სერგეი ესენინი, ევგენი ევტუშენკო, ბელა ახმადულინა, ანდრეი ვოზნესენსკი და სხვებიც ზეპირად ვიცოდით. ზაზა აბზიანიძე აპოლინერის გეგეჭკორისეულ თარგმანებზე მსჯელობდა, გოგი გაჩეჩილაძე თავის „ბაროკოს“ უტრიალებდა, მაგრამ ეს სულ სხვა თემაა...

რა სულიერ და ინტელექტუალურ გარემოში უხდებოდა ინსტიტუტში ყოფნა ჩვენს მანანას?

განსაკუთრებით შემოდგომაზე, წლის ბოლომდე, ვკითხულობდით წლიურ შრომებს, ვკამათობდით, ვმსჯელობდით, ერთმანეთს მეგობრულ რჩევებს ვუზიარებდით... ზოგჯერ ისე საინტერესოდ წარიმართებოდა სხდომა, შებინდებოდა კიდეც. – დამლაგებელი გველოდება, ოთახი უნდა მოაწესრიგოსო, – სიცილით შეგვახსენებდა გურამ კანკავა.

ზოგჯერ შემოყოფდა თავს განყოფილებაში, თუნდაც სხდომის დროს, ნოდარი (პოეზიის მიზიდულობის ძალის ვირტუოზი) გაფაციცებული თვალებითა და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ღიმილით და სამად-სამ სიტყვას წამოიძახებდა და გაუჩინარდებოდა: „კიდეც ერთი სადღევრძელო“... (ნოდარის ვარიანტი).

ჩვენებსაც მეტი რა უნდოდათ, თითქოს ამ ნიშანს ელოდნენო და... რამდენიმე წუთში სხდომიდან სათითაოდ გალაგდებოდნენ: მირიან აბულაძე, რალა თქმა უნდა, ქიცა, კანკუშა (არაჩვეულებრივი გურამ კანკავა), „კუკუშ-

კა“ (გიორგი მარგველაშვილი – კიდეც ერთი ერუდიტი და „შარაფისტი“), ახალგაზრდებიდან (ცხადია, შედარებით) ზაზა აბზიანიძე, კობა იმედაშვილი, გურამ ბენაშვილი, გიორგი გაჩეჩილაძე, დემურ გრიგოლია და კაკულიკა ვასაძე (არადა, მაშინ ყველანი ახალგაზრდები ვიყავით!).

ასე 4-5 საათისთვის რომელიმე მათგანი შემოვივლიდა ეგრეთწოდებულ „დაზვერვაზე“ ნაბახუსევი და ისევ გალაკტიონით ამღერებულ – „კიდეც ბევრი სადღევრძელო და გვრჩა დაუღვეველი“... შინაგანი წესრიგით გამორჩეული გიორგი კალანდაძე, თავადაც პოეტი და ლექსის ტრფიალი, როგორც ყოველთვის, ადგილზე იყო და ხუმრობით საყვედურობდა: „მე რატომ არ წამიყვანეთო“. პასუხობდა: „ჩვენ არავინ დაგვიპატიჟნია, გალაკტიონმა დაგვიძახა და შენ რატომ უთხარ უარით?“ ისმოდა საერთო სიცილი და ისევ ლექსები. ბ-ნი გიორგი ახალგაზრდა ქალბატონებს კომპლიმენტებით გვაცხებდა და გოგლას ლექსებით გვატკობდა.

მოსულს აინტერესებდა, ჩვენმა ღირეტიორმა გიორგი ლეონიძემ ხომ არ გაიგო მათი არყოფნა და სხდომის მიტოვება. ისეთი შეკრული კოლექტივი და კოლორიტული ინსტიტუტი გვქონდა, მართლაც საშური, სამაგალითო და მისაბაძი, ვინ გაბედავდა, უფრო სწორად, ვინ იკადრებდა „ლექსის მეზანძარეთა“ გაცემა-დაბეღლებას?! (ეს მახინჯი და ამორალური საქციელი მხოლოდ XXI საუკუნეში გახდა „სასახელო“).

ერთ-ერთი ამგვარი სერობის დროს „ჩვენმა ბიჭებმა“ მანანა გვეტაძის დიდი მომინანქრებული ქვაბით (რომელიც ჩვენს საშინაო-სასამსახურო კარადაში – ერთ დიდ სეიფში ინახებოდა), რომელსაც „გოგლაურა“ შევარქვით, აქაფქაფებული ხინკალი ამოგვიტანეს.

(„გოგლაურას“ ისტორია საინტერესოა. გიორგი ლეონიძეს ხშირად ჰყავდა სტუმრები – ხან უცხოელები, ხან მთავრობიდან, ხან „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირ-მთქმელები და ა.შ. და ა.შ. მანანა ახლოს ცხოვრობდა, რუსთაველზე. ამიტომ ჭურჭელი მისგან მოჰქონდათ. სტუმრები რომ ეწვეოდა, ბ-ნი გიორგი მაშინვე მანანას მოიკითხავდა. მერე დაიღალა მანანა ჭურჭლის ტარებით და მისი მამის, რაჟდენ გვეტაძის სახელზე და მისი გიორგი ლეონიძესთან მეგობრობის აღსანიშნავად, ერთი დიდი ქვაბი, საინები, ჭიქები და დანა-ჩანგალი ინსტიტუტს უსახსოვრა, თუმცა, ვინც მას ახლოს იცნობდა, იცის, რომ თავადაც ბევრი არაფერი გააჩნდა).

ეს ისევ „გოგლაურამ“ გამახსენა: გიორგი ლეონიძისა და მანანას ურთიერთობა კიდეც სხვა იყო. რაჟდენ გვეტაძისა და გიორგი ლეონიძის ოჯახები მეგობრებზედ დარჩნენ ბოლომდე. ინსტიტუტი და ვერის ბაზარი (რომელიც ახლა აღარ არსებობს) თითქმის გვერდიგვერდ იყო. მანანა შესვენებას არ უცდიდა, ამ დროს ჩვენთან ერთად ყოფნა და „чаепитие“ ტკბილად, უპრობლემოდ უნდა გაეტარებინა, ამიტომ უფრო ადრე

გაიქცეოდა ბაზარში. რა თქმა უნდა, დაბარებულივით გიორგი ლეონიძე შეეფეთებოდა სამი კალათითა და მძლოლით. „ერთი თინასა, ერთი ნესტანსა და ერთი ც ფეფუცასათვის“ – თითქოს მობოდიშებით აუხსნიდა მანანას. „შენცა ოჯახისათვის, არა?“ მერე მაინც დაამატებდა: „ქალო, მე და შენ უთუოდ მოგვხსნიან სამსახურიდან“.

მანანა ხომ სასაცილომდე გულუბრყვილო გახლდათ და შეუძლებელია არ ითქვას ბ-ნი გიორგის ბავშვურ მიამიტობაზეც. ერთხელ მე და მანანა, ასე 12 საათზე, მივდივართ ინსტიტუტში, სადაც მუშაობა 10 საათზე იწყებოდა და აღრიცხვაც ტარდებოდა (ცხადია, იმედი გვქონდა, რომელიმე ქრისტიანი მეგობარი მოგვინერდა ხელს). კიბეზე სეირნობით ავდივართ. მეორე სართულამდე რომ მივედით, არ ჩამოდის ბ-ნი გოგლა? რაღა ვქნათ? გასაქცევიც აღარსადა გვაქვს. ჩვენს ძვირფას დირექტორს ხელში უჭირავს „პორტფელი“ და ქუდი, რომელსაც იშვიათად იხურავდა, მუდამ კი თან ატარებდა. უცებ, ჩვენდა მოულოდნელად, ბ-ნი გიორგი ხმამაღალი სიტყვებით: „უი, ქუდი დამვიწყნიაო“, შებრუნდა და გაუდგა გზას თავისი კაბინეტისაკენ. ამით მიგვანიშნა – არ დამინახიხართ, უხერხულ მდგომარეობაში ნუ ჩავარდებითო. ასე მხოლოდ დიდი ადამიანები იქცევიან! აქეთ კიდევ მანანა დამისხლტა ხელიდან და უკან მისდევდა დირექტორს – „ბატონო გიორგი, ბატონო გიორგის“ ძახილით. „ჰო, ჰო, მერე იყოს, მერე“ – ისმოდა ამ ქრისტესმეორე ადამიანის ბუხუნა და განუმეორებელი ხმა...

ხინკალი კი მიმავიწყდა, არადა დამშეულები შევესიეთ. „დირექტორი არ იყოს, მე ვიცი, ახლა ჩვენთან ერთად როგორ მოიღებდა“, – ხუმრობდა მირიანი. ქიცა და ნოდარი კი კვლავაც ლექსებით ალამაზებდნენ იმ დაუვიწყარ და განუმეორებელ დღეებს.

იმჟამადაც ნოდარი აელვარებული აკვებსება „თეთრ პელიკანს“. თითქოს საზანდარის რეკვა ისმოდა, „საიათნოვას დაჟანგული ჰანგები“ გვახსენებდა თავს, „ტივებიან ნაპირებს“ განათებული რესტორანი აგვირგვინებდა, იქვე, თვალწინ კოჭლი საჰაკი გვედგა. ნატირალივით ისმოდა ნოდარის ოდნავ მავედრებელი ხმა: „დაანებე ფიროსმანას სევდიანი ფიქრები“. მე, ირმა ჩხეიძე, მანანა გვეტაძე და ზაზა კი ვიმეორებდით რეფერენის დარად: „Гренада, моя Гренада“ – რატომ? კაცმა არ იცის!

ლიტერატურის ინსტიტუტი და ჩვენი იმდროინდელი განყოფილება განსაკუთრებული ხიბლით გამოირჩეოდა იმის გამო, რომ უახლესი ლიტერატურის ისტორიას ვსწავლობდით და ლიტერატურული ცხოვრების ეპიცენტრის სუნთქვასაც ვადევნებდით თვალს. მანანა ერთ-ერთი მეცნიერი ქალი გახლდათ ჩვენ შორის, რომლის აზრსაც მუდამ მიმზიდველობა და ძალა ახლდა თან.



მანანა გვეტაძე

ერთი დრო იყო და საბჭოთა ლიტერატურის განყოფილები გამგედ ბესარიონ ჟღენტი დაგვინიშნეს. ყველა ველავდით... პირველად თანამშრომლებთან გაცნობა მოისურვა და ისე კმაყოფილი დარჩა, გააცხადა: „არ მოველოდი, ასეთი დიდებული განყოფილება თუ გქონდათ“. აქ დახვდნენ მისთვის მანამდეც კარგად ნაცნობი მეცნიერები: გიორგი მარგველაშვილი, მირიან აბულაძე, ანდრო მირიანაშვილი, გიორგი მერკვილაძე, ქიცა ხერხეულიძე, შალვა ჩიჩუა, დავით თევზაძე და სხვები; უფრო ახალგაზრდებიდან: გურამ კანკავა, ზაზა აბზიანიძე, გურამ ბენაშვილი, გიორგი გაჩეჩილაძე, კობა იმედაშვილი, ჟუჟუნა ქვლივიძე, ზოია ცხადაია, მანანა ხელაია, თქვენი მონა-მორჩილი და ა.შ. ყველაზე უფრო იმით გაიხარა, რომ მისი ძველი მეგობრის – სიმბოლისტ რაჟდენ გვეტაძის ქალიშვილთან მოუწევდა თანამშრომლობა. უნდა ითქვას, რომ მის მიმართ განსაკუთრებულ სიბოძს ამჟღავნებდა. ჩვენც ხომ მას სიყვარულისა და სიკეთის, კეთილშობილებისა და ნიჭიერების სიმბოლოდ მივიჩნევდით.

არ შეიძლება ხაზგასმით არ აღინიშნოს, რომ ბ-ნი ბესარიონი ყველაზე რთული საკითხების განხილვისას ხშირად მანანას მიმართავდა ხოლმე აზრის გამოსათქმელად. ახლაც, უკვე რამდენიმე ათეული წლის შემდგომაც, ჩინებულად მახსოვს, როგორი ტაქტით, ლმობიერი ტონითა და მეცნიერული სიღრმით გამოთქვამდა თავის აზრს, რომელიც სრულიად განსხვავებული გახლდათ მომხსენებლის თვალსაზრისისა (სხვათა შორის, ამ ტიპის მეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე და კრიტიკოსი გახლდათ ბ-ნი გურამ ასათიანი, რომელსაც მართლა გულწრფელად უყვარდა მანანა და არასდროს აუღლია გულგრილად გვერდი მისი ორიგინალური, ხშირად არაორდინარული თვალსაზრისისათვის. ჩვენ, ახალგაზრდები, და მაინც, ერთი თაობის წარმომადგენლები, ვეთაყვანებოდით გურამს, ხოლო მისი გამორჩეული დამოკიდებულება მანანასადმი, კიდევ უფრო ფასეულს ხდის მანანას პიროვნებას) და იმდენად დამარწმუნებელი იყო მისი არგუმენტები, რომ ბ-ნი ბესარიონი სხდომის შეჯამებისას ცალკე გამოყოფდა და იტყოდა, რომ მომხსენებელს უსათუოდ უნდა გაეთვალისწინებინა მანანა გვეტაძის საქმიანი შენიშვნები, თორემ წლიური შრომა არ ჩაეთვლებოდა. უნდა გენახათ, როგორ შენუხდებოდა მანანა, ბოდიშს უხდიდა მომხსენებელს. მერე ჩაუჯდებოდა და ზოგიერთ მასალას იქვე სახელდახლოდ ჩაასწორებდნენ.

იმდროინდელი სხდომები ხშირად საინტერესო დისკუსიებად გადაიქცეოდა ხოლმე. აქ ამ დროს მიმდინარეობდა ფრიად დასამახსოვრებელი და შთამბეჭდავი ლიტერატურული ცხოვრება (ბ-ნი გიორგი კალანდაძე, ძალზედ გამოცდილი და მემუარების მოყვარული პიროვნება ზოგი-

ერთი სხდომის მიმდინარეობას იწერდა ხოლმე – მერე გაგახსენებთო – გვეუბნებოდა. ალბათ მისი არქივი ინახავს ამ მასალას).

ერთ-ერთი სხდომის პატარა ეპიზოდს ახლა გავიხსენებ:

ერთხელაც ბ-ნმა ბესარიონმა 10-20-იანი წლების სიმბოლიზმზე ჩამოაგდო სიტყვა და თავისი აზრიც მოგვახსენა (მაშინ ჯერ კიდევ შერისხულნი იყვნენ სიმბოლისტები). გაიმართა გაცხარებული კამათი. მირიანი, ქიცა, „კუ-კუშკა“, გურამ კანკავა, ზაზა, გურამ ბენაშვილი და სხვები ერთმანეთს არ აცლიდნენ აზრის გამოთქმას. ლამის რეაბილიტაცია მოვახდინეთ მაშინ 20-იანი წლების ლიტერატურული დაჯგუფებებისა.

მანანა, გემოვნებითა და განათლებით გამორჩეული ლიტერატორი, უკომპრომისო იყო, თუ თავისი თვალსაზრისი ჭეშმარიტებად მიაჩნდა. ამ შემთხვევაში იგი არავის შეეპუებოდა, თვით ბ-ნ ბესოსაც... და ასეც მოხდა – მანანა, სიმბოლისტების ტრფიალი (სხვათა შორის, მანანა მათ ხელში და თვალწინ გაიზარდა), ემოციურად, მთელი თავისი ერუდიციითა და ინტელექტით, წარმოუდგენლად მშვენიერი და იმდროისათვის მივიწყებული ციტატების მოშველიებით შეება განყოფილების ხელმძღვანელს, რომელიც ამგვარი კამათების ოსტატი გახლდათ. ერთ რამედ ღირდა ამ დროს მანანას მოსმენა. ყოველ მის ახალ თეზას სათანადო ციტატი მოსდევდა. ისმოდა ტიცინის, პაოლოს, გალაკტიონის, ახმატოვის და სხვათა განუმეორებელი სტრიქონები. ყველაფერი, რა თქმა უნდა, არ მახსოვს, მაგრამ კარგად მაგონდება მანანას მიერ არტისტულად წარმოთქმული ფრაზა, რატომღაც, რუსულად: (მანანამ დიდებული რუსული იცოდა და ჩვენც ვინ ვიყავით რუსულის ცოდნის გარეშე?) „Хотите в нашей грузинской литературе модерн, вот вам символизм“.

კარგა ხნის პაექრობის შემდეგ მანანას გამარჯვება უტყუარი ჩანდა. ბ-ნი ბესოც მიხვდა თავის მარცხს. ჩანდა, გულში თვითონაც ისე ფიქრობდა, როგორც მანანა და მდგომარეობიდან, რის ბესო იქნებოდა, არ გამოსულიყო და თქვა მეტად საინტერესო რამ, რაც მერე ყველას კარგად დაგვამახსოვრდა: „რა გამიხდა ეს გვეტაძის ქალი... ზინაიდა ვიპიუსივით დაიჩემებს რაიმეს და არაფერს შეგარჩენს. ვისთან არ მიკამათია – ტიხონოვთან, მთავრობის წევრებთან, თვით ლუნაჩარსკისთანაც და მანანას კი ვერაფერი მოვუხერხეო“. – სიცლით აივსო ჩვენი სხდომების ნავთსაყუდელი. სხდომა სასიამოვნო შერიგებით დასრულდა. ბ-ნი ბესარიონის გარდაცვალების შემდეგ თვით მანანა ხშირად სიყვარულით იმეორებდა მის სიტყვებს.

ბედისწერაა თუ რა, ვერ გეტყვით. ახლა, დიდუბის პანთეონში გვერდიგვერდ განისვენებენ: მანანა მამასთან, რაჟდენ გვეტაძესთან ერთად, ბესარიონ ჟღენტი, პაოლო იაშვილი, ლევან ასათიანი, სერგო კლდიაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი და ა.შ.

ათმა წელმა ზამთრის სიზმარივით ჩაიქროლა. 25 თებერვალს დიდუბის პანთეონს ვენვიეთ: მე, ირმა ჩხეიძე, ჟუჟუნა ქვლივიძე, ნუნუ ასათიანი, სკოლის მეგობრები, ოჯახის წევრები. ყვავილებით და წმიდა სანთლებით მივეფერეთ ჩვენს ლამაზ და განუმეორებელ მანანას.

ნინო ვახანია

ეს წიგნი უნდა გაგრძელდეს

□

შხვედრა ტყიბულის სკოლაში

ტყიბულის მე-6 საჯარო სკოლის მოსწავლეებს, ბელ კაუფმანის დარად, თამამად შეუძლიათ თქვან: „მე მყავდა მასწავლებელი, რომელიც“... და არაერთი პედაგოგი ჩამოთვალონ სიამაყით, სიყვარულით, გულსავედ ამ სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები უკვე მეორედ ხვდებიან **ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებას**, ჟურნალ **„ჩვენი მწერლობის“** რედაქტორს და ყველაფერზე ეტყობა, ვერც აწი შეეღვეიან, შეხვედრები გაგრძელდება, იქნებ – უფრო ხშირადაც.

17 ივნისს მოსწავლეებმა **ტიციან ტაბიძის ხსოვნის საღამო** გამართეს.

ლონისძიების თაოსნები ტყიბულის მე-6 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ხელმძღვანელი **ცირა კუბლაშვილი** და ამავე სკოლის სიტყვიერების მასწავლებელი **ნანა ამბროლაძე** არიან.

პროექტის მხარდამჭერი – ტყიბულის გამგებელი **ლევან დონაძე**.

ერის გახრწნა მაშინ იწყება, როცა ის, მისდა საუბედუროდ, წარსულს ივინყებს – ილიას ამ სიტყვებით დაიწყო საუბარი ქალბატონმა **ნანა ამბროლაძემ** და განაგრძო: შემთხვევითი არ არის, რომ დღეს სტუმრად როსტომ ჩხეიძე მოვიწვიეთ. იგი ტიცინ ტაბიძისა და კიდევ არაერთი სასიქადულო მწერლის იდეურ მემკვიდრედ გვესახება. ტიცინამ ხომ თავისი ცხოვრების ეკლიანი გზა პოეტურ მარგალიტებად აქცია. წარსული თუ არ გავიხსენეთ, მომავალიც არ გვექნება. ამიტომ ჩვენს უპირველეს საზრუნავად ეროვნული ღირებულებების დაცვა მიგვაჩნია. ფოტოზე ტიცინი ახალდაბადებულ უმანკო ბავშვს ჰგავს. ის მართლაც ყოველთვის ახლად იბადება, როცა ვიხსენებთ, როცა ვკითხულობთ. პოლიტიკურმა ინკვიზიციამ ბევრი მწერალი იმსხვერპლა ჩვენს ქვეყანაში – ილიაც, მიხეილ ჯავახიშვილიც, სხვებიც ეს, ალბათ, განმწმენდი სისხლია.

შავი არაგვის მუქი წყალივით გონდამძიმებული ადამიანები უდიდეს ბოროტებას და ცოდვას სჩადიან ამქვეყნად, მათ პირისპირ კი დგანან მსხვერპლნი, ზვარაკნი, ტი-

ციან ტაბიძის მსგავსად წითელი მიხაკივით გარეთ გამო-
ცანილი გულით. ქვებზე გარჩენილი კალმახივით ვერც ის
გადაურჩა უღმობელ მარწუხებს.

ბატონი როსტომის ნიგნებიც იმის დასტურია, რომ
ყოველ ჯერზე, ყოველი წაკითხვისას სულ ახალ რამეს აღ-
მოაჩენ, შეამჩნევ. კუთხეში მიმაღული შედარება ან მეტა-
ფორა შემოგცინებს, პოეტის გულსა და გონებაში გამო-
ტარებული აზრი შემოგანათებს

ისმის კირიელისონის გალობა და საგანგებოდ მოწყო-
ბილი სცენიდან მოსწავლეები: **ქრისტინე ქარქაშაძე, ნეს-
ტან ყვავაძე, მარიამ კუპატა-
ძე, მაგდა ყვავაძე, მარიამ გენ-
ძეხაძე** ტიცინ ტაბიძის ავტო-
ბიოგრაფიას გვაცნობენ.

ლექსს სიმღერა ცვლის. „ქა-
რი გიმღერის ნანასა“ – გიტა-
რაზე შესანიშნავად უკრავს და
გულშიჩამწვდომი ხმით მღერის
მეექვსეკლასელი **ნატა დეკა-
ნოსიძე**.

IX კლასის მოსწავლეების-
გან შემდგარი მოცეკვავეთა
გუნდი და გოგონათა ქორეოგ-
რაფიული ანსამბლი დროდად-
რო იწყობს სცენასა და მაყუ-
რებელთა გულს. კაცს უნე-
ბურად გაგახსენდება გრიგოლ
რობაქიძისეული — „ქართული
გენია როკით განფენილი“.

**შოთიკო ბუაძისა და რომან
გამთენაძის** ოსტატობით კენე-
სის გიტარა.

ყველაფერი მოფიქრებულია, გააზრებული, ერთ
მთლიანობად შეკრული. ჩანს, ამ სკოლაში მასწავლებ-
ლები და მოსწავლეები ერთი აზრით, განცდით, ფიქრით,
მიზნით ცხოვრობენ. ლიტერატურულ კითხვაში სიამოვნ-
ებით ერთვებიან და თავიანთი დეკლამაციით ღონისძი-
ებას აღამაზებენ ისტორიის მასწავლებლები ნანა მაი-
სურაძე და **როსტომ მიქიაშვილი**. ამ უკანასკნელმა ტი-
ციან ტაბიძისადმი და გალაკტიონისადმი მიძღვნილი სა-
კუთარი ლექსებიც წაგვიკითხა და ბოლოს სტუმარს მი-
მართა:

**თქვენი სტუმრობით ტყიბულში
გავგილამაზეთ დღეის დღე,
ახალგაზრდობას სჭირდებით,
ბატონო როსტომ ჩხეიძე.**

ამ აზრის სისწორეში მაშინვე დავრწმუნდით, როცა სა-
ლამოს დამთავრების შემდეგ ახალგაზრდებმა ჯერ დაფ-
ნის გვირგვინით შეამკეს მწერალი, მერე კი საინტერესო
დიალოგი გამართეს მასთან.

მანამდე კი ბატონმა როსტომმა შეკრებილთ მიმართა:
„ტიციან ტაბიძე გრიგოლ რობაქიძემ გრაალის მცველად
გამოაცხადა. თვით გრაალის შესახებ მრავალი ვერსია
არსებობს, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ სულიერ ლი-

რებულებათა სიმბოლოს წარმოადგენს. ჩვენც მოვალენი
ვართ, ამ ფასეულობებს ვიცავდეთ. ტიცინიც იმ ჯაჭვში
იყო ჩაბმული, რომელიც თვითონვე დაკირა სისხლით. დი-
დი ხანი არ არის, რაც გამოქვეყნდა ტიცინის მიერ რუსუ-
ლად დაწერილი ქართული ლიტერატურის ისტორიის
თარგმანი ჩვენს მშობლიურ ენაზე, რამაც კიდევ ერთი
მომნიბლავი შტრიხი შესძინა მის სახეებს.

ის იყო არა მარტო პოეტი, არამედ პროზაიკოსიც,
მკვლევარიც და ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რათა
საზოგადოებაში შენარჩუნებულიყო სახელმწიფოებრივი
დამოუკიდებლობისაკენ თავგან-
წირული სწრაფვა. თვითონ რო-
გორც გამოთქვამდა: „რომ არ
ამოშრეს ხალხში ნაღველი ბა-
ტონიშვილის ალექსანდრესი“.

როცა საქართველო იბრუ-
ნებს დამოუკიდებლობას, ჩვენ
უნდა გვახსოვდეს ჩვენი წარსუ-
ლი. როცა თვალს გამოვახელთ
ამ ქვეყანაზე, მაშინვე უნდა
ვაცნობიერებდეთ, და როცა
თვალს ვხუჭავთ, მაშინაც ამ
განცდით უნდა ვკვდებოდეთ“.

ბატონმა როსტომმა მაღლო-
ბა გადაუხადა მასწავლებლებს,
მოსწავლეებს, დამსწრე საზო-
გადოებას, ტყიბულის გამგე-
ბელს — **ლევან დონაძეს**, რომ-
ლის ხელშეწყობითაც განხორ-
ციელდა ეს პროექტი.

ბატონმა ლევანმა თავისი სი-
ხარული გაგვიზიარა, ბედნიე-
რად ჩათვალა თავი, რომ ეს პროექტი დააფინანსა და თავის
ყოფილ პედაგოგებს მომავალშიც დახმარებასა და
თანადგომას შეჰპირდა.

მეთერთმეტეკლასელებმა **მარიამ კუბლაშვილმა,
დავით აბესაძემ** და **თამთა ქარქაშაძემ** რამდენიმე შე-
კითხვით მიმართეს სტუმარს.

დათო აბესაძე დაინტერესდა, თუ აპირებს მწერალი
ტიციან ტაბიძისა და შელის სულიერი ნათესაობის საგან-
გებოდ კვლევას, რომელზე მინიშნებაც მის ერთ-ერთ ესე-
იში მკაფიოდაა გამოხატული.

როსტომ ჩხეიძე: „გამიხარდა, რომ ეს თემა წამოჭე-
რით. საკვლევი ტიცინი და შელი, ტიცინი და უაილდი.
სხვათა შორის, მიხაკი მკერდზე ტიცინმა უაილდისგან
გადმოიღო. ბევრი რამ აახლოებს ტიცინს მეამბოხე პო-
ეტთა ამ წრესთან. მართალია ორი სხვადასხვა სტილის-
ტიკაა, ოღონდ შინაგანი, სულიერი ძაფები ანათესავებთ
მათ, ტრავგიული აღსასრული — მით უფრო.

თუ მე ვერ შევძელი ამ საკითხების დაწვრილებით
კვლევა, თქვენთვის გადმომიბარებია. როგორც ჩანს, შინა-
განად მზად ხართ ამისთვის და კიდევ უნდა იტვირთოთ“.

მარიამ კუბლაშვილს განსაკუთრებით ჩარჩა გულსა
და ხსოვნაში „ეკლიანი და პატარა გზა“ და აინტერესებს,
აპირებს თუ არა მის გაგრძელებას მწერალი. მანამდე კი
თავის შთაბეჭდილებებს ჩაიკითხავს.



ტიციან ტაბიძე

„მხოლოდ კაცთმოძულე ადამიანი თუ იტყვის როსტომ ჩხეიძის წიგნზე „პატარა და ეკლიანი გზა“, არ არის ფასეულიო. პირადად მე, ვფიქრობ, რომ ეს ერთი შეხედვით მცირეტანიანი წიგნი უდიდეს საიდუმლოს იტევს და თავისი არსით არათუ ჩამოუვარდება, ბევრად აღემატება კიდევ ზოგიერთ სქელტანიან წიგნს; ხოლო თუ რეალურად ვის როლში წარმოგვიდგება აქ როსტომ ჩხეიძე, ამას მკითხველთა ინდივიდუალური ხედვა გამოუტანს განაჩენს. მე კი მგონია, ის უფრო დეკლამატორია („დეკლამატორი“, როგორც ბატონი როსტომი თვითონვე აღნიშნავს), ვიდრე ავტორი.

წიგნში ნათლად იკვეთება ნწ პიროვნების ზნეობრივი საწყისი და შინაგანი მრწამსი (თუმცა აქვე დავძენ, რომ ბევრი ადამიანი ვერ ახერხებს პიროვნებად ჩამოყალიბებას). სულითხორცამდე შემძვრელია, წაიკითხო ილიას (საქართველოს) ორმოცდათხუთმეტჯერ გარდაცვალება, ორმოცდათხუთმეტი პიროვნებისეული აღქმა. ვულრმავეები ნაფიქრალ წერილებს და ზოგ შემთხვევაში გული ბოლმანარევი სიბრაზით მევსება იმ ადამიანების მიმართ, ერთი ხელის მოსმით რომ არგებენ ილიას ცრუ ნიღბებს და ისე ავითარებენ მსჯელობას, თითქოს მწერალს, სახელმწიფო მოღვაწეს, თერგდალეულთა ლიდერს, ღირსეულ ქართველს არავითარი ღვაწლი არ მიუძღოდეს საკუთარი ერის წინაშე. სამაგიეროდ, გული სიამაყისგან მეკუმშება, როდესაც ვკითხულობ მამულიშვილური წმინდა ლამპრით გულანთებულ პიროვნებათა მონათხრობს (კავშირს „რომ“, მერწმუნეთ, ნამდვილად არ ვიყენებ ჩემი მსჯელობის მითოლოგიზაციისათვის). ილიას ვერნას, მის მხრებზე აზიდულ ტვირთს ბევრი ვერც ხედავდა და ვერც ახლა აფასებს სათანადოდ. სიმართლე გითხრაო, ყოველთვის ებრაზობდი ქართველი მოღვაწის განმკითხველებზე, თუმცა ამ წიგნმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ გონების თვალის ბევრი ადამიანისათვის უნუგეშოდა დახშული და რომ მხოლოდ რჩეულთა ხვედრია „ეპოქის მესიის“ შეცნობა.

დაბოლოს, ბატონო როსტომ, ვფიქრობ, აუცილებლად უნდა გააგრძელოთ ეს წიგნი, რადგან არაფერია იმაზე ამაღელვებელი, იკითხო შეფასებანი (თუნდაც მტკიცეული) იმ პიროვნების შესახებ, რომელიც უდავოა, რომ ცამ დანიშნა და საკუთარმა ერმა გაზარდა!

P.S. ვინ იცის, იქნებ ამ წიგნის შემთხვევაში დეკლამატორობა და ავტორობა ერთნაირად ფასეულია“.

როსტომ ჩხეიძე: „ამ წიგნისთვის ჯერ მცირე რაოდენობის ჩანაწერები დაინერა. საზოგადოების თანამდგომამ, მკითხველის ინტერესმა მიბიძგა, ორჯერ გამეზარდა. ამ ორიგინალური აგებულების წიგნში ვეყრდნობი დოკუმენტურ მასალას. არ ვიცი გავაგრძელებ თუ არა წიგნს, თუმცა დღევანდელი დღე ჩავთვალთ კიდევ ერთ დაკვეთად საზოგადოებისა“.

თამთა ქარქაშაძეს აინტერესებს თანამედროვე მკითხველის რეაქცია, როცა წიგნის პერსონაჟები გამობენ ილიას, ხომ არ არის ამით უკმაყოფილო მკითხველი?.. და თან თავის მოსაზრებებსაც უზიარებს ავტორს.

„ილია ჭავჭავაძის ცხოვრების გზითა და მისი მკვლელობის მისტიკური საიდუმლოთი დაინტერესებულ მკითხველს



„ეკლიანი და პატარა გზა“ ძალიან კარგ საშუალებას აძლევს, კიდევ უფრო ღრმად ჩასწვდეს ამ მოვლენას.

ჩემი აზრით, ავტორის გადანყვეტილება — პირველი გამოცემის შევსებასთან დაკავშირებით — გამართლებული აღმოჩნდა, რადგან ის ნამდვილად გულშიჩამწვდომი და საინტერესოა.

ვკითხულობ თითოეული პიროვნების მოგონებას და ვხვდები, რომ ყოველი მათგანი მკვეთრად უსვამს ხაზს ამ მძიმე ბოროტებას და ამავე დროს მკვლევების უძლეულებას. უძლეულებას იმიტომ, რომ მართალია ხორციელად მოკლეს ილია, მაგრამ „მამული, ენა და სარწმუნოება“ თავისდაუნებურად უკვდავყვეს. ჩემთვის ყველაზე მტკიცეულიად აღსაქმელი ესტატე ციციშვილის მოგონებაა, განსაკუთრებით კი დასასრულს „დათვის“ გაგორებაზე რომაა საუბარი. ოღონდ გურამიშვილის სიტყვები კი მარწმუნებს უფრო ძლიერად იმაში, რომ ილიასწაირები იშვიათად იბადებიან, ოღონდ სწორედ მაშინ, როცა ერს სჭირდება.

ბოლოს კი ვიტყვი: „აუცილებელი ხომ არ არის სულ რომ ვამატო“, — ავტორი რომ ამბობს წინასიტყვაობაში, თუ მასალა იქნება, რატომაც არა?! მკითხველის ინტერესი ნამდვილად არ მოაკლდება წიგნს!..“

როსტომ ჩხეიძე: „ მე მოვალე ვიყავი, აღმედგინა რეალობა. ილიას მკვლელობა ჯერ იდეოლოგიურად მოამზადეს და მერე მოკლეს. ზოგიერთი მკვლევლობის იდეური თანამონაწილე კი იყო, ოღონდ მერე მიხვდა თავის დანაშაულს და მოინანია. ზოგი მერეც ამაცობდა მისი მოკვლით. ჩვენ ვალდებულნი ვართ, არ დავმალთ სიმართლეს, რადგან წინამორბედი ისევე გრძელდება.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს ხშირად გაიგონებთ საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა მიერ დასმულ სკეპტიკურ შეკითხვას: რა გვეშველება? ამ ბავშვების, მათი აღმზრდელების შემხედვარეთ გვეჯერა: გვეშველება! რეპრესირებულ შემოქმედთა გახსენება ყოველთვის ნაღვლიანია, მაგრამ იმედითაც ავსებს გულს. ტყიბულის მე-6 სკოლასთან მეორედ შეხვედრა კიდევ ერთხელ მარწმუნებს — უკვალოდ არაფერს ჩაუვლია, წარსული მომავლისთვის არსებობს, მომავალი კი საიმედოა“.

მასპინძლებს მადლობა გადაუხადა და თავისი შთაბეჭდილებები გაგვიზიარა სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორმა **სალომე კაპანაძემ**. მან თავისი მონოგრაფია საჩუქრად გადასცა სკოლის ბიბლიოთეკას.

სკოლის დირექტორმა, **შოთა ჯინჯიხაძემ** გამოთქვა სურვილი, რომ ასეთი შეხვედრები ტრადიციად დამკვიდრდეს, ყოველწლიურად დაგვეგმოდოს ღონისძიებები, გავაფართოოთ სტუმართა წრე, შეხვედრები იყოს რაც შეიძლება მრავალფეროვანი.

დავემშვიდობეთ, წამოვედით. რალაცნაირი, მშვიდი, ნათელი მიდგას გულში და არ მშორდება მეხსიერებაში უნებლიეთ ნამოტივიტივებული: „რომ მომავალი ჩვენია, ამას რად უნდა მისანი“ (ვაჟა).

ლეილა ნანიტაშვილის სამეცნიერო ნარკვევი „ელენესა და მარიამს“ (ბეჭდვის ისტორია) არის ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობის შესახებ ძალზე საინტერესო ტექსტოლოგიურ-არქეოგრაფიული ძიების შედეგი. ბარათაშვილის არცთუ დიდი პოეტური მემკვიდრეობა მრავალი მკვლევარი-ტექსტოლოგის მიერ არის შესწავლილი და დამუშავებული. პავლე ინგოროყვა, ივანე ლოლაშვილი და სხვები ის სახელებია, რომელთა ღვაწლი ყოველთვის ღირსეულად იქნება წარმოჩენილი, რადგანაც თვითუღმა ძირისძირობამდე გაითვალისწინა ხელნაწერებისა და არსებული პუბლიკაციების მონაცემები.

ლეილა ნანიტაშვილის შრომა ერთი კონკრეტული მაგალითის წარმოსაჩენად მთელი სისრულით განიხილავს არსებულ ინფორმაციას. ამიტომაც, ბუნებრივია, გაცოცხლებულია ბევრი ფაქტი, დიდი ტაქტიკა და პატივისცემით მითითებულია ყოველი ავტორის შემოთავაზებული ვარიანტი. მკვლევარმა, ვფიქრობ, დაასაბუთა, რომ ლექსი „ელენეს და მარიამს“ არ ეკუთვნის ბარათაშვილს. ლეილა ნანიტაშვილის აზრით, ბარათაშვილის შემოქმედებას ზოგიერთი მკვლევარის სურვილი — მიაკუთვნოს ლექსი „ელენეს და მარიამს“ — არაფერს მათებს არც ფაქტობრივად და არც პოეტურად. ამიტომ მისი შეტანა ჩვენი კლასიკოსის ლექსების აკადემიურ კრებულში არ არის აუცილებელი და გამართლებული. ეს დასკვნა, ვფიქრობთ, ყველასათვის მისაღები უნდა იყოს.

ლეილა ნანიტაშვილის მოსაზრებას, არ არის გამორიცხული, შეიძლება ჰყავდეს მონინააღმდეგენი, რომელნიც მხოლოდ იმიტომ, რომ ლექსი ზოგიერთი ხელნაწერის ცნობით უკავშირდება ბარათაშვილის სახელს, ეგებ არ დაეთანხმონ ავტორს.

ამ მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება. ამიტომ მისი გამოქვეყნება მე სასურველად მიმაჩნია.

მიხეილ ქავთარი

(ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი)


ლეილა ნანიტაშვილი

ეპიგრამა „ელენეს და მარიამს“

□

ბეჭდვის ისტორია

1916*წლის 21 ნოემბერს ქართულმა საზოგადოებრიობამ „ბარათაშვილის დღე“ აღნიშნა, რომელიც პოეტის საიუბილეო თარიღს — დაბადებიდან ასი წლისთავს მიეძღვნა. გაზეთებმა „სახალხო ფურცელმა“ (20. XI. 728) და „საქართველომ“ (20. XI. 260) თითქმის მთელი ნომრები ბარათაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას მიუძღვნეს. დაიბეჭდა ქრისტეფორე რაჭველიშვილის, აკაკი პაპავას, იოსებ გედევანიშვილის, პეტრე მირიანაშვილის, გრიგოლ ვეშაპელის, გერონტი ქიქოძის, დავით კასრაძის, სანდრო შანშიაშვილის, ზაქარია ჭიჭინაძის წერილები. „სახალხო ფურცელმა“ სენსაციური განცხადება გამოაქვეყნა — „ნ. ბარათაშვილის დაუბეჭდავი ლექსი: „ჩვენი გაზეთის დღევანდელ დამატებაში ჯერ დაუბეჭდავი ლექსია „ელენეს და მარიამს“. ეს ლექსი აღმოაჩინა ბ-ნმა დავ. კარიჭაშვილმა ნ. კ. საზ. მუზეუმში. ლექსი მოთავსებულია კრებულში, რომელიც S—5190 ნომრით არის შეტანილი კა-



ტალოგში. ბარათაშვილი ოხუნჯ და ენამახვილ ადამიანად არის ცნობილი, ოღონდ ამის დამამტკიცებელი რაიმე ლექსი დღემდე არ მოიპოვებოდა. ეს ლექსი ვის ეძღვნის, არ ვიცი. იმავე კრებულში მოიპოვება საპასუხო ლექსი, რომელსაც მარ. ფალავანდოვისა აწერია ქვეშ. ეტყობა, სწორედ ეს ფალავანდოვისა უნდა იყოს მარიამი. სხვათა შორის, ბარათაშვილის შესახებ ნათქვამია იმ ლექსში: „პალატაში ჯდომითა ხანი მოგმატებია“, შემდეგ „სათვალეცა თქვენ გშვენის, ყავარჯენიც ხელშიაო“. ამ ლექსში პოეტი ტატოდ (ხაზი რედაქტორისაა — ლ. ნ.) იწოდება, ეს კი შინაური სახელია ნიკ. ბარათაშვილისა. ლექსი თავდება ასე: „დავანებოთ ეს ლექსი ჩვენსა პოეტს ტატოსა“.

მართლაც, გაზეთის სურათებიან დამატებაში (10. XI. 130) გამოქვეყნდა პოეტის უცნობი ეპიგრამის ტექსტი¹, რომლის ავტოგრაფს, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია.

არის ერთი შეხედვით თითქოსდა უმნიშვნელო დეტალი, მაგრამ როდესაც იგი ბარათაშვილის შემოქმედებას ეხება, ყოველი წვრილმანიც კი მნიშვნელოვანია. საქმე ის გახლავთ, რომ „სახალხო ფურცლის“ სურათებიან დამატებაში ლექსი დაიბეჭდა სათაურით — „ელენეს და მარიამს“** (ხელმოწერა — თ-დი ნ. ბარათოვი). „საქართველოს“ სურათებიან დამატებაში — „ელენეს და მაროს“ (ხელმოწერა — თ. ნ. ბარათაშვილი). ეპიგრამასთან ერთად გამოქვეყნდა მარიამ ფალავანდოვისას ორი ლექსი: „მიხეილს“, „ტატოს“. ყურნალ „ცხოვრებაში“ — „ელენეს და მარიამს“ (ხელმოწერა — თ-დი ნ. ბარათოვი), უეჭველია, ლექსი გადმობეჭდილია „სახალხო ფურცლიდან“.

იბადება კითხვა — რატომ გაასწორა სათაური „საქართველოს“ რედაქციამ? როდესაც კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ კრებულში (შ—5190) ეპიგრამის სათაურია „ელენეს და მარიამს“ (ხელმოწერა — თ-ნ. ბარათოვი).

* იმ დროისათვის ბარათაშვილის დაბადების თარიღად მიჩნეული იყო 1816 წელი.

** საზგასმა ყველგან ჩემია — ლ. ნ.

* * *

1895 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ დაბეჭდილ ნ. ბარათაშვილის ლექსებსა და წერილებზე უურნალ „კვალში“ (45) გამოქვეყნდა იაკობ ფანცხავას² რეცენზია. რეცენზენტი გამომცემლებს საყვედურობს, რომ „ქ.შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ არ ეკადრებოდა მართლწერას ასე მოქცეოდა და ნ. ბარათაშვილის თხზულებას ასე გულცივად არ უნდა მოჰყრობოდა“.

რეცენზენტს დავით კარიჭაშვილი და ექვთიმე თაყაიშვილი იმავე უურნალის ფურცლებზე (№47) გამოეხმაურნენ: „ამ წიგნის გამოცემა საზოგადოების გამგეობისაგან მონდობილი გვექონდა ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერთა. გამგეობის სურვილი იყო, რომ დაბეჭდილიყვნენ ნ. ბარათაშვილის ნაწერები, როგორც უწერია თვით ავტორს, ისე რომ იოტის ოდენა ცვლილება არ ყოფილიყო შეტანილი. გამგეობაც და ჩვენც ვფიქრობდით, რომ იმისთანა პოეტის ნაწერს, როგორც ბარათაშვილია აქვს სრული უფლება გადაეცეს ჩამომავლობას იმ სახით, რა სახეც თვით დიდებულს პოეტს მიუცია.“

შესაძლებელია ზოგიერთი სიტყვა და ფრაზა ისე არ ჰქონდეს ბარათაშვილს ნახმარი, როგორც ახლა ხმარობენ ჩვენი მწერლები, მაგრამ მაინც არავის აქვს უფლება მისი ნაწერები გადააკეთოს, გადაასწოროს და მით უმეტეს, გადაამახინჯოს. ამას მოითხოვს სხვათა შორის, ენათმეცნიერების ინტერესი და თვით დიდებული პოეტის პატივისცემა. ამ დედა-აზრის საფუძვლათ ბარათაშვილის ლექსები დაიბეჭდა სრული სისწორით და თანხმობით თვით პოეტის ხელნაწერებთან. არც ერთი სიტყვა, არც ერთი ასო, არც ერთი წერტილი არ არის შეცვლილი“.

როდესაც დავით კარიჭაშვილი (ეპიგრამის აღმომჩენი — ლ. ნ.) და ექვთიმე თაყაიშვილი ასე რუღუნებით ეპყრობოდნენ ბარათაშვილის ტექსტს, მიაჩნდათ, რომ „არავის აქვს უფლება მისი ნაწერები გადააკეთოს, გადაასწოროს“, როგორ მოხდა, არათუ ზემოხსენებულ გაზეთში, აკადემიურ გამოცემებშიც (გამონაკლისია 1972 წლის აკადემიური), დაბეჭდილია *მარო* და არა *მარიამი*.

კიდევ ერთი: ლექსის გამოქვეყნებიდან მესამე წლისთავზე, 1919 წელს, დავით კარიჭაშვილის რედაქტორობით გამოდის ბარათაშვილის ლექსები, სახუმარო ეპიგრამა, რატომღაც მის შემდგენელს ამ კრებულში არ შეაქვს.

ჯერ კიდევ 1915 წელს, ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან საიუბილეო დღეებისათვის მზადების დღეებში, პოეტის დისწულმა — ნიკოლოზ რევაზის ძე ერისთავმა განიზრახა სასიკაძულო ბიძის თხზულებათა გამოცემა. იგი მალე გარდაიცვალა და მისმა მეუღლემ — ეკატერინე ერისთავმა იტვირთა ამ საქმის გაძღოლა. შეიქმნა საგანგებო გამოცემის სარედაქციო კომისია, რომელშიც შედიოდნენ: კიტა აბაშიძე, იოსებ გედევანიშვილი, იოსებ გრიშაშვილი, ნიკოლოზ ერისთავი, გიორგი ვეზირიშვილი (პოეტის დისწული), იაკობ ნიკოლაძე, გიორგი თუმანიშვილი, გიორგი ლასხიშვილი, გიორგი ჟურული, გრიგოლ რობაქიძე, სამსონ ფირცხალავა, დიმიტრი შევარდნაძე, ივანე ჯავახიშვილი. კომისიამ გაზეთ „სახალხო ფურცელში“ შემდეგი განცხადება გამოაქვეყნა: „კნ. ეკატერინე მიხეილის ასულის ერისთავის მიერ მოწვეული კომისია ნ. ბარათაშვილის ლექსების საიუბილეო-საგანგებო გამოცემისათვის სთხოვს

ყველას, ვისაც მოეპოვება რაიმე წერილი, სურათი ან სხვა საბუთი პოეტის ნ. ბარათაშვილის და მისი დროის შესახებ, ათხოვოს მას დროებით ასლის გადასაღებად.

კომისია სთხოვს აგრეთვე ყველას, მიგვითითონ, თუ სადმე ეგულებათ საჭირო საბუთი და დაგვისახელონ ნ. ბარათაშვილისდროინდელი პირები, რომელთაც შეუძლიათ სიტყვიერად გადმოგვცენ ცნობები პოეტის ცხოვრების შესახებ.

მისამართი: ტფილისი, „სახალხო ფურცლის“ რედაქცია. სამსონ ფირცხალავას. ნ. ბარათაშვილის ლექსების სარედაქციო კომისია“ (გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915, 5. V. 274).

კომისიამ რამდენიმე სხდომა მოიწვია, შეიმუშავა ლონისძიებები, ჩაატარა წიგნზე ხელის მოწერა და მუშაობას შეუდგა.

პრესაში სისტემატურად ქვეყნდებოდა განცხადებები გამოცემაზე მუშაობის მიმდინარეობის თაობაზე. სარედაქციო კომისიის წევრები გარკვეულწილად ანგარიშს აბარებდნენ საზოგადოებას. იგივე გაზეთი წერდა: „...წიგნში დაიბეჭდება ერთი ვარიანტის ტექსტი და დაწვრილებით იქნება აღნიშნული ყოველი, სულ მცირე განსხვავება ვარიანტებისა, დაერთობა ვრცელი ბიოგრაფია და წერილები ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ ი. მეუნარგიას, გრ. ორბელიანის, დ. უზნაძისა და სხვ. გარდა ამისა, თითოეულს ლექსს და წერილს ექნება დაწვრილებითი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული განმარტება. წიგნში მოთავსდება ასზე მეტი სურათი და ავტოგრაფი, სარედაქციო კომისია ცდილობს, რომ გამოცემა გარეგნულად ახასიათებდეს ნ. ბარათაშვილის დროს“ („სახალხო ფურცელი“, 1916, 23. XI. 729).

ამ გამოცემის ისტორიას დაწვრილებით იმიტომ ვეხებით, რომ ეს პირველი აკადემიური³ გამოცემაც ისეთივე უიღბლო აღმოჩნდა, როგორც პოეტის მთელი ცხოვრება.

წიგნზე მუშაობას აფერხებდა ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება. სარედაქციო კომისია ფაქტობრივად დაიშალა. წიგნის ბოლოსიტყვაობაში რედაქტორი სამსონ ფირცხალავა წერს: „...რადგან მაშინ მსოფლიო ომი იყო და ყველაფერი გაძვირდა, ვუცდიდით ომის დასრულებას. სამწუხაროდ, ომი გაგრძელდა, მას მოჰყვა რუსეთის და ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის გართულება, კომისიის წევრები საქმეს ჩამოშორდნენ ნებსით თუ უნებლიეთ და მთელი მუშაობა თავს დაგვანვა ორს წევრს — ეკატ. მიხ. ერისთავისას და ამ შენიშვნის ავტორს. გვეხმარებოდა პოეტი ი. გრიშაშვილი, რომელიც დიდის ინტერესით მოეპყრა გამოცემის საქმეს.“

დადგა 1920 წელი. რაკი ვხედავდით, რომ ცხოვრების ნორმალური პირობების აღდგენა არ იყო მოსალოდნელი ახლო მომავალში, გადასწყვიტეთ დაუყონებლივ შევსდგომოდით ნ. ბარათაშვილის თხზულებათა გამოცემას იმ ნამუშევარის და მასალის მიხედვით, რაც ხელთ გვექონდა. შეუთანხმდით გამომცემელს ა. არაბიძეს და შემოდგომაზე დავიწყეთ წიგნის ბეჭდვა. 1921 წ. თებერვლის დამდეგისათვის უკვე დაბეჭდილი გვექონდა ნახევარზე მეტი, მაგრამ მოგვისწრო თებერვალ-მარტის ომმა, საქმე შეჩერდა, ქალღი დაგვეკარგა, ზოგი დაბეჭდილი ფორმაც გაფუჭდა და რაკი კერძო გამომცემლობა მოისპო, ჩვენი წიგნის დამთავრება გადავეციეთ მთავარ სახელოვნო კომიტეტის სალიტერატურო სექციას.

გამოცემის დეფექტებისათვის პასუხისმგებლობა უნდა

დამეკისროს მე, რომელსაც მეკუთვნის საერთო რედაქცია და ტექსტის შესწორება ავტოგრაფების მიხედვით. უეჭველია, წიგნს ბევრი ნაკლი აქვს, შეცდომები შეგვეპარა, წიგნის გარეგნული სახეც ვერ არის შესაფერისი, ვერ მოვათავსეთ ზოგიერთი უკვე დამზადებული წერილი სათანადო ქალაქის უქონლობის გამო, მაგრამ ვფიქრობთ, იმ სახითაც, როგორც ეს დღეს მოვახერხეთ, ჩვენი გამოცემა ახალს მასალებს მისცემს ქართველ საზოგადოებას ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესასწავლად.

იმედს გამოვსთქვამთ, რომ გვეღირსება გამოცემის განმეორება და მაშინ შევსძლებთ სავსებით განვახორციელოთ ის გეგმა, რომელიც ჰქონდა პატივცემულ ეკატერინე ერისთავსა და მთელს კომისიას*.

სამსონ ფირცხალავას ოცნებას, რომ წიგნის განმეორებით გამოცემას უფრო სრულყოფილად განახორციელებდა, ასრულება არ ეწერა. იგი 1922 წელს დააპატიმრეს და მას იძულებით მოუხდა ემიგრაციაში ხანგრძლივად ყოფნა.

ქართული საზოგადოება აღტაცებით შეხვდა წიგნის გამოსვლას. ჟურნალი „ლომისი“ „ხელოვნების მატრიანში“ წერდა: „ს. ფირცხალავას რედაქციით გამოვიდა ჩვენი უკვდავი პოეტის ნიკ. ბარათაშვილის წიგნი. შინაარსის მიხედვით ეს წიგნი იშვიათი გამოცემაა. თვით პოეტის ნაწარმოებებისა და წერილების გარდა, წიგნში მოთავსებულია მრავალი საყურადღებო წერილი და მასალა“ (ჟურნ. „ლომისი“, 1922, 6-7, გვ. 31-32).

სარედაქციო კომისიის ერთ-ერთმა წევრმა იოსებ გრიშაშვილმა ჟურნალ „ალიონის“ ფურცლებზე მკითხველს გაუზიარა წიგნით მიღებული შთაბეჭდილება და აღნიშნა რედაქტორის განსაკუთრებული ღვაწლი: „მიხეილ გედევანიშვილის⁴ მიერ გამოცემული ილია ჭავჭავაძის წიგნის შემდეგ ასეთი წიგნი ჯერ არ გვიჩანავს. სამსონ ფირცხალავას რედაქციით გამოცემული „ბარათაშვილი“ აკადემიური გამოცემაა. აქ ყოველივე წერილმანი — რაც მგოსნის გარშემო მომხდარა — დიდის სათუთოობით არის დალაგებული.

...ამჟამად საინტერესოა რედაქტორის შეუდრეკელი ენერჯია. მართალია, წიგნის ბოლოში ვკითხულობთ, რომ გამოცემის ხასიათისა და გეგმის გამოსაკვლევად შემდგარა კომისია, რომელშიც ყოფილან: კიტა აბაშიძე, იოს. გეგვანიშვილი, ი. გრიშაშვილი, გ. ლასხიშვილი, დ. შვეარდნაძე და ი. ჯავახიშვილი,* მაგრამ როგორც ვიცით საქმის მთელი სიმძიმე ს. ფირცხალავას დაანვა, მაგრამ იგი მაინც იდგა თავის სადარაჯოზე, როგორც უკანასკნელი ჰოროლი. მთელი ოთხი წელიწადი მუშაობდა ს. ფირცხალავა ამ

* წიგნის მხატვარია იოსებ შარლემანი



ნიკოლოზ და ეკატერინე ერისთავები

წიგნზე, ჩვენ მოწმე ვიყავით, თუ როგორი ენერჯით, მეცნიერული სიდიდით სუნთქავდა არქივების სუნივანობას პატივცემული რედაქტორი, რომ წიგნი, რომელიც ეკატერინე ერისთავის თაოსნობით გამოდიოდა, სავსებით სავსე ყოფილიყო. ასე იკრიბებოდა ყოველი მომენტი ბარათაშვილის ცხოვრებაში, რაც დღეს სრულქმნის ჩვენს პოეტს. დღეს, როცა რედაქტორობა ფრჩხილებში ჩასასმელი სიტყვა გახდა, პირდაპირ სანიმუშოდ ხდება ის მოკრძალება, რომლითაც წიგნის ერთ პატარა კუნჭულში პატარა ასოებით ვკითხულობთ: „სამსონ ფირცხალავას რედაქციით“⁴⁵ (ჟურნ. „ილიონი“, 1922, 2, გვ. 56-57).

როგორც ბარათაშვილის შემოქმედების მკვლევარი ივანე ლოლაშვილი აღნიშნავს, „1922 წელს ს. ფირცხალავას რედაქციით მკითხველმა მიიღო ნ. ბარათაშვილის თხზულებათა პირველი აკადემიური გამოცემა, რომელიც თავისი მეცნიერული ღირებულებით დღესაც კი სანიმუშოდ შეიძლება ვცნოთ“.

დავუბრუნდეთ ჩვენთვის საინტერესო სახუმარო ეპიგრამას. წიგნში წარმოდგენილი „ვარიანტების განსხვავება და განმარტებანი“ ეკუთვნის სამსონ ფირცხალავას. როგორც ძირითად ტექსტში, ასევე, ამ გამოკვლევაში ლექსის სათაურია „ელენეს და მაროს“. იმის მიუხედავად, რომ ს. ფირცხალავა წერს: „ავტოგრაფი არ მოიპოვება, გადმობეჭდილია ნ.კ.ს. ხელნაწერ კრებულიდამ (5190). უეჭველია, ს. ფირცხალავას ნაწახი აქვს ხელნაწერი. იგი ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების მდივანიც იყო და მის

თვალწინ იკრიბებოდა ის ხელნაწერები, რომელიც დღეს შფონდის სახელითაა ცნობილი.

1939 წელს გამოვიდა ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა მეორე აკადემიური გამოცემა. რედაქტორები: ილია თავაძე და აკაკი განერელია. მხატვარი ლადო გუდიაშვილი. წიგნს ერთვის პავლე ინგოროყვას შესავალი წერილი — „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ (ბიოგრაფიული ნარკვევი).

სახუმარო ეპიგრამა დაბეჭდილია სათაურით — „ელენეს და მაროს“. გამოკვლევა ტექსტისთვის ეკუთვნის იაკობ ბალახაშვილს, რომელიც ლექსს ასეთ კომენტარს უკეთებს: „იბეჭდება საქ. მუზ. პალ. განყ. (შ ფონდის) ხელნაწერ ნომერ 5190 მიხედვით.

პირველად გამოქვეყნდა 1916 წლის გაზ. „სახალხო ფურცელში“ 728 და გაზ. „საქართველოში“ 260.

სახუმარო გაკამათების მთელი პროცესის წარმოსადგენად მოგვყავს ეს ლექსები იმ თანრიგით, როგორითაც ისინი დაბეჭდილნი არიან ნ. ბარათაშვილის 1930 წლის გამოცემაში“.

საინტერესოა, რომ წიგნზე დართულ ნ. ბარათაშვილის თხზულებათა საძიებელში (ქრონოლოგიური ცხრილი) სახუმარო ეპიგრამა მიდის სათაურით **„ელენეს და მაროს?“**, ანბანურ საძიებელში — **„ელენეს და მარიამს“**.

საძიებლების შემდგენლის ვინაობა არ ჩანს, მაგრამ ცხადია, იგი კითხვის ნიშანს ხმარობს გაურკვეველობის გამო.

იაკობ ბალახაშვილს ხელნაწერი არ უნახავს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ იგი იმეორებს 1930 წელს გამოცემულ წიგნში წარმოდგენილ გაკამათების პავლე ინგოროყვასეულ თანმიმდევრობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ტექსტს დაბეჭდვად ისე, როგორც ხელნაწერშია და უყურადღებოდ არ დატოვებდა არც იმ ლაფსუსებს, რომლებზედაც ამ გამოცემის განხილვისას შევჩერდებით. ამასთან მონოგრაფიაში „ბარათაშვილის ცხოვრება“, როდესაც განიხილავს სახუმარო გაკამათებსაც ლექსებით — **მარიამის** ნაცვლად **„მაროს“** არ დანერდა.

1945 წელს გამოვიდა ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. სარედაქციო კომისიაში შევიდნენ: იოსებ გრიშაშვილი, პავლე ინგოროყვა, კორნელი კეკელიძე (რედაქტორი), გიორგი ლეონიძე, გერონტი ქიქოძე, სიმონ ჩიქოვანი, სიმონ ჯანაშია. მხატვრულად გააფორმა ლადო გრიგოლიამ.⁶ სარედაქციო განცხადებაში ნათქვამია:

„წინამდებარე გამოცემა დამზადებულია სარედაქციო კომისიის მიერ, რომელიც გამოჰყო ბარათაშვილის გარდაცვალების ასი წლისთავის ჩამატარებელმა რესპუბლიკურმა კომიტეტმა. ტექსტის დადგენის დროს გამოყენებულ იქნა პოეტის თხზულებათა დღემდე აღმოჩენილი ყველა ხელნაწერი“.

შესავალი — „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ (ნარკვევი) — ეკუთვნის პავლე ინგოროყვას.

ამ წიგნში ეპიგრამა დაბეჭდილია სათაურით **„ელენეს და მაროს“**. სქოლიოში აქვს შენიშვნა: „ეს არის პასუხი მარიამ ფალავანდიშვილის სამსტროფიანი ლექსისა, იხ. კომენტარები“.

კომენტარებში, რომლებიც გიორგი აბზიანიძის შედგენილია, ვკითხულობთ: **„ელენეს და მაროს“** „ელენე ერისთავი და მარიამ ფალავანდიშვილი, დები, ლუარსაბ ორბელიანის ასულები, პოეტის მახლობელი მეგობრები და ნათესავები“. ესაა და ეს.

„ხელნაწერები და გამოცემანი“ მომზადებულია სოლომონ ყუბანიშვილის მიერ. მას, როგორც სერიოზულ ტექსტოლოგს, ნანახი და აღწერილი აქვს ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერი.

„19. ხელნაწერი საქ. მუზეუმის ფონდისა 5190 ლექსთა კრებული გრ. ორბელიანის, აღ. ჭავჭავაძის, მ. ფალავანდოვის და სხვ. შეიცავს 30 გვ., ზომით 20,5 X 13 სმ. ნ. ბარათაშვილის ლექსებიდან აქ 9 ლექსია მოთავსებული: სატრფოვ, მახსოვს, დამქროლა ქარმან, ვჰპოვე ტაძა-

რი, არ უკიჟინო, ქილის ყვავილი და მწირი [სუმბული და მწირი], მიყვარს თვალეზი, სულო ბოროტო, რად ჰყვედრი კაცს, **ელენეს და მარიამს“**.

ამის მიუხედავად ტექსტში დაიბეჭდა **„ელენეს და მაროს“**.

როგორც ჩანს, ამოდ დაშვრა სოლომონ ყუბანიშვილი, სარედაქციო კომისიამ მის მიერ მომზადებული ტექსტოლოგიური გამოკვლევის ეს ნიუანსი არ გაითვალისწინა. უცნაურია, რომ იმავე გამოცემისათვის დართულ „ვარიანტებში“, რომელიც **„გამოკრებილია სოლ. ყუბანიშვილის, გ. იმედაშვილის და თ. ჭყონიას მიერ“**, ეპიგრამის სათაურია **„ელენეს და მაროს“**.

ლუბა მეფარიშვილს ყურადღება მიუქცევია ვარიანტისათვის (და არა სათაურისათვის), როდესაც წერს: „ეპიგრამა „ელენეს და მაროს“ ვარიანტი გაკეთებულია ძ ხელნაწერის მიხედვით, რადგანაც დ. კარიჭაშვილს, რომელმაც ეს ლექსი პირველად დაბეჭდა გაზეთებში („სახ. ფურ.“ და „საქართველოში“ 1961 წ.), უსარგებელია ძ ხელნაწერით, მაგრამ III გამოცემის ვარიანტში ეს ნაბეჭდი წყარო არ არის მითითებული, მაშინ როცა ნებისმიერ ლექსთან, რომელსაც ორი და მეტიც ავტოგრაფი გააჩნია, პირველ ნაბეჭდს უთითებენ“ (ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა აკადემიური გამოცემისათვის, „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, საიუბილეო კრებული, 1968).

1968 წელს მკითხველმა მიიღო ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი, აკადემიური გამოცემა. ტექსტი დაადგინა

პავლე ინგოროყვამ. მასვე ეკუთვნის ნარკვევი — „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, გამოკვლევები — „ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელნაწერებთან“, „თხზულებათა ტექსტის ისტორია“.

წიგნს დაერთო გიორგი ლეონიძის მიერ შედგენილი ლექსებისა და წერილების კომენტარები.

სარედაქციო კოლეგიაში შევიდნენ: გრიგოლ აბაშიძე, პავლე ინგოროყვა, დევი სტურუა, ვახტანგ ჭყელიძე. წიგნი მხატვრულად გააფორმა ლადო გრიგოლიამ.

ეპიგრამის სათაურია **„ელენეს და მაროს (სახუმარო ეპიგრამა-ექსპრომტი)“**.

ლექსს არა აქვს კომენტარი, და საერთოდ, ლექსების კომენტარები არასრულყოფილია. სამაგიეროდ VII წერილის კომენტარში ნათქვამია: **„ელენე“** — ლუარსაბ ორბელიანის ასული (მული⁷ მანანა ორბელიანისა), ზაქარია ერისთავის მეუღლე, ევროპულად განათლებული პიროვნება, დარბაისელი ქართველი ქალი, განთქმული თავაზიანობითა და ზრდილობით. მოხსენიებული ჰყავს ალ. გრიბოედოვს თავის წერილებში. მას უძღვნა ეპიგრამა ნ. ბარათაშვილმა (**„ელენეს და მაროს“**). ამით შემოიფარგლება კომენტარი.

1968 წელს გამოვიდა ივანე ლოლაშვილის წიგნი „ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა“. ავ-



სამსონ გვცხალავა

ტორს გულმოდგინედ შეუსწავლია და შეუჯერებია პოეტის ავტოგრაფები, ნუსხები, ნაბეჭდი გამოცემები, განხილული აქვს ბიბლიოგრაფიული და ტექსტოლოგიური საკითხები, „ბედი ქართლისას“ რედაქციები. წიგნს ერთვის ბარათაშვილის ნაწერების ქრონოლოგიური ნუსხა ნ. ბარათაშვილის თხზულებათა დედნებისა, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს გამოცემას (ლექსები, პოემა „ბედი ქართლისა“, პროზაული თარგმანები, წერილები).

სწორედ ივანე ლოლაშვილის ეს მეცნიერული გამოკვლევა დაედო საფუძვლად 1972 წლის აკადემიურ გამოცემას, რომელიც წინა აკადემიურ გამოცემასთან შედარებით სრულია. საერთო რედაქცია ეკუთვნით აკაკი განერელიას და ივანე ლოლაშვილს. ტექსტს უძღვის აკაკი განერელიას შესავალი წერილი „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ (ვარიაციები პოეტის თემებზე).

ტექსტები ავტოგრაფებთან შედარებული და დადგენილია ივანე ლოლაშვილის მიერ.

ჩვენთვის საინტერესო სახუმარო ეპიგრამის სათაური პირველადაა წარმოდგენილი ხელნაწერის მიხედვით — „ელენეს და მარიამს“.

S—5190 ხელნაწერზე მუშაობისას ივანე ლოლაშვილმა ყურადღება გაამახვილა და თავის წიგნში გამოაქვეყნა ორი სახუმარო ეპიგრამა: „ანას ჩივილი მძახალთან“ და „ანას პასუხი“. ტექსტში ნახსენები ანა — ორბელიანი, ლუარსაბ ორბელიანის მეუღლე — ელენესა და მარიამის დედა გახლდათ. აქედან ნათელია, რომ ხელნაწერი კრებული მარიამ ორბელიან-ფალავანდიშვილის საკუთრება ყოფილა.

აღნიშნული აკადემიური გამოცემის ღირსებები წარმოაჩინა ლუბა მეფარიშვილმა: „...გამოცემა მომზადებულია ტექსტოლოგიის მაღალ მეცნიერულ დონეზე. ტექსტებს უძღვის აკ. განერელიას გამოკვლევა „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. შემდეგ მიდის ნ. ბარათაშვილის ნაწერები. მას მიჰყვება ფილოლოგიური აპარატი. ინტერესს იწვევს ივ. ლოლაშვილის ნარკვევი „ნ. ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა“, სადაც საუბარია პოეტის თხზულებათა ბეჭდვის ისტორიაზე, ლექსებისა და წერილების ავტოგრაფებზე და ნუსხებზე“⁸.

„აჟანკასბან შითხზული“?!

1930 წელს, პირველი აკადემიური გამოცემის მერვე წლისთავზე, გამოდის პატარა ფორმატის წიგნაკი „ნ. ბარათაშვილი, ნაწერების სრული კრებული“. ტიტულს მოჰყვება რედაქციის განცხადება: „ნ. ბარათაშვილის ნაწერების ტექსტი, მოთავსებული წინამდებარე გამოცემაში, შედარებულია და დადგენილი არსებული ხელნაწერი მასალების მიხედვით“⁹.

არც ამ წიგნაკიდან და არც „ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიიდან“ არ ჩანს მისი შემდგენელი, თუმცა, ცნობილია, რომ იგი პავლე ინგოროყვამ გამოსცა.

პავლე ინგოროყვას სახუმარო ეპიგრამა „ელენეს და მარიამს“ ძირითად ტექსტში არ შეუტანია და მართებულადაც. იგი მოთავსებულია წერილების შემდგომ: „სახუმარო გაკამათება (ლექსები) ნიკო (ტატო) ბარათაშვილისა, მიხეილ ორბელიანისა, ელენე ერისთავისა და მარიამ ფალავანდიშვილისა“. სქოლიოში გახსნილია მიხეილ ორბელიანის,

ელენესა და მარიამის ვინაობა. გაკამათების ტექსტი იბეჭდება სრულად, ოღონდ არა იმ თანმიმდევრობით, როგორც S—5190 ხელნაწერშია, ამასთან, შემდგენელს მიხეილ ორბელიანისა და მარიამ ერისთავის ტექსტი უსწორებია კიდევც.

გაპაექრების თანმიმდევრობის დარღვევას, როგორც ჩანს, პავლე ინგოროყვა ფრჩხილებში წარმოდგენილი კომენტარით ხსნის [პირველი სახუმარო ლექსი ნ. ბარათაშვილისა, მ. ორბელიანისა და ვინმე აფანაკასი, რომელიც ელენეს და მარიამის ხნოვანებას ეხებოდა, დაკარგულია].

როგორც აღვნიშნეთ, ხელნაწერში გაპაექრების პირველი ლექსია „ელენეს და მარიამს“. ვბეჭდავთ ამავე თანმიმდევრობით:

ელენეს და მარიამს

მერად მაყვედრით ფედოროვს, თქვენვე მოგხვდებათ სიძედა, არც იმაზედ ხართ უმცროსი, რაღას დაჰსცინით ხანზედა; თუნდა კნეინა სოფიოს, ჰკითხეთ რამდენის წლისაც ხართ; მაგას რომ ქმარი შეურთავს, დაბადებული ყოფილხართ!

თუარებ მეც გატყობთ სიბერეს, წელიწადებსა ნუ იკლებთ; გაატეთრებით თმებიცა, ტყუილად ზეთებს აბრალებთ; პაპუნა შვილი თქვენი ყმა, თქვენი ლალაცა ყოფილა, იმისი თქმითა მარიამ, ოცდა ათისა ყოფილა!

თბ წ. ბარათოვი

მიხეილს

ლექსი თქვენი გვებოძა დიდათ არეულია, აფანაკასგან შეთხზული თქვენი საკადრისია, ჩვენ არ გვშვენის მაგვარი სიბერისა თქმანია. ხანი თქვენც არ გაკლიათ თუნდ გაჯავრდნენ ვარშაველნი ქაღნია.

ტატოს

პალატაში ჯდომითა ხანი მოგმატებია ჴოდორის ყურებით სევდა გაგხშირებია. სათვალეცა თქვენ გშვენისთ ყავარჯენიც ხელშია ჩვენ არ ვწუხვართ ამ ხანსა ვაი თქვენი ბრალია!

ამ ალბომში ოღრო ჩოღროებია * ამ თქვენ სატრფოთ აზრი შემოჰკლებიათ: ამის მთქმელი უნდა იყოს ქალუა და მათუა, საყვარელი მათი იყოს გალუა და თაფუა.

თქვენ ვერ გკადრებთ ამგვარ შეთხზულებასა, რადგანც სჩემობთ ვარშავის ფრანტობასა, დავანებოთ ეს ლექსები ჩვენსა პოეტ ტატოსა, მისი შემნე აფანასე იქმნება.

მარიამ ფალავანდოვისა

* ეს ნიმუში დამოუკიდებელ ლექსად აქვს აღწერილი ცაცა ჭანკიევს, მაგრამ დ. კარიჭაშვილიდან მოყოლებული ყველა მკვლევარი წინა სტროფის გაგრძელებად თვლის.

მომდევნო ლექსს პ. ინგოროყვა მიხეილ ორბელიანის-ულად მიიჩნევს:

ის კი ჩახრიხაული ბახლავსთ

**როს გარდაშლიდე, მეც დამხედავდე
გაიღიმებდე მომიგონებდე
ოცდა ათის წლის ქალს შეიბრალებდე**

ამ ლექსის პირველი ორი სტრიქონი აღებულია გრ. ორბელიანის ლექსიდან „ალბომში“ (ლექსის დაწერის თარიღია 1831—1832 წწ.), რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია კრებულის ამ მონაკვეთის აღწერისას ც. ჭანკიევს. მესამე სტრიქონი „ოცდაათის წლის ქალს შეიბრალებდე“ რატომ უნდა ეკუთვნოდეს მიხეილ ორბელიანს, როგორც პ. ინგოროყვა ფიქრობს, და არა მარიამ ფალავანდიშვილს? მით უფრო, რომ ლექსში მარიამის ასაკიც იხსენიება?

**თუ სიბერე არა გჯერა, ხელი მოისვი თავზედა
კბილები აღარ გივარგა, ყველა შეგატყობს ხმაზედა.**

ეს სტრიქონები, ეჭვგარეშეა, მიხეილ ორბელიანისაღმა მიძღვნილი, მომდევნო ლექსი კი მისი პასუხია:

**ლექსების წერაში არ შეგედართ მაღამ აბრერა,
ასე ბრწყინვენ, როგორც ცაში ცერერა*
მაგრამ რიფები ვერ უსწავლებია იმ წყეულს მაღამას,
მარცვლებს აკლებთ თქუენს შეთხზულს მაჯამას,
თვალი კი დაუდგეს იმ წყეულს ქაჯანას.
ფული კი შეჰყარა განჯინას,
ატლასის პირიც გადააკრა თავის ქუჯანას,
თქუენკი უსწავლელი გამოგრეკათ შკოლიდგან
ლექსის წერაც არ გამოგდით ჭკუილდგან.**

მიხეილ ორბელიანი

პაექრობას ამთავრებს მარიამ ფალავანდიშვილი:

ამისი პასუხი

არა ფერია, არა ფერია, მეტათ ძველია თქვენი ლექსია.

მიიღეთ ნუ გცხვენიათ პასუხი მოგწერთ. (sic)

ასე მთავრდება ეს გაპაექრება.

პავლე ინგოროყვამ თავის გამოკვლევაში „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ — მარიამ ფალავანდიშვილის მიერ ტატოსადმი მიძღვნილ ეპიგრამას „უშნო ეპიგრამა“ უწოდა, რაშიაც ძნელია არ დაეთანხმო, მაგრამ რომ არც „ელენეს და მარიამს“ არის გონებაწარმტაცი? პატრიცემული მეცნიერი ბარათაშვილისადმი უსაზღვრო თავყვანისცემის გამო სახუმარო ეპიგრამის „ღირსებაზე“ დუმს. მარიამის ეპიგრამა კი, უნიჭობის მიუხედავად, პოეტის გარეგნობას ეხება და თუნდაც ამით არის საინტერესო.

* და არა „ვენერა“, როგორც პავლე ინგოროყვა კითხულობს.

მიგუბრუნდეთ ისევ ეპიგრამის სათაურს. როგორც ვნახეთ, ყველა შემდგენელ-გამომცემელი (აკაკი განერელიასა და ივანე ლოლაშვილის გარდა), უპირატესობას ანიჭებს „მაროს“ და არა „მარიამს“. თვით პავლე ინგოროყვამაც კი, რომელმაც 1930 წელს პირველმა გამოაქვეყნა სრულად ეს გაბაახება და იცოდა, რომ ხელნაწერში „მარიამი“ იყო, 1986 წლის აკადემიურ გამოცემაში ეპიგრამა უკვე ძირითად ტექსტში შეიტანა და „მარო“ დატოვა. რატომ? იმიტომ, რომ შემდგენლები ფიქრობდნენ, ბარათაშვილის ავტოგრაფი რომ არსებობდეს, იქ უეჭველად „მარო“ იქნებოდა და არა „მარიამი“, რადგან ლექსი ეპიგრამაა და თვითნებურად ასწორებენ. თუ ბარათაშვილის ენაკვიმატობასაც გავითვალისწინებთ, ის სათაურიდანვე დაიწყებდა მარიამის გაკილვას. თუ მარიამს ტატომ ასაკი შეახსენა, მის მიმართ მარიამიც დაუნდობელია და მიმართავს: „სათვალეცა თქვენ გშვენისთ, ყავარჯენიც ხელშია“-ო. ბუნებრივია, ახალგაზრდა, თავმომწონე ჭაბუკს სათვალე და მით უფრო ყავარჯენი ვერ დაამშვენებდა.

როგორც ვიცით, ნიკოლოზ ბარათაშვილს სიჭაბუკისას ერთ-ერთი სატირა თბილისის სამოქალაქო გუბერნატორ ნიკოლოზ ფალავანდიშვილზეც დაუწერია, რომელიც მარიამის მეუღლე გახლდათ. მისი თანამოაზრენი იყვნენ ლევან მელიქიშვილი და პეტრე ბაგრატიონი (ამ ამბავს აკაკი წერეთელიც იხსენებს თავის თავგადასავალში, როდესაც პეტრე ბაგრატიონთან შეხვედრას იგონებს). ისიც ცნობილია, რომ გამოძიების შედეგები მთავარმართებლის ყურამდე მისულა და მელიტონ ბარათაშვილს ამის გამო ვაჟიშვილი სასტიკად დაუსჯია. ასე რომ, ეპიგრამების წერა ტატოსათვის უცხო არ იყო.

როდის დაინერა „ელენეს და მარიამს“?!

„გამორკვეული არ არის, რა წლებში დაინერა „ელენეს და მაროს“, — წერს ბარათაშვილის ერთ-ერთი ბიოგრაფი მიხეილ ხელთუბნელი.

„თუ რომელ წელს ეკუთვნის აღნიშნული გაკამათება ლექსებით“ — ჯერჯერობით გამოურკვეველია, დაახლოებით მისი განსაზღვრა შეიძლება 1836—1844 წლებით“ — წერს იაკობ ბალახაშვილი.

„ლექსი დაწერილია მაშინ, როდესაც ნ. ბარათაშვილი **სასამართლო პალატაში** მუშაობდა. ამიტომაც არის, რომ პოეტს ხუმრობით უწერენ: „პალატაში ჯდომითა ხანი მოგმატებია“ — წერს ივანე ლოლაშვილი.

ყურადღებია თანამედროვეთა გადმოცემაც: ბარათაშვილს „უყვარდა **ფალავანდოვის ცოლი**, ამ ქალმა კი კონსტანტინე დადიანი ირჩია“ (ბიძინა ჩოლოყაშვილი); „ერთმა **ქალაქის ჩინოვნიკის ცოლმაც**, რომელსაც აადევნა პოეტმა თავისი სიყვარული, პოეტის ჩანგი გასცვალა მეგრულ აფიცრის დეზებზე“ (იონა მეუნარგია).¹¹

ამავე ცნობას იმეორებს მიხეილ ხელთუბნელიც.

ყურადღება მიაქციეთ — **„ფალავანდოვის ცოლი“**, „**ქალაქის ჩინოვნიკის ცოლმაც**“. ასე მოიხსენიებენ მარიამ ორბელიან-ფალავანდიშვილს. იგი გარდაიცვალა 1851 წელს, ნიკოლოზი — 1856 წელს. როგორც ირკვევა, მარიამსა და კონსტანტინეს ფარული რომანი ჰქონიათ (ცოლქმარს შორის ასაკობრივი სხვაობა 27 წელი გახლდათ).

მიხეილ ხელთუბნელი წერს:

„ერთმა ქალაქის ჩინოვნიკის ცოლმაც, რომელსაც აადევნა პოეტმა თავისი სიყვარული, პოეტის ჩანგი გასცვალა მეგრელ აფიცრის დეზებზე“. გულმოდგინედ დაშიფრა რა ბარათაშვილის ცხოვრების ეს ეპიზოდი, იონა მეუნარგიამ მკითხველს დაუმალა ამ ეპიზოდის მონაწილე პირთა ვინაობა. ქვემოთ დავინახავთ, რომ მას ამისათვის ერთგვარი საფუძველი ჰქონდა. ის, რაც არა სთქვა მეუნარგიამ, გვითხრა მისმა უბის წიგნაკმა, რომელიც სოლომონ ცაიშვილმა ჯერ „ლიტ. საქართველოში“ და შემდეგ „ლიტ. მატინანეს“ 1940 წლის პირველ წიგნში გამოაქვეყნა.

„...დადიანი გარდაიცვალა ცოტათი იმაზე ადრე, ვიდრე ი. მეუნარგია ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის თავის ჩანაწერებს დაამუშავებდა. რაც შეეხება მარიამს, მისი ქალიშვილი ელისაბედი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო მაშინაც (გიორგი მიზდოკელის ცნობით, ელისაბედი გარდაიცვალა 1916 წ.), როცა ი. მეუნარგია ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიას წერდა, ალბათ, ამით აიხსნება, რომ ი. მეუნარგიამ შესაძლებლად არ დაინახა პირდაპირ დაესახელებინა დაინტერესებულ პირთა ვინაობა, რათა მათთვის სახელი „არ გაეტეხა“.

...ტრფიალი მარიამისადმი ნ. ბარათაშვილს ჩაესახა, ალბათ, 30-იანი წლების დამლევს ან 40-იანი წლების დამდეგს, — განაგრძობს მიხეილ ხელთუბნელი, — იმავე ხანებში თბილისის საზოგადოებაში გამოჩნდა კონსტანტინე დადიანი. ძნელია თქმა, თუ რამდენად ძლიერი იყო ბარათაშვილის ტრფიალი, მაგრამ ის კი შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ თვითონ მარიამი, რომელიც პოეტზე რამდენიმე წლით უფროსი იყო¹², სერიოზულად არ უყურებდა პოეტის ტრფიალს. მხიარულმა, ლამაზმა ვაჟკაცმა, „ბრწყინვალე ოფიცერმა“ კონსტანტინე დადიანმა მარიამის გულიდან ისევე ადვილად განდევნა ბარათაშვილი, როგორც მისმა უფროსმა ძმამ დავითმა ეკატერინე ჭავჭავაძის გულიდან იგივე ბარათაშვილი. დადიანები ბედისწერასავით გადაეღობნენ გზაზე ჩვენს დიდ პოეტს.

...ნ. ბარათაშვილი განაგრძობდა მარიამთან და ელენესთან მეგობრობას, სწორედ ისევე, როგორც ის მეგობრობდა თავისი წრის სხვა ახალგაზრდა ქალებს — ე. ი. ოხუნჯობდა მათთან, ართობდა, უწერდა მათ ალბომში ლექსებს, ედავებოდა მარიამს და ელენეს მათი წლოვანების თაობაზე (ნ. ბარათაშვილის ეს ეპიგრამები პირველად დაიბეჭდა „სახალხო ფურცელში“ 1916 წ. 728).“

ბარათაშვილის ბიოგრაფის ეს სიტყვები ანგარიშგასანევია. როგორც ჩანს, ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის მარიამი უბრალო გატაცება იყო. თუ ამავე წლებში პოეტი ეკატერინე ჭავჭავაძეს ეტრფოდა, შეუძლებელია ერთდროულად ორ ქალზე, თანაც ბიძაშვილ-მამიდაშვილზე ყოფილიყო გამიჯნურებული.

ზემოთქმულიდან ნათელია, ნიკოლოზ ფალავანდიშვილის მეუღლეს, მისგან უარყოფილი პოეტი ქილიკით მოიხ-

სენიებდა *მაროდ* და არა ისე, სიყვარულით, როგორც მას თანამედროვენი იხსენიებდნენ.

1832 წელს, მარიამის ქორწინების გამო, ხორეშანი სწერდა თავის ვაჟს გრიგოლ ორბელიანს:

„ნიკოლოზიც ახლად სიძე შეიქნა ჩვენი, ლუარსაბის ქალი *მაიკო* შეერთო ნიკოლოზმა. მიკვირს, ერთხელ წიგნი როგორ არ მისწერე“. მანანა ორბელიანი კი იმავე გრიგოლ ორბელიანს სწერდა: „ჩვენი პატარა *მაიკო* მაღამ ფალავანდოვა შეიქნა“-ო. არც ის უნდა დავივინყოთ, 1837 წელს ნიკოლოზ I პატივსაცემად გამართული მეჯლისი იმპერატორთან ერთად მარიამ ფალავანდიშვილმა გახსნა. იმ დროისთვის მის უდიდებულესობასთან ცეკვა, ქართველი არისტოკრატისათვის, ღირსებას ჩინ-მედლებზე რომ სცვლიდა, დიდი პატივი გახლდათ.

ამის შემდეგ, რა გასაკვირია, „სათვლიანი და ყავარჯნიანი“ თაყვანისმცემელი მარიამის გულს ვერ დაიპყრობდა, თუნდაც ეს უკანასკნელი „მერანის“, „სულო ბოროტოსა“ და „ბედი ქართლისას“ შემოქმედი ყოფილიყო.

იაკობ ბალახაშვილი წიგნში „ბარათაშვილის ცხოვრება“, სახუმარო გაკამათების განხილვისას ერთ საინტერესო თვალსაზრისს გვთავაზობს: „*მამაკაცთაგან სახუმარო გაკამათების მესამე მონაწილე, რომლის ეპიგრამასაც ჩვენამდე არ მოუღწევია, აჟანასეა. მარიამ ფალავანდიშვილი მიხეილ ორბელიანისადმი მიმართულ ლექსში წერდა:*

ლექსი თქვენი გვებოძა, დიდად არეულია, აფანკასგან შეთხზული, თქვენი საკადრისია,

ხოლო ბარათაშვილისადმი მიძღვნილ ეპიგრამაში კვითხულობთ: „დავანებოთ ეს ლექსები ჩვენსა პოეტს ტატოსა, მისი შემწე აფანასე იქნება!“

ვინ არის ეს „აჟანკა“-ათანასე? საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცული ერთი საბუთიდან ჩანს, რომ ეს „აფანასე“ გვარად ივჩენკო ყოფილა.

1845 წლის 9 თებერვლის ბრძანებით „საქართველო-იმერეთის საგუბერნიო სამმართველოს სტოლონჩალონიკი“ კოლეუჟსკი რევისტრატორი „Афанаси Ивченко“ დამტკიცებულ იქნა გუბერსკი სეკრეტარად (ამავე ბრძანებულებით შემდეგ ხარისხში დაუმტკიცებიათ ნ. ბარათაშვილიც).

მას შემდეგ, რაც გამოირკვა „აფანასეს“ გვარი, კითხვა ისმის: ელენე ერისთავისა და მარიამ ფალავანდიშვილისადმი ათანასე ივჩენკოს ეპიგრამა რუსულ ენაზე ხომ არ იყო დანერვილი?“

ამ ციტატითაც ცხადდება, რომ ამ გაკამათებაში მონაწილე *ათანასე* — *აჟანკას* ახლო ურთიერთობა აქვს ნ. ბა-



პავლე ინგოროყვა

რათაშვილთან. შალვა ჩხეტიას წიგნში „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ (მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ), რომლითაც იხელმძღვანელა ი. ბალახაშვილმა, ციტირებულია ზემოთ მოხმობილი დოკუმენტი:

ეს გახლავთ მმართველ სენატის 1845 წლის 9 თებერვლის ბრძანებულება საქართველო-იმერეთის საგუბერნიო სამმართველოსადმი იმავე გუბერნიის მოხელეთა, მათ შორის ნიკოლოზ ბარათაშვილის, შემდეგ ხარისხში დამტკიცების შესახებ:

„В губернские секретари столоначальника коллежского регистратора Афанасия Ивченко с 6 октября 1843 г.;

В коллежские секретари губернского секретаря князя Николая Баратова с 6 Ноября 1843 г. (ცსსა. ფონ. 156, საქ. 269, ფურ. 375—404).

1845 წლის 17 იანვარს, საქართველო-იმერეთის გუბერნიის სამმართველოში, საქართველო-იმერეთის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატის მიერ წარმოდგენილ სიაში მეთექვსმეტე ნომრით ირიცხება — Губернский секретарь, князь Николай Мелитонов сын Баратов, Столоначальник, С которого времени — В настоящем чине — с 6 ноября 1840 года; В настоящей должности — с 12 июля 1839 года.

ათანასე ივჩენკო ამ სიაში უკვე აღარ ჩანს.

ექვგვარეუმა, „ელენეს და მარიამს“ 1843-1844 წლებში დაინერა, მაგრამ ვის უნდა დაეწერა?!

ი. ბალახაშვილის ვარაუდი სავესებით გასათვალისწინებელია. მეტიც, თუკი ათანასე იგივე აფანკა ლექსებს(!) წერდა, ხომ შეიძლებოდა საყველბურო ქართულიც სცოდნოდა და ბარათაშვილის გავლენით ანუ შთაგონებით სულაც მას დაეწერა „ელენეს და მარიამს“? ყურადღება მივაქციოთ მარიამის ლექსის სტრიქონს: „დავანებოთ ეს ლექსები ჩვენსა პოეტს ტატოსა, მისი შემწე აძანასე იქნება“. გამოდის, რომ ისინი თანამშრომლობდნენ ეპიგრამების წერის დროს, სწორედ აძანასათვის სულერთი იყო **მარიამს** დაწერდა თუ **მაროს**. რუსულენოვანი პიროვნებისთვის ეს ნიუანსი გაუგებარი იქნებოდა. თუ გავითვალისწინებთ ბარათაშვილის ყრმობისდროინდელ ცვლტობას ლევან მელიქიშვილთან და პეტრე ბაგრატიონთან ერთად, შესაძლებელია იდეა მისი ყოფილიყო, ხოლო იდეის შემსრულებელი-თანამოაზრე — აძანკა — ათანასე — პალატის თანამშრომელი.

შევადართო ეპიგრამა ყრმობისდროინდელ ერთ-ერთ ლექსს, კერძოდ, ავილოთ „ვარდი და ია“, რომელიც დაახლოებით 1833 წელს უნდა იყოს დაწერილი. განა 10 წლის შემდეგ „ვითა პეპელა არხევს ნელ-ნელა“-ს დამწერი ბარათაშვილი ასეთ უსახურ ეპიგრამას დაწერდა? არც სტილით, არც ლექსიკით, არც წერის მანერით არ იგრძნობა, რომ ისინი ერთი ავტორის კალამს კუთვნოდეს, უფრო მეტიც, ის ბარათაშვილის ქართული არ არის.

ყრმობისდროინდელი ლექსი

ვარდი და ია

უტყვსა მინდორსა, მწვანოვანსა ნაზარდი,
ნაზად შეხრილი, გაფურჩქნელი მუნ ვარდი
ხანცა ილიმვის, ხანცა ნაზობს წყნარადი,
სცქერს რხევით წყაროს მოწანწკარეს ტანადი.

„ზეფირო, მქროლე, განმაგრილე მღელვარე!“ —
მსუბუქად ჰქროდა ყვავილთ ამაელვარე.
იაც სოსნადა, ნარნარად მდგომარე
ვარდის ახლოსა უკლებლობსა მარადი.

ვარდი ამაყი იტყვის, წყნარი, მცინარი:
„იავ წვრილძირავ, ნახე, შენთან ვინ არი,
ვით თავისუფლობ, ვითა ლალობ აქ მდგარი?
რად არ იცი, მეტრფის კაცად-კაცადი?“

იამან თმენა, სრულ მოსმენა ინება.
ვარდი ქართია ბორბალითა იძრცვენება;
მაშინ შიშველი, გაფლიდული იხრება...
ეტყვის იასე: „ან ვგრძენ ჩემი ნაზადი“.

[1833 წ.]

სახუმარო ეპიგრამა

ელენეს და მარიამს

მერად მაყვედრით ფედოროვს? თქვენვე მოგხვდებთ სიძედა,
არც იმაზედ ხართ უმცროსი, რალას დასცინით ხანზედა?
თუნდა კნენინა სოფიოს ჰკითხეთ: რამდენის წლისაც ხართ?
მაგას რომ ქმარი შეურთავს, დაბადებული ყოფილხართ!

თვარემ მეც გატყობთ სიბერეს, წელიწადებსა ნუ იკლებთ;
გაგთეთრებიათ თმებიცა, ტყუილად ზეთებს აბრალებთ;
პაპუნაშვილი თქვენი ყმა თქვენი ლალაცა ყოფილა,
იმისი თქმითა მარიამ ოცდაათისა ყოფილა!

დავით კარიჭაშვილმა ეპიგრამის გამოქვეყნებისას (გაზ „საქართველო“, 1960, 20. XI. 260) ასეთი გულუბრყვილო აზრი გამოთქვა: „არა ჩანს კრებული 5190 როდის ან ვისი დაწერილია. ერთის შეხედვით, ნანერის ხელი ზ. ჭიჭინაძისას ჰგავს, მაგრამ მისი ხელი რომ იყვეს და იმას სცოდნოდეს ამ ლექსის არსებობა, ნუთუ აქამდის არ გამოაქვეყნებდა?“ იმავე გაზეთში დაბეჭდილია ზაქარია ჭიჭინაძის წერილიც და იმ დროს პრობლემა არ უნდა ყოფილიყო მისი ნახვა, ანკი საიდან უნდა გადაეწერა კრებული ზ. ჭიჭინაძეს, როდესაც ავტოგრაფი არ არსებობს?

ყველაზე კომპეტენტური იქნებოდა ეპიგრამაზე ცნობილი ლექსმცოდნის სერგი გორგაძის აზრი. მისი გამოკვლევა „ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის ფორმა (ზომები. მუხლი. მახვილი. რითმა)“, რომელშიაც დაწვრილებითაა შესწავლილი ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობა და რომელიც შესულია 1922 წლის აკადემიურ გამოცემაში, გვერდი აქვს ავლილი „ელენეს და მარიამს“. სქოლიოში კი მითითებულია: „ეს წერილი დამზადებული იყო საგანგებოდ ამ გამოცემისთვის, მაგრამ რადგან უკანასკნელი ძალიან დაგვიანდა და შეფერხდა, ამიტომ პირველად დაბეჭდეთ „პრომეთე“-ში (2, 1918 წ.), სადაც ბარათაშვილის ლექსების ხანები და ტაეპები ნაჩვენებია გვერდით 1895 წლის გამოცემის თანახმად (V-გამოცემა). აქ კი ყველგან წინამდებარე გამოცემა ნაგულისხმევი; მხოლოდ ნიკ., ბარათაშვილის ნაწარმოებთაგან ჩვენ ანგარიშში არ მიგვიღია „ელენეს და მაროს“, რომელიც ამ ახალ გამოცემაშია დაბეჭდილი“. როგორც ი. გრიშაშვილი მიუთითებს, და მისი

ცნობა სავსებით სარწმუნოა, ეს დამატებანი ს. გორგაძემ და დ. კარიჭაშვილმა თუ ერთად აღმოაჩინეს, ნუთუ ეპიგრაფის სტილმა არ დააეჭვა ს. გორგაძე, როდესაც მისი გამოქვეყნება გადაწყვიტეს? სამწუხაროდ, ამაზე პასუხი არ არსებობს.

გასათვალისწინებელია აკაკი შანიძის აზრიც: „...ბარათაშვილი რომანტიკოსია მთელი თავისი არსებით, რომანტიკოსია არა მარტო გონებითა და გრძობით, აზროვნებითა და ემოციულობით, არამედ აგრეთვე მათი გარეგანი გამოხატულების საშუალებითაც, ენით: სიტყვების მარაგით, მათი შერჩევით, ერთმანეთთან შეხამების ხერხით და, საზოგადოდ, ლექსიურ-გრამატიკული ტონის მიხედვით.“

„ელენეს და მარიამს“ ბარათაშვილის შემოქმედებას არაფერს ჰმატებს, პირიქით.

თავის დროზე სადავო ლექსი „კ.დ.რ.“ უმტკივნეულოდ მოაშორეს კლასიკოსის შემოქმედებას.

იქნებ ეპიგრამამაც მისი ბედი გაიზიაროს?

ვფიქრობ, ამ აზრს აქვს არსებობის უფლება.

შენიშვნები და კომენტარები:

1. ნ. ალანას მიერ შედგენილ ნიგნში „ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიბლიოგრაფია“, 1968 წ., მითითებულია მხოლოდ ერთი გაზეთი — „ელენეს და მაროს“ („სახალხო ფურცელი“, 1916, №728).

ეპიგრამის ტექსტი დაიბეჭდა:

გაზ. „სახალხო ფურცელი“, სურათებიანი დამატება, გაზეთის №728, დამატების №130, 1916, 20. XI.

გაზ. „საქართველო“, სურათებიანი დამატება, გაზეთის №260, დამატების №46, 1916, 20. XI.

ჟურნ. „ცხოვრება“, 1916, №17-18.

2. რეცენზია „ნიკ. ბარათაშვილი — ლექსები და წერილები, გამოცემა მეხუთე, ქ.მ.წ.კ.გ. საზოგადოების გამოცემა, 1895“, გამოქვეყნდა „ფხა“-ს ფსევდონიმით, რომელიც იყო იაკობ ფანცხავას და არა რომანოზ ფანცხავას („ხომლეღის“) ფსევდონიმი, როგორც ეს შევცდომი აქვს გახსნილი ივ. ლოლაშვილს ნიგნში „ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა“ (1968, გვ. 97). ეს უზუსტობა გაიპარა ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა 1972 წლის გამოცემაშიც.

დ. კარიჭაშვილისა და ექვთ. თაყაიშვილის პასუხის „მონყალეო ხელმწიფე, ბატონო რედაქტორო!“ გამოქვეყნების შემდეგ იაკობ ფანცხავამ გამომცემლებს კვლავ უპასუხა: „პასუხის პასუხი“, იხ. „კვალი“, 1895, №48.

3. ტექსტოლოგი ლევან ჭრელაშვილი არ იზიარებს ჩვენს აზრს, როდესაც 1922 წლის გამოცემას პირველ აკადემიურ გამოცემად მივიჩნევთ. იგი წერს: „ლ. ნანიტაშვილს შესწავლილი აქვს ნ. ბარათაშვილის პირველი აკადემიური (1922 წ.) გამოცემის ისტორია ... ჩვენი აზრით, ლ. ნანიტაშვილი ნ. ბარათაშვილის თხზულებათა 1922 წლის გამოცემას პირველ აკადემიურს არ უნდა უწოდებდეს. მართალია, იგი 1895 წლის გამოცემაზე უფრო უკეთესია, მაგრამ იმ დროისათვის ისიც აკადემიური იყო (ლ. ჭრელაშვილი, ტექსტოლოგიური შრომების მიმოხილვა, (1971-1972 წწ.) კრებ. „ტექსტოლოგიის საკითხები“, IV, 1974, გვ. 170). თუმცა, ოპონენტი ადრინდელ წერილში „თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემა“, ამავე ნიგნს პირველ აკადემიურად მიიჩნევს. კრებ. „ტექსტოლოგიის საკითხები“, I, 1970, გვ. 34-35.

4. მიხეილ გედევანიშვილი (1862—1922), ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე, ილია ჭავჭავაძის მეგობარი, მისი თაოსნობით 1914 წელს გამოიცა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა

საგანგებო გამოცემის პირველი ტომი, მეორის გამოცემა ველარ მოასწრო.

5. ბიბლიოგრაფია — ნიკო ბარათაშვილი, გამოქვეყნდა „მარუთა შუამდინარელის“ ფსევდონიმით.

მოგვიანებით ნიგნზე დაიბეჭდა აგრეთვე „დორსე“-ს (კოლაუ ნადირაძე) მცირე რეცენზია-მიმოხილვა, ჟურნ. „მნათობი“, 1924, №3.

6. იოსებ გრიშაშვილის ცნობით, ნიგნი სულ 100 ეგზემპლარი დაბეჭდილა და ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ბარათაშვილის საიუბილეო საღამოზე (1945 წ. 21 ოქტომბერი) გაყიდულა.

7. ელენე ლუარსაბის ასული ორბელიანი მანანა ორბელიანისათვის იყო მახლისწული და არა მული. ელენეს დედა — ანა ორბელიანი და მანანა ერისთავი იყვნენ ივანე ჯავახიშვილი-ორბელიანის რძლები, ძმათა ცოლები — შილები. ანა ცოლად ჰყავდა ლუარსაბს, მანანა — დავითს. იგივე უზუსტობა გვხვდება ი. ბალახაშვილის ნიგნშიც „ბარათაშვილის ცხოვრება“.

8. ლ. მეფარიშვილი, ტექსტოლოგიური შრომების მიმოხილვა (1971-1972 წწ.) კრებ. „ტექსტოლოგიის საკითხები“, IV, 1974, გვ. 161.

9. იოსებ გრიშაშვილს თავის ეგზემპლარზე სიტყვების — „ყველა არსებული ხელნაწერი“-სთვის მიუწერია: „სრული ორი კრებულია რაღა! მაშ სქამსონ ფირცხალავას რაღა უნდა ეთქვა?“

სამსონ ფირცხალავა იმხანად ემიგრაციაში იყო და ი. გრიშაშვილი ინიციალებით იხსენიებს.

ნიგნს ბოლო ფორზაცზე აქვს ი. გრიშაშვილის მინაწერი: „პ. ინგოროყვა ხელმძღვანელობდა (წინად ცხადდებოდა, გამოდის ამავე ავტორის რედაქციითაო, რატომ არ აწერია?) — და აფსუს ჩემი შრომა ბარათაშვილის აკად. გამოც.-ზე. საიდან აიღო, რატომ არ სწერია? ეს დამატებანი ს. გორგაძემ და დ. კარიჭაშვილმა აღმოაჩინა. ი. გრ. 1930. 13. VI.“

10. ცერერა — სატურნისა და რეას ასული, იუპიტერის დაი, მინდვრებისა და მინათმომქმედების ქალღმერთი.

იხ. ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1985, გვ. 141.

11. ი. მეუნარგია, ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა, ნიგნში „ქართველი მწერლები“, I, 1954, გვ. 204. სოლ. ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვიითა და შენიშვნებით. სქოლიოშია რედაქტორის შენიშვნა: „ეს ოფიცერი იყო კონსტანტინე დადიანი, ძმა დავითისა (1819—1889).“

რატომღაც ზ. აბზიანიძეს მარიამ ფალავანდიშვილი კონსტანტინე დადიანის ცოლი ჰგონია. იგი წერს: „როდესაც ნიკოლოზი თავის წრის კიდევ ერთი ასულით მოიხიბლა — მარიამ ფალავანდიშვილით, ბარათაშვილ-დადიანების ცხოვრების გზა კიდევ ერთხელ გადაიკვეთა. ამჯერად დავითის უმცროსმა ძმამ — კონსტანტინემ იმარჯვა და ცოლად შეირთო ტატოს მონონებული ლამაზმანი“. „ლიტერატურული პორტრეტი“, ნიგნში ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, სიმფონია-ლექსიკონითურთ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, სიმფონია-ლექსიკონი შეადგინეს და წინასიტყვაობა დაურთეს ავთანდილ არაბულმა, თეიმურაზ გვანცელაძემ და ამირან ლომთაძემ, თსუ გამომცემლობა, 1996, გვ. XII.

ამავე ნიგნში პირთა სახელების საძიებელში მარიამი იხსენიება როგორც ფალავანდიშვილის მეუღლე.

მარიამის მეორედ ქორწინების ცნობას ჩვენ ვერ მივაკვლიეთ.

12. მიხეილ ხელთუბნელს ამჯერად ვერ დავეთანხმებით. მარიამ ფალავანდიშვილი დაიბადა 1817 წელს. ნიკოლოზი და მარიამი თანატოლები იყვნენ.

13. აკ. შანიძე, ბარათაშვილის ენა, ნიგნში: ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლექსები, პოემა, წერილები, თხ., 1939, გვ. 160.

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა წარდგინება ხუთტომეულისა „ჩვენი და ვეფხისტყაოსანი“. თავყრილობას უძღვებოდა პროექტის ხელმძღვანელი შავლე შავერდაშვილი. სიტყვით გამოვიდნენ და ეს არაორდინარული მოვლენა შეაფასეს ჩვენი კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა: ავთანდილ არაბულმა, ლევან გიგინეიშვილმა, ანზორ ერქომაიშვილმა, ლევან თაქთაქიშვილმა, გურჯა კვარაცხელიამ, ქეთი მატაბელმა, პარმენ მარგველაშვილმა, მამია მალაზონიამ, ნოდარ ნათაძემ, ლია სტურუამ, ელგუჯა ხინთიბიძემ, როსტომ ჩხეიძემ, ბესიკ ხარანაულმა, ლევან ღვინჯილიამ. გთავაზობთ როსტომ ჩხეიძის მცირე სტატიას, რომელიც აგებულია იმ გამოხვედრის ქარგაზე.

მზიანი ღამის ჩრდილქვეშ

თავის დროზე შავლე ინგოროყვას „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემა 13 ტომად ჰქონდა განზრახული, წინასწარი პროსპექტიც მოემზადებინა და მალევეც შეუდგებოდა ამ უმნიშვნელოვანესი პროექტის ხორცშესხმას, რაკილა შოთა რუსთველის დაბადების 800 წლისთავს ყველაზე მეტად ეს გრანდიოზული ლიტერატურული ნაგებობა დაამშვენებდა.

დაბადების თარიღი შავლე ინგოროყვას მიერ იყო დადგენილი.

მისი აღნიშვნა სახელმწიფოებრივ რანგში გადაწყვეტილიყო, მთელ კულტურულ მსოფლიოში უნდა გახმაურებულიყო დიდი ქართველი ეპიკოსის სახელი და აკადემიური გამოცემის ცამეტტომეულსაც – თანაც ვის ხელდებულს – წინ რაღა უნდა გადადგომოდა.

რა დევნა-მევიწროებაც გამოეცადა შავლე ინგოროყვას აქამდე, ახლა მაინც სასიკეთოდ უნდა შემოტრიალებულიყო მისთვის და ქვეყნისთვისაც.

და პოემის კრიტიკულად აღდგენილ დედანს მოჰყოლოდა ვახტანგისეული – ტრადიციული – ტექსტი უცვლელი სახით, დამატება-გაგრძელებანი, ვარიანტები – დედანთა აღწერილობასა და კლასიფიკაციასთან ერთად, კრიტიკული აპარატი, ლექსიკონი, კომენტარები, კონკორდანსი, საგნობრივი საძიებლები და სხვა ინდექსები, „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირსიტყვიერი ვერსიები, ცნობები რუსთველსა და მის ეპოსზე ძველქართულ მწერლობაში, ალბომი, პოემის ერთ-ერთი მხატვრული ხელნაწერის მთლიანი ფაქსიმილე, გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემების შესახებ.

და კიდევ ამოთავდებოდა ეს ვეება კორპუსი. ყოველივე ინგოროყვასებური ხელოვნებით გახლდათ გააზრებული და აზომილი, დალაგებული და აღმართული, და როგორც ოდესღაც მის მიერ გამოცემული ჟურნალი „კავკასიონი“ შეადარეს ტაძარს თავისი არქიტექტურული დიდებულებით, უსათუოდ ასევე შეფასდებოდა ცამეტტომიანი „ვეფხისტყაოსანიც“.

მაგრამ ვინ აცალა ან ვინ აპატია ასეთი მონდომება... და სულაც საბედისწეროდ გადაუქციეს ეს ჩანაფიქრი – მწერალთა კავშირისა და ცენტრალური კომიტეტის ერთობლივმა იერიშმა პროსპექტიც ნაკუნებად უქცია და სა-

ერთოდაც გამოაცალეს ხელიდან ამ ეროვნული დღესასწაულის ორგანიზატორობა, ის კი არა, სრულიად აღარ გააკარეს, როგორც სახელგატეხილი მეცნიერი.

მაგრამ არ არსებობს იდეა, არ არსებობს განზრახვა, რომელიც უკვლოდ იკარგებოდეს, და თუ თავდაპირველი გრანდიოზულობით ვერ განხორციელდება, გარკვეული სახით ხომ მაინც განმეორდება, იმ დიდებულებას რომ წამოგვაგონებს.

ეს ხუთტომეულიც ამის ნიმუშია, ამ კანონზომიერების გამოვლენა. და კიდევ ერთხელ ამიტომაც გავსებს მხნეობით.

შესაძლოა მანანა კარტოზიასათვის ცნობილი გახლდათ შავლე ინგოროყვას იმ ჩანაფიქრის არსებობა – იმ-

დენი რამ მოეხსენება, საფიქრებელია, რომ არც ეს ყოფილიყო მისთვის დაფარული – მაგრამ თავისითაც რომ განეზრახა ამ პროექტის წამოწყება, იდუმალად მაინც ჩაშლილი პროსპექტი მოახდენდა ზეგავლენას ამ წამოწყებაზე, რომელიც შედარებით მოკრძალებულია, სულ ხუთად ხუთი ტომი, მაგრამ შთამბეჭდავად კი წარმოდგება და უთუოდ შეაგულიანებს ამგვარ საქმეთა აღსასრულებლად იმ ადამიანებს, რომელთაც ძალიც შესწევთ ქადილისა, ამ გუნდისა არ იყოს, ვინც ეს განზრახვა ჩვენი საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ღირსშესანიშნავ მოვლენად აქცია.

ხუთად ხუთი ტომი ეძახე. არადა, მრავალფეროვანიცაა და მომავალი პერსპექტივის დამსახავიც დახვეწილი გემოვნებისა და პროფესიონალიზმის წყალობით:

ტომი I — შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიურად დადგენილი ტექსტი (1988 წლის გამოცემის განმეორება);

ტომი II — „მოგითხრობთ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“ (სხვადასხვა თაობის მწერალთა და მეცნიერთა შეხედულებანი და დაკვირვებანი);

ტომი III — „ვეფხისტყაოსნის“ მოგვითხრობენ ავთანდილ არაბული და მამია მალაზონია“ (მეცნიერისა და მხატვრის საგულისხმო ერთობლივი ნამუშევარი);

ტომი IV — „ვეფხისტყაოსნის“ წარმოგადგენთ ქეთი მატაბელი“ (დასურათებისას გათვალისწინებული აქვს ამ ეპოსის XVI და XVII საუკუნეების ხელნაწერთა და მამუკათავექარაშვილის ილუსტრაციები);

ტომი V — „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემათა ბიბლიოგრაფია: 1712-2008“.

თანაც უჩვეულო სისწრაფით თავმობმული, თორემ სშირად ვართ მონმენი, როგორი ზოზინ-ზოზინით მოჰყ-



ნიკო ფიროსმანი შოთა რუსთველი

ვებიან ტომები ერთმანეთს და სრული კორპუსის გამოცემა ხან ათწლეულებზეც გადაჭიმულა.

აქამდე ჩვენს სამწერლო ყოფაში გამონაკლისად წარმოდგებოდა აკაკი ბაქრაძის რვატომეული, საარაკო სისწრაფით ხორცშესხმული, და ამიერიდან ის უკვე ეულად აღარ გამოიყურება, რადგანაც სისხარტის ეს უჩვეულობა წარმატებითვეა განმეორებული.

არა, არაფერი ქრება ამოდ, თუნდ მის გასანადგურებლად ქვესკნელის ძალნი აღიმართონ.

სადაც ღვთიური მადლი ტრიალებს, ყველა დიდად მნიშვნელოვან წამოწყებას თავისი სანთელ-საკმეველი გააგებინებს გზას.

რწმენას კი მაშინ აქვს სიმტკიცე და ძალა, როდესაც იდუმალი ნაკადები დროდადრო ამოანათებენ და აღარ გიტოვებენ სკეპსისისა თუ სულაც სასონარკვეთილების განცდას.

ფრიდონის: ძალიც შემწვევს ქადილისა – ამ ამონათებათა თავისებური დევიზია.

დევიზი, აბა?!

ბოლოსდაბოლოს „ვეფხისტყაოსნის“ სამყაროს ანა-

რეკლში ვცხოვრობთ, მისი სხივებიც აღწევს ჩვენამდე, მისი ტვიფართაც დაბეჭდილა ჩვენი მეობა და ისტორიული მეხსიერება, ჩვენი სულიერი ენერგია, რომელიც კიდევ ერთხელ ილვიძებს არნახული ძალით, რათა წინ გაგვიძღვეს – რუსთველისაკენ და სწორედაც რუსთველისაკენ, იმ ამაღლებული და ზნეობრივად ფერნაცვალი საქართველოსაკენ, რომლის კანთიელი სახე ამ ეპოსითაც გადაგვშლია თვალწინ და ლამის ვეღარ დაგვიჯერებია, რომ ამ სინამდვილის შვილები ვართ, რუსთველური რეალობის, რომელიც სულიერ ხიდად გვეგულება ჩვენი ისტორიული ფესვებისაკენ, იმ დრო-ჟამისაკენ დიდ კულტურას რომ ქმნიდა და დღესდღეობით მის ნატყებებადღა ვინარჩუნებთ თავს, მზიანი ღამის ჩრდილს შეფარებულნი და დიდი გარდატეხის მომლოდინენი. თუმცა ვცდილობთ არ გამოგვეპაროს იდუმალ ნაკადთა ამონათება – ხან რითი და ხანაც რითი დადასტურებული.

რუსთველის სახელს მაინც სულ სხვაგვარად სჩვევია შემობრწყინება!..

როსტომ ჩხეიძე

იზარდა, მწვანე ჯიჯილო

საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდი იწყებს რუბრიკას, რომელიც თავისი საქმიანობის, ზოგადად საბავშვო ლიტერატურული პროცესის, წიგნის, მოზარდი მკითხველისა და სხვა საინტერესო საკითხების შესახებ წერილებს შემოგთავაზებთ. ამჯერად პირველი წერილი ახალ კონკურსს ეძღვნება.

ნინო სადღობელაშვილი

„ბავშვების რჩეული – 2009“



ერთი ახალი კონკურსის შესახებ

საბავშვო ლიტერატურა, როგორც ტერმინი, პირობითია და, კარგი მიქმელის და გამგონის პრინციპით, ზუსტად იმას ნიშნავს, რასაც ეს ორი სიტყვა მოიცავს. ლიტერატურა, რომელსაც ბავშვი კითხულობს (ეს „ბავშვი“ კი ადამიანში იმდენხანს ცოცხლობს, რამდენსაც თვითონ აცოცხლებს, თუნდაც წიგნებით, ცხოვრების წესით და ასე შემდეგ).

ანუ, საბავშვო ლიტერატურა ძალიან ფართო ცნებაცაა და ძალიან ლოკალურიც. „ტომ სოიერის თავგადასავალს“ მეხუთეკლასელიც კითხულობს და ზრდასრულიც, თუმცა ის, რაზეც ჩვენ უნდა ვისაუბროთ, სწორედ მისი ლოკალური ხასიათია. ამჯერად – ლიტერატურა ბავშვებისთვის, მათ განსაზღვრულ ასაკში.

ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ 5 წლის წინათ დაარსდა საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდი

„ლიბო“. მისი ინიციატორიც და სულისჩამდგმელიც ორი ქალბატონი გახლდათ – პოეტი მარიამ ნიკლაური და მწერალი ირმა მალაციძე. ალბათ, „ლიბო“ ერთ-ერთი განსაკუთრებული ფონდია დედამიწაზე, სხვა ფონდებს შორის, რომელსაც არც საიდანმე ან ვინმესგან დაფინანსება აქვს, არც ჰქონია და, იმედი კი არის, რომ ოდესმე ექნება. თუმცა, ამის მიუხედავად, ფონდმა ბევრ კარგ წამოწყებას დაუდო სათავე, ბევრი მშვენიერი ღონისძიება გამართა და, რითაც ყველაზე მეტად საკუთარი არსებობა ეამაყება, ეს არის „ქართული საბავშვო წიგნის დღის“ დაარსება 27 ოქტომბერს, იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღეს.

„ლიბოს“ ინიციატივით, ამ 5 წლის მანძილზე გამოვიდა „საბავშვო ლიტერატურის აღმანახის“ რამდენიმე ნომერიც, რომლებმაც თავი მოუყარეს თანამედროვე საბავშვო მწერლების შემოქმედებას. კიდევ ერთხელ გააცოცხლეს ქართული საბავშვო ლიტერატურის ძვირფასი სახელები და, რაც მთავარია, ეს აღმანახები სკოლიდან სკოლაში, ბალიდან ბალში, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის სიხარულით გადადიოდა, რადგან, როგორც ჩანს, გემოვნებით და მაღალი ხარისხის მოთხოვნილებით თავმოყრილი ამდენი კარგი ლექსი და მოთხრობა, პიესა და თარგმანი, ზოგადად კითხვის მოყვარულ ბავშვებსაც და უფროსებსაც მონატრებული ჰქონდათ. აღმანახებმა ჩაანაცვლეს ცნობილი და ყველასთვის საყვარელი ჟურნალები, რომლებიც კარგახანია აღარ გამოდის და, ლიტერატურული პერიოდიკის სიმწირემ კი, სულის წყურვილი იცის.

სულ ახლახან ირმა მალაციძე და მარიამ ნიკლაური შვედური ინსტიტუტის და შვედეთის მწერალთა კავშირის

საბავშვო სექციის მიწვევით სტოკჰოლმში გაემგზავრნენ. სწორედ იქ დაიბადა იდეა, დაეარსებინათ ახალი კონკურსი, რომელიც შვედეთში ძალიან პოპულარულია და, მიუხედავად იმისა, რომ გამარჯვებულისთვის არავითარი ფულადი პრემია არაა გათვალისწინებული, მაინც, მასში გამარჯვება მწერლისთვის ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოდ მიიჩნევა. კონკურსს „ნიგნის ჟიური“ ჰქვია და ჟიურის წევრები სწორედ ბავშვები არიან. შვედეთში ამ კონკურსს სტოკჰოლმში არსებული „საბავშვო ნიგნის ინსტიტუტი“ ხელმძღვანელობს.

საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდმა გადამწყობა, საქართველოშიც დანერგოს ეს მშვენიერი კონკურსი. მას ჩვენთანაც ასე ერქმევა „ბავშვების რჩეული – 2009“.

მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სკოლების მოსწავლეები (მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 კლასები).

კონკურსში ქართველი ავტორების ნიგნებს წარადგენენ. ამ ნიგნების სია (2009 წელს გამოცემული თანამედროვე, ცოცხალი საბავშვო მწერლების მხატვრული ნაწარმოებები — პროზა, პოეზია) მიეწოდებათ სკოლის პედაგოგებს, მასწავლებელი ურჩევს მოსწავლეებს, ისარგებლონ მათი სასკოლო, რაიონული ან საქალაქო ბიბლიოთეკის მომსახურებით, გამოიჩინონ საკონკურსო ნიგნები და წაიკითხონ ისინი.

როგორც კონკურსის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ირმა მალაციძემ აღნიშნა, „მის მთავარ მიზანს სწორედ საბიბლიოთეკო ქსელის გააქტიურებაც წარმოადგენს.“ რადგან ამ მხრივ საქართველოს რაიონების სკოლების ბიბლიოთეკებში ძალიან არასახარბიელო მდგომარეობაა.

ირმა მალაციძე (ფონდის ხელმძღვანელი): „როცა უკვე წამოვიწყეთ ეს საქმე, ბევრი პრობლემის წინაშე აღმოვჩნდით. ჯერ ერთი, იმდენად ცოტაა გამოცემულ ნიგნებს შორის ქართველ ავტორთა ნაწარმოებები, ძალიან გაგვიჭირდა საკონკურსო ნიგნების „შეგროვება“, მეორეც — სასკოლო ბიბლიოთეკებსა და ბევრ საქალაქო ბიბლიოთეკაში არცერთი საკონკურსო ნიგნი არ აღმოჩნდა. მაგალითად, ჩვენ სტუმრად ვიყავით ხაშურის საბავშვო ბიბლიოთეკაში. მათი ფონდი ისეთი მწირია (ძირითადად ახალ გამოცემებს ვგულსხმობთ), რომ ბავშვს გაუჭირდება საკონკურსო ნიგნების მოპოვება და წაკითხვა.“

მოსწავლეები კითხულობენ ნიგნებს, ხოლო შემოდგომაზე ავსებენ სპეციალურ ფორმას, რომელშიც ნიგნებს (5 ნიგნს) ანიჭებენ ნომერს იმის მიხედვით, რომელმა დაიმსახურა მათი მოწონება. შედეგები ეგზავნება ფონდს და ხმის დამთვლელი კომისია (5 კაცის შემადგენლობით, რომელთა შორის არ არის არც ერთი მწერალი) აჯამებს შედეგებს. ხმის მიცემის შედეგების გადაგზავნა მოსწავლეებს ელექტრონული ფოსტითაც შეუძლიათ.

მარიამ ნიკლაური (ფონდის წარმომადგენელი): „კონკურსის მიზანი მოზარდებში სწორედ ნიგნის კითხვის ჩვევის ხელშეწყობა, საბიბლიოთეკო სისტემის გააქტიურება და ქართული საბავშვო ნიგნის პოპულარიზაციაა“.

გამარჯვებულ ნიგნს, ყველაზე მეტი ხმით, მიენიჭება „2009 წლის ბავშვთა რჩეული ნიგნის“ წოდება და დაჯილდოვდება ქართული საბავშვო ნიგნის დღეს, 27 ოქ-

ტომბერს. სიმბოლურ ჯილდოს მწერალს ბავშვები გადასცემენ.

კონკურსის წარმატებით ჩატარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკოლების აქტიურობას.

კონკურსი ყოველწლიურად გაიმართება და შეირჩევა თანამედროვე, ცოცხალი ავტორების ერთი წლის მანძილზე გამოცემული საბავშვო ნიგნები.

ამჯერად, საკონკურსოდ 24-მა ნიგნმა მოიყარა თავი:

- 1) ლექსების და მოთხრობების კრებულ „მოდით, მოდით ბავშვებო“ — მანანა და ქეთევან აბრამიშვილები („დიოგენე“)
- 2) თამიამ ფხაკაძე - „ხაჭაპური“ („პალიტრა-“)
- 3) ირაკლი ლომოური — „რითმოცანები“ („პალიტრა-“)
- 4) ვასილ გულეური — „ხუთი ამბავი ლექსად“ („სეზანი“)
- 5) ნატო დავითაშვილი — „სანამ ფრთოსანი ლომები დაბრუნდებიან“ („გია ქარჩხაძის გამომცემლობა“)
- 6) ირმა მალაციძე — „ონავარი ლუკი დროთა ქვეყანაში“ („პეგასი“)
- 7) მარიამ ნიკლაური — „ნატურისთვლო მზისაო“ („პეგასი“)
- 8) მარიამ ნიკლაური — „ნანინები“ („პეგასი“)
- 9) ზაზა აბზიანიძე — „ბუსუსუსულები“ („პეგასი“)
- 10) შოთა ხოდაშენილი — „მეფე ვახტანგ გორგასალი“ („საქართველოს მაცნე“)
- 11) მარი ბერძენიშვილი — „მარი ლუკის ზღაპრები“ („საქართველოს მაცნე“)
- 12) გუგული ტოგონიძე — „თეონა“ („ეროვნული მწერლობა“)
- 13) აზა ბასლანიძე — „ჯადოსნური კიბე“ („ეროვნული მწერლობა“)
- 14) გუგული ტოგონიძე — „ლაშა მიდის სკოლაში“ („შემეცნება“)
- 15) მანანა წერეთელი — „ლექსო, ცისა და ეს სამყარო“ („შემეცნება“)
- 16) ცირა ყურაშვილი — „ქრისტესია“
- 17) სანდრო ასათიანი — „ამურის სამი ისარი“ („სანდროს ნიგნები“).
- 18) სანდრო ასათიანი — „ძველებური ნივთების მუზეუმი“ („სანდროს ნიგნები“)
- 19) სანდრო ასათიანი — „ძველებური ტელესკოპი“ („სანდროს ნიგნები“).
- 20) სანდრო ასათიანი — „დაბზარული გული“ („სანდროს ნიგნები“).
- 21) სანდრო ასათიანი — „ამ ძველი ფოტოაპარატი“ („სანდროს ნიგნები“).
- 22) სანდრო ასათიანი — „უცნაური ნიგნი“ („სანდროს ნიგნები“).
- 23) სანდრო ასათიანი — „მფრინავი გოჭი“ („სანდროს ნიგნები“).
- 24) სანდრო ასათიანი — „სანდრო და მიკრობი“ („სანდროს ნიგნები“).
- 25) სანდრო ასათიანი — „სანდრო და ჩაის ჭიქა“ („სანდროს ნიგნები“).

ასე რომ, ბავშვებს წინ ცხელი ზაფხული და ბევრი ქართული ნიგნი ელის, რომელთაგან რჩეულის შერჩევა მათ გულსა და ფიქრს მიანდეს მწერლებმა. შემოდგომაზე კი პირველ შედეგებს ყველანი ვიხილავთ და, იმედია, ეს კონკურსი, ისევე როგორც საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდის დანარჩენი საქმიანობა, კიდევ უფრო გააცოცხლებს და გაამრავალფეროვნებს ლიტერატურულ პროცესს, მწერლებს — შემოქმედებისთვის მეტ სტიმულს და ხალხის შესძენს, ბავშვებს კი — კითხვის ჯერ ჩვევას და მერე საიდუმლოს აზიარებს.

ეთერ ბერიაშვილი

ანიდან ჰაემდა

ამ პატარა წიგნს სახელიც პატარა, მკვეთრი და სხარტი აქვს – „ჰაე“.

ავტორი – ზვიად კვარაცხელია. გამომცემლობა – „ინტელექტი“.

მცირე წინასიტყვაობა – **ლევან ბრეგაძისა**, ახალგაზრდა ავტორის სხვადასხვა ღირსების ჩამოთვლის შემდეგ რომ დასძენს: „ამ ავტორის წიგნის წაკითხვა ღირს“.

გარეკანზე – **ოთარ ჭილაძის** შეფასება: „დარწმუნებული ვარ, მისი გამოჩენა სამწერლო ასპარეზზე მხოლოდ იმის იმედს განუმტკიცებს ყველა ჩვენგანს, არასოდეს რომ არ დაძაბუნდება ქართული სიტყვა, იგივე ქართული სული, ქართული ცნობიერება“.

უფრო ადრე კი, ერთ-ერთ ინტერვიუში **ჯანრი კაშია** აღნიშნავს: „ზვიად კვარაცხელიას წიგნი „მარჯვენა“, ჩემი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანი განაცხადია და თუ ასე გააგრძელა, ვფიქრობ, ქართული ლიტერატურისათვის დიდი შენაძენი იქნება“.


საბედნიეროდ, აგრძელებს...

იმედი მაქვს, უკვე დაინტერესდით წიგნითაც და ავტორითაც, თუ ჯერ კიდევ არ იცნობთ მას. ქართულ მწერლობას ბოლო დროს მართლაც მრავალი ახალი სახელი ემატება, რომლებიც „ახლა იმკვიდრებენ ადგილს... და საკმაოდ თამამი და საინტერესო განაცხადით შემოვიდნენ ჩვენს ლიტერატურულ სივრცეში. ამ ახალგაზრდებს აქვთ მაძიებელი სული, რის გარეშეც შემოქმედის ნაწარები უსულოქმნილებებად რჩებიან“ (**როსტომ ჩხეიძე**). სწორედ ამ ახალგაზრდა შემოქმედთა შორისაა „ჰაეს“ ავტორიც.

ზვიად კვარაცხელიას ზუგდიდური ჩანაწერები და რეპორტაჟები, მისი მოთხრობები არაერთხელ დაბეჭდილია „ჩვენი მწერლობის“, „მნათობის“, „ქართული მწერლობისა“ თუ „ლიტერატურული პალიტრის“ ფურცლებზე. პირადად ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო და სასიხარულო იყო დოკუმენტური მოთხრობა „ილია სამეგრელოში“ (ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“), რადგან ახალგაზრდა ავტორის ასეთი თემით დაინტერესება უკვე მრავლისმეტყველია. სწორედ ამიტომ უნდა მას **ვასილ კიკნაძემ** თავის გამოხმაურებაში „ნიჭიერი და გულმართალი კაცი“.

და აი, ხელთ გვაქვს ზვიად კვარაცხელიას ნოველებისა და მინიატურების კრებული „ჰაე“.

ამ წიგნის ავტორი ნამდვილად ამართლებს თავის სიტყვებს: „მოყამისფრო უშუალობა უნდა ჰქონდეს მწერალს, ნათელი თვალი, ჭეშმარიტის მაძიებარი დროთი ნახნავ კვალში ჩასახედად... ნითელი კალამი — თითებს შუა გაჩრილი, მარჯვე გამრჯვე ნაჭერი... შიში არ იცოდეს და დარიდება არავისგან, არავისი. იცოდეს სინრფულე სიტყვისა, ჯვრით მოტანილი უბატონო თავისუფლება, იცოდეს – ტკივილი...“



ყველაფერს, რაც სრულდება, აქვს დასაწყისი. ეს დასასრული კი – „ჰაე“, გულისხმობს ყველაზე მთავარ დასაწყისს – შობას.

„ოცი საუკუნის წინათ, იქ, ბეთლემში, დაიბადა იესო, აქ კი, დღეს...“ (**ნიკო ლორთქიფანიძე**)

აქ კი, დღეს, დაიბადა...

„თავისუფალი კათოლიკე, სახელად მეთიუ!“

„თავისუფალი მუსლიმი, სახელად ალი!“

„თავისუფალი ებრაელი, სახელად მოშე!“

„თავისუფალი ბუდისტი, სახელად სვამი!“

„თავისუფალი მართლმადიდებელი, სახელად გიორგი!“

„მათ ერთად იხილეს ცის პორტრეტი, მინის პალიტრა, ერთად წაუსვეს ხელი ცხოვრების მოღებრტზე, ერთად წაიცხეს ადამიანურობის ფერ-უმარილი.“

მათ გზა ელოდათ... მათ გზა განამზადებდა სიყვარულისკენ... მათ გზა განამზადებდა ღვთისაკენ“.

რა საოცარი, უკიდევანო სიყვარული!

თითქოს გინდა, ხელები გაშალო და მთელი სამყარო გულში ჩაიხუტო, რადგან ხედები, რომ საბოლოოდ ყველანი უფლის თბილ უბეში დავანებული, ერთმანეთზე მჭიდროდ გადაჯაჭვული უსუსური ადამიანები ვართ.

„მათ გზა ელოდათ“ – ამ მინიატურით იწყება კრებულის პირველი მოთხრობა „სააქაოს მემუარები“. საოცარია, ვისი მემუარები აღარ ნაგვიკითხავს, სააქაოსი – პირველი შემთხვევა!

„სააქაოს მემუარები“ მოზაიკური მოთხრობაა, პატარა-პატარა ამბებისგან კრიალოსნად აკინძული.

ათასი ჯურის ხალხი ტრიალებს სააქაოში, ვიღაც არ მონდომებია ჩვენთვის გულის გადაშლა...

„დაროგა! დაროგა! გზა მომეცით!“ – ეს ორთვალას ჩაჭიდებული, ბაზარში შავ-მუშად გასული ქართველია, თვითონ სანახევროდ მშვიერი მთელი დღე სხვის სურსათ-სანოვაგეს რომ დაატარებს.

„კოფოზე შემოკოსებული ბერიკაცი“ კი, დღევანდლობით ერთიანად გულამღვრეული, თითქოს მოთქმით პასუხობს ახალგაზრდების, ერთი შეხედვით, მარტივ შეკითხვას: „ყვიდი ყველაფერს: ჩემს ტყეში სხვისი ცულით მოკვეთილ მტირალა ხეებს, ყვიდი იმ ტყესაც... ყვიდი სახლ-კარსაც, გავერანებულს... ჩემს ისტორიას ყვიდი, ერთი სტრიქონიც რომ არ დატოვებს შეუგინებელი... ყვიდი გარემუმოს – გაპარტახებულ საცხოვრისსა და ცის მშობლიურ ნაფლეთებს, უმანკო წყაროს... ზამთრის თოვლიან გათენებას...“

ეს XXI საუკუნის „იყიდება საქართველო“, ტკივილით, დარდით, სიმწრით სავსე, რომლის მიღმაც ფიქრით დაყურსული ავტორის ჩუმი ნაღველი იგრძნობა.

ამავე განცდას ეხმიანება „დარდის ზირაქიც“, რომლის სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მყოფი პერსონაჟი სასონარკვეთილი ხმამალა ფიქრობს: „ძნელია, უყურო ანმოს კია არ აქეთინდე“, რადგან დღეს აქ სამშობლოს „არავინ დათხოვლობს, არავის აინტერესებს, არავის აღუყვებს“; რადგან დღეს „დედამინა გაუტანლობის კუნძულია. ადამიანები მგლებივით იღრინებიან, გველივით იგესლებიან,

ვითხებივით კბენენ ერთმანეთს“; რადგან ყველგან გამეფებულია სიბნელე, სიღარიბე, უღმერთობა, არაფრობა, პატიმრობა, სიძვა, უიმედობა, მარცხი, ვერაგობა... ყველაფერს ვერც ჩამოთვლი.

შეიძლება, ყური მოგვჭრას ასეთმა გულახდილობამ და სიმკაცრემ, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ხომ რეალობაა, აგერ ახლა და ჩვენ თვალწინ რომ ხდება.

„გეტყვი ყველაფერს“ გაფრთხილებაა, უტყუარი სიმართლის წინაშე რომ გვაყენებს და გამოფხიზლებისკენ მოგვინოდებს, რადგან ამ მცირე ჩანანერის ფინალში ნახსენები „გამარჯვების სადღეგრძელო“ სხვისი გამარჯვებისაა და არა ჩვენი. იმ მისტერ ლუსებისა და მათი დამქაშებისა, რომელთაც საქართველო ვერ ისევ ველურ ქვეყნად მიაჩნიათ, ამიტომ საგულდაგულოდ იღწვიან „გლოუბალ პროფექტის“ შესამუშავებლად, რათა მშობლიურ მინას მოსწყვიტონ ქართველი, დაავიწყონ დედაენა და ისტორია, „რივა მთქვარში რცმენის გულისთვის გადაცვენილი“ ქრისტიანები.

ესაა მკაცრი გაფრთხილება, რათა გადაფურჩეთ დამლუპველ, ბრმა მიმბაძველობას, რომელსაც ასე გულისფანცქალით შეჰყურებს ჩვენი ოკეანისგალმელი „მეგობარი“: „ისინი მით უფრო და უფრო ცდილობენ გააკეთონ ჩვენსავით, იყონ როგორც ჩვენები არიან, როგორც ემერიქან ფიფლ არის, ისეთი მრავალფეროვანი, ჰეფი, გახალისებული...“

ბედის ირონია თუ გინდა, სწორედ ეს არის! და თავისთავად იღვენება გულში პოეტის სევდიანი სტრიქონები:

არა!
სხვისი მისაბაძი
რა მჭირს, –
თვარა, – კი!..
სხვა
როცა მე შემომნატრის,
მე
მივბაძო სხვას?!

მართლაც რომ, სიურპრიზებით სავსეა ცხოვრება!.. და ირევთან სააქაოში მხრებზე პაგონებდაკრებული, დუბინკინი ახალგაზრდები; „სეირის მოყურადე ჰალსტუხიანი უსტაბაშები“; ძვირფას კოსტიუმსა და საბანკეტო კაბაში გამონყობილი ქალ-ვაჟები; „სიცოცხლემისჯილი“, მესამე გზის მძებნელი პოეტები; დახეული ჯინსებითა და თასმანანყვეტილი კედებით შემოსილი „დაკარგული თაობა“...

მემუარები „ქვაფენილზე შურდულივით დანარცხებული“ (მიხეილ ქვლივიძე) გალაკტიონის ამბით მთავრდება, რადგან ესაა სიკვდილი, რომელიც სინამდვილეში უსასრულობაში გადასვლის, იმ დიად სანყისთან დაბრუნების, სულ სხვა სიცოცხლის დასაბამია...

სააქაოს ჩანანერები შეხსენება იმისა, სინამდვილეში „რა პატარაა ზორბა დედამინა, რა პატარანი ვართ ჩვენც, სულ ციცქნები, თითისტოლები“, ამიტომ უნდა მივხვდეთ, რომ აღამიანი მხოლოდ სიყვარულისთვის არის გაჩენილი და კიდევ იმისთვის, რათა არასოდეს დაივიწყოს იესო, რომელიც „დგას ორთა შუა და მოყვასს სიტყვის მადლით ავსებს“.

განა თავად უფალი არ ბრძანებს: „სადაც იყვენ ორნი გინა სამნი შეკრებილ სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ მე შორის მათსა“.

* * *

Nuda Veritas – აქა ამბავი შიშველი ჭეშმარიტებისა, ქალის თავგადასავალია ამ უკიდევანო სამყაროში.

ყველაფერი კი დაიწყო ასე – „მან დანდობილად მისაკუთრა მძინარისგან გამოღებული ნეკნის ნაწილი და ზედკანის ფრთხილი ქსოვილი გადააფარა... შეჭამა აკრძალული ნაყოფი, ინამა გველი, დაიდო ცოდვა და ოფლის წურვით შეუდგა ახალ ცხოვრებას ტანჯვითი განსანმენდელისკენ“.

მას შემდეგ ქალი მთელი ცხოვრება იმ პირველცოდვას ინანიებს თითქოს, „იხარშება ცხრამთის ხეტიალსა და მათხოვრობაში“... ამ ხეტიალში კი ვის აღარ გადააჰყრია, რა შეურაცხყოფა არ დაუთმენია, რა ნემსის ყუნწში არ გამძვრალა, რა დაპირება არ მოუსმენია, რა იმედგაცრუება არ უნახავს... „ტანჯვისა და გაძღებისა ეთქმოდა მის ცხოვრებას“ და ისიც უძღებდა, ითმენდა, რადგან... ქალი იყო და სამყარო მის მხრებზე იდგა თითქოს, რადგან ქალი იყო და სიყვარულს ქმნიდა, რადგან „ქალი აშენებს სიყვარულის ციხის ბალავარს, ქალი ადებს სიყვარულის ტაძარზე პირველ, გამოუნვაავი გრძნობის აგურს, ქალი შეელესავს სიყვარულის პანთონის კედლებს და შიგ დამარხავს სულისგან გამონალღულ ტკივილებს, სიმწარისა და დათმობის ფასად დაასამარებს“.

ასეთია ქალი – „ფიქრში გაღამებული მასწავლებელი“ თუ სამათხოვროდ გამოსული ბებია, დედა – „თორმეტი შვილის ნაზარდობით სულისძირამდე ნაგვემი“ და ახლა ასე დამცრობილი, რადგან ახალმა საუკუნემ მისი სინამდევც შებღალა: „დედას ვფიცავარო! – ამ სიტყვების უმალ მთავრდებოდა ჩხუბი და კამათი. ახლა კი, არათუ ფიცად, გინების საისრედ და თავიანთი ჭეშმარიტების საბუთად იყენებენ შვილები დედებს“.

ახალგაზრდა კაცის ფიქრითა და ტკივილით არის სავსე ეს მინიატურა, „ხელისგულისოდენა სარკეში“ არეკლილ ქალის ცხოვრებას რომ გვიხატავს მისი პირველშექმნიდან დღემდე.

ნოველა „მეობიერი“ უცნაური არქიტექტონიკით, ფერთა გამაში მომწყვდეული გრძნობებითა და განცდებით გამოირჩევა. ფორმით ორიგინალურობას აზრისა და ამბის თავისთავადობაც ერწყმის, რაც კიდევ უფრო ზრდის ინტერესს.

აქ ერთმანეთს ენაცვლება მოვარდისფრო და ქუფრი, სპეტაკი და ზაფრანისფერი, ქათქათა და ძრწოლისფერი, ოქროცურვილი და მოლოდინისფერი, კაშკაშა და მოჟამისფრო, ნათელი და ნკვარამი...

აქ ერთმანეთს ეჯახება მოლოდინით, მონატრებით, უეცარი შეხვედრის სიხარულითა და გაოცებით გაჯერებული სიყვარული და „ცბიერნ გაფაცვიცებული მაცილები“, ერთი სული რომ აქვთ, ჩირქი მოსცხონ ყველაფერს, რაც წმინდა და სპეტაკია.

თომა თარიმანი და თათია... საოცარი კეთილმოვანებაა ამ სახელებში. თითქოს თავად სახელები გადახლართვიან ერთმანეთს და „ნაბლისფერები აირევა, თმაში მიცურავენ თითები, ბაგე ბაგეს გადაეხლება, თვლები დაასურათებენ ერთმანეთს...“ ბოლოს კი ამ გრძნობათა დამაგვირგვინებელი სიტყვა – „გაერთსულერთდენ“... ამავხე უკეთ ამ წუთების განცდას, ალბათ, ვერ გამოხატავ!

„ქაქანახირი“ კი არ ისვენებს, ათასი ჭორი, მიეთ-მოე-

თი... და „ცოდვისფერ ყოფიერებაში“ ჩნდება „შიშისფერობის შემცველი სიტყვა – აბორტი“, ახალი ეპოქის „მარტვილობა ესევეთარი“. აბა, როგორ აიტანდა ამ სირცხვილს თათიას მამა, „კოლექტიური ყოფანყობილების ერთი ნიშნეული წარმომადგენელი“ (სხვაგანაც არაერთხელ გვხვდება ზვიად კვარაცხელიას მსუბუქი, დახვეწილი იუმორი), რატომ უნდა გაზარდოს „ვილაცის ნაბიჭვარი შვილიშვილი“. ვის ადარდებს დედის საშოში გატრუნული პატარა, რომელსაც უკვე თავისი სამყარო აქვს: „ჩემს პირველ დაკაკუნებაზე არ გამეპასუხა დედაჩემი, ეტყობა, მომეყურა, მომეჩვენაო“. კაკუნი მეორდება და: „მხედავს მგონი, შეიძლება მიყურებს კიდეც და გული სიხარულით ევსება, ერთი სული აქვს იქნებ, როდის გაირღვევა ჩვენს შუა ანონილი კარები. სწორფერი შევიქნებით დედა-შვილი ერთმანეთისთვის. მე მისით ამქვეყნიურ წყაროს მოვიმწდევე, ის – ჩემში დაკარგულ სატრფოს მონახავს და მის უმცროს მეორედ გამზრდის კალთაში“... მაგრამ არა! ახლა გულჩვილობისა და სენტიმენტალიზმის დრო არ არის! რას იტყვის ხალხი! და უღვთოდ იწირება სიყვარული და მისი ნაყოფი. თავმოყვარე უამის ბრძანებას დამორჩილებული დედა ბარში აცილებს „მწნეო გოგონას (რაც მთავარია, ხურჯინში საგზლის ჩადება არ ავიწყდება. მზრუნველი დედა!). იქ კი, ქალბატონ ნათელას, „ჯანდაცვის კომიტეტიდან ჯალათად ლიცენზირებულ გინეკოლოგს“, რომელსაც თავის „ბნელ პროფესიასთან შედარებით ღრმად ცისკროვანი სახელი“ ჰქვია, ხელიც არ აუკანკალდება, ისე შეასრულებს „ვალად ნაკისრ ვალდებულებას“ და კიდეც ერთ სიცოცხლეს „ჩაწურთავს დავიწყებაში“. ეს ხომ არც პირველია მისთვის და არც უკანასკნელი – „რიგითი პაციენტია, სხვის ნებაზე მიტოვებული ქალი, დაულაგებელი ცხოვრებითა და უიღბლო ჰოროსკოპით“. რაში ანადგულებს ჯერაც თვალთი უხილავი პანისას „თიხისფერი თითუნები“, ან დედის მოლოდინი, კარადიდან „ზიზილო საჩუქრებს“ რომ გადმოიღებს და ჩურჩულით ამბობს: „მოგწონს? ციო დეიდამ მოგიტანა გუშინ... დავითვალე, სულ სამოცი და ოთხი ფერადი კუბიკია. დაწყობ ერთი ერთზე და დიდი სახლი გამოვა, უზარმაზარი, ნათელი ოთახებით, თბილი და უბრალო...“

ოცნება ოცნებად დარჩა. მარტო ციო დეიდას სურვილმა და სიყვარულმა ვერ გადაარჩინა დედა-შვილის უხილავი კავშირი, რადგან ჩვენს „დიიდ სახლს“ ძალიან აკლია სინათლე, სითბო, უბრალოება, თანაგრძნობა...

ეს ამბავი სულისშემძვრელი ისტორიაა, თავად უსუსური, ყველასგან დაბადებამდე განწირული არსების მიერ განცდილი და ნაამბობი, ვისი „ნასესხები სიცოცხლეს, ჯერარმობილი... გზაჯვარედინზე გაჰყავთ“, თავად კი ძველებურად აგრძელებენ ყოფას.

ეს ნოველა შეგვახსენებს, რომ ჩვენი ცხოვრება „სიკვდილისა და სიცოცხლის, ბოროტისა და კეთილის, სიყვარულისა და სიძულვილის, იმედისა და სასონარკვეთის მებოძირზე“ დგომია და რომ უნდა ვეცადოთ, ყოველთვის სწორი არჩევანი გავაკეთოთ, საით წავიდეთ...

„მეზოძირის“ ერთგვარი გაგრძელებაა „გამოცხადება“ – უკვე მითის ნიაღში გაბნეული ამბავი სიყვარულისა.

აქ ყველაფერს „ტიკვილის პალიტრა“ – ცრემლი გვიყვება, „მზესავით ცხელი და მორევით მღვრიე“, თათიას თვლებში აკიაფებული... აქ ანმყო და წარსული, მითი და რეალობა ენენის ერთმანეთს... აქ რატომღაც გულაჩუყე-

ბული ქალბატონი ნათელა უარს ამბობს მოვალეობის შესრულებაზე. გადარჩენილია პატარა დედაც და მისი პანიაც... აქ თათიას გულშემატკივარი გამოუჩნდება, ღვთისმშობლის უბესავით თბილი, მოხუცი თინია...

მშობლებთან ვერმიბრუნებული მის ძველებურ სახლს შეაფარებს თავს. არც აქ ასცდება „ბრბოს ენოვანება“, მაგრამ ამშვიდებს დედობილის სიტყვები, თუ „რა ძვირფასია და სულზე უტკბესი დედად ყოფნა, რა სასწაულია (და საოცრება) შვილი რომ გყავს...“

ბავშვს „სახელად თეოზი დაარქვეს“. თეოზი... ღვთის შვილია თითქოს...

ადამიანი ხომ უფლის ნებით „ეცხადება სამყაროს, დედამინას“, ცხოვრების გზას კი თავად ირჩევს... ასე გადაეჯახვა თეოზის სამზეოც პირშიშველა მოყმისა და დაუღვარარი ჯარჯის ბედს...

თათია და თეოზი – დედაშვილობის იდუმალება და სიხარული, დარდი და მწუხარება, მოლოდინი და შიში...

„კლდის თავზე იწვა სულამომდინარი“ თეოზი. თამაშ-მკითხავის სახლიდან გამოსული „თათია თავდაღმართზე დაეშვა“.

გზაზე კი „ფრთხილად, ფეხაკრებით აშხაპუნდა წვიმა“. თათიას ღანვებზე ჩამოგორებულ ცრემლებს ერევა წვიმის წვეთები. ტირის ცის თავანიც...

თავისი სტრუქტურით საკმაოდ ორიგინალური და საინტერესოა „ლილო-ჭრილოზე ამოწვერილი ენძელა“. დაუმთავრებელი პორტრეტი უწოდებია ავტორს მისთვის და... ღამის სიჩუმეში გულმოდგინედ ხატავს სიტყვებით – „ათასჯერ დაშლილი და ხელახლა აწყობილი აზრის ნაკვეთი ყორედ შემოენწყობა გვერდებსა და კაბადონებს. ხან იაიასავით, ხანაც უჩვეულო, მანყინარი სუსხით დაშპირავს მკითხველის ბაგეს“.

თითქოს მართლაც გრძნობ იმ სიტყვების ფერსა და გემოს, ამ უცნაურ პორტრეტს რომ აგვირისტებს – ოცნება, მონატრება: „თუ ქალი მინის შვილია, რატომ არის ასეთი მაღალი, ოცნებაც რომ ვერ გაგებდავს, დამდგარხარ და ხეებს შესტირი“... სითბო, წვიმა და მარტოობა, „თალხ და ნაცრისფერ ჩადრში გახვეული“... ყოველდღიური, ყოფითი ცხოვრებისგან, „ენითა და ცოდვით მოთხვრილი დედამინიდან“ გაქცევის სურვილი... ჰიმალაიზე-სინმინდემი, თოვლსა და ბარდნაში დავანებული სიყვარული...

ბოლო აკორდი კრებულისა – „ჰაე“ დასასრული „ჩვენი აქაყოფნის წუთისოფლისა“. ხელშესახებად იხატება ყველაფერი: ხსოვნაში ჩაძირული, საფლავის ქვებსა და ეპიტაფიებს ამოფარებული ადამიანები; ქალაქები, რომელთა მაგიერ ახლა მხოლოდდა გზა გვიყვარს, იქით მიმავალი; სიკვდილისა და სიცოცხლის ზღვარზე მყოფი კაცის განცდები: „შიშველი ძვლებითა და სულის დანგრეული შენობით რომ წარდგები საკუთარი თავის წინაშე და აქამდე და ასე მოსულობას გადასინჯავ – რისთვის გიცხოვრია...“; თავად სიკვდილი, ჭიშკართან ჩასაფრებული, მთელი თავისი ულმობელობით, სისასტიკით და... დიდებულებით, რადგან „სიკვდილი ხომ მწუხრია და რალაცის დასასრული, დასალიერი სამუდმივ ფორიაქმედგარი სიცოცხლისა“.

როგორ ჰგავს ეს ყველაფერი ბავშვობისდროინდელ თამაშს „ვისი სული გსურს?“

რადგან არასოდეს არავინ იცის, ვის სულს მოისურვებს არსთა გამრიგე.

ასე გასრულდა ამბავი სიკვდილ-სიცოცხლისა, ასე შეიკრა რკალი შობიდან აღსასრულამდე, ანიდან ჰაემდე, რადგან „ჰაეს მოახლოება, ანუ სიკვდილის პირისპირ დგომა, დაბადების თვალახელიდან იწყება და ხიფათის ტეხილებად გასდევს მთელ ცხოვრებას“, ისე, როგორც „საკაცობრიო ეპიტაფიად“ წოდებული ეს უჩინარი ლექსი:

**ნუთისოფელი რა არი,
აგორებული ქვა არი,
რა წამს კი დავიბადებით,
იქვე საფლავი მზა არი.**

სწორედ ეს მზაობა, შემგუებლობა სიკვდილისა ბადებს იმედს „კიდევ ერთხელ, იმქვეყნად შეხვედრისას...“ ამიტომ ნიგინის ნაკითხვის შემდეგ კიდევ უფრო მძაფრდება სურვილი გავიგოთ, „რა ხდებოდა დასაწყისის წინ, რა მოხდებოდა დასასრულის მერე?“

ვფიქრობ, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ავტორის „სიტყვათმთხველობის ნიჭი“ (ლევან ბრეგაძე). არ შემიძლია, ყურადღების მიღმა დავტოვო საგანგებოდ მონიშნული სტრიქონები: „გულთამატირალი სიკვდილი“, „ცოდვით ნარახტი სიტყვა“, „მიეკიბება სათქმელი სათქმელს“, „ემატებოდა... თლილნაკვთოვანება“, თვალეები – „წარბით შემოლობილი ფართოდ გახელილი ხოჭოები“, „მონატრებამ გაიზაფხულოს გულში“, „გულისშინამოს მოედება სევდა“, „სულში დარდი შეეხინვება“, „გაიერთბაშებს გულის ტაძრულობას“... დანარჩენს თავად ნაკითხავთ.

ნობელის პრემიის ლაურეატი, „მეცამეტე ფრანგი“ (მზია ბაქრაძე) ჟან მარი ვუსტავ ლე კლეზიო ამბობს: „მე ვიყავ ის, რასაც ვწერდი: მამაკაცები და ქალები – მე ვარ; ცხოველები – მე ვარ; საგნებიც მერ ვარ... ამას წინათ თოლიაზე რომ ვწერდი, თვითონაც თოლია ვიყავი“.

საოცარი განცდით დაწერილი ეს ნიგინი ცხადყოფს, რომ ახალგაზრდა მწერალი თავადაა ძაძით მოსილი თინია და თათა ბებო, დაუდევარი თეოზი, მთის სოფლიდან ბარისკენ დაშვებული თათია, დედის ნიაღში გაყურსული ჩვილი, ეპიტაფიებში ჩაძირული სევდა, გიორის წამნამებს მომწყდარი ცრემლი, სიკვდილთან მოპაექრე გალაკტიონი, ჰიმალაიზე ასული გოგო და ბიჭი, თავად ჰიმალაი, საიდანაც ქარს მოაქვს ერთსა და იმავე დროს ნაცნობი და უჩვეულო სიტყვები: „მე ყველა მაღალ ბეჭობზე დაგაყენებ, თმებს გაგიშლი და ტუჩებში გაკოცებ“.

და ყველანი – მე, შენ, ის, ანუ ჩვენ, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ „უსიყვარულო ადამიანი უფოთლო ხეა“ და რომ სიყვარული არის ერთადერთი „ფარი სიკვდილზე საიერიშოდ“.

P. S. ეს პატარა კრებული თვითონაც ლილო-ჭრილოზე ამონვერილი ენძელაა, კიდევ ერთი კარგი ავტორის გამოჩენის მაცნე, რომლის დაუმთავრებელი პორტრეტი დასრულებას ელოდება. ვნახოთ, რას უკარნახებს მომავალში ზვიად კვარაცხელიას „გულის ტიპიკონი“.

ნინო დევანოიძე

სეზონი დასურული – კარი ღია

□

შეხვედრა ირმა შიოლაშვილთან

უჩვეულო არაფერი გახლდათ გარდა იმისა, რომ წლის ამ მონაკვეთში, ტკბილ შევებულებათა ჟამს, როცა მისავათებული დედაქალაქი თითქმის დაცლილია და ასფალტის ოხშივარში თვლემს, მეტად სათუთა, თავი მოუყარო საზოგადოებას საკუთარი ლექსების პრეზენტაციაზე.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ირმა შიოლაშვილმა, აგერ უკვე ათი წელი გერმანიაში რომ ცხოვრობს და მოღვაწეობს, გულისნადილი აისრულა. 4 აგვისტოს, მთავარი ბიბლიოთეკის ლიტერატურულმა სალონმა (ხელმძღვანელი ცისანა ქოჩეჩაშვილი) დახურული სეზონის მიუხედავად, პოეტსა და მის თაყვანისმცემლებს კარი ფართოდ გაუღო და პოეზიის საღამოს უმასპინძლა.

დარბაზი თანდათანობით ივსებოდა თბილისში მოღვაწე პოეტების მშვენიერი დასით. კეკლუცი მიკითხვ-მოკითხვა, ხალისიანი და თამამი გადაძახილები შრიალით ევლებოდა დარბაზს:

- შეილი რამდენი გყავს?... რატომ ერთი?
- სად არის ქმარი... (პასუხი არის თვითირონიული).
- მოგნონს ჩემი საზაფხულო ჩანთა?... ხუთ ლარად ვიყიდ და ორი კვირა ვფიქრობდი, ფული გამემეტებინა თუ არა.

ასაკოვანი ქალბატონი დედაქალაქური თავდაჯერებით, კდემითა და ინტელექტით: — როგორ ველოდი თქვენთან შეხვედრას, ნიგინი გაგიცანით, აღფრთოვანდი, ისეთივე სანდო, ღირსეული და მშვენიერი ხართ, როგორიცაა თქვენი პოეზია — ეს უკვე ირმა შიოლაშვილის მისამართით.

და დაიწყო საღამოც. თითქმის ორი საათის განმავლობაში იყო ლექსის მოუბეზრებელი ზეიმი, შიგადაშიგ კითხვებზე სხარტი პასუხები; პათეტიკა, ემოცია, აუნონავი სიყვარული, მღელვარებისგან ნათელ-ბუნდოვანი გამოსვლები. ეს ყოველივე იქ შემსწრე არაპოეტს ალბათ აფიქრებინებდა: მათსავით ირმა შიოლაშვილი ბედს თბილისში რომ დაემკვიდრებინა, იკმევდა ასეთ საყოველთაო სიყვარულს? და რა თქმა უნდა, ეს კითხვა იქნებოდა რიტორიკული და ჭინჭარივით მსუსხავი...

მაინც, ყველაფერი გახლდათ ძლიერ კარგად. ეს სამახსოვრო ღონისძიება საკუთარი სიტყვითა და მოგონებებით გაამდიდრეს მრავალრიცხოვანმა გამომსვლელებმა — ცისანა ქოჩეჩაშვილი, მარინა თექთუანიძე, ნანა

აკობიძე, მიხეილ ლანიშაშვილი, მარიამ ნიკლაური, ზაზა ბიბილაშვილი, ბელა ჩეკურიშვილი, ქეთი დოლიძე, რამაზ ბერაძე, კატო ჯავახიშვილი, თეა თაბაგარი, თემურ შავლაძე – თითქმის ყოველმა მათგანმა აუცილებლობად მიიჩნია წაკითხვა თითო ლექსი ირმა შიოლაშვილის შარშანდელი პოეტური კრებულიდან „ფოთლების ხიდი“. ამ მშვენიერი გამოცემის მთელი დასტა საჩუქრად დაიტაცა მსმენელმა, რაც ადასტურებს გულდასაწყვეტ რეალობას. წიგნი ბევრს უყვარს, შეძენა ვერ ხელეწიფებათ.

ილაპარაკეს უმეტესად ლიტერატურაზე, კონკრეტულად და ზოგადად ნიჭიერებასა და უნიჭობაზე, ერთგულებასა და თვალთმაქცობაზე, დანდობასა და იმედზე. ხოტბა შეესხა თანამედროვე ტექნოლოგიის მონაპოვარს — ინტერნეტ სივრცეს — ე.წ. გუშაგს, გაუჩინარების საფრთხისაგან რომ იფარავს მაძიებლებსა თუ სიტყვის ოსტა-



ირმა შიოლაშვილი

ოჯახისა; ოღონდაც მთელი პასუხისმგებლობით ასწავლის მათ ქართულ ენაზე წერა-კითხვას და ლაპარაკს.

ტებს, თანაც მათ ვირტუალურ სამეგობროს აზვირთებს.

დასასრულ ირმა შიოლაშვილმა მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებსა და მონაწილეებს, შეკითხვებს უპასუხა ნრფელად და არაგულუბრყვილოდ. დატოვა სიტყვა, ქართველურად თავმოსაწონებელი, რომ თანამედროვე გერმანელმა პოეტებმა ბევრი რამ უნდა ისწავლონ ჩვენებისაგან, რადგან მათ სტრიქონებს აკლია სიღრმე და ღვთიურობა — პოეზიის შეფასება კი მხოლოდ აქედანაა დასაწყებით.

საკუთარზე თქვა: პირველ რიგში რომ არის პოეტი, მერე დანარჩენი. ბედნიერია, რომ უცხოეთში ქართულ საქმეს აკეთებს ბონის რეგიონალური რადიოს ეთერში უძღვება გადაცემას ქართულ კულტურაზე. ჰყავს გერმანელი ქმარი და შესაბამისად დედაა გერმანული ოჯახისა; ოღონდაც მთელი პასუხისმგებლობით ასწავლის მათ ქართულ ენაზე წერა-კითხვას და ლაპარაკს.

მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში, ტრაგიკულად დაღუპული შემოქმედის, ზურაბ ჯაფარიძის პოეტური კრებული — „სულის ანარეკლი“ წარედგინა საზოგადოებას. ეს წიგნი დიდხანს ელოდა მზის სინათლეს, საბოლოოდ კი, თბილისის მეორის კულტურის სამსახურის ხელმძღვანელის — შოთა მაღლაკელიძისა და მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, მაყვალა გონაშვილის მხარდაჭერით, გამოიცა კიდეც.

სალამოზე, რომელსაც ქ-ნი მაყვალა გონაშვილი წარმართავდა, უამრავმა გულშემატკივარმა და დაინტერესებულმა მკითხველმა მოიყარა თავი. ახალგაზრდა პოეტის მომგონებელი იმ დღეს მრავლად იყო. დარბაზს მადლიერებით მიმართა წიგნის შემდგენელ-რედაქტორმა, ზურაბ ჯაფარიძის მეუღლემ, პოეტმა ქეთევან დოლიძემ; მოგონებებით ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მწერალი რევაზ მიშველაძე, უბადლო მთარგმნელი და მკვლევარი, ზურაბ ჯაფარიძის ნათლია, ბ-ნი ბაჩანა ბრეგვაძე, ზურაბის უფროსი მეგობარი და აღმზრდელი, ექიმი ზურაბ ჩიქოვანი, პოეტი ერეკლე საღლიანი, ჟურნალისტი და მეცნიერი ივანე ჯაფარიძე, პოეტური ორდენის „მარად ახალი ქნარი“ წევრები: მიხეილ ლანიშაშვილი, ტრისტან მახაური, სევარიონ ნადირაძე, თამარ ლომიძე, ზვთისო მამისიძე-შვილი; ზურაბ ჯაფარიძის ტრაგიკული სიკვდილით შთაგონებული უმშვენიერესი ლექსი წინაკითხვა პოეტმა ნინო სადღობელაშვილმა. ხსოვნის საღამოდ ქცეული წიგნის წარდგინება ამაღელვებელი და დაუვიწყარი იყო.

„იქნებ სიზმარია ან ლებენდა?!“

ვოი, რა უფერულია სიკვდილი ლოგინში,
ვოი, რა საშინელია სიკვდილი ლოგინში...
ისიც ლოგინში მომკვდარა,
ოლონდ, — ყინულის ლოგინში...

მურმან ლებანიძის საქვეყნოდ ცნობილი ამ სიტყვების ადრესატითი ზურაბ ჯაფარიძეც 30 წლისა იყო და მთიდან ბრუნდებოდა... მასაეთი მგზნებარე და სისხლსავსე... მასაც ჰყავდა პატარა ქალიშვილი და ახალსიცოცხლეჩაყურსული, ქმრის მომლოდინე მეუღლე... ის გზა მანამდეც არაერთხელ დაულახავს — დღითა თუ ღამით, მგლებს არიების თანხლებით.

შატილონნი, მისი მასპინძლები, ავ წინათგრძნობას და უჯჯათ სტუმარს თანაბრად ებრძვიან, — ერთი დღით მოცდას სთხოვენ „ამინდისანნი“. მას კი ერთი წუთით დაყო-

ნებაც არ სურს, აღსასრულებელი ხომ უნდა აღსრულდეს, — ჯაფარიძის „ბედის წიგნში ალბათ, ასე ეწერა...“

მთავარია, ფილტვები ხევსურეთის ჰაერით აქვს სავსე, თვალები — გვიანშემოდგომური მიღმახვეის პეიზაჟით, გონება — ცოლ-შვილით, გული კი — საქართველოთი. განა ამ დროს შეიძლება უკან დახევა?!

არც უფიქრია... მთის მეგობრების: ოტო დაიაურის, მურღვა არდოტელის (ნიკო ზვიადაურის), მიხეილ ჭინჭარაულის (დოხტურის) ლექსები უკვე ჩამოუზიდავს ბარად თავისი ხურჯინით და წიგნებადაც უქცევია; მისმა და მეუღლის მცირე კრებულებამაც იხილეს მზის სინათლე... ვალმოხდილი მოაბიჯებს დათვიჯვრის ქარიშხლიან უღელტეხილზე... „უღელტეხილზემც გაგიმარჯვდებაო“, — ნამოგვაგონდება პატარა ხევსური გოგოს მგზავრული დალოცვა... აკი გაუმარჯვდა, გადმოლახა კიდეც, მაგრამ სო-

ფელ ხახმატამდე, მორიგ მასპინძელ-მეგობრებამდე კილომეტრ-ნახევრის მოშორებით, არაგვის ხეობაში, მდინარის ნალოკ ლოდს შეეზარდა და გაზაფხულამდე დაუმეგობრდა:

ვიცი, მეც მელის არაგვის ბედი და თაობები ლექსს გახედნიან... რა არის ერთი პოეტის სისხლი, საუკუნენი როცა კვდებიან?!


ძალზე ძვირფასი გამოდგა „ერთი პოეტის“ ბედიცა და სისხლიც ნაცნობ-მეგობართა და თვით უცნობ ჭირისუფალთათვის, მაგრამ მრავალთვიანი ძებნა-ძიება ამაო აღმოჩნდა, სანამ სპექტაკი საბურველი თავად ბუნებამ შემოაცალა და თავიდან მოავლინა ქვეყნად:

ო, ეს იქნება გაზაფხულის ჟამს, მზე გააღვიძებს მძინარე იებს და სიო ნაზი და ნაზამთრალი იმღერებს თოვლის ბოლო არიებს.

ნაქადაგარივით გაისმის ზურაბ ჯაფარიძის პოეტური გუმანით აღბეჭდილი ეს სიტყვები, მის ნაზამთრალ სულს ხომ „თოვლის ბოლო არიებმა“ შეხსნეს სხეულის ხუნდები:

იტყვი: რა იყო, ო, ეს ზამთარი, იმ როიალის ნაზი ბორკილი, რომ ჩემი სული შენთან დავტოვე და ახლა ლექსებს ვარ მიწოდობილი.

ასე უყოყმანოდ „ლექსებს დანდობილი“ ყმანვილი დღეს 44 წლისა იქნებოდა. ვინ იცის, იქნებ ამირანის სიჯიუტით თვითონვე გამოიწვია სიკვდილი, რომ ამ უთანასწორო ბრძო-



ლით ადამიანური არსებობა და კაცად ყოფნა გამართლებინა?! შემდეგ კი, ასევე ამირანივით, უცვლელი თუ „ნაზი“ მარადიული ბორკილი მიეღო. ისიც ზუსტად იცოდა, ლექსებს მინდობილი, უფალთან განდობილივით, არასოდეს გაინიერებოდა დასავინწყებლად... ზურაბ ჯაფარიძემ ისიც უწყოდა, მისი ცხოვრების თანამგზავრი უთუოდ ქეთევან დოლიძე რომ უნდა ყოფილიყო და სხვა — არავინ... ერთხელ მოტაცებას ამიტომაც არ დასჯერდა, ამით საკუთარი არსებობის გაგრძელებისთვისაც იზრუნა: მეუღლის 14-წლიანი შეუწყვეტელი გარჯისა და რუდუნების, რაც მთავარია, კეთილი ადამიანების წყალობით, ზურაბ ჯაფარიძის ამქვეყნიური ცხოვრება თავიდან დაიწყო.

და, აი, მისი ხსოვნის წიგნი „სულის ანარქლი“ წარედგინა საზოგადოებას. მეგობრებს, ნათესავებს, ოჯახის წევრებს, მცნობთ თუ, უბრალოდ, ზურას სახელის გამგონეთ, მონივნით ეპყრათ 30-წლიანი მღელვარე ცხოვრების დამტევი და უკვე ახალ სიცოცხლედ ქცეული წიგნი — გამოუქვეყნებელი თუ ბავშვობისდროინდელი ლექსებით, ჯარისკაცის მოგონებებითა თუ სადღეგრძელოებში ნაწერი ამბებით, დაუმთავრებელი სტრიქონებით, მიძღვნებითა და წერილებით.

იმ დღეს ყველას ნაცნობი და ახლობელი სხივი დასთამაშებდა, რომელიც ამთლიანებდა კიდევ შეკრებილთ — მარად ახალგაზრდა ჭაბუკის სული თანაბრად აერეკლა დარბაზის სარკეებსა და მონატრებით განთავსებულ ახლობელთა სახეებს.

სოფიო ჯაფარიძე

რედაქციის მინაწერი:

ესეც კიდევ ერთი წიგნი-მემორიალი. გზის დასაწყისშივე განყვეტილი სიცოცხლე... თანაც, ასე უცნაურად – თოვლში გაყინვა, როდესაც სამშვიდობომდე ორიოდ ნაბიჯიღა დარჩენილიყო.

თითქოს კინოფილმის კადრია. ეგაა, ზურაბ ჯაფარიძე ველარ გააგრძელებდა საკუთარი თავის გამოსატყვის წიგნიდან წიგნში... და რაც ამ გარეკანშია მოქცეული, მოიცავს მთელ მის შემოქმედებას, იმ პირველ ყმანვილურ ალტკინებას, რაც სინაფელითა და უშურველობით გაენდო პოეზიასათვის და იმ ოცნებებით შეემოსა, რომლის ერთიბუნო ნაწილი თუ გახდა მისთვის ხელმისაწვდომი.

სხვა თუ არაფერი, მისთვის საყვარელ გარემოში ტრიალებდა — წიგნის სამყაროში, მეტიც, ხელნაწერიდან წიგნად ქცევის იმ მღელვარე მოვლენის მონაწილედ ეგულებოდა თავი, ვერასდროს რომ ვერ აღიქვამდა ტექნიკურ პროცესად. და ეს ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც კერძო გამომცემლობები ის-ისაა ფეხს იდგამდა ჩვენში და ზურაბ ჯაფარიძეს ეამაყებოდა, რომ ქართული სამწერლო ცხოვრების ამ ახალ ხანაში მასაც ედო თავისი წვლილი, რაც სულ უფრო და უფრო უნდა გაზრდილიყო და ჩვენი

კულტურის ერთ-ერთი საგულისხმო კერის ჩამოყალიბებას დასდებოდა საფუძვლად.

მისი მონაწილეობა სამწერლო ყოფის შუაგულში ძალაუნებურად იწვევს მისი სილუეტის აღდგენას არამარტო სტუდენტობის წლებს, არამედ ლიტერატურული პროცესის ფონზე. და როდესაც მემორიალური წიგნი აღადგენს არა მხოლოდ პიროვნების ბიოგრაფიას, არამედ კულტურული სინამდვილის ზოგად ფონსაც, ეს ნიშნავს, რომ მემორიალი არ დარჩება ნათესავებისა თუ ნაცნობ-მეგობართა ამა-რა და ლიტერატურის ისტორიკოსიც დაისაჭიროებს ზოგიერთი გარემოებისა თუ დეტალის დასაზუსტებლად. ეს კი თავისთავად მიანიშნებს გამოცემის სიცოცხლისუნარიანობას.

ამიტომაც ვაფასებთ ამ წიგნის დაბადებას. ის გავაახსენებს არა მარტო პირადედ ჩვენს მეგობარს, არამედ XX საუკუნის მიწურულის ერთ კოლორიტულ სახეს, დადასტურებდა იმისა, რომ არსებობდნენ და ყოველთვის იარსებებენ წიგნზე უზომოდ და უანგაროდ შეყვარებული ადამიანები, რომელნიც შესაძლოა მძაფრი, გულისშემძვრელი კინოკადრის პერსონაჟებადაც იქცნენ... რას იზამ, ესეც მათი ხვედრი ყოფილა!..

ივანე ამირხანაშვილი

სამი მოტივი ორ ნიგნად

ერთდროულად გამოიცა ტრისტან მახაურის ორი ნიგნი — ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები და ლიტერატურული ნარკვევები. გამომცემლობებისგან განეზღვრებული ავტორი ის არასოდეს ყოფილა და, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, ალბათ არც მომავალში იქნება, მაგრამ ეს ორი ნიგნი თითქოსდა მისთვის, მისი გულისთვის, მისი ცხოვრების საჭიროებისთვის, საჭირო დროსა და საჭირო ვითარებაში გამოვიდა, როცა უკვე იმ ასაკშია, მარტობაზე ფიქრი ადვილი „გასართველი“ რომ აღარ არის.

თუ რაიმე საგანი შეიძლება ადამიანის მეორე „მეს“ გასაგნებას წარმოადგენდეს, უპირველეს ყოვლისა, ეს არის და ამ მხრივ მას ვერაფერი შეედრება.

ორ ნიგნში ტრისტან მახაური სამი სახესხვაობით არის წარმოდგენილი: მეცნიერი, ლიტერატორი, პიროვნება. სამივე „განზომილებაში“ ისეთია, როგორსაც დიდი ხანია ვიცნობთ — ალლოიანი, უშუალო, კოლორიტული.

ასეთი იყო მაშინაც, იმ შორეულ დროში, როცა უნივერსიტეტში მოვიდა, შეიძლება ითქვას, ჩამოვიდა და თან მოყოლა ფშავის მთების სიო.

მოვიდა ღიმილითა და ლექსით, მოვიდა უჩვეულო ნაბიჯებით, მხრების გარდი-გარდმო რწევით, რაც ძალიან მოგვაგონებდა მინაზე არწივის გავლას.

მოვიდა და უმალ იქცა უნივერსიტეტის ბოჰემურ ემბლემად, რომელშიც თანაბრად იყო შერწყმული ლექსი, ინტელექტი და ძმობის კულტი.

როგორც ყველა ნამდვილი სტუდენტი, ისიც ტრაგიკული რომანტიზმის მქადაგებელი იყო, ოღონდ მას ეს სხვებზე უკეთ გამოსდიოდა ალბათ იმიტომ, რომ ლექსის სტიქია ახლოდან ჰქონდა ნაგრძნობი. ტიცვიან ტაბიძეს აღმერთებდა. ხშირად წარმოთქვამდა მის სტრიქონებს. შეიძლება ამიტომაც შეარქვა ერთმა ჩვენმა მეგობარმა „ტიტე“, როგორც რეალობასთან დაბრუნების მინიშნება, როგორც ანტიტიციანი.

სიმაღლეებისაკენ მიმსწრაფი ჭაბუკი იყო და ეს სულაც არ ქმნიდა კონტრასტს მის ტანმორჩილობასთან, რადგან მასში ყველაფერს სულიერი სიმაღლე სჭარბობდა.


მას დღემდე არ დაუკარგავს ეს თვისებები, მიუხედავად იმისა, რომ ორგენმავე ცხოვრებამ ბევრი შხნაკვი და ლული აგემა. ნახევარ საუკუნეს გადააბიჯა, მაგრამ ისევ ის ბიჭია, უდრეკი, შემმართებელი, სიცოცხლისმოყვარე, ხალხური მთქმელივით ლაღი, წარმართული კერპივით უბრალო და ფშაური კაფიასავით თავისუფალი.

სიმბოლურია ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ნარკვევების გარეკანის პირველ გვერდზე გამოტანილი ანანურის ხედი — ჩვენ თვალწინ ჩაძირული წარსული და ბოლო გვერდის ფოტო: გიორგი (იურა) ჯაფარიძე და ტრისტან მახაური ხევისურებთან — ხსოვნა და ტრადიციის გაფრთხილება!

ეს ნიგნი მეორე ტომია იმ შრომების, სტატიებისა და საუბრებისა, რომლებიც ბოლო წლებში გამოქვეყნდა სამეცნიერო თუ ლიტერატურულ პრესაში. თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესოა. აღსანიშნავია ისეთი საკითხები, როგორებიც არის ღმერთთან მეტროლი გმირებისა და ნადირთპატრონის სახეები კავკასიის ხალხთა მითოსში, საკულტო ტექსტები და მათი შესრულების ტრადიცია, ახალი წლის მილოცვის წესი საქართველოში, ვაჟა-ფშაველას პოემა „დაჭრილი ვეფხვი“ და სამონადირეო მითოსი, ილია ჭავჭავაძე და საკულტო პოეზია.

არანაკლებ საინტერესოა ლიტერატურული ნარკვევები, რომელშიც შესულია წერილები, რეცენზიები და ჩანაწერები ვაჟა-ფშაველას, ლევან რაზიკაშვილის, აკაკი წერეთლის, მიხა ხელაშვილის, ვალერი ბრიუსოვის, ოთარ ჩხეიძის, ალექსი გომიაშვილის, არჩილ კიტოშვილის, მირზა გელოვანის, გიორგი თურმანაშვილის, ვაჟა

ხორნაულის, ილია ბარამიძის, სულეიმან გუმბაშვილის, ირაკლი გოგოლაურის, თამაზ ბაძაღუას, ვია ჭანტურიას, ბუკინისტ კიმოთე მახაურის და სხვათა შესახებ. ჩვენ წინაშეა გამოცდილი ფოლკლორისტიკა და სიღრმისეულად მოაზროვნე მკვლევარის, გემოვნებიანი ლიტერატორისა და ცოდნით აღჭურვილი ფილოლოგის, ტაქტიანი პოლემისტისა და გულისხმიერი ლექტორის ოპუსები, რომელთა სანდობაში ძნელია ეჭვის შეტანა, მითუმეტეს, რედაქტორებად და რეცენზენტებად ვხედავთ ცნობილ სპეციალისტებს, პროფესორებს როლანდ თოფჩიშვილს, დავით წონკოლაურს, ხეთისო ზარბიძეს, რევაზ აბაშიას, ზვთისო მამისიმედიშვილს და მიხეილ ლანიშაშვილს. სატიტულო ფურცლებზე ამ სახელების გამოჩენა მხოლოდ საგამომცემლო ფორმლობად ვერ ჩაითვლება, ეს ურთიერთდაფასების ეთიკური ნიშანიც არის და ფასეულობითი კონტექსტის აღიარებაც, რასაც ტრისტან მახაური უდავოდ იმსახურებს, როგორც სწავლული, როგორც სიტყვისმოყვარე, როგორც პიროვნება.





ვლადიმერ ვისოცკი

ჩემი ჰამლეტი

მხოლოდ წერილმანი თუ შევძელი ლექსებით მეთქვა, ვერ მოვახერხე მძლავრისა და მძაფრის ასახვა. მე ქორწინების სინანულმა და გულისხეთქვამ ცოდვით და ოფლით დამძიმებულ ღამეს ჩამსახა.

კარგად ვიცოდი, რომ რაც უფრო მოვწყდებით მიწას, ვხდებით მით უფრო სასტიკები, უფრო გულქვები. ვეტოლებოდი სამეფო ტახტს — უმაღლეს მიზანს და ვსარგებლობდი უფლისწულის ყველა უფლებით.

კარგად ვიცოდი, იქნებოდა, როგორც მე მსურდა, გულნაკლულობა არასოდეს დამალონებდა. მე მსახურებდნენ მეგობრები ისე, ვით სულტანს, სიტყვით თუ საქმით, მსახურებენ მისი მონები.

ასჯერ არასდროს გამიზომავს, ვიდრე გავეჭრიდი, არ ვგავდი იმათ, ვინც სიტყვის თქმას ეჭვობს და შიშობს. ვიცოდი, თავსაც შემომწირავს, თუკი დამჭირდა, სამეფოს ყველა თავმომწონე თავადი პირმშო.

ღამის გუშაგებს ჩვენი ხილვა აფრთხოვდათ უმალ, ეპოქას, როგორც სნეულება, ისე მოვედეთ. ტყავზე მეძინა, ნანადირევს ვღეჭავდი უმად და ველურ ულავს დაუნდობლად ვუჭერდი ღვედებს.

კარგად ვიცოდი, ჩემი რიდი ყველას მართებდა, დაბადებიდან შუბლს მინვავედა რჩეულის დამლა. და ფლოქვებს ვცემდი შებორკილი ოქროს ხლართებით, არ დაგიდევდით წიგნებით და სიტყვებით დალლას.

ღიმილის ნაცვლად ბაგეს გვერდზე ოდნავ ვაგწევდი და აღმაცერად ტყორცნილ მზეურის შხამს და სამსალას ზრდილი, ხუმრობით სულ იოლად ვგაქარწყლებდი; ხუმარა მოკვდა... ეჰ, იორიკ, ჩემო სანყალო.

მაგრამ ერთ დღესაც უარყვავი განცხრომის გემო, გემო ჯილდოსი, გამარჯვების და განდიდების. ერთ დღესაც გული ჩამწყდა პაჟის სიკვდილის გამო, ერთ დღესაც ხეზე შევამჩნიე მწვანე კვირტები.

ერთ დღეს გულიდან გადამვარდა მტაცებლის გემო ცხენი, ნადავლზე მიშვებული, უკან დავხიე. შემჯავრდა ყველა სისხლის მსმელი, მჭამელი ლემის, მეძებრების და შევარდნების ავი ჯახირი.

კარგად ვხედავდი, რომ ჩვენს თამაშს ჩირქი მოეცხო თანდათან გახდა უფრო ბილნი, უფრო უშვერი და დღის ცოდვები რომ როგორმე ჩამომერეცხა ტანს ღამღამობით გამდინარე ნაკადს ვუშვერდი.

მემატებოდა ხანთან ერთად მხოლოდ სიბრიყვე, მომქანცა კარის ინტრიგების მიეთ-მოეთმა. გარყვნილი იყო ჩემი დრო და გარყვნილი იყვნენ მისი შვილებიც — ვცადე სული წიგნით მომეთქვა.

ჩემი გონება, ვით ობობა, ჩაებლაუჭა ცოდნას და წიგნის ტყუილ-მართალს ხაპავდა პეშვით. მაგრამ დაგრჩება ნაფიქრიც და ნაკითხიც ფუჭად, როცა თავადვე გაებმები ცხოვრების ქსელში.

დაიძინდა და განყდა ისე, ვით არიადნეს გორგალი, სიყრმის მეგობრებთან ჩემი ერთობაც ყოფნა-არყოფნის თავსატეხი ყველგან თან დამდევეს მუდმივ დილემად — ველარც ვხსნი და აღარც მეთმოზა.

ჩვენ, ჩათრეულნი უბედობის მღვრიე მორევში, ვტრიალებთ, როგორც ომში — ხმალი, საცერში — ფეტვი. და იმ ორჭოფულ შეკითხვაზე, რომ ვერ მოვეშვით, მოჩვენებითი, ცრუ პასუხის გამოცრას ველტვით.

წინაპართა ხმა შემომესმა გაბმულ ზრიალად, გავყევ მათ ძახილს, შემომარტყეს ალყა იჭვებმა. და მტანჯველ ფიქრთა ტვირთმა თუმცა ცას მაზიარა, სილალის ცოდვამ ჯოჯოხეთის ფსკერი მიჩვენა.

სიბრძნის წყაროდან წყლის მომტანი დამემსხვრა დოქი, ბზარი გაუჩნდა ჩემი ყოფის მყიფე თაბაშირს. და სხვების მსგავსად მეც დავეღვარე სისხლი მეტოქის, სამკვიდროს გამო მეც ჩავები უღირს თამაშში.

და სიკვდილის წინ ჩემი ზესვლა დაცემას ჰგავდა. ო, ოფელია, არ მოვუშვებ გახრწნას ამ სულთან. თუმცა კაცისკვლამ გამატოლა მეც ყველა მათგანს ვისთან ერთადაც ერთ მიწაში წოლა არ მსურდა.

მე ჰამლეტი ვარ. მე სიკეთე მენდო და მეძმო და მე ფეხებზე დავიკიდე ჩემი პრინცობა. და მაინც, მაინც ყველა როგორც ტახტისთვის მებრძოლს, როგორც გულგოროზს და უღმობელს, ისე მიცნობდა.

ღვთიურ ნააზრევს ბრბო უგულოდ და უნდოდ ისმენს, დაბადებიდან სულ სიკვდილი გვიმზერს აღმაცრივ. ჩვენ კი ვერაგულ პასუხს ვისვრით ისევ და ისევ და შესაფერი კითხვის პოვნას ჟამი არ გვაცლის.

**თარგმნა
ანი კოპალიანმა**



უილიამ ბატლერ იეიტსი

სიტყვა

ნარკოტიკული

ნოხელის პრემიის მიღების შემდეგ,
ბრენდ ოტალში გამართულ წვეულებაზე
სტოკჰოლმში, 1923 წლის 10 დეკემბერს

დიდად დავალებული ვარ სკანდინავიელი ერისაგან მთე-
ლი ჩემი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე. ჯერ კიდევ
ყმაწვილმა მეგობართან ერთად რამდენიმე წელი ინგლისელი
პოეტის ბლეიკის ფილოსოფიის ინტერპრეტაციას შევალე.
ბლეიკი უპირველესად თქვენი დიდი სვედენბორგის მოწაფე
გახლდათ და მერე მგ ზნეობარე მემამბოხე, შემდეგ კი ნახევრად
მემამბოხე და ნახევრად მოციქული.

მე და ჩემს მეგობარს მუდმივ გვიზიდავდა ბლეიკის ზოგი-
ერთ ბუნდოვან ადგილთა სვედენბორგისეული ინტერპრეტა-
ცია, რადგანაც ბლეიკი ყოველთვის დაკავებული იყო თავისი
მისტიკური ნაწარმოებებით, რომლებიც ექსტრავაგანტული,
პარადოქსული და ბუნდოვანია. უკანასკნელი ორმოცი წლის
განმავლობაში ბლეიკი ისეთივე გავლენას ახდენდა ინგლისურ
წარმოსახვით აზროვნებაზე, როგორც კოლრიჯი წინა ორმოცი
წლის მანძილზე; ბლეიკი ყოველთვის ღრმად გაიაზრებდა თავის
პოეზიას, თეორიებსა და მხატვრობას. როგორც ინტერპრე-
ტატორი, იგი ემეტოქებოდა სვედენბორგს.

ბოლო წლებში სვედენბორგს ხშირად მივმართავთ და,
როცა თქვენი მოწვევა მივიღე სტოკჰოლმში, უმალ მისი ბი-
ოგრაფიის მოძიება დავიწყე. არა მგონია, ჩვენს ირლანდიურ
თეატრს ეარსება, რომ არ ყოფილიყო იბსენისა და ბიორნსო-
ნის თეატრი და ახლა კი ეს დიდი პატივი მომანიჭეთ.

ოცდაათი წლის წინათ ირლანდიელი მწერლები საზოგადო-
ებებში იყრიდნენ თავს და დაიწყეს თავიანთი ქვეყნის ლიტერა-
ტურის დაუნდობელი კრიტიკა. მათი ოცნება პროვინციალიზ-
მისგან ლიტერატურის გათავისუფლება იყო, რათა ამ მოძრაო-
ბას თუნდაც რამდენიმე წლის შემდეგ მოეპოვებინათ გამარჯ-
ვება. როცა ირლანდიაში დავბრუნდები, ჩემსავით ხანდაზმული
ადამიანები იმ დიდ პატივში, რომელიც თქვენ მომაგეთ, ძველი
ოცნების განხორციელებას დანახავენ.

გულის სიღრმეში მჯერა, მათი არსებობის გარეშე რაოდენ
მცირე იქნებოდა ჩემი დამსახურება.

კატა და მთვარე

ეძღვნება ჯონ მესიფილდს¹

მოქმედი პირნი:

ბრმა მათხოვარი.
კოჭლი მათხოვარი.
სამი მუსიკოსი.

*სცენა წარმოადგენს მოშიშვლებულ ადგილს კედლის წინ,
რომელზედაც მოხატული ეკრანია ან მოხატული ფარდაა, რო-
მელზედაც გამოხატულია წმინდა კოლმანის ჭა.² კედელთან
სამი მუსიკოსი ზის, ციტრით, დოლით და ფლეიტით.*

სახე ისე აქვთ მოხატული, თითქოს ნიღბები უკეთიათ.

პირველი მუსიკოსი: (მღერის)

კატა დადიოდა აქეთ და იქით,
მის თავზე მთვარე ტრიალებდა, ბზრიალას გავდა
და მთვარის ახლო ნათესავმა მცოცავმა კატამ
თავისი მზერა ალაპყრო ცათა.

და შავი კატა — მინელაუში,³

მიშტერებოდა მთვარეს კნავილით,
მის ცხოველურ სისხლს ამღვრევდა მეტად,
ზეცის სინათლე — კამკამა, ცივი.

*(შემოდის ორი მათხოვარი — ბრმა კაცი, რომელსაც ზურ-
გზე კოჭლი კაცი აზის. გროტესკული ნიღბები უკეთიათ. ბრმა
მათხოვარი ნაბიჯებს ითვისს).*

ბრმა მათხოვარი: ათას ექვსი, ათას შვიდი, ათას
ცხრა. ახლა ერთი კარგად გაიხედ-გამოიხედე, სადმე
წმინდა კოლმანის წმინდა ჭა ხომ არ ჩანს. გზავჯარედინ-
ზე რომ შეგვხვდა იმ მათხოვარმა თქვა, რომ იმ ადგილი-
დან, სადაც ვიდექით ათასი ნაბიჯით დაშორებულიაო და
იქ მიღწევამდე სულ რამდენიმე ზედმეტი ნაბიჯი უნდა გა-
დაგვედგა. ახლა ყურადღებით დააკვირდი. ხედავ დიდი
იფნის ხეს მის ზემოთ?

**კოჭლი მათხოვარი: (ჩამოსტება ბრმა მათხოვრის ზურ-
გიდან) ვერა, ვერ ვხედავ.**

ბრმა მათხოვარი: მაშინ, გზას ავცდენილვართ. ყო-
ველთვის ქარაფშუტა იყავი და შეიძლება დღის მინურულს
კილტარტანის მდინარეში და ზღვაშიც კი ჩამახრჩო.

კოჭლი მათხოვარი: სწორი გზით წამოგიყვანე, მაგრამ
ზარმაცი ხარ, ბრმა კაცი. მოკლე-მოკლე ნაბიჯებს ადგამ.

ბრმა მათხოვარი: ძალიან გაგივიდა თავს. როგორ უნ-
და შევძლო დიდი ნაბიჯების გადადგმა, როცა, ინათებს
თუ არა, ჩემს ზურგზე ხარ წამოსკუპული?

კოჭლი მათხოვარი: ისიც ხომ შესაძლებელია, რომ იმ
მათხოვარმა, გზავჯარედინთან რომ შეგვხვდა, ყველაფე-
რი გამოიგონა, როცა თქვა, წმინდა ჭამდე ათასი და ცოტა
მეტი ნაბიჯიაო. ჩვენც ხომ მათხოვრები ვართ და მათხოვ-
რებისა კარგად მოგვეხსენება. შესაძლოა იმ ზარმაცს
ჭამდე არც უვლია.

ბრმა მათხოვარი: ადექი, ძალიან ბევრს ლაქლაქებ.

კოჭლი მათხოვარი: ხოდა, როგორც ვამბობდი, რად-
გან ის ზარმაცი კაცი — ო, ო, ო, ნუ მჩქმეტ წვივზე. სიტყ-

ვასაც აღარ ვიტყვი, სანამ ზოგიერთები არ დამელაპარაკებინან.

(ერთხელ შემოუვლიან სცენას. მოძრაობით ასდევნიან დოლს და მეორე სიმღერას)

**ბალახში დარბის მინელაუში,
ნატიფ თითებზე ლამაზად დგება,
მინელაუშ, შენ ცეკვავ და ცეკვავ?
მონათესავე სული წამს ხვდება,
არაფერია ამ ქვეყანაზე
ცეკვას რომ სჯობდეს ლხენა ისეთი,
იქნებ თავაზით დალილიმა მთვარემ
მისგან ისწავლოს რამე ილეთი.**

ბრმა მათხოვარი: დიდ იფნის ხეს ხედავ?

კოჭლი მათხოვარი: სწორედაც რომ მასაც ვხედავ და მის ქვეშ ჭასაც და კიდევ ბრტყელ ქვას; იმასაც, რაც ქვაზე დევს და მუხლებზე დასადგომად კარგი მშრალი ადგილიც არის.

ბრმა მათხოვარი: მამ შეგიძლია ჩაიმუხლო *(კოჭლი მათხოვარი ჩაიმუხლებს)*. ახლა კი ვხვდები, რომ მეტისმეტად ბრიყვი ვარ და შენი სულელური ლაპარაკით შემავლელიანე.

კოჭლი მათხოვარი: რამდენად სულელი უნდა იყო, რომ წმინდანს თვალის ჩინის დაბრუნება სთხოვო!

ბრმა მათხოვარი: ბევრი ადამიანია ისეთი, რომელიც ფულს გაიმეტებს ბრმაკაცისათვის, და ისეთიც, რომელიც ფულს დაიშურებს და თან თუ მიზეზი მიეცა, წყევლასაც ზედ მიაყოლებს. მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა.

კოჭლი მათხოვარი: იმის გამო ხომ არ მითავაზებ, თუ ყველაფერს ვიტყვი, რაც გუნებაში მაქვს?

ბრმა მათხოვარი: არა, ამჯერად არა.

კოჭლი მათხოვარი: მაშინ გეტყვი, რატომ არა ხარ მაინცდამაინც დიდი ბრიყვი. როცა გარეთ გადიხარ წინილის ან გზაბნეული ბატის დასაჭერად ანდა კომბოსტოს მოპარვა გინდა მეზობლის ბოსტინიდან, მე მიწვევს შენს ზურგზე ამხედრება და, თუ მე მიწინა ბატი ან წინილა, მაშინ შენს ორ ფეხს უნდა ვგრძნობდე ჩემს ქვეშ.

ბრმა მათხოვარი: სწორია და გინდაც სალ-სალამათები ვიყო და სხვადასხვა გზით წავიდეთ, მაინც ჩვენ შორის ბევრი რამ იქნება საერთო.

კოჭლი მათხოვარი: შენ კი სიბრმავის გამო საკუთარ ქონებას კარგავ.

ბრმა მათხოვარი: ყველანი თაღლითები და ქურდები ხართ, მაგრამ ერთი რამ იცოდეთ, ჯერ კიდევ შემიძლია რალაცრალაცებზე მეჭიროს თვალი.

კოჭლი მათხოვარი: რადგან არავინაა, თვალი ადევნოს ვინ შემოიპარება კარებში ან ვინ გადმოლაჯებს ღობეზე, ამიტომ ბევრი ღარიბი კაცისთვის დიდი ცდუნება ხარ. თუმცა, უნდა ვთქვა, რომ ეს არ არის სწორი, სულაც არ არის სწორი. ზოგ-ზოგ ღარიბს კი შენს გამო შეიძლება განსაზღვრულში მოუწიოს დაყოვნება.

ბრმა მათხოვარი: გაიძვერა კი ხარ, კოჭლი კაცი, თუმცა ამ შემთხვევაში შეიძლება მართალიც იყო.

კოჭლი მათხოვარი: ისიც შეიძლება, რომ დღეს ის კურთხეული წმინდანი ვნახოთ, რადგან იგი უცნაურმა კაცმაც ნახა და შეიძლება ეს ჩემი ორი ფეხის გამრთელე-ბაზე უკეთესიც იყოს.

ბრმა მათხოვარი: ისევ თავქარიანივით ლაპარაკობ, კოჭლო კაცო. ვანა იმაზე უკეთესი რა უნდა იყოს, ვიდრე საკუთარ ორ ფეხზე დგომა?

კოჭლი მათხოვარი: შენ ფიქრობ, რომ ავეს ან პიტერ-ნოსტრეს⁴ გარეშე ყურს შეიბერტყავს და ლოცვის წინ ან შემდეგ ჩვენც მოგვიხსენიებს?

ბრმა მათხოვარი: თუმცა ერთდროულად ბრძენიც ხარ და ქარაფშუტაც და თვალებს ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ აცეცებ, მაინც ბევრი რამ არის ადამიანის გულის შესახებ ისეთი, რაც არ გაგეგება.

კოჭლი მათხოვარი: მაგრამ გონივრულია, თუ წმინდანს იმით ვასიამოვნებთ, რომ ლოცვა სულაც არ გვეცოდინება, და ემჯობინება თუ მარტივი ენით ვეტყვი, რაც გვსურს. განა ის მიანიჭებს სიამოვნებას, თუ წმინდანების მთელი წყება დაიჩოქებს მის ჭასთან გამოსასვლელ თუ კვირა დღეებში და ისინიც მასავით უცოდველნი იქნებიან?

კოჭლი მათხოვარი: რა უცნაური რამ თქვი და გვარწმუნებ, რომ ბრმა კაცის გარდა ან მე ან სხვას შეუძლია ამის თქმა?

ბრმა მათხოვარი: ამას ვამბობ, როგორც ბრმა. იმიტომ ვამბობ, რომ მას შემდეგ, რაც ათი წლისა დავბრმავდი, გამუდმებით მესმოდა და გონებაში მეჭებოდა სამყაროს მცნებები.

კოჭლი მათხოვარი: და შენ, ასეთი ბრმა, ამბობ, რომ წმინდანი, რომელიც ჭის წყალში ცხოვრობს, მყისვე დაე-ლაპარაკება ცოდვილს?

ბრმა მათხოვარი: ის თუ გახსოვს, რაც მათხოვარმა გითხრა — წმინდანზე ლაბანის⁵ დიდი სახლიდან.

კოჭლი მათხოვარი: თავში არაფერი მომდის, ბრმა კაცო. მეხსიერება მლაღატობს.

ბრმა მათხოვარი: გარდა იმისა, რომ მაიოს საგრაფოდან რომ არის იმ ბებერ ავხორცთან ერთად გზებზე დაბაკუნობს, დაბადების დღიდან დღემდე ქალთმოძულეც არის. რას ლაპარაკობენ ან სანთლის შუქზე ან დღისით? ალბათ ბებერი ავხორცი მთელ თავის ცოდვებს ჩამოუკაკლავს, ან შეიძლება იმასაც, რაც არ ჩაუდენია, და ლაბანელი კაცი კი ეცდება თავი გაუბრუოს და გააყუჩოს, რომ მეტი აღარ ილაქლაქოს.

კოჭლი მათხოვარი: იქნებ მისი მოქცევა უნდა.

ბრმა მათხოვარი: ბრმა რომ იყო, ასეთ სისულელეებს არ იტყოდი. მთელი ირლანდია რომ მისი გახდეს, მაინც არ შეიცვლება. აბა, ერთი მითხარი, განსხვავებული ხასიათები რომ ჰქონოდათ, რას იპოვნიდნენ სალაპარაკოს?

კოჭლი მათხოვარი: ჩვენ კი, ცხადია, ბევრი საერთო, ბრძნული აზრები გვაქვს. ეს აშკარაა.

ბრმა მათხოვარი: ეკლესია კარგ, სასიამოვნო და ხელსაყრელ აზრად მიიჩნევს, რომ ყოველ ადამიანს თავისი წმინდანი ჰყავდეს, რომელიც მასზე იზრუნებს. მე, როგორც ბრმა, ვაცხადებ მთელი მსოფლიოს წინაშე, რომ ადამიანი რაც უფრო ცოდვილია, წმინდანისთვის უფრო სასურველია და ცხადია, რომ წმინდა კალმანი არ განგვასხვავებდა ჩვენ ორს და ისეთებს მიგვიღებდა, როგორებიც ვართ.

კოჭლი მათხოვარი: მაგაში ვერ დაგეთანხმები, რადგან, როგორც ვამბობდი, ლათინურის დიდად მოყვარულია.

ბრმა მათხოვარი: მამ, მენინააღმდეგები? ჩემი მკლავის განვდენაზე ხარ? *(ჯობს იქნეს)*

კოჭლი მათხოვარი: ვერა, ბრმა კაცო, ვერ მომწვდები, მაგრამ, როგორც ვამბობდი...

პირველი მუსიკოსი: (ლაპარაკობს) განკურნება გსურს თუ კურთხევა?

კოჭლი მათხოვარი: უფალო, შენ გვიხსენი. ეს წმინდანის ხმაა. ჩვენ კი არც დავჩოქილვართ.

(იჩოქებენ)

ბრმა მათხოვარი: კოჭლო კაცო, იგი წინ გვიდგას?

კოჭლი მათხოვარი: ვერსად ვხედავ. ან იფნის ხეზეა ან ზემოთ ჰაერში.

პირველი მუსიკოსი: განკურნება გსურს თუ კურთხევა?

კოჭლი მათხოვარი: ისევ აქ არის.

ბრმა მათხოვარი: თვალის ჩინის დაბრუნებას ვირჩევდი.

პირველი მუსიკოსი: მე ერთი ეული წმინდანი ვარ. რა გირჩევნია — კურთხეულ იქნე თუ ბრმა დარჩე და ყოველთვის ერთად ვიყოთ?

ბრმა მათხოვარი: არა, არა, თქვენო მაღალღირსებავ. თუ არჩევანია, თვალისჩინის დაბრუნებას ვირჩევ, რადგან ისინი, ვისაც მხედველობა აქვს, ყოველთვის რალაც-რალაცებს მპარავენ და მატყუებენ. ზოგი შეიძლება ჩემი ახლობელიც იყოს. ასე რომ, ჩემგან ცუდად ნუ მიიღებთ, წმინდა კაცო, რომ ორივე თვალში სინათლის დაბრუნებას გთხოვ.

კოჭლი მათხოვარი: არც არავინ ძარცვავს და არც არავინ ეუბნება ტყუილებს. ეს ყველაფერი აკვიატებული აქვს. მთელი დღე ენაგადმოგდებული მლანძღავს, რადგან ჰგონია, რომ ცხვარი მოვპარე.

ბრმა მათხოვარი: ჩემი აკვიატება ის იყო, რომ ცხვრის ტყავის სუნი მეცა. მაგრამ საქმე ის არის, რომ, როგორც ამბობენ, ჩემი ცხვარი შავი იყო და ეს კი ამბობს, წმინდა კაცო, რომ მისი ცხვრისტყავი ისეთი მშვენიერი, თეთრი მატყლით დაფარული თვალს მოგჭრისო.

პირველი მუსიკოსი: კოჭლო კაცო, განკურნება გირჩევნია თუ კურთხევა?

კოჭლი მათხოვარი: კურთხევას როგორ მივიღებ?

პირველი მუსიკოსი: კურთხეულ წმინდანთა და მარტვილთა შორის მოხვდები.

კოჭლი მათხოვარი: ის თუა მართალი, რომ მათ წიგნი აქვთ და მასში კურთხეულთა სახელებს წერენ?

პირველი მუსიკოსი: ეგ წიგნი ბევრჯერ მინახავს და შენი სახელიც შიგ ჩაინერება.

კოჭლი მათხოვარი: საკუთარ ორ ფეხზე დგომა მართლაც დიდებული იქნებოდა, მაგრამ მგონია, უფრო დიდებული იქნება, თუ ჩემი სახელი იმ წიგნში ჩაინერება.

პირველი მუსიკოსი: ეგ მართლაც დიდებული იქნება. **კოჭლი მათხოვარი:** დაე, კოჭლად დავრჩე, წმინდა კაცო და კურთხეულ ვიქნე.

პირველი მუსიკოსი: მამისა, ძისა და სულიწმინდის სახელით, ბრმა კაცს თვალს აუფხელ და კოჭლ კაცს კი ვაკურთხებ.

ბრმა მათხოვარი: ყველაფერს ვხედავ, ცისფერ ცას და დიდ იფნის ხეს, ჭას და ბრტყელ ქვას სწორედ ისე, როგორც ხალხისგან გამიგონია, და ყველაფერს, რაც მლოცველებმა დატოვეს ქვაზე — მიძვებს, სანთლებს, ლოცვანიდან ამოხეულ ფურცლებს, თმის სარჭებს და ლილებს. დიდებული სანახაობაა, კურთხეული სანახაობაა, მაგრამ შენ ვერ გხედავ, წმინდანო. დიდ ხეზე ხარ ასული?

კოჭლი მათხოვარი: როგორ ვერ ხედავ, ის ხომ შენს წინაა, სახე დანაოჭებია და იცინის.

ბრმა მათხოვარი: სად არის, აბა, სად არის?

კოჭლი მათხოვარი: ვერ ხედავ შენსა და იფნის ხეს შორის?

ბრმა მათხოვარი: აქ არავინ არის, ისევ ცრუობ.

კოჭლი მათხოვარი: იმიტომ ვხედავ წმინდანს, რომ კურთხეული ვარ.

მხატვარი დიმიტრი ერისთავი

ბრმა მათხოვარი: წმინდანს ვერ ვხედავ, მაგრამ, სამაგიეროდ, სხვა რამეს ვხედავ.

კოჭლი მათხოვარი: ცისფერი და მწვანე ფოთლები დიდებული და უცნაური სანახავია, იმ ადამიანისთვის, რომელიც ამდენ ხანს ბრმა იყო.

ბრმა მათხოვარი: მაგაზე უფრო უცნაურ სანახაობასაც ვხედავ და ეს ჩემი საკუთარი შავი ცხვრის ტყავია, ზურგზე რომ მოგიგდია.

კოჭლი მათხოვარი: განა სულ იმას არ გეუბნებოდი, რომ ჩემი ცხვრისტყავი ისეთი თეთრია, თვალს მოგჭრის-მეთქი.

ბრმა მათხოვარი: სიტყვებს რომ აქეთ-იქით ისროდი, იმაზე რატომ არ იფიქრე, როცა თვალი ამეხილებოდა, ტყავის ფერსაც კარგად გაფარჩევდი?

კოჭლი მათხოვარი: (დათრგუნული) აი, მაგაზე კი არ მიფიქრია.



ბრმა მათხოვარი: ასეთი ქარაფშუტა როგორა ხარ?

კოჭლი მათხოვარი: აი, ეგეთი ქარაფშუტა ვარ (*გამოცოცხლებული*). მაგრამ განა ახლა კურთხეული არა ვარ და განა ცოდვა არ არის კურთხეულის გაკიცხვა?

ბრმა მათხოვარი: დიახაც, კურთხეულის სანინააღმდეგოდ ვილაპარაკებ და მეტსაც ვიტყვი — იცი, რას მოვიმოქმედებ? სულ მეუბნებოდი, ჩემი საკუთარი თვალეები რომ მქონოდა, რა უნდა გამეკეთებინა, როცა ჩემს მეზობლებს ჯერ კიდევ ეძინათ, ხან ქათამი უნდა მომეპარა, ხან ბატი და, იცი, რაზე ვფიქრობდი?

კოჭლი მათხოვარი: ბრმა კაცის ბოროტ ზრახვებზე.

ბრმა მათხოვარი: სწორედაც ასე იყო და ჯერაც არ გადამიფიქრებია. ჩემს თავს ვეუბნებოდი — გრძელი მკლავები მაქვს, ძლიერი, მძიმე მკლავები მაქვს და, როცა თვალის ჩინი დამიბრუნდება, მეცოდიდება, ვის და სად უნდა დავცხო-მეთქი.

კოჭლი მათხოვარი: ხელი არ მახლო. მთელი ორმოცი წელი ერთად გვივლია გზებზე და შენს სულს მომაკვდინებელ ხიფათისგან ვიცავდი.

ბრმა მათხოვარი: ჩემს თავს ვეუბნებოდი, მეცოდიუნება, სად დავცხო, როგორ დავცხო და ვის დავცხო-მეთქი.

კოჭლი მათხოვარი: ვერ გაიგე, რომ კურთხეული ვარ? ნუთუ კეისარივით, ჰეროდესავით, ნერონივით და ანტიკური ხანის სხვა ბოროტი იმპერატორებივით მზაკვარი იქნები?

ბრმა მათხოვარი: სად დავცხო, ღვთის გულისათვის, სად დავცხო?

(ბრმა მათხოვარი სცემს კოჭლ მათხოვარს. ცემა იღებს ცეკვის ფორმას დოლისა და ფლეიტის თანხლებით. ბრმა მათხოვარი გადის).

კოჭლი მათხოვარი: მაგას აღარაფერი ეშველება, წმინდანო, სულწაწყმედილია.

პირველი მათხოვარი: შესაძლოა ასეც იყოს.

კოჭლი მათხოვარი: უმჯობესია ნავიდე, წმინდანო, თორემ ჩემს წინააღმდეგ მთელ ქვეყანას შეყრის.

პირველი მუსიკოსი: ასეც მოიქცევა.

კოჭლი მათხოვარი: ჩემს გუნებაში გადავწყვიტე, რომ მარტივობა და წმინდა აღმსარებლებთან საქმე აღარ ვიქონიო, რადგან მირჩევნია კურთხეული ვიყო.

პირველი მუსიკოსი: დაიხარე.

კოჭლი მათხოვარი: რისთვის, წმინდანო?

პირველი მუსიკოსი: რომ ზურგზე შეგაჯდე.

კოჭლი მათხოვარი: მაგრამ, ჩემი კოჭლი ფეხები შენს სიმძიმეს ვერ აიტანენ.

პირველი მუსიკოსი: უკვე შენს ზურგზე ვარ.

კოჭლი მათხოვარი: ვერაფერს ვგრძნობ.

პირველი მუსიკოსი: კუტკალიაზე უფრო მსუბუქი ვარ.

კოჭლი მათხოვარი: მართლაც ასეა.

პირველი მუსიკოსი: ბედნიერი ხარ?

კოჭლი მათხოვარი: ბედნიერი ვიქნებოდი, დანამდვილებით თუ მეცოდიუნებოდა, რომ კურთხეულ მყავ.

პირველი მუსიკოსი: მეგობრად არ მთვლი?

კოჭლი მათხოვარი: როგორ არ გთვლი.

პირველი მუსიკოსი: მაშინ კურთხეული ხარ.

კოჭლი მათხოვარი: ხომ მიადევნებ თვალს, რომ ჩემი სახელი წიგნში შეიტანონ?

პირველი მუსიკოსი: წამდვილად მივადევნებ.

კოჭლი მათხოვარი: მაშ გზას გავუდგეთ, წმინდანო.

პირველი მუსიკოსი: მაგრამ ჯერ გზა უნდა დალოცო.

კოჭლი მათხოვარი: შესაფერისი სიტყვები რომ არ ვიცი?

პირველი მუსიკოსი: სიტყვები რაში გჭირდება? თავი მდაბლად დაუქარ, რაც შენს წინაა, თავი მდაბლად დაუქარ, რაც შენს უკანაა, თავი მდაბლად დაუქარ, რაც შენს მარცხენიაა, თავი მდაბლად დაუქარ, რაც შენს მარჯვენიაა.

(კოჭლი მათხოვარი იწყებს თავის დაკვრას)

პირველი მუსიკოსი: ასე არაფრად ვარგა.

კოჭლი მათხოვარი: არაფრად ვარგა, წმინდანო?

პირველი მუსიკოსი: არაფრად ვარგა, უნდა იცეკვო.

კოჭლი მათხოვარი: მაგრამ, როგორ უნდა ვიცეკვო? განა მე კოჭლი არა ვარ?

პირველი მუსიკოსი: განა კურთხეული არა ხარ?

კოჭლი მათხოვარი: შესაძლოა ასეცაა.

პირველი მუსიკოსი: სასწაულის არ გჯერა?

კოჭლი მათხოვარი: მჯერა, წმინდანო.

პირველი მუსიკოსი: მაშ იცეკვე და სასწაულიც ეს იქნება.

(კოჭლი მათხოვარი იწყებს ცეკვას, ჯერ მოუქნელად, მოძრაობის დროს ჯობს იყენებს, მერე ჯობს მოისვრის და უფრო და უფრო სწრაფად ცეკვავს. შესაძლოა, როცა კოჭლ ფეხს მიწას ძალუმად ურტყამს, გაისმას მუსიკალური თეფშების (ციმბალების) ხმა. ცეკვა-ცეკვით გადის. ამას მოსდევს პირველი მუსიკოსის სიმღერა.

მინელაუში ბალახში ცოცავს,
ინაცვლებს ადგილს მთოვარის შუქზე
მის თავს ზემოთ კი უმნიკვლო მთვარე,
ახალ ფაზაში გადადის უკვე.

მინელაუშმა ნეტავ თუ იცის,
მისი შეგირდნიც იმ მთვარეს გვანან,
გადიქცევინა წამგლიდან სავსედ
და სავსედან კი ისევ წამგალად?

მინელაუში ბალახში ცოცავს,
მარტოსულს თავის სიბრძნისა სჯერა,
მიაპყრობს მარად ცვალებად მთვარეს,
თავის ცვალებად თვალების მზერას.

ინგლისურიდან თარგმნა
მედაა ზაალიშვილმა

შენიშვნები:

1. ჯონ მებისფილდი (1878-1967) ბრიტანელი პოეტი. 1926 წელს მიენიჭა პოეტ ლაურეატის წოდება.
2. მდებარეობს გალვეში, ქულთან ახლოს.
3. ვარაუდობენ, რომ ეს მოდ გონის კატის სახელია.
4. წმინდა პეტრე (მოციქულთა საქმე 3:1 — 11) იგულისხმება პეტრეს მიერ კოჭლისა და ბრმის განკურნების იგავი. იხილეთ აგრეთვე ესაია წინასწარმეტყველი (42:7-16).
5. იგულისხმება ედუარდ მარტინი (1839-1923) იეიტსთან ერთად ირლანდიის ნაციონალური თეატრის დამაარსებელი.

* * *

ვაჟა ხორნაულის ბუნებისა და ყაიდის შემოქმედი უსათუოდ უნდა მისულიყო მინიმალისტურ პოეზიამდე. ხილად კი არ გამოერია, არამედ ციკლებად გაეშალა და რამდენიმე კრებული სულაც ამ ხერხემალზე ამოეშენებინა — წვეთებში ეძია უთვალავფერა სამყაროსაკენ მიმავალი გზები და მათში აერეკლა უსაზღვროების ათასგვარი გამონაშუქი.

იქნებ ამ პოეტურმა სწრაფვამ მიიყვანა მინდიად ქცევის სურვილამდე?!

იქნებ მინდიად ქცევის სურვილმა ჩაუსახა ეს პოეტური სწრაფვა?!

ერთმანეთს კი შეედუღებებოდა ვაჟა ხორნაული-პოეტი და ვაჟა ხორნაული-პრეისტორიული ჟამისაკენ დაძრული პიროვნება, ვისთვისაც ჯერ მარტო ვაჟა-ფშაველას სამკვიდროსთან გეოგრაფიული სიახლოვე აღმოჩნდებოდა მძლავრი ბიძგი შორეულ წარსულში ჩასანთქმელად.

მინდიას ერთი შთამომავალი უკვე გასჩენოდა ჩვენს დროშიც — იორამ ლუდუშაური.

ახლა ვაჟა ხორნაულიც ჩამდგარიყო ამ კვალში და მიზანდასახული სვლისას თავისი დიდებული სეხნიისა ეიმედებოდა — როგორც კი გამიძნელდება, ისევ ის შემომეშველება, ის გამომიწვდის მძლავრ მარჯვენასო.

ფეხით სიარულიც შეუყვარდებოდა — ყოველდღიურად ასობით კილომეტრის გავლა... სირბილის უნარსაც ისეთს შეინარჩუნებდა, ველარც დაიჯერებდი, წლები თუ ემატებოდა.

საკვებს კი... საკვებს სწორედაც პრეისტორიულს შეარჩევდა და ამ მიმართულებით დაჟინებულ ფიქრს ლიტერატურულ გარსსაც მოუნახავდა. ასე შეიქმნებოდა მისი ორიგინალური ნივინი ფრიად საგანგაშო სახელწოდებით — „სნეული, სნეული, სნეული მსოფლიო“ და არანაკლებ შემამოთებელი ქვესათაურით — „კაცობრიობა დანა-ჩანგლით ითხრის სამარეს“.

რალა ჟან-ჟაკ რუსო და ჰენრი ტორო და რალა ვაჟა ხორნაული!..

ცივილიზაციას ესეც ამუნათებს და ძალიანაც ამუნათებს და ადამიანებს — არა მარტოდენ თვისტომთ — შეაგონებს: თუკი კულინარიულ კულტურას საგრძობლად არ გადაასხვავებებთ და გადაახალისებთ, მკვეთრად არ გაამარტივებთ და პირველყოფილებას არ დაუბრუნდებთ, უეჭველი განადგურება გემუქრებათო.

ნებაყოფლობით მართლაც რატომ უნდა ვისპობდეთ თავს კაცთა მოდგმა?..

თუმც იმ ნივინის რეცენზორებისაკენ არ გამიყოლიოს კალამმა.

ამჯერად ხომ მარტო იმ სურათის გახსენება მინდოდა, როგორ მოგვიტანა ერთხელ ვაჟამ „ჩვენი მწერლობის“ რედაქციაში ბალახის ფოთლები და გვიჩვენა: ამისგან

დამზადებულ ნაყენს არაფერი გერჩიოთ, რალა საუკეთესო წამალი და რალა ესო.

თანაც მეტი დამაჯერებლობისათვის დასძინა: ძველი ქართველები ამ ნაყენს სვამდნენ და იმიტომაც შეინარჩუნეს სულიერი სიმხნევეც და შემოქმედებითი და აღმშენებლობის უნარიც, იარაღითაც რომ მოიხვეჭეს დიდი სახელი მაშინდელ საერთაშორისო ასპარეზზე და კულტურის თვითმყოფადობითაცო.

ეს ყოველივე თუ ამ ნაყენის დამსახურებაა, განა რა გახდა მისი დაღვევა, მითუმეტეს, რომ საკმაოდ სასიამოვნოა. შეხუმრებით მაინც შეგვხუმრებით:

— ვინ ძველი ქართველები? ვთქვათ, მეფე ფარნავაზი სვამდა?

ვაჟა ჩაფიქრდება. ძალიან უნდა, რომ დაგვიდასტუროს, მაგრამ არც ეს ნაუცბათეობა უჯდება ჭკუაში. ამიტომაც რალაცას გულმოდგინედ ანონ-დანონის გუნებაში და მხოლოდ მას შემდეგ გავცემს პასუხს:

— ფარნავაზი... როგორ გითხრათ... მოსალოდნელია, რომ მასაც დაეღია, ოღონდ დარწმუნებით ძნელია თქმა, აი, ვახტანგ გორგასალი კი ნამდვილად სვამდა.

ნეტა რომელ საისტორიო ქრონიკაში იპოვნა საამისო კვალი?

და შევცინებთ:

— უთუოდ ვახტანგ გორგასლის დღიურები ჩაგვარდნია ხელთ და იქ ამოგიკითხავს, გააგრძელებს ძებნა და ეგებ ფარნავაზის მემუარულ ჩანანერებსაც გადაანყებ სადმე!..

ვაჟა შემცბარია:

— არა, რა დღიური, რა მემუარული ჩანანერები, უბრალოდ აქედან რომ გავხედე, ისე ვიგრძენი, რომ ვახტანგ გორგასლის დროს ეს ნაყენი უკვე დამკვიდრებულია ქართულ კულინარიაში, ფარნავაზის დროს კი... არა, ვითომ მაშინ რატომ არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ დაბეჯითებით თქმას მაინც მოვერიდოთ... ერთი სიტყვით, იტოვებთ თუ არ იტოვებთ?!

— ვიტოვებთ! ვიტოვებთ!..

ალბათ ფარსმან ქველიც სვამდა, თორემ აქეთ, ამოტკუროპალატი გნებავს თუ დავით კუროპალატი, უსათუოდ გაუსინჯავდნენ გემოს და — ჩვენს ვაჟას თუ ვერწმუნებით — ძალიანაც შეიყვარებდნენ.

არა, კაცობრიობას მაინც რატომ არ ესმის ამდენი, დანა-ჩანგლით ასე მიზანდასახულად რომ ისნეულებს თავს და ითხრის სამარეს?..

მინიმალისტური პოეზია კი ერთი მომხიბლავი ნაკადია მსოფლიო პოეტურ რუკაზე და დასანანია, შოთა იათაშვილის ეს ბედნიერად მიგნებული იდეა (დამოუკიდებლად ტარიელ ჭანტურიასაგან, ვისაც ასევე გასჩენია ფიქრი — შეედგინა მოლეკულური პოეზიის კრებული) და წარმატებული წამონყებაც ჟურნალის — „ალტერნატივა“ — ფურც-



ლებზე — თავი მოეყარა ამ ყაიდის ნიმუშებისათვის, დაეგროვებინა საანთოლოგიე მასალა — ჯერჯერობით რომ ვერ პოულობს შესაფერის ხორცშესხმას — ხელთ გვექონდეს ქართული მინიმალისტური პოეზიის ანთოლოგია.

* * *

— რას იტყვით, ბიჭებო, არ შევიარაყდეთ? — ზეზვა მედულაშვილს თვალები აუციმციმდება.

— ვაჰ, ზეზვა რასაც შენ არ იტყვი!.. მაშ „შევიარაყდეთ“, არა? მხეცი ხარ, — შემოუღივლებენ აქეთ-იქიდან.

ის კი, უეცრად მოსევდიანებული:

— ლამის ცდუნებამ შემიპყრო, მართლა ჩემად გამესაღებინა, მაგრამ როგორ მივითვისო, როდესაც ამირან ასანიძისაა. იმას სჩვეოდა ეს შემოდახილი: შევიარაყდეთო.

ვის გაუფიქრია ეს გვარ-სახელი იქ მყოფთაგან.

ვის პირველად ესმის.

მონონებით კი ყველას მოსწონს ეს მოხდენილი, მახვილი ნეოლოგიზმი, ენობრივი ექსცენტრიკის ჩინებული ნიმუში.

შევიარაყდეთ!

სჩვეოდა ექსპრომტები, ეპიგრამები, მაჯამები, იუმორი ამშვენებდა მის საუბარს და მისი გარდაცვალების შემდეგ კიდევ შეადგინეს ამ ყაიდის პატარა კრებული, რისი თავმოყრაც მოახერხეს იმ უხვად მიმოფანტული ეპიგრამა-მახვილსიტყვაობებიდან, თვითონ ამირანიზმებს რომ უწოდებდა და დარწმუნებული იყო, რომ თავისი ტერიტორიაც — მართალია მცირე, მაგრამ მაინც — შემოეკალთა „მამფორიზმებისა“ თუ „ზეზვაურების“ გვერდით.

ამ კრებულში ყველაზე ფასეული სწორედ ეს მონოდება თუ ლოზუნგია:

**შეიარაყდით,
მეგობრებო,
შეიარაყდით!**

იროდიონ ევდოშვილის „მეგობრებო, წინ, წინ გასწითო“ — სიმძაფრითა და დრამატიზმით სუნთქავდა.

გალაკტიონის „დროები, დროები, დროები ჩქარაო“ — ყოვლისნამლეკავი ექსპრესიით.

ამირან ასანიძის აღმაფრთოვანებული შეძახილი კი იმ მღელვარებითა და დაუმცხრალობით, რასაც იუმორი ეგრე ადვილად ვერ ანელებდა და რალაც ფარულ ტკივილზე მიგანიშნებდა.

ისე მონოდებადაც დიდად ვარგოდა და პაროლადაც მისწრება გახლდათ.

სევდა ისედაც ტრიალებდა მის ლექსებში, და ამ განწყობილებას ძალდაუტანებლად გადაჯაჭვოდა ადრე წასულ მეგობრებზე გლოვა: ცად მიწეულნო, თქვენდა ნათელი! ჩვენ

ცხადია, ანთოლოგიაში თავისი კუთხე მიეჩინება ვაჟა ხორნაშულსაც; და, საფიქრებელია, მისი უამრავი ლირიკული ნიმუშიდან მაინცდამაინც ისინი გამოირჩეს, სადაც მინდიას სული ყველაზე ხელშესახებად იტრიალებს.

აქ შთენილნი სამარტილოზე, ისევ ვცოდვილობთ, თქვენ კი საყვარელ საქართველოსთვის ცაში ილოცეთო.

და სატრფიალო სტრიქონებიც უძირო სევდას განემსჭვალა: უთრთოდა აპრილს შენი მკლავები, ეფერებოდნენ ფერებს ფერები, დახუნძლულიყო ცა ვარსკვლავებით, ტყე — მგალობლებით და სიმღერებითო.

მაინცდამაინც დიდი აზრისა არა ყოფილა თავის ლექსებზე, უფრო სულთ პოეტი გახლდათ და თავის საუკეთესო მხატვრულ მიღწევად მაინც უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსის ივან კოტლიარევსკის ეპიკური ქმნილების — „ენეიდა“ — თარგმანი ესახებოდა, მისი დასრულება ამ სიხარულით აღვსილ სიტყვებს რომ ათქმევინებდა:

— ავნიე ჩემი საჯილდაო ქვა!

ვინდა მოიგონებდა ან ამ პოემას... და ამირან ასანიძის სახელი დავინწყებისაგან გადასარჩენად ამ ნეოლოგიზმს ჩამოჰკიდებოდა:

— შევიარაყდეთ!

ეამაყებოდა ბელორუსი პოეტის, მიკოლა გუსოვსკის პოემის („სიმღერა დომბაზე“) ქართულად ამეტყველება, თუმც მისი თარგმანების იმ კრებულში ყველაზე საგულისხმო მაინც ფრიდრიხ ნიცშეს ლექსის („მიუსაფარი“) ქართული ვერსია უნდა იყოს.

ნიცშეს სახელი მოქმედებს, მაინცდამაინც ეს ლირიკული ნიმუში რომ გამოვარჩიე? რატომ — მართლაც დახვეწილი პოეტური კულტურითაა აღბეჭდილი და შინაგანი ტრაგიზმით ჩვენს განწყობილებებს ყველაზე მეტად ენათესავება:

მიფრინავენ ყორნები —

ქალაქისკენ... ცის კიდე შავად მიმოფენილა:

მოთოვს მალე... ვაი მას

ვინაც სოფლად სუფევს და... უსამშობლოდ შთენილა!

თუმც ან ამ ლექსს ვილა გაიხსენებდა...

ვინ რად ჩააგდებდა მის გარინდებს შატილში, ან ზედაზენთან, ანდა რეალურ თუ წარმოსახვით უღელტეხილთან... ვილას ააღელვებდა გაზაფხულთა მისეული მძაფრი მოლოდინი თუ სიყვარულის სამყაროში გადაშვება.

ერთი, ერთადერთი ხავსი აკავებდა ნუთისოფლის მდინარეებსათან, მის გვარ-სახელს ასე ადვილადაც რომ არ განირავდა:

— შევიარაყდეთ!

...ცა კი კვლავაც ბევრჯერ დაიხუნძლებოდა ვარსკვლავებით, და ტყე — მგალობლებითა და სიმღერებით.



მხატვარი ალექსანდრე სლოვინსკი

ბადალი ხმელეთისაო

„აბანო! თითქოს ჩვეულებრივი რამ არის... აბანოში ბანაობენ, ტანს ისუფთავებენ. ასეა ყველგან და ყოველთვის, მაგრამ აბანო თბილისში... იგი მეტად ორიგინალური და განსაკუთრებით თბილისურია“, — ვკითხულობთ იოსებ გრიშაშვილის წიგნში „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“.

თბილისის აბანოთა ქებას თავისი პანაი კუთხე უპოვია, თქვენ წარმოიდგინეთ, ქართულ ხალხურ პოეზიაშიც, რომელიც ადამიანის არსებობის გაცილებით ამაღლებულ პრობლემებს ეჭიდება, მაგრამ, ჩანს, არაფერი ადამიანური უცხო არ ყოფილა მისთვის და ისეთი უტილიტარული თემაც კი, როგორც გახლავთ აბანო, აუცილებელი შემადგენელი ნაწილი ყოფა-ცხოვრებისა, გამხდარა მისი შთაგონების წყარო.

აი, როგორ ხოტბას ასხამს თბილისის აბანოებს ერთი ხალხური ლექსი: „ქალაქის აბანოები, ბადალი ხმელეთისაო, ძირიდან აშენებული, აუზები აქვს ქვისაო; ვინც შევა, აგრე გაგისხდის, როგორც თოვლია მთისაო, ქალი და რძალი გამოდის, ვითა ყვავილი ხისაო“.

თბილისის აბანოებს არაერთი უცხოელი მოუხიბლავს.

ისევ იოსებ გრიშაშვილი, ტრუბადური ძველი თბილისისა, დავიმონმოთ: „ყოველი მგზავრი, თბილისის ყოველი სტუმარი, საიდანაც არ უნდა ყოფილიყო მოსული, რა საშური საქმეც არ უნდა ჰქონოდა, თავის წმინდა მოვალეობად სთვლიდა, რომ თბილისის აბანოებიც ენახულა და განბანოლიყო მის მაღლიან კამკამა წყალში“.

პუშკინი ამბობდა, თბილისის აბანოებზე საუცხოო რამეს არც რუსეთში და არც თურქეთში არ შეგხვედრივარო, მაგრამ რუსი პუშკინი აქ რა მოსატანია, როდესაც თვით „მზიური ალბონის“ შვილს სუფთა ინგლისურით წარმოუთქვამს თბილისური აბანოს ქება.

დაიხ, გამოჩენილმა ინგლისელმა მხატვარმა რობერტ კერ პორტერმა (1775-1842), რომელმაც 1817 წლის შემოდგომაზე თითქმის მთელი თვე დაჰყო თბილისში, ყველა მოგზაურსა თუ სტუმარზე ვრცლად აღწერა თბილისური აბანო.

პორტერი თავის წიგნში „მოგზაურობა საქართველოში, სპარსეთში, სომხეთსა და ძველ ბაბილონში“ (ლონდონი, 1822) წერს, რომ ბაზრის ბოლოში ყოფილა ღრმა ხევზე გადებული პატარა ხიდი, რომლის ქვეშაც მიედინებოდა მთის სუფთა და ცივი ღელე. მას ერთვოდა ცხელი წყლები ახლომახლო გორაკებიდან და იძენდა იმ სამკურნალო თვისებებს, რომელთა ღირსებამ დასაბამი მისცა თბილის-ქალაქს.

პორტერი აღნიშნავს, რომ თბილისის აბანოებს ჰქონდათ არა მარტო სამედიცინო დანიშნულება, არამედ ისინი წარმოადგენდნენ გართობისა და განცხრომის ადგილებსაც.

ხიდის ერთ მხარეს განლაგებული ყოფილა მამაკაცთა აბანოები და მეორე მხარეს, სწორედ ციხე-სიმაგრის პირქუშ კედლებქვეშ, ქალთა აბანოები. გოგირდით გაჯერებული წყალი ამარაგებდა ამ აბანოებს და დამახასიათებელი უსიამო სუნს აყენებდა ირგვლივ.

პორტერის მიხედვით, აბანო ვეება თალიანი სახურავით, დაყოფილი იყო ოთახებად, სადაც დღის სინათლე ერთი ბენოზეც ვერ აღწევდა. მხოლოდ რამდენიმე მბჟუტავი ჭრაქი სუსტი ციმ-

ციმით ანათებდა იქაურობას და, იმავდროულად, ლამობდა მორეოდა ცხელი წყლის ორთქლს. სტუმარს ვერ უნახავს ისეთი

ადგილი, სადაც მობანავეს შეეძლო დეტოვებინა თავისი ტანსაცმელი, რომ არ დასველებულიყო ანდა არ გაჭუჭყიანებულიყო.

საჯარო აბანოში გამეფებულ ვითარებას პორტერის აღტაცება არ გამოუწვევია, ვინაიდან, როგორც გვაუწყებს, შერვეული ყოფილა განმარტოებას და კომფორტს ევროპულ აბანოებში, აქ კი ყველა ჯურის აბორიგენებს მოეყარათ თავი. ზოგი იხეხებოდა, ზოგიც იფხიკებოდა, ტანს იხელდნენ, იპარსავდნენ და ა.შ. ამგვარ სამსახურს ან ერთიმეორეს უწევდნენ ანდა მექისე ირჯებოდა.

პორტერის აზიზი ყნოსვა შეუწუხებია გოგირდის სუნს, აჩქარებით გამოსულა აბანოდან და გადაუჭრია ხიდი. მის მეგზურს შეუთავაზებია, ეგება ვცადოთ და ქალთა აბანოში ცალი თვალით მაინც შევიჭყიტოთო. ზრდილი ინგლისელი ჯენტლმენი შეცბუენებულა, მაგრამ მეგზურის ხათრით უარი ვერ უთქვამს და მის ნებას დაჰყოლია.


ქალთა აბანოს შესასვლელში მჯდარი დედაბერი წამითაც არ შეეყოყმანებულა, ისე უჩვენებია გზა მამაკაცი სტუმრებისათვის. პირველსავე საბანაო ოთახში დაუნახავთ უამრავი ტიტლიკანა ბავშვი, რომელთაც დედები აბანავებდნენ ოთახის შუაგულში მდებარე მრგვალ აუზში.

„ბავშვები მუდამ ახარებენ თვალს“, — წერს პორტერი და დასძენს, რომ ნესრიგი და სისუფთავე აქ შეუდარებლად მეტი იყო, ვიდრე მამაკაცთა აბანოში. შემდეგ შესულან დიდრონ ოთახში, რომელიც უკეთესად ყოფილა განათებული, მაგრამ წყალი არსად ჩანდაო. კედლების გასწვრივ, ხალიჩებითა და ლეიბებით მოფენილ ქვის ტახტებზე ისხდნენ ქალები და სხვადასხვა საქმიანობით იყვნენ გართული. ზოგი სანახევროდ ჩაცმული ბრძანდებოდა, ზოგის სხეულს კი თითქმის არაფერი ფარავდაო. მოახლენი მშრალი ნაჭრით უხელდნენ მშვენიერ ტან-ფეხს, უღებავდნენ თმასა და წარბებს, ფერუმარისს უსვამდნენ პირისახეზე. „არც ამ ოთახში ამტყვადარა თუნდაც უმცირესი განგაში და არავინ გაოცებულა ჩვენი უტიფრობის გამო“, — შენიშნავს პორტერი. გაუფლკათ ის ადგილიც, სადაც ქალები ამოდიოდნენ წყლიდან — გამოქვაბულის მსგავსი ვრცელი ოთახი, მკრთალად განათებული და აყროლებული გოგირდის ორთქლით, ოციოდე ღრმა ორმოდან რომ ამოიფრქვეოდა და ბოლქვა-ბოლქვად ტრიალებდა კვამლივით.

ამ ლამის ირეალურ ატმოსფეროში ინგლისელ მხატვარს მაინც გაურჩევია ქალთა ფიგურების ყველანაირ ქოზაში, რაც კი ფანტაზიას ძალუმს წარმოიდგინოს „მობანავე პალმერეთების გამოსაქანდაკებლად“. ქალმერთებისაო! გესმით?!

პორტერი კვლავ დაბნეულა და აღიარებს, „ქართველი ვენერების ურცხვმა გულგრილობამ“ (ვენერებისაო! გესმით?!) შემძრწუნა და განმაცვიფრაო. ისინი მშვიდად განაგრძობდნენ ბანაობას, თუმცა თვალი მოგვკრესო. სხვათა შორის, ამავეს აღნიშნავდნენ პუშკინი და დიუმა.

სწორედ ამ ვაჟბატონებს ზუსტად მიესადაგება ძველისძველი ქართული ანდაზა: გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებაო...



ჯოვანი ვეფხვაძე

გოგირდის აბანოები

ქალი ამარცხებს გველეშაპს

ერთ მშვენიერ დღეს, აღმო-საველი ბერლინის დისკოთეკაში საბჭოთა კილერმა ბოგდან სტა-შინსკიმ გაიცნო ახალგაზრდა

გერმანელი პარიკმახერი ინგა პოლი. როგორც აღნიშნავენ, ამ ქალის გარეგნობაში არაფერი ყოფილა უჩვეულო და მიმზიდველი, თუკი არ ჩავეთვლით იკლიკანტურ ვარცხნილობას. ამასთან ერთად, ვერც სუ-ლიერ მოთხოვნილებათა სიმდიდრით დაიტრაბახებდა. მაგრამ, რო-გორც მოგახსენებთ, სიყვარული ბრმა და პროფესიონალ კილერს, უკრაინელ ნაციონალისტთა ბელადების — ბანდერასა და რებეტის მკვლელს, გაგიჟებთ შეუყვარდა გერმანელი პარიკმახერი.

სტაშინსკიმ, რასაკვირველია, უპატაკა ხელმძღვანელობას, რაც ხდებოდა მის პირად ცხოვრებაში. კომპეტენტურმა ორგანო-ებმა გამოწველილვით შეისწავლეს ინგას ასავალ-დასავალი და ვერავითარ კომპრომატს ვერ მიაგნეს.

მალე სტაშინსკიმ უფროსებს თავისი გულისნადილი გაანდო, ინგასთან დაქორწინებას ვაპირებო.

ეს ემცხეთა „კაგებეს“. მოთმინებით აუხსნეს, ეს ქალი თავისი სოციალური სტატუსით შენზე გაცილებით დაბლა დგასო. ჭკუა და-არბეგეს: რამდენიმე ათასი მარკა ჩაუკუჭყე ჯიბეში და სამუდამოდ და-ივიწყეო. ამის გაგონებაზე ბოგდანს თავზარი დაეცა. მიხვდა, რომ არც კი მიიჩნევდნენ ადამიანად, კაგებეს ბრმა იარაღად თვლიდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ ბოგდან სტაშინსკი მიიღო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. შელეპინმა, მიუ-ლოცა დავალების წარმატებით შესრულება ანუ ბანდერას მკვლელობა და გადასცა მთავრობის ჯილდო.

უკრაინელმა რომეომ ახლა მას გაანდო თავისი სანუკვარი ოცნება. იმედოვნებდა, პოლიტიბუროს ახალგაზრდა წევრი უფ-რო გამოგებსო, მაგრამ შელეპინმა, ცხადია, შეიცხადა ეს ამბავი და ძმურად ურჩია, თუკი ცხოვრების თანამგზავრი გასაჭიროება, ჩვენი უწყების თანამშრომელთაგან გამოგიძებნითო.

კაგებეს შეფის რჩევამ არ გასჭრა. ბოგდან-რომეო ჯიუტად იდგა თავისაზე. როგორც თვალსაჩინო სპეციალისტს, ანგარიში გაუწიეს, ნება დართეს, დაბრუნებულიყო აღმოსავლეთ ბერლინ-ში და თავისი საოცნებო სატროფო მოსკოვში ჩამოეყვანა. იმედი ჰქონდათ, რომ გერმანელი პარიკმახერი კმაყოფილი დარჩებოდა მოსკოვში ცხოვრებით და შეეგუებოდა საბჭოურ ადათ-წესებს.

1960 წლის 23 მარტს აღმოსავლეთ ბერლინში ჩატარდა ნიშ-

ნობა. მაისის თვეში კი უკვე მოს-კოვში იმყოფებოდნენ. უბოძეს ერთოთახიანი ბინა ჩვეულებრივ „ხრუშჩოვკაში“.

გერმანელი პარიკმახერი კატეგორიულ უარს აცხადებდა კა-გებესთან თანამშრომლობაზე და დღენიადაგ მოუწოდებდა ბოგ-დანს, დასავლეთში გადაესახლდეთო (მან, რასაკვირველია, არ იცოდა თავისი ქმრის „საქმენი საგმირონია“).

1960 წლის სექტემბერში სტაშინსკიმ უფროსობას მოახსენა, ჩემი ცოლი ორსულად არისო. ურჩიეს, გაეკეთებინა აბორტი. ინ-გამ სასტიკად იუარა.

ცოლ-ქმრის ტანჯვა-წვალებათა თხრობა ძალზე შორს წაგ-ვიყვანდა, ამიტომაც მოკლედ უნდა მოგჭრათ: 1961 წლის 12 აგ-ვისტოს, მრავალ დაბრკოლებათა მიუხედავად, რომეომ და ჯუ-ლიეტამ მოახერხეს გადასვლა აღმოსავლეთ ბერლინიდან — და-სავლეთ ბერლინში და ღრმად ჩაისუნთქეს ნანინანდარი თავი-სუფალები სუფთა ჰაერი. რა თქმა უნდა, ჩვილიც თან ახლდათ.

მართლაც რომ ბენზე მოასწრეს! როგორც ცნობილია, მეო-რე დილით უკვე აღმართული იყო ბერლინის კედელი, რომლის არსებობამ თითქმის ოცდაათი წელიწადი გასტანა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სასამართლომ ნე-ბაყოფლობით გამოცხადებულ სტაშინსკის მიუხაჯა რვანლიანი პატიმრობა. საკმაოდ მსუბუქი სასჯელია, არა? ანტისაბჭოთა პროპაგანდის ფასმა, ეტყობა, გადასწონა ორი უკრაინელი ლიდე-რის სიცოცხლის ფასი.

1966 წელს ამერიკელებმა ვადაზე ადრე გამოიყვანეს ციხიდან სტაშინსკი და, ალბათ, შეერთებულ შტატებში დააბინავეს (რასაკ-ვირველია, ინგასთან ერთად). მას შემდეგ მათი ასავალ-დასავალი იდუმალებით არის მოცული. ინტერნეტი ვარაუდობს, რომ ყო-ფილ საბჭოთა კილერს სახელი გამოუცვალეს, რათა დაეცვათ ორმხრივი პოტენციური შურისძიებისგან. დასძენენ: შესაძლოა დღესაც ცოცხალი არისო (ოთხმოცს იქნება მიტანებული).

დასავლურ სამყაროში ბოგდან სტაშინსკის გადახვენას შეე-ნირა კაგებეს 17 (ჩვიდმეტი!) თანამშრომელი. ისინი ორგანოები-დან დაითხოვეს დაუდევრობისა და უპასუხისმგებლობის გამო. დახვერტით არც ერთი არ დაუხვერტათა.

ასე დაამარცხა გერმანელმა პარიკმახერმა ქალმა ლუბიანკა-ზე მოკალათებული მრისხანე გველეშაპი. აფერუმ მის ქალობას!

ქრონიკა

კონკურსი პოეზიის ახალგაზრდა მთარგმნელებისათვის ვა-ხუშტი კოტეტიშვილის პრემიის მოსაპოვებლად გამომცემლო-ბა „დიოგენემ“ დაანესა და წელს პირველად გაიცა.

პრემია ერთ-ერთი საუკეთესო ქართული მთარგმნელის სახელს რამდენიმე მიზეზის გამო უკავშირდება: ჯერ ერთი, ვახუშტი კოტე-ტიშვილი ერთნაირი წარმატებით თარგმნიდა როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური ენებიდან; ამიტომ მისი სახელობის პრემია ბუნე-ბრვად მოიცავს მსოფლიო მწერლობის საუკეთესო ტრადიციებს.

და მეორე: ვახუშტი კოტეტიშვილი ივანე ჯავახიშვილის თბი-ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ბრძანდებოდა და წლების მანძილზე დიდი წარმატებით უძღვებოდა მხატვრული თარგმანის კურსს, სიცოცხლის მიწურულს კი გამომცემლობა „დიოგენესთან“ თანამშრომლობით განახორციელა უაღრესად მნიშვნელოვანი პროექტი — მხატვრული თარგმანის მასტერკლასი ახალგაზრდებისათვის. ბატონ ვახუშტისთან შინ იკრიბებოდ-ნენ პოეზიის თარგმანის ხელოვნებით დაინტერესებული ახალ-გაზრდები, რომელთაც პროფესიულ გამოცდილებას გადასცემდა.

მასალებმა მოგვიანებით თავი მოიყარა კრებულში, რომელიც „დიოგენემ“ გამოაქვეყნა. წელს დაარსებული პრემია, რომელიც ბა-ტონი ვახუშტის სახელის უკვდავყოფასაც ითვალისწინებს, თითქოს მისივე მასტერკლასის ერთგვარ გაგრძელებასაც წარმოადგენს.

გადაწყდა, პრემია ყოველწლიურად სამ საუკეთესო ავტორსა და ნაშრომს მენიჭოს ნებისმიერი ენიდან ქართულად თარგმნილი პოეტური ნიმუშებისათვის. თითოეული პრემია 1000 ლარის ოდენობით გადაეცემა 20-დან 35 წლამდე ასაკის მთარგმნელებს.

საკონკურსოდ შემოვიდა 31 ავტორის ნამუშევარი. ეს იყო 11 სხვადასხვა ენიდან თარგმნილი სხვადასხვა ეპოქისა და ლიტერა-ტურული მიმართულების ავტორთა პოეტური ნიმუშები, რომლე-ბიც წლევანდელმა შვიდკაციანმა ჟიურიმ (თამარ ჯავახიძე, ხა-თუნა ცხადაძე, ანა ჭაბაშვილი, გიორგი ეკიზაშვილი, ზვიად რა-ტიანი, ნიკა ჯორჯანელი, გიორგი ლობჯინიძე) გამოწველილვით შეაფასა და რიგ შემთხვევაში დედანსაც დაწვრილებით შეუდარა, თუმცა ჟიურის შეფასების ამოსავალი პოსტულატი უპირველად მაინც იყო ამ თარგმანთა ადეკვატური ლიტერატურული ლირებუ-ლება ქართულ ენაზე. ენობრივი და გეოგრაფიული თვალსაზრისით წლევანდელმა კონკურსმა საკმაოდ დიდი არალი მოიცვა და თამა-მად გადასწვდა დასავლეთიდან აღმოსავლეთს. ჟიურიმ გამოარჩია 12 მთარგმნელის ნაშრომი, რომლებიც კრებულში დაიბეჭდა.

ვახუშტი კოტეტიშვილის პრემია მიენიჭა სამ საუკეთესო ახალგაზრდა მთარგმნელს: ანი კოპალინა (ენ სექსტონის პოე-ზია), მანანა მათიაშვილსა (ელჩიზაბეტ ბიშოპის პოეზია) და ლე-ლა სამნიაშვილს (ტედ ჰიუზის პოეზია).